ზურაბ ჭავჭავაძე

ჩვენთან ცხოვრობს

პაპა ლიონი და ქრისტიკოსი

« საბჭოთა საქართველო »
1979 თბილისი 62

8Г1+1Ф(С4і)
ჭ99.962.1.09+301 (47.922) (092 უმიკაშვილი)
მ 463

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია მე-19 საუკუნის 60-იანი წლების თვალსაჩინო ჟურნალისტის — პ. ი. უმიკაშვილის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის უმთავრესი მომენტების დახასიათება. წიგნში განხილულია პ. უმიკაშვილის წერილები საზოგადოებრივი ცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების აქტუალურ საკითხებზე, ნაჩვენებია ამ დაუღალავი პუბლიცისტისა და კრიტიკოსის ღვაწლი ქართული კულტურის ისტორიაში.

7-2-3
183-67 ადგ.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

პეტრე იოსების ძე უმიკაშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. იგი ეკუთვნოდა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა იმ სახელოვან პლეადას, რომელმაც 60-იან წლებში მაღლა აღმართა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა და თავისი შეუპოვარი, მრავალმხრივი და უმწიკვლო მოღვაწეობით ძვირფასი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის საგანძურში. მუდამ მოძრავი და მოქმედი პ. უმიკაშვილი გვერდში ედგა ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ნ. ნიკოლაძეს, გ. წერეთელს, ს. მესხსა და თერგდალეულთა თაობის სხვა წარმომადგენლებს და ჩვენი საზოგადოებრივ-ინტელექტუალური ცხოვრების ამ მესვეურებთან ერთად დაუღალავად ემსახურებოდა ქართული კულტურის წინსვლასა და აღორძინებას.

პეტრე უმიკაშვილი იყო მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი საზოგადო მოღვაწე. ცარიზმის აუტანელ პირობებში იგი გაუტეხელი სიმტკიცითა და დაუშრეტელი ენერგიით მუშაობს ქართული ენის მასწავლებლად, გატაცებით აგროვებს და ბეჭდავს ხალხური სიტყვიერების მასალებს, ცალკე წიგნებად სცემს ძველი და ახალი პერიოდის ქართველ მწერალთა ნაწერებს, ორიგინალურ და რუსულიდან გადმოკეთებულ პიესებს აწვდის ქართულ თეატრს, რედაქტორობს „სასოფლო გაზეთს“, ეწევა მთარგმნელობით მუშაობას და, რაც მთავარია, სისტემატურად თანამშრომლობს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელი 45 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის ლიტერატუ-

რულ-კულტურულ ცხოვრებაში არ ყოფილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, — ეს იქნება „ვეფხისტყაოსნისა“ და „ვისრამიანის“ ტექსტების დადგენა-გამოცემა, სამშობლოს გარეთ დაღუპულ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის თბილისში გადმოსვენება და დაკრძალვა, ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ პირველი კითხვა-განხილვა თუ ახალი ქართული თეატრის დაარსების 50 წლისთავის დღესასწაული, რომლის განხორციელებაში პ. უმიკაშვილს აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს როგორც სიტყვით, ისე საქმით. „თითებზე ჩამოსათვლელია ისეთი მოღვაწეები, — სამართლიანად წერს მკვლევარი ალ. კალანდაძე, — რომელთაც პეტრე უმიკაშვილისოდენა ამაგი მიუძღოდეთ მშობელი ერის წინაშე. ჩვენი ხალხის ყოველ კეთილნამოქმედარს წარსული საუკუნის მეორე ნახევარში სამარადჟამოდ აღბეჭდვია მისი ნათელი ხსოვნა“[1].

პეტრე უმიკაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა დღემდე არ ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა, რომელმაც 1937 წელს ცალკე წიგნად გამოსცა პ. უმიკაშვილის მიერ შეკრებილი ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალების ერთი ნაწილი[2]. სახელოვანმა მეცნიერმა აღნიშნულ წიგნს დაურთო თავისი ძვირფასი მეგობრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ვრცელი აღწერა. მაგრამ ეს ბიოგრაფიული ნარკვევი, რომელიც უმთავრესად პ. უმიკაშვილის პირად არქივში დაცულ კერძო წერილებს ემყარება, სრულად არ ასახავს ქართული კულტურის ამ დიდი მოამაგის მოღვაწეობას. მასში განხილული არ არის პ. უმიკაშვილის პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობა, რადგანაც ავტორი ამაზე ცალკე ნაშრომის დაწერას აპირებდა. სამწუხაროდ, ეს საქმე მას შეუსრულებელი დარჩა.

---

1 ალ. კალანდაძე, ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, 1965 წ., გვ. 11.

2 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწილი პირველი, ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით, ფედერაცია, 1937 წ.

უკანასკნელ წლებში პ. უმიკაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას სერიოზული ყურადღება მიაქცია მკვლევარმა ალ. კალანდაძემ. მან სპეციალური ნარკვევი და მეტად საგულისხმო შენიშვნები უძღვნა ამ თვალსაჩინო ჟურნალისტის პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობის მეცნიერულ განხილვა-შეფასებას[1]. მაგრამ ალ. კალანდაძის ნარკვევი და შენიშვნები სრულ წარმოდგენას არ იძლევა აღნიშნულ მემკვიდრეობაზე, რადგანაც ავტორს პ. უმიკაშვილის მხოლოდ ის სტატიები აქვს განხილული, რომლებიც ჟურნალ „კრებულში“ გამოქვეყნდა. მკვლევარი თითქმის სრულებით არ ეხება პ. უმიკაშვილის იმ მრავალრიცხოვან სტატიებს, რომლებიც სხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე დაიბეჭდა, თუმცა ამ სტატიების განხილვას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ავტორის პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობის ჯეროვანი შეფასებისათვის.

შედარებით უკეთესადაა შესწავლილი პ. უმიკაშვილის ფოლკლორისტული მოღვაწეობა. 1964 წელს შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებამ, პროფ. მ. ჩიქოვანის რედაქციით, ოთხ ტომად გამოსცა პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერება“[2]. მაგრამ მე-19 საუკუნის ამ ერთ-ერთი შესანიშნავი შემკრების ფოლკლორული კოლექციის ტექსტოლოგიური შესწავლა კვლავ უნდა გაგრძელდეს. საჭიროა მთლიანად დაჭთავრდეს იმ ჩანაწერების გამოცემა, რომლებიც აღნიშნულ ტომებში არ შესულა.

მკითხველი საზოგადოება პ. უმიკაშვილს უმთავრესად იცნობს როგორც ფოლკლორისტს, თუმცა მის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პუბლიცისტურ და ლიტერატურულ-კრიტი-

---

1 ალ. კალანდაძე, ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, თბილისი, 1965 წ.

2 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, პროფ. მ. ჩიქოვანის რედაქციით, ტ. I—IV, თბილისი, 1964 წ.

კულ წერილებს. ეს გარემოება იმითაა გამოწვეული, რომ პ. უმიკაშვილის ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილები გაბნეულია ქართულ პერიოდულ პრესაში და არა მარტო ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, არამედ სპეციალისტთა ვიწრო წრისთვისაც ნაკლებად ხელმისაწვდომია.

პეტრე უმიკაშვილი თანამშრომლობდა მე-19 და ნაწილობრივ მე-20 საუკუნის თითქმის ყველა ქართულ ჟურნალსა და გაზეთში. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მას გამოქვეყნებული აქვს ორასზე მეტი წერილი, ფელეტონი, ნარკვევი და შენიშვნა, რომლებიც იმდროინდელი ცხოვრების მრავალ საჭირბოროტო საკითხს ეხებიან. მისი წერილებისა და ფელეტონების საგანი იყო ქართული მწერლობა და თეატრი, სწავლა-განათლება, პოლიტიკური ვითარება, ისტორია, სოფლის მეურნეობა და სხვ.

აღნიშნულ ნაწერებში პ. უმიკაშვილმა შესძლო ამაღლებულიყო თავისი ქვეყნისა და დროის მოთხოვნათა გაგებამდე. ამასთანავე, მის მიერ გამოთქმულ შეხედულებათა მნიშვნელოვან ნაწილს დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალური მნიშვნელობა. მეორე მხრივ, პ. უმიკაშვილის ნაწერები მდიდარ მასალას იძლევიან გასული საუკუნის მეორე ნახევრის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის შესწავლისათვის.

როგორც ომების ისტორია არ შეიძლება დაყვანილ იქნას მხოლოდ გამოჩენილი მხედართმთავრების მოღვაწეობის აღწერამდე, რადგანაც მათ საომარ გეგმებს ჯარისკაცებთან ერთად ხორცს ასხამენ და ახორციელებენ ნიჭიერი და ერთგული ოფიცრები, ასევე საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია სრული არ იქნება, თუ კლასიკოსთა გვერდით მათი ღირსეული თანამებრძოლებისა და თანამოაზრეების მოღვაწეობაც არ იქნა გათვალისწინებული და შესწავლილი. გასული საუკუნის მეორე ნახევრის ჩვენი კლასიკოსების სწორედ ასეთ უანგარო, ნიჭიერ და პატიოსან თანამებრძოლთა რაზმს ეკუთვნოდა პ. უმიკაშვილი, რომლის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა უდავოდ სერიოზული ყურადღებისა და შესწავლის ღირსია.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად არ ისახავს პეტრე უმიკაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ნაწერების ყოველმხრივ შესწავლას. ამ საქმის შესრულება ლიტერატურის, პედაგოგიკის, ისტორიისა და ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალისტთა ერთობლივ შრომას მოითხოვს. ამიტომ ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ ცალკე შესწავლის საგნად გაგვეხადა პ. უმიკაშვილის პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწერები და ამით ნაწილობრივ მაინც შეგვევსო ის ხარვეზი, რომელიც ქართული კულტურის ამ დიდი მოამაგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეცნიერული შესწავლის საქმეში არსებობს.

ცხოვრების გზა

პეტრე უმიკაშვილი დაიბადა თბილისში, 1838 წლის 23 ოქტომბერს (4 ნოემბერს). მისი მშობლები ძველი თბილისის მოქალაქეთა შთამომავალნი ყოფილან. ავტობიოგრაფიაში, რომელიც ზ. ჭიჭინაძის თხოვნით დაუწერია 1890 წელს, თავისი გვარისა და წინაპრების შესახებ პეტრე უმიკაშვილი გაგვიმოგვცემს: „ჩემი გვარი, როგორც ოჯახის ზეპირგადმოცემა დარჩენილა, ტფილისის ძველ მოქალაქეთა გვარია. ნარიყალას ციხე არ ყოფილა აშენებული, რომ ჩვენი გვარი ქალაქში ყოფილაო, თითქმის თამარ დედოფლის დროს ან უწინ. ჩემის გვარისანი არიან სოფელ ძეგვს, მეჯვრისხევს და ამბობენ კახეთშიაცაო. ზოგნი სომეხნი არიან, ზოგნი მართლმადიდებელნი. მე კათოლიკე ვარ; წარსულ საუკუნეში სომხობიდან გადასულა მამიჩემის პაპა. ბევრი უბედურება გადახედიათ თავსა, თუ საქვეყნო უბედურების მიზეზით, თუ ოჯახობის უბედურებით“[1].

პეტრე უმიკაშვილის მამა, იოსები, განსაზღვრული ხელობის კაცი არ ყოფილა, იგი უმთავრესად წვრილ ვაჭრობას მისდევდა. თავისი ცხოვრების ადრინდელი პერიოდი მას ქ. მოზდოკში უნდა გაეტარებინა, რადგანაც ოფიციალურ დოკუმენტებში[2] პ. უმიკაშვილი იხსენიება როგორც შვილი მოზდოკელი მოქალაქის იოსებ უმიკოვისა.

---

1 პ. უმიკაშვილი, ავტობიოგრაფია, „ივერია“, 1904 წ., № 123.

2 იხ. პ. უმიკაშვილის ნამსახურობის ფორმულარული სია (საქ. სსრ ცენტ. სახელმწიფო არქივი, ფ. 441, საქმე 52) და მეტრიკული ამონაწერი (შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივი, პ. უმიკაშვილის კოლექცია, საქმე 3-ა, დოკუმენტი 89). პ. უმიკაშვილის ხელნაწერების აღნიშნული კოლექცია ჭეშმოთ ყველგან მითითებული გვექნება შემოკლებით — ფ. არქ. უმიკ.

ახალგაზრდობაში იოსებ უმიკაშვილს ერთხანს მდივნად და თარჯიმნად უმსახურია საფრანგეთის საკონსულოში, სადაც ფრანგული ენა შეუსწავლია და კონსულ შევალიე გამბასთან ერთად საფრანგეთში უმოგზაურია, ცივილიზებული საფრანგეთის ცხოვრება ისე მოსწონებია, რომ დაცოლშვილების შემდეგ მიზნად ჰქონია თავისი შვილისათვის განათლება საფრანგეთში მიეღებინებია[1].

მაგრამ იოსებ უმიკაშვილმა ვერ მოასწრო თავისი ოცნების განხორციელება, სიკვდილმა არ დააცალა. 1843 წელს იოსები გარდაიცვალა და ხუთი წლის პეტრეს აღზრდა მთლიანად დედას დააწვა ტვირთად. ცოტაოდენი ფული, რომელიც დედაშვილს იოსებისაგან დარჩენიათ, მიუხედავად მომჭირნეობისა, მალე შემოხარჯვიათ და დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილან. ასე რომ, პეტრე უმიკაშვილს არ ჰქონია უზრუნველი სიყრმე და სიჭაბუკე.

პეტრე უმიკაშვილის დედა, ბარბარე კაკალაშვილი, მშვენიერი სახის ქალი ყოფილა. იგი სრულიად ახალგაზრდა დაქვრივდა, მაგრამ მეორედ აღარ გათხოვილა და თავისი ცხოვრება ერთადერთი შვილის გამოზრდისათვის დაუცხრომელ ზრუნვასა და მეცადინეობაში გაუტარებია. ამ უსწავლელ ქალს შესანიშნავი მეხსიერება და ესთეტიკური გემოვნება ჰქონია. თვით პ. უმიკაშვილი თავის ავტობიოგრაფიაში ჰოგვითხრობს: „დედა იყო ტფილისის მოქალაქის სტეფანე კაკალაშვილის ქალი, მომთმინო, ჭკვიანი, შორსმხედველი და საკვირველის ესტეტიური გემოვნების დედაკაცი. სახით მშვენიერი იყო. მაღალი აზრი, რომელსაც ამოვიკითხავდი ხოლმე უდიდებულეს მსოფლიო მოაზრეთა ნაწერებში, ესმოდა ხოლმე და მაოცებდა მისი მსჯელობა უსწავლელი, წიგნის ვაივაგლახით მკითხველი დედის პირისაგანაც. გაგონებით ბევრი გაეგონა, ხსოვნა ჰქონდა შეუდარებელი. მრავალი საქვეყნო ისტორიული ამბავი, ძველი და ახალი, ანეგდოტები ერთგვარად ახსოვდა"[2].

---

1 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. II, 1964 წ., გვ. 5—6.

2 პ. უმიკაშვილი, ავტობიოგრაფია, „ივერია", 1904 წ., № 123.

ბარბარე უმიკაშვილისა გარდაიცვალა 1884 წელს. პეტრე უმიკაშვილი ყოველთვის დიდი პატივისცემით იგონებდა ძვირფასი დედის ნათელ სახეს. მის დაუვიწყარ ამაგსა და სიყვარულს.

პირველდაწყებითი სწავლა პეტრე უმიკაშვილმა მიიღო კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ სამრევლო სკოლაში. ამის შემდეგ სწავლობდა მოქალაქეთა შვილებისათვის განკუთვნილ კომერციულ გიმნაზიაში, რომელიც 1854 წელს პირველ გიმნაზიას შეუერთდა.

გიმნაზიაში პეტრე უმიკაშვილი ბეჯითად სწავლობდა. მომავალი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, ქართული ფოლკლორის დაუღალავი შემკრები უკვე ამ პერიოდში წერს თავისუფალ თემებს, გულდასმით ეცნობა ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს. ჩვენამდე შემონახულა გიმნაზიის პერიოდის მისი საშინაო რვეულები, რომლებშიც შეტანილია ჰაბუკი პეტრეს მიერ შესრულებული თავისუფალი თემები ვეზუვის შესახებ, პომპეუსის მცხოვრებლებზე, სიტყვიერების მნიშვნელობაზე, ფელეტონი „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია“, ქართული ზღაპარი „დარეჯანი“ და რომანტიკული თქმულება „მამადავითის წყაროო“[1]. ამ ნაწერებში, განსაკუთრებით „მამადავითის წყაროში“, პ. უმიკაშვილი უკვე ამჟღავნებს სინამდვილის მხატვრული ასახვის უნარს.

ამავე პერიოდში იწყება პ. უმიკაშვილის გატაცება საოპერო ხელოვნებით. იგი თითქმის ყოველ კვირას ესწრება იტალიური ოპერის წარმოდგენებს, რომლებიც 1857 წლიდან იმართებოდა თბილისში. თავის მოგონებაში ამის შესახებ გადმოგვცემს: „მეც გამიტაცა ოპერამ და კვირა ისე როგორ გაიელიდა, ერთხელ მაინც არ მენახა... ჯიბეში ფული არ მჭონდა და ის ღმერთმა იცის, რა ვაივაგლახით შევიპარებოდი ხოლმე. ხან კაპელდინერს ორ შაურს მივცემდი, ხან ხალხის დიდ ჯგუფში შევერეოდი და შევსხლტებოდი, ან ძველ ბილეთს გამოვიყენებდი. თუ ვერ ვახერხებდი ამას, შევდგებო-

---

1 ნ. ღვინეფაძე, ასი წლის გაცრეცილი რვეული, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1958 წ., № 126.

დი კიბეზე და საიდამაც კარგა მოისმოდა მუსიკისა და სიმღერის ხმა, იმ კარისაკენ დავდგებოდი მთელი მოქმედების მოსასმენად"[1].

1859 წლის დეკემბერში პეტრე უმიკაშვილმა დაასრულა გიმნაზიის კურსი. მას დიდი სურვილი ჰქონდა უნივერსიტეტში შესულიყო სწავლის გასაგრძელებლად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამავე პერიოდში იგი გატაცებულია მუსიკით, ოცნებობს მუსიკალური განათლების მისაღებად იტალიაში წასვლაზე, რადგანაც მტკიცედ სჯერა, რომ რაც უნდა დიდი სახელი მოიპოვოს მწერლობაში, მუსიკაში მაინც უპირველესი მაესტრო იქნება. მაგრამ უსახსრობის გამო იმხანად მას არც ერთი ამ ოცნების განხორციელება არ შეეძლო. თავის დღიურში იგი ნაღვლიანად წერს: „ღმერთო ჩემო. როდემდის უნდა ვიყო ასეთ მდგომარეობაში? ვაი, ჩემო თავო, ნუ გექნება იმედი, რომ აგისრულდეს რამეში სურვილი. ან მერმის როგორ წავალ მე უნივერსიტეტში?"[2] სხვაგან: „არ ვიცი რა ვქნა, არ ვიცი რა იქნება ჩემი ბოლო, ნეტავი გარიბალდი ახლოს იყოს, იქნება იმისკენ თავი მეკრა; სულ არაფერი, თუ მოვკვდები, კეთილი საქმისთვის მოვკვდებოდი მაინცა. მაგრამ შორს არის. რა ვქნა, შვილური სიყვარული ბორკილს მიყრის: როგორ დავანებო თავი დედასა, ვის ანაბარათა და ვის იმედითა. აი, რა მტანჯავს"[3].

ახალგაზრდა პეტრე მწარედ განიცდის თავის ხელმოკლეობას და ხან რა საშუალებას ეძებს, ხან რას სწავლის გასაგრძელებლად. იგი სასწავლებლად წასვლის იმედს ერთხანს მამისაგან გაცემული სესხის განაღდებაზე ამყარებს. შემდეგ ფიქრობს კერძო პირებს მიმართოს დახმარებისათვის და წერილის გაგზავნასაც აპირებს პეტერბურგში ვინმე მერკა დანტესთან, ზოგჯერ კი მეგობრებისა და საზოგადოების დახმარების იმედი აქვს. ერთ დროს მისთვის წინადადება მიუციათ,

---

[1] პ. უმიკაშვილი, ჩვენი თეატრის თავგადასავალი, „ივერია", 1899 წ., № 210.

[2] ფ. არქ. უმიკ., ს. 3-ა, დ. 88.

[3] იქვე.

რომ საზოგადოების მიერ შეკრებილი ფულით წასულიყო სასწავლებლად, მაგრამ პეტრეს არ მიუღია ეს წინადადება, რადგან სხვის დაუხმარებლად, დამოუკიდებლად სურდა ცხოვრებაში გზის გაკაფვა. ამის შესახებ 1861 წლის 16 იანვარს წერს: „პალტარაცკისთან ვიყავი, ილია წინამძღვარი იქ იყო და სიტყვა გამიხსენეს, თუ წასვლა გინდაო, გვითხარიო, ჩვენ მოვახერხებთო. უთუოდ, როგორც შარშან ილიკო სერებრიაკოვი გაგზავნეს, ჩემი გაგზავნაც ისე უნდათ, — საზოგადოთ შეკრებულის ფულითა. მაგრამ მე დამოკიდებულება არ მინდა ვისზედმე მჭონდეს... არ მინდა ამგვარად... მე ჩემს თავად, სხვის შეუწევნელად მინდოდა და მინდა ცხოვრება"[1]. სხვა ადგილას: „თუ გამიჭირდება, ლაქიათ და მუშათ დავდგები, მაგრამ არავის წინ თავს არ მოვიმდაბლებ"[2].

უკიდურეს შემთხვევაში იგი თანახმაა დახმარება მიიღოს ისეთი პირისაგან, რომელიც ამ დახმარებას მოწყალების გაღებად კი არ მიიჩნევს, არამედ თავის ადამიანურ და მოქალაქეობრივ მოვალეობად.

ამრიგად, პ. უმიკაშვილმა დახმარებისათვის არავის მიმართა. მეორე მხრივ, მამისაგან გაცემული სესხი ვერ დაიბრუნა და სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა იძულებული გახდა უსახსრობის გამო თბილისში დარჩენილიყო და პირველ რიგში სამსახურში მოწყობაზე ეზრუნა, რათა უკიდურესი გაჭირვებისაგან როგორმე თავი დაეღწია.

პეტრე უმიკაშვილმა გულმოდგინედ დაიწყო სამსახურის ძებნა. მან თავის თავზე გამოსცადა მაშინდელ სახელმწიფო მოხელეთა საშინელი ბიუროკრატიზმი, ადამიანის უკიდურესი დამცირება და აბუჩად აგდება. ვიღაც ფათიაშვილმა სამი დღე ატარა, ბოლოს ნაწერი დაუწუნა და ისე გამოისტუმრა ცივი უარით, რომ მასთან ლაპარაკიც არ იკადრა. სწორედ ამ ფათიაშვილზე ამბობს ახალგაზრდა პეტრე: „თვალებში რომ შეხედო, გაუმაძღრობისა და ხარბობის მეტს ვერასა ნახავ იმათ გამომეტყველებაში... ვაი შენი ბრალი და ვაი შენი ბრა-

---

[1] ფ. არქ. უმიკ., ს. 3-ა, დ. 88.

[2] იქვე.

ლი მრთელის ბუნების შემაგინებელო, შემარცხვენელო ადამიანო, რა დაგიტევებია და რას გამოსდგომიხარ. სად სიცოცხლე და სად გონების დატყვევება საცოდაობაში. ჭეყანაზე სად არის სიკეთე. ოხერო და ტიელო! შენთან მოდის ობოლი, შეწუხებული ყმაწვილი კაცი, გთხოვს პირდაპირ ერთი ადგილი უბოძო რამე იქნება. შენი ხელის გამართვა ეს არის, რომ თითო საათი ბალკონში დააცდევინებ და მერე, როცა მოგაგონდება, მაშინა ნახავ. ზღვავ, სულით ზღვავ"[1].

უნივერსიტეტში შეუსვლელობით, სამსახურის უქონლობითა და სრული უსახსრობით, აგრეთვე სახელმწიფო მოხელეთა გულქვაობით გამოწვეულ მწუხარებას ახალგაზრდა პ. უმიკაშვილი ზოგჯერ სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს. არის მომენტები, როცა იგი საყვარელი დედის მოკლითა და თვითმკვლელობით აპირებს საშინელი ცხოვრებისა და გატანჯული სიცოცხლის დასრულებას[2].

ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებებში ბევრი სიარულის შემდეგ პ. უმიკაშვილმა როგორც იქნა გამოძებნა მეთვალყურე მასწავლებლის თორმეტმანეთიანი ადგილი ვინმე ტერ-აკოფოვის პანსიონში. მაგრამ სამსახურის დაწყებამ ოდნავადაც ვერ შეუმსუბუქა ახალგაზრდა პეტრეს სულიერი ტკივილები და დედა-შვილის მატერიალურ გაჭირვებასაც ბევრი ვერაფერი უშველა. პ. უმიკაშვილი მაინც თავის ბედს უჩივის, ხოლო დედამისი კვლავ უკიდურეს მომჭირნეობას ეწევა სანთლის ხარჯვასა და საყვარელი შვილისათვის სათეატრო ფულის მიცემაში[3].

რამდენიმე ხნის შემდეგ პ. უმიკაშვილმა ტერ-აკოფოვის პანსიონში სამსახურს თავი დაანება, მაგრამ მალე იმავე პანსიონში მიიწვიეს ქართული ენის მასწავლებლად. პანსიონში მუშაობასთან ერთად პეტრემ წერა-კითხვის სკოლაში ქართული ენის მასწავლებლის ადგილი და კერძო გაკვეთილებიც იშოვა, რის შედეგად მისი მატერიალური მდგომარეობა ცოტა

---

1 ფ. არქ. უმიკ., ს. 3-ა, დ, 88.

2 იქვე.

3 იქვე.

გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, იგი „ცისკარს" მაინც ნისიად იღებს და თეატრში წასასვლელი ფულის უქონლობას უჩივის[1].

ამ პერიოდში პეტრე უმიკაშვილს უკვე შეგნებული აქვს თავისი საზოგადოებრივი მოვალეობა, სამშობლოს სიყვარულის გრძნობა კარნახობს, რომ მამულისათვის ბევრი აქვს გასაკეთებელი. გონებაგახსნილ ახალგაზრდას აწუხებს უფლებაყრილი სამშობლო ქვეყნის მძიმე მდგომარეობა, მისი კულტურული ცხოვრების ჩამორჩენილობა და არსებული მდგომარეობის გამოსწორების მთავარ პირობად, ნამდვილი მამულიშვილების უპირველეს მოვალეობად ხალხში სწავლა-განათლების გავრცელება მიაჩნია. იგი წერს: „კიდევ იმედი მამულისშვილებზეა. იმედია, თუმცა კი ჯერ ცოტანი არიან მამულის სიკეთისათვის მზათა. განათლებაა ჩვენთვის საჭირო, სახალხო განათლება"[2].

პეტრე უმიკაშვილს სიამოვნებს თავისი თანატოლი ქართველი ახალგაზრდების მისწრაფება უმაღლესი განათლებისაკენ, სურს მათ ბევრი სიკეთე შეიძინონ უნივერსიტეტში, რომ შემდეგ თავიანთ ქვეყანას გამოადგნენ.

1861 წლის დასაწყისში პ. უმიკაშვილი აყალიბებს პატარა წრეს, სადაც გიმნაზიის მოსწავლეებს ქართულ მწერლობასა და სამშობლოს სიყვარულზე ესაუბრება. მის დღიურში ვკითხულობთ: „ამ საღამოზე შევყარე ოთხი ყმაწვილი გიმნაზიიდან, მოვილაპარაკეთ და შევადგინეთ პატარა საზოგადოება. კვირაში ერთხელ-ორჯელ შევიკრიბებით და ქართულ წიგნებს ვიკითხავთ, ვილაპარაკებთ და ნაწერებს გავარჩევთ. ეს აზრი გუშინწინ მომივიდა. შევატყობინე ყმაწვილებს და დამთანხმდნენ. ეს ძალიან საჭიროა ჩვენთვის. გიმნაზიაში ჯერ ქართველებს ერთობა არა აქვთ. ეს რომ გაჩნდეს, საქმე კარგა. წავა. დღეს ისინი იყვნენ, ერთიც უეჭველად მოგვემატება შემდგომში. ვინ იცის, კვირა და კვირა მოგვემატნენ. ჩემი ცდა ის იქნება, რომ პირველად ენაში ცოტაოდენი გაკეთდნენ, მამუ-

---

[1] ფ. არქ. უმიკ., ს. 3-ა, დ. 88.

[2] იქვე.

ლის სიყვარული ჩაუარდეთ გულში და შრომობდნენ. ღვთით იმედი მაქვს. ამას გარდა სემინარიაშიაც ფეხის შედგმა მინდა, ღმერთო შენით! დღეისსწორს შევიკრიბებით და „ვეფხის-ტყაოსნის“ კითხვას ვაპირებთ. ამას გარდა ვთხოვე, რომ მანამდისინ რუსულითგან რამ გადმოთარგმნონ“[1].

პეტრე უმიკაშვილი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა 1860 წელს. ამ წლის დეკემბრის „ცისკარში“ დაიბეჭდა მის მიერ თარგმნილი კარამზინის წერილი „მწერალს რა ეპირვება?“, რომელშიც გადმოცემულია რუსული სენტიმენტალიზმის ერთ-ერთი ტიპიური წარმომადგენლის ლიტერატურული შეხედულებანი. ამის შემდეგ პ. უმიკაშვილმა 1862 წლის „ცისკრის“ აგვისტოს ნომერში გამოაქვეყნა რუსულიდან თარგმნილი ორი სტატია — ჯორჯ ვილიამსის „კლასიკური აღზრდა“ და „კემბრიჯის ქალაქში პენციონის გამართვის დაპირება უცხო ქვეყნის სტუდენტებისათვის“. ორივე სტატია, ისევე როგორც პირველი წერილი, ხელმოწერილი იყო მთარგმნელის ინიციალებით („პ. უ“.).

გიმნაზიის ახლად კურსდამთავრებულ პ. უმიკაშვილს უკვე ახლო ურთიერთობა და მიმოსვლა აქვს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორ ივანე კერესელიძესთან. ამ დროისათვის იგი ფიქრობს ძველი ქართული წიგნების გამოცემას და პირველ რიგში ივ. კერესელიძეს აცნობს თავის გეგმას[2]. „ცისკრის“ რედაქტორთან მოლაპარაკების შემდეგ პ. უმიკაშვილი დიდი გატაცებით შეუდგა გამოცემისათვის საჭირო ფულის შეგროვებას. ქართული წიგნის გამოცემის ახალგაზრდა ენთუზიასტი წინასწარ კარდაკარ ეძებს ხელისმომწერლებს და ეხვეწებათ, რომ წიგნი თუ არა, „ცისკარი“ მაინც გამოიწერონ. მაგრამ პ. უმიკაშვილის გულმოდგინე მეცადინეობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ვისთანაც მივიდა, ყველამ ცივი უარით გამოისტუმრა. ამის შესახებ იგი გულნატკენი წერს: „ძველი წიგნების ბეჭდვის სიის ტარება თითქმის აღარ მინდა, არა

---

[1] ფ. არქ. უმიკ., ს. 3-ა, დ. 88.

[2] იქვე.

გამოვა რა. ხელისმომწერი იმდენი სად ვიშოვნო, რომ 20[illegible] მანეთი მოგროვდეს"[1].

ამგვარად, პ. უმიკაშვილის ოცნებას ძველი ქართული წიგნების, მათ შორის პირველ რიგში „დავითიანის", გამოცემის შესახებ იმხანად ფრთები შეეკვეცა. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც იმ დროს ფეოდალური არისტოკრატიის უმრავლესობას ნაკლებად აწუხებდა საზოგადოებრივი საქმეები, ისინი მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ. პ. უმიკაშვილი აღშფოთებულია საზოგადოების უკიდურესი გულგრილობით. იგი მწვავედ განიცდის, რომ „ყველანი უკუმსხდარან და ერთმანეთს შესცქერიან. ხელს არავინ ჰკიდებს საქმეს"[2].

პეტრე უმიკაშვილს, მართალია, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ერთხანს ახლო ურთიერთობა აქვს ივ. კერესელიძესთან, მაგრამ იგი არ იზიარებს „ცისკრის" რედაქტორის ლიტერატურულ შეხედულებებს და სავსებით ემხრობა რუს რევოლუციონერ დემოკრატთა მოწინავე იდეებზე აღზრდილ ახალგაზრდობას. თავის დღიურში ერთ ადგილას იგი ირონიულად ამბობს: „კერესელიძე ხომ საწყალი კაცია, მაგრამ მაინც სულ არაფერს ხომა სჯობიაო"[3].

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი მომენტი. როცა 1861 წელს ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე მწვავე იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა გაჩაღდა პროგრესულ-დემოკრატიული იდეების დამცველ ახალგაზრდობასა და კონსერვატულ-ლიბერალური ბანაკის წარმომადგენელთა შორის, პ. უმიკაშვილს გადაუწყვეტია მონაწილეობა მიეღო ამ პოლემიკაში და ვრცელი სტატიაც დაუწერია[4]. თავის სტატიაში იგი მტკიცედ იცავს ილია ჭავჭავაძის იდეურ-ლიტერატურულ პო-

---

1 ფ. არქ. უმიკ., ს. 3-ა, დ. 68.

2 იქვე.

3 იქვე.

4 პ. უმიკაშვილის გამოუქვეყნებელი წერილი, პუბლიკაცია და შენიშვნები ლეილა ბერძენიშვილისა, „მნათობი", 1956 წ., № 12, გვ. 171—178.

ზიციებს და მკაცრად აკრიტიკებს მის მოწინააღმდეგეთა კონსერვატულ შეხედულებებს, კერძოდ, გ. ბარათაშვილის, ს. ალექსი-მესხიშვილისა და ივ. კერესელიძის საპოლემიკო წერილებსა და შენიშვნებს, რომლებიც თერგდალეულთა მეთაურის პირველი კრიტიკული გამოსვლის საპასუხოდ დაიბეჭდა „ცისკრის“ ივნისის ნომერში. ამ წერილებსა და შენიშვნებს პ. უმიკაშვილი უწოდებს „უთავბოლო და არეულ-დარეულ თხზულებებს“, რომლებიც ი. ჭავჭავაძის ვერც ერთ დებულებას ვერ არღვევენ. იგი წერს: „რაცა თქვა ჭავჭავაძემ, დაამტკიცა კიდეც; არც ერთი იმისი აზრი არ დაურღვევიათ ისე, რომ საფუძვლიანად წინააღმდეგი დაამტკიცონ. მხოლოდ ცარიელ სიტყვებსა ხარჯავენ იმის მოწინააღმდეგენი; ის კი არ იციან, რომ ეხლანდელ დროში ცარიელის დაუმტკიცებელის სიტყვით ვერავის დააჯერებენ“[1].

პ. უმიკაშვილს არ მოსწონს „ცისკრის“ შინაარსი. იგი პირდაპირ აღნიშნავს ჟურნალის რედაქტორისა და მის ირგვლივ შემოკრებილი მწერლების დაუდევრობას ამ მიმართულებით. „ცისკარში“ იმასა ბეჭდვენ, — ამბობს სტატიის ავტორი, — რაც თითონ მოსწონთ, გაურჩევლად, სტატია საჟურნალოა თუ არა, ამ გვარს გზაზე მოდიან დღეის აქამომდე“[2].

დასასრულ, პ. უმიკაშვილი „ცისკრის“ რედაქტორს მიმართავს: „ჭავჭავაძის კრიტიკას ამაში ბრალი არ აძევს, თუ თქვენ ხელისმომწერნი „ცისკრის“ მოწერაზე უარს გეუბნებიან. ლანძღვის გამო ჯერ კრიტიკის ხსენებაც არ იყო, რომ კახეთის მებუკე იწერებოდა და გემუქრებოდათ, რომ ხელს ავიღებო „ცისკრებისგანაო“[3].

როგორც ვხედავთ, პ. უმიკაშვილი თავიდანვე აშკარად გაემიჯნა კონსერვატულ-ლიბერალური ბანაკის წარმომადგენლებს და მტკიცედ დადგა პროგრესულ-დემოკრატიული იდეების განხორციელებისათვის მებრძოლი ახალგაზრდობის პო-

---

[1] პ. უმიკაშვილის გამოუქვეყნებელი წერილი, „მნათობი“, 1956 წ. № 12, გვ. 172.

[2] იქვე, გვ. 171.

[3] იქვე, გვ. 177.

ზიციებზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა-დაფასებისათვის, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ზემოხსენებული სტატია პ. უმიკაშვილს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში წარუდგენია გამოსაქვეყნებლად. როგორც ჩანს, რედაქციას სტატიის შესწორება-გადაკეთება მოუთხოვია, რაზეც ავტორი არ დათანხმებულა და ხელნაწერი უკან წაუღია. ამიტომ აღნიშნული სტატია პ. უმიკაშვილის სიცოცხლეში აღარ დაბეჭდილა[1].

1863 წელს პ. უმიკაშვილი კორექტორად მუშაობდა ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“, სადაც უშუალოდ გაიცნო ახალი ქართული მწერლობის მედროშე ილია ჭავჭავაძე და მასთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა. შემდეგში დიდი ილია პ. უმიკაშვილს თვლიდა თავის განუყრელ მეგობრად, აფასებდა მის პირუთვნელ აზრს და ხშირად მას ანდობდა თავისი ნაწარმოებების ბეჭდვის მეთვალყურეობას[2].

ამ პერიოდში პ. უმიკაშვილის მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოქვეყნება. 1860—1863 წლების „ცისკარში“ მან დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტის 19 ლექსი დაბეჭდა[3]. პ. უმიკაშვილმა პირველად გააცნო ფართო საზოგადოებას ქართული პოეზიის ისეთი შედევრები, როგორიცაა „მერანი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „სული ობოლი“, „ჩემს ვარსკვლავს“, „საფლავი მეფის ირაკლისა“ და სხვ., რითაც კიდევ უფრო გააძლიერა ინტერესი ნ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისადმი.

1864 წელს პეტრე უმიკაშვილმა შეადგინა და დაბეჭდა „ქართული ანბანი“, რომელიც მომდევნო წლებში კიდევ ორ-

---

1 პ. უმიკაშვილის გამოუქვეყნებელი წერილი, „მნათობი“, 1956 წ., № 12, გვ. 178.

2 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961 წ., გვ. 36—40.

3 ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945 წ., გვ. 132.

ჯერ გამოიცა[1]. წიგნში უხვად იყო შეტანილი ქართული ზღაპრები და არაკები, რომლებიც ბავშვებს აცნობდა მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, წარმოდგენას უქმნიდა სიკეთესა და ბოროტებაზე. წიგნი ბავშვებს ასწავლიდა აგრეთვე ზომისა და წონის ერთეულებს. მიუხედავად მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებისა, რომლებიც ამ წიგნს გააჩნდა, თავის დროზე, ვიდრე ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები შეიქმნებოდა, მან დიდი სამსახური გაუწია ქართველ ახალგაზრდობას მშობლიური ენის შესწავლის საქმეში.

პეტრე უმიკაშვილს შეუსრულდა დიდი ხნის ოცნება. 1864 წელს იგი ნასესხები ფულით გაემგზავრა პეტერბურგს და თავისუფალ მსმენელად შევიდა უნივერსიტეტში, სადაც ლექციებს ისმენდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე.

პ. უმიკაშვილს იმ დროს მოუხდა უნივერსიტეტში ყოფნა, როცა რადიკალურად განწყობილი ინტელიგენციის ერთი ნაწილი მწვავე ბრძოლას ეწეოდა საძულველი მთავრობის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში ზოგჯერ ტერორისტულ აქტებსაც მიმართავდა. როგორც ცნობილია, 1866 წელს დიმიტრი კარაკოზოვმა ესროლა მეფე ალექსანდრე მეორეს, რასაც მოჰყვა პოლიტიკური რეაქციის გაძლიერება, ჟურნალ „სოვრემენიკის“ დახურვა და კრიტიკოს ბართლომე ზაიცევის დაპატიმრება. პ. უმიკაშვილი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს იმ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოძრაობას, რომელსაც სათავეში ედგა მაშინდელი რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობა.

უნივერსიტეტში პ. უმიკაშვილი ხარბად დაეწაფა დიდი რუსი განმანათლებლების რევოლუციურ-დემოკრატიულ შეხედულებებს, გატაცებით სწავლობდა ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, პისარევისა და სხვა მოწინავე მწერლების ნაწერებს, ხოლო ჟურნალ „სოვრემენიკს“ არა მარტო გულდასმით ეცნობოდა, არამედ მის ყველა ნომერს ინახავდა. ამავე პერიოდში მან რუსულიდან თარგმნა წიგნი — „ძველი ხალხების

[1] ქართული ანბანი, შედგენილი პ. უმიკაშვილისაგან, მესამე გამოცემა, ტფილისი, 1866 წ.

ცხოვრება". რომლის პირველი ნაწილი — „ინდოელები და ეგვიპტელები" 1866 წელს ანონიმურად დაიბეჭდა თბილისში[1].

1866 წელს პ. უმიკაშვილი წარმატებით აბარებს უნივერსიტეტში სპეციალურ გამოცდას, იღებს ქართული ენის მასწავლებლის მოწმობას და მომდევნო წლის შემოდგომაზე ბრუნდება თბილისში. 1868 წელს პ. უმიკაშვილს ნიშნავენ ქართული ენის შტატის მასწავლებლად პირველ გიმნაზიაში, სადაც იგი 1893 წლამდე მუშაობდა. ქართული ენის გაკვეთილები მას ჰქონდა აგრეთვე ქალთა ინსტიტუტში.

ენერგიით აღსავსე პ. უმიკაშვილი თავისი საქმის ღრმა სიყვარულით შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი 25 წელიწადს ეწეოდა ქართული ენის მასწავლებლის მძიმე შრომას ცარიზმის იმ აუტანელ პირობებში, როცა რეაქციის შავბნელი ღრუბელი სულის შემხუთველ მაჯლაჯუნასავით აწვა საზოგადოებრივ ცხოვრებას, ხოლო ქართული ენა და მისი მასწავლებელი უფლებააყრილ მდგომარეობაში იმყოფებოდა. პ. უმიკაშვილის ბიოგრაფი პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი ამ პერიოდის შესახებ წერს: „იმ დროს გიმნაზიის ყველა კლასში ქართული ენა სავალდებულო საგნად ითვლებოდა. ეს წესი შეიცვალა 1874 წელს, როდესაც ქართული ენა „არასავალდებულო" საგნად იქნა გამოცხადებული და განიდევნა საგიმნაზიო პროგრამიდან. ქართული ენის მასწავლებელსაც ჯამაგირი გაუნახევრეს. ამ დროიდან დაწყებული ქართულ ენას ასწავლიდნენ მხოლოდ პროგიმნაზიულ კლასებში, ხოლო უმაღლეს კლასებში — მაშინ, თუ მშობლები და მოწაფეები მოისურვებდნენ. და პეტრე უმიკაშვილი, უკვე მოხუცებაში შესული, გულისტკივილით მოიგონებდა ხოლმე იმ ქართველ მშობლებსა და მოწაფეებს, რომელთაც, რახან ქართული ენა სავალდებულო აღარ იყო, არ სურდათ ქართულის სწავლა და მას წე-

---

[1] ამბები ძველის დროების ხალხებზედ, I, უწინდელი ინდოელები და ეგვიპტელები, ტფილისი, 1866 წ. პ. უმიკაშვილის არქივში დაცულია ამ წიგნის მეორე ნაწილის ხელნაწერი — უწინდელი ფინიკიელები. ასურელები და სპარსები (საქმე 39).

რილობით თუ სიტყვიერად უცხადებდნენ: ქართულს მერეც მოვესწრებითო“[1].

პ. უმიკაშვილი ცოდნასა და ენერგიას არ იშურებდა, რათა ქართული ენის სწავლება სათანადო დონეზე მდგარიყო. 1873 წელს მან შეადგინა და გამოსცა „დედანი ქართული წერისა“, რომელიც იმ დროს ქართული წერის პირველ დედანს წარმოადგენდა[2].

თავისი გულმოდგინე პედაგოგიური მოღვაწეობით პ. უმიკაშვილი შეუპოვრად უპირისპირდებოდა იმდროინდელ ხელისუფალთა კოლონიზატორულ მისწრაფებებს, ახალგაზრდობაში აღვივებდა პატრიოტულ გრძნობებს, ბეჯითად ნერგავდა მშობლიური ენისა და მწერლობის სიყვარულს. როგორც გრ. ყიფშიძე ამბობდა, „იმ ხანში, ვინ იცის, რამდენ ყმაწვილს შთაუნერგა სიყვარული აბუჩად აგდებულის, პატივაყრილ დედაენისა, ხალისი სამშობლოს ლიტერატურის შესწავლისა. მის საკეთილოდ მოღვაწეობისა! ბევრმა მათგანმა გამოიჩინა თავი თუ ნიჭით, თუ მხნეობითა და მოღვაწეობით და გულს ღრმად ჩაინერგა თავის მასწავლებლის სიყვარული და პატივისცემა“[3].

მაგრამ თავის პედაგოგიურ მოღვაწეობაში პ. უმიკაშვილი ვიწრო ეროვნული ჩარჩოებით როდი იფარგლებოდა. მოსწავლეებს იგი წასაკითხად ურჩევდა უცხო ქვეყნების გამოჩენილ მოაზროვნეთა ნაშრომებს, რითაც ხელს უწყობდა ახალგაზრდობის გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას. ამის შესახებ საინტერესო მოგონება დაგვიტოვა სოფრომ მგალობლიშვილმა. იგი წერს: „განსაკუთრებით უყვარდა (პ. უმიკაშვილს — ზ. მ.) მოსწავლე ახალგაზრდობა, მისი სახლი სავსე იყო ხოლმე მოსწავლეებით. დიდხანს იდგა ანჩისხატის უბანში, მოსწავლენი ხალისით დაიარებოდნენ მასთან, ურჩევდა წიგნებს საკითხავად. მაშინდელი ახალგაზრდობა მისდევდა ფილოსოფი-

---

1 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. II, 1964 წ., გვ. 10.

2 დედანი, შედგენილი და გამოცემული პეტრე უმიკაშვილისაგან, ტფილისი, 1878 წ.

3 გრ. ყიფშიძე. პეტრე იოსების-ძე უმიკაშვილი (ნეკროლოგი), „ივერია“, 1904 წ., № 122.

ური წიგნების კითხვას, განსაკუთრებით სემენარიელები. პეტრემ შეაჩვია ახალგაზრდობა ისტორიული წიგნების კითხვას: „იკითხეთ ბოკლი, შლოსსერი, დრეპერი, ლუი ბლანის „საფრანგეთის რევოლუციის ისტორია“, გაეცანით დიდებულ ინგლისის მოაზრეს მილლს“ და სხვა და სხვა. მართლაც ახალგაზრდობა დაეწაფა ამ დარგის ნაწარმოებთა კითხვას“[1].

პ. უმიკაშვილმა თავისი უანგარო და გულმოდგინე პედაგოგიური მოღვაწეობით მოსწავლეთა უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ამის გამო მეტისმეტად გახარებული ერთ კერძო წერილში წერდა: „ვხედავ გზაზე ჩემს ნამოწაფრებს პირველი გიმნაზიისას. პატარები დავტოვე. ახლა დავაყაცებულან ამ 4 წელს და სიყვარულით, პატივისცემით მეხვევიან გარს. ეს დიდი საჩუქარია ჩემთვის“[2]. მართლაც, ეს იყო მისი ერთადერთი და ამასთან ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რადგანაც ოფიციალურმა ხელისუფლებამ მას პენსიაც კი არ დაუნიშნა. ღვაწლმოსილ პედაგოგს ამის თაობაზე თითქმის ყველა ინსტანციისათვის მიუმართავს, მაგრამ დადებითი პასუხი არსაიდან მიუღია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პ. უმიკაშვილმა ლიტერატურული საქმიანობა გიმნაზიის დამთავრებისთანავე დაიწყო, მაგრამ ფართო საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობაში იგი უნივერსიტეტიდან დაბრუნების შემდეგ ჩაება და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა ქართული კულტურის ზრდა-განვითარებას. პ. უმიკაშვილი იყო ჩუმი და უპრეტენზიო, მაგრამ მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოღვაწე, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანში იჭრებოდა და დაუღალავად ცდილობდა, რომ თავისი მუყაითი შრომით ყველაფერში გარკვეული წვლილი შეეტანა. „პეტრე უმიკაშვილი, — ვკითხულობთ სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებაში, — ძალიან მშრომელი და ფუსფუსა კაცი იყო, ვერადროს ვერ

---

1 ს. მგალობლიშვილი, ქართველ მწერალთა წერილები, „თეატრი და ცხოვრება“, 1914 წ., № 29, გვ. 7.

2 ფ. არქ. უმიკ., ს. 1, დ. 28.

ნახამდა კაცი უსაქმოდ, თუ გამოდიოდა ქუჩაში, მაშინაც კი საზოგადო საქმეზე ფიქრობდა, ზრუნავდა. ის მუდამ ფუტკარივით დაფუსფუსებდა. როგორც ფუტკარი მუდამ მიეზიდება თავის სკაში ტკბილს წვენს, მონაწუწნს სუნოვან ყვავილებიდამ, ისე პეტრე მიეზიდებოდა ნაშრომ-ნაღვაწს ჟურნალ-გაზეთებში, ტყუილად არ ჰკარგავდა დროსა გარედ გამოსვლისას: უსათუოდ ჩამოგიგდებდა რომელიმე საზოგადო საქმეზე ლაპარაკს, ან გიამბობდა, სად სახალხო ლექსი, ან ზღაპარი იშოვა, რამდენი სხვადასხვა დაკარგული ქართული სიტყვა იპოვა, რომელთა ხმარება წერიდან გამოსულა, მაგრამ სახმარად უსათუოდ საჭიროა. დაგაყენებდა ქუჩაში და გკითხამდა, ესა და ეს სიტყვა რა აზრითა და მნიშვნელობით იხმარება ჩვენი ხალხისაგან სხვადასხვა ალაგას"[1].

პ. უმიკაშვილი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე განუწყვეტლად თანამშრომლობდა თითქმის ყველა ქართულ ჟურნალსა და გაზეთში („ცისკარი", „დროება", „სასოფლო გაზეთი", „კრებული", „ივერია", „კვალი", „ცნობის ფურცელი", „მოამბე", „ჯეჯილი" და სხვ.), წერდა წერილებს, ფელეტონებს, სცენებს, ნარკვევებს, საშინაო მიმოხილვებსა და სხვ. „საზოგადოდ ჩემი სურვილი იყო, — წერს იგი, — საჟურნალო და საგაზეთო წერილებით დავხმარებოდი მკითხველის აზროვნების გაღვიძებას, ჭეშმარიტების სიყვარულს, კაცობრიობის და სამშობლოს სიყვარულს, თვითმცნობელობას, თვითმოქმედებას და საზოგადოდ მოქმედებას ქვეყნის და ერის წარმატებისათვის, ჩვენის დროსა და გარემოების მიხედვით"[2].

1885 წლის მიწურულში, როცა ილია ჭავჭავაძემ გადაწყვიტა „ივერიის" ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთება, იგი შემდეგი შინაარსის წერილს სწერს პ. უმიკაშვილს: „თქვენი წარსული, თქვენი ყოფილი მოღვაწეობა ჩემთვის უტყუარი საბუთია მისი, რომ საცა საერთო, საზოგადო საქმეა, იქ თვი-

---

1 ს. მგალობლიშვილი, ქართველ მწერალთა წერილები, „თეატრი და ცხოვრება", 1914 წ., № 29, გვ. 7.

2 პ. უმიკაშვილი, ავტობიოგრაფია, „ივერია", 1904 წ., № 123.

ლით თქვენი გული იქნებოდეს გაღებული მონაწილეობა მიიღოთ. ნაწყობებში, აქ ცხოვრება ჩვენან ხელმეტია. მე არა მგონია ვინმე ბოგანსენთ, რომ თქვენის ქალშია ეროვნებისათვის ჩვენის რედაქციის ყური ყოველთვის ღია იქნება და თქვენი თანაშრომლობა ყოველთვის სასიამოვნო და სასურველი".

ადნიშნული წერილი ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რამდენად საპატიო ადგილი ეკავა პ. უმიკაშვილს ქართველ ჟურნალისტთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის, რამდენად თვალსაჩინო როლი ასრულებდა იგი ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებაში.

პ. უმიკაშვილის ლიტერატურულ-პუბლიცისტური ნაწერები, რომლებიც იმდროინდელი ცხოვრების მრავალ საჭირბოროტო საკითხს ეხებოდნენ, უმთავრესად იბეჭდებოდა ფსევდონიმებით — „ანჩხატელი", „ანჩისხატისუბნელი", „მ. პეტრაძე", „პ.-ძე" და ინიციალებით — „პ. უ." „პ", „უ". გარდა ამისა, მისი ბევრი წერილი ხელმოუწერლად იბეჭდებოდა „სასოფლო გაზეთში". როგორც თვითონ აღნიშნავს, ამ წერილებისა და ფელეტონების საგანი იყო ქართული მწერლობა და თეატრი, სახალხო სწავლა-განათლება, მწიგნობრობის საქმე, სასოფლო მმართველობა და სხვ.

1873 წლის შემოდგომაზე, როცა გ. წერეთელი ევროპაში გაემგზავრა, პ. უმიკაშვილმა იკისრა „სასოფლო გაზეთის" რედაქტორობა და 1874 წლიდან მისი რედაქტორობით გამოდიოდა, ვიდრე უსახსრობის გამო 1880 წელს საბოლოოდ დაიხურებოდა.

„სასოფლო გაზეთის" პროგრამაში პ. უმიკაშვილს არავითარი ცვლილება არ შეუტანია[2], იგი პირნათლად ასრულებდა

---

[1] ფ. არქ. უმიკ., ს. 1, დ. 27.

[2] ამის შესახებ „სასოფლო გაზეთის" რედაქცია აცხადებდა: „ამ 1874 წლიდან „სასოფლო გაზეთი" გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა. ახალი რედაქცია, რომელზედაც გადმოვიდა ეს გაზეთი ამ იანვრიდან, პირველ დაარსებითვე მიღებულ პროგრამას საკმაოთა სთვლის დააკმაყოფილოს თავისი მკითხველები და ამჟამად საჭიროთ არ ხედავს შესცვალოს" (იხ. „სასოფლო გაზეთი", 1874 წ., № 1).

ის პროგრამას, რომელიც გაზეთს დაარსებიდანვე ჰქონდა შემუშავებული. აღნიშნული გაზეთის ბიზნესისა და ადმინისტრაციის შესახებ პირველი დაარსების 10 წლისთავზე პ. უმიკაშვილი წერდა: „უპირველესი აზრი „სასოფლო გაზეთის" გამოცემისა ის იყო, რომ სახალხოდ საზოგადო სწავლისა და სასარგებლო ცოდნის გამომთქველი ყოფილიყო, რაც კი ჩვენს სოფლის სამუდამდღეო ცხოვრებაში საჭიროა და ამასთან ადვილათ ასასრულებელი. ქართულ მწერლობაში ამგვარი გამოცემა მით უფრო საჭირო იყო, რომ სამეცნიერო სწავლისა და საზოგადოდ სასარგებლო ცოდნის მომფენი წიგნები ძალიან ნაკლებად იბეჭდებოდა. დიდად სამწუხარო უნდა იყოს მიყრუებულის სოფლის ხალხის მდგომარეობა, რომელსაც ცოტაოდენი შუქი სწავლა-მეცნიერებისა, თუ ცოდნისა, თუ რაიმე აზრისა არ მიანათებს. შეშვაბრიტ უბედურებად უნდა მიგვაჩნდეს იმ ხალხის მდგომარეობა, რომელიც მიყრუებული ცხოვრობს მთის უგზო-უკვლო ხევში ანუ წვერზე, რომელსაც არც გამველ-გამომველი ხვდება, არც მთის ამბავი მოსდის, არც ბარისა და რომელსაც თავისი შემოფარგლული კარ-მიდამო მთელ ქვეყნიერებად მიაჩნდეს. ამგვარს მდგომარეობაში ცხადათა ვხედავთ, რა საჭირო უნდა იყოს დაბეჭდილი სიტყვის მოფენა. ამ აზრის ასრულებისათვის დაარსდა და მუშაობს დღეს „სასოფლო გაზეთი"[1].

„სასოფლო გაზეთს", გარდა ოფიციალური ნაწილისა, სადაც მხოლოდ მთავრობის განკარგულებანი იბეჭდებოდა სოფლის მოსახლეობის შესახებ, ჰქონდა სამეურნეო, საქიმო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო სკოლებისა და ზოგიერთი სხვა განყოფილება. გაზეთში სისტემატურად იბეჭდებოდა სოფლის მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის მისაწვდომი ენით დაწერილი რჩევა-დამრიგებლური ხასიათის წერილები მიწის დამუშავებაზე, სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე, მოსავლისა და პირუტყვის მოვლა-პატრონობაზე, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვაზე, სასოფლო სკოლებსა და სწავლა-განათლებაზე, ცრუმორწმუნეობის მავნეობაზე, სასოფლო ბანკების

[1] „სასოფლო გაზეთის" ათი წელი, „სასოფლო გაზეთი", 1878 წ., № 3.

გამართვასა და მთელ რიგ სხვა მტკივნეულ საკითხებზე. გაზეთი დიდ ადგილს უთმობდა ადგილობრივი ხასიათის კორესპონდენციებს, რომლებიც მოურიდებლად ამხელდნენ სოფლის მოხელეთა ბიუროკრატიულ თავგასულობასა და უსამართლობას. გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა აგრეთვე ქართველ მწერალთა ლექსები და მოთხრობები. „რამდენათაც ღონე გვქონდა და გარემოება ნებას გვაძლევდა, — წერს პ. უმიკაშვილი, — ვცდილობდით კარგა აგვესრულებინა, რაც უნდა მძიმე შრომა ყოფილიყო, ყოველთვის ამას ვცდილობდით, რომ სვინდისიანს და სიმართლის გზაზე გვეცლო“[1].

პ. უმიკაშვილი ძალ-ღონეს არ იშურებდა იმისათვის, რომ „სასოფლო გაზეთს“ არ გამორჩენოდა სოფლის ცხოვრების არც ერთი მხარე და რაც შეიძლება ფართოდ გაეშუქებინა გლეხობის გაჭირვებული მდგომარეობა. იგი ყოველნაირად ცდილობდა გაეჩინა საკუთარი კორესპონდენტები, რომლებიც რედაქციას ცნობებს მიაწვდიდნენ სოფლებიდან. ამ მიზნით სისტემატურად აწარმოებდა მიწერ-მოწერას თავის ნაცნობ-მეგობრებთან და დაბეჯითებით სთხოვდა გაზეთში თანამშრომლობას. გარდა ამისა, მან „სასოფლო გაზეთში“ დაბეჭდა სპეციალური წერილი, რომელშიაც ვკითხულობთ: „ჩვენ ძვირფასათ მიგვაჩნდა „სასოფლო გაზეთისათვის“ სოფლიდამ მოწერილი წერილები და პატივცემული ადგილი ეჭირა ჩვენს გაზეთში. ამ წერილებს ერთათ რომ გადაეხედოთ, წარმოგვიდგენენ ჩვენი სოფლების მდგომარეობას, აზრს და სურვილს და თვალწინ ერთი ვრცელი სურათი დაგვეხატება. მეორეს მხრით, ამ წერილებს თვით ადგილობრივ მცხოვრებლებისთვის უსარგებლოთ არ ჩაუვლია, ამას თვითონ მწერლები უფრო ახლო დაინახავდნენ. მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, ეს შეგვიძლია ვთქვათ ზოგიერთ ადგილებზე და არა ყველა საქართველოს მხარეზე. ზოგიერთი მხრიდან წელიწადი ისე გაივლის, რომ თითო-ოროლა წერილს ძლივს დავინახავთ. და როგორა ვთქვათ, ვითომც იმ ადგილებში წერა-კითხვის მცოდნე გონიერი კაცები არ იპოვებოდნენ? ეს დასაჯერებელი არ

[1] „სასოფლო გაზეთის“ ათი წელი, „სასოფლო გაზეთი“, 1878 წ., № 3.

არის და მხოლოდ ქართველურს დაუდევრობას და უფიქრელობას უნდა დავაბრალოთ... პატივისცემით და მადლობით მიგვიღია აქამდე ვისგანაც რამ ნაწერი მოგვსვლია და რისაც დაბეჭდვა შეიძლებოდა, დაგვიბეჭდია. კვლავაც ყურადღებით და პატივისცემით მივიღებთ ყოველ ნაწერსა. ჩვენი თხოვნა მარტო ის არის, რომ ნამდვილი, მართალი ამბები გვაცოდინონ და არა მოჩორებული და მოგონებული"[1].

ამავე წერილში პ. უმიკაშვილი დაწვრილებით განმარტავს, თუ რომელ საკითხებზე და როგორ უნდა მისწერონ რედაქციას სასოფლო გაზეთის თანამშრომლებმა და მატერიალური დაინტერესების სხვა საშუალება რომ არა, აქვს, გაზეთის უფასო გაგზავნით ცდილობს მათ წახალისებას.

მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა პ. უმიკაშვილს „სასოფლო გაზეთის" გამოცემა. გაზეთს არ ჰყავდა არც ერთი მუდმივი თანამშრომელი და მთელ სამუშაოს მხოლოდ რედაქტორი ასრულებდა. ამას ემატებოდა ხელისმომწერთა სიმცირე და აქედან გამოწვეული უსახსრობა. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების თხოვნით თბილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ სოფლის საზოგადოებებს დაავალა აღნიშნული გაზეთის გამოწერა და რედაქციისათვის ფულის გაგზავნა, ხელისმომწერთა რიცხვი ოთხასს ძლივს აღწევდა. „სასოფლო გაზეთის" შემოსავალ-გასავლის დავთარი, რომელიც პ. უმიკაშვილს უწარმოებია, ნათლად გვიჩვენებს, რომ უმრავლეს შემთხვევაში გაზეთი ვერ ანაზღაურებდა მასზე გაწეულ ხარჯებს და, როგორც ჩანს, რედაქტორი თავისი საკუთარი სახსრებიდან ფარავდა ფინანსურ გარღვევას[2]. „ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა, — წერდა პ. უმიკაშვილი „სასოფლო გაზეთის" 10 წლისთავზე, — რომ მას აქეთ, რაც გაზეთი ჩვენს ხელთ არის, მუდამ წელს იმისთანა გარემოებაში იყო, რომ რედაქციამ არ იცოდა რამდენისამე თვის შემდეგ ღონისძიება ექნება გაზეთის გამოცემისა თუ არა"[3].

---

[1] „სასოფლო გაზეთის" თანამშრომლები, „სასოფლო გაზეთი", 1877 წ., № 2.

[2] ფ. არქ. უმიკ., ს. 7, დ. 60.

[3] „სასოფლო გაზეთის" ათი წელი, „სასოფლო გაზეთი", 1878 წ., № 3.

ბევრი ჯაფისა და წვალების შემდეგ, 1880 წლის დასაწყისში პ. უმიკაშვილი იძულებული გახდა უსახსრობის გამო საბოლოოდ შეეწყვიტა „სასოფლო გაზეთის“ გამოცემა. თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს: „ძნელად ვბედავდი „სასოფლო გაზეთის“ მიღებას, მოსპობა უფრო გამიძნელდა და გამიჭარდა, მაგრამ არავითარი ღონე არ იყოო“[1].

პ. უმიკაშვილს ძალიან უყვარდა მოგზაურობა. ზაფხულის სასკოლო არდადეგების პერიოდში მას მოვლილი ჰქონდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე. 1878 წელს, როცა რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ ბათუმის მხარე საქართველოს დაუბრუნდა, მან იმოგზაურა აჭარაში, სადაც ახლოს გაეცნო თურქთა საუკუნეობრივი ბატონობისაგან ახლად განთავისუფლებული აჭარელი ხალხის ყოფა-ცხოვრებას და ბევრი ნაცნობ-მეგობარი შეიძინა. შემდეგში ზოგიერთებთან მას მუდმივი მიწერ-მოწერაც ჰქონდა. ერთი წლით ადრე გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა მისი პატრიოტული წერილების სერია — „ოსმალოს საქართველო“, რომელიც ფართოდ აცნობდა მკითხველებს საქართველოს ამ შესანიშნავი კუთხის ისტორიას და გეოგრაფიას[2].

პ. უმიკაშვილი განსაკუთრებულ სიყვარულსა და გულისხმიერებას იჩენდა აჭარლებისადმი. იგი თავდადებით ზრუნავდა აჭარაში სწავლა-განათლების გავრცელებისათვის. ამ მიზნით ხშირად უგზავნიდა აჭარელ მეგობრებს ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს, ხოლო ზოგიერთს წერა-კითხვასაც ასწავლიდა, რისთვისაც აჭარელი ხალხის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. აჭარელთა ეს მადლიერება კარგად არის გადმოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ აჭარიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში, რომელიც 1892 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა. ამ კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „ბევრმა მოიკითხა ბ-ნი პეტრე უმიკაშვილი, ბევრმა მოიგონა

---

[1] პ. უმიკაშვილი, ავტობიოგრაფია, „ივერია“, 1904 წ., № 123.

[2] პ. უ., ოსმალოს საქართველო, „ივერია“, 1877 წ., №№ 8, 12, 13, 15, 18, 20, 21, 23, 44. ამ წერილების ერთი ნაწილი, სახელდობრ — აჭარა, შავშეთი, ლივანა და კლარჯეთი, შეტანილ იქნა წიგნში — „სამაჰმადიანო საქართველო“, რომელიც 1915 წელს გამოსცეს ქართველმა სტუდენტებმა.

პეტრეს აქ ყოფნა, წიგნების თავაზი. მისის დარიგებულის წიგნებით სოფელს გულებში მთლად დაისწავლეს ქართული ანბანიო. პეტრეს სახელს ჩვენ არ დავივიწყებთო. მის სახელს ამბათ გადავცემთ სხვათაო"[1].

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობისას პ. უმიკაშვილი ეცნობოდა ხალხის ყოფა-ცხოვრებას, იძენდა ნაცნობ-მეგობრებს და, რაც მთავარია, გულმოდგინედ ეძებდა და აგროვებდა ქართულ ხელნაწერებს, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებს. მის მიერ შეკრებილი ხელნაწერებისა და საისტორიო მასალების მდიდარი კოლექცია, რომელიც სიცოცხლეშივე შესწირა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას", ამჟამად ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში[2].

პ. უმიკაშვილის მოღვაწეობაში განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს ქართული ზეპირსიტყვიერების მასალების შეკრებას[3]. სოფრომ მგალობლიშვილი სამართლიანად უწოდებდა მას ხალხური სიტყვიერების განძის შეკრება-გამოცემის პირველ პიონერს. მან ახალგაზრდობიდანვე დაიწყო ქართული ზეპირსიტყვიერების შეკრება-გავრცელება და სიკვდილის დღემდე მასზე ხელი არ აუღია. ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, „1860 წლამდე პეტრე უმიკაშვილი თითქმის ერთადერთი პირი იყო, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა ქართული ზეპირსიტყვიერების ისტორია"[4].

თავისი დაუღალავი და შეუნელებელი შრომით პ. უმიკაშვილმა დიდძალი ფოლკლორული მასალა შეკრიბა. როგორც

---

1 ზ. ჭ.. ქედა (ქვედა აჭარა), „ივერია", 1892 წ., № 193.

2 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III, თბილისი, 1963 წ., გვ. 1—61.

3 ამის შესახებ დაწვრილებით იხ. მიხეილ ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბილისი, 1956 წ., გვ. 176—181; ვ. მაცაბერიძე, პეტრე უმიკაშვილის ფოლკლორისტული მოღვაწეობა, — „ლიტერატურული ძიებანი" ტ. XIV, 1962 წ., გვ. 317—333;

4 საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, ფ. 4788.

პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი აღნიშნავს, ამ მასალებიდან ბევრი თვითონ ჩაუწერია, ბევრი თავისი მოწაფეებისა და ნაცნობ-მეგობრების საშუალებით შეუკრებია, ხოლო ერთი ნაწილი „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციებიდან მიუღია[1]. მან ვერ მოასწრო აღნიშნული მასალების მთლიანად გამოქვეყნება და სიკვდილის წინ ამ საქმის შესრულება მიანდო თავის ერთგულ მეგობარს —, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილს, რომელმაც დასაბეჭდად მოამზადა და 1937 წელს გამომცემლობა „ფედერაციამ“ მისივე რედაქციით კიდევაც გამოაქვეყნა პ. უმიკაშვილის მიერ შეკრებილი ზეპირსიტყვიერების პირველი ტომი. რედაქტორმა წიგნს დაურთო ამ დაუღალავი ფოლკლორისტისა და საზოგადო მოღვაწის ვრცელი ბიოგრაფია. 1964 წელს შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა, პროფ. მ. ჩიქოვანის რედაქციით, ოთხ ტომად გამოსცა პ. უმიკაშვილის ფოლკლორული მემკვიდრეობა.

პ. უმიკაშვილის შეხედულებანი ზეპირსიტყვიერების მნიშვნელობასა და ფოლკლორული მასალების შეკრების პრაქტიკულ საკითხებზე კარგადაა გადმოცემული მის წერილში — „სახალხო სიმღერებისა და ზღაპრების შეკრება“, რომელიც 1871 წელს დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“. წერილის დასაწყისში იგი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ზეპირსიტყვიერების გარეშე „არც ისტორია დაიწერება, არც გრამატიკა შედგება, არც ხალხის ჭკუისა და გონების, [illegible]ბისა და თვითცნობის ვითარება გვეცოდინება“, რადგანაც „ხალხის სარწმუნოება, ფიქრი, სატანჯველი, სიხარული, ეშხი — ხალხის ლექსებში და ზღაპრებშია გამოხატული და გაფანტული“. „ისტორიის, ნამდვილი ისტორიის დამწერი, — განაგრძობს ავტორი, — მარტო დამპალ, ადამის-ჟამის წიგნებს კი არ გამოუდგება; უეჭველად დიდის მეცადინეობით ხალხის ცოცხალ სიტყვასაც, ესე იგი სიმღერებს და ზღაპრებსაც, გადაიკითხავს. გრამატიკის შემდგენელმა ძალიან ბეჯითად უნდა იცოდეს ხალხის ზღაპრების და სიმღერების ენა; ენის მასწავლებელს არ შეუძლიან უიმათოთ გაუმართოს თავის მოწაფეებს ენა და არ შე-

---

[1] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. I, 1964 წ., გვ. 8.

უძლია ჩაუნერგოს ნამდვილი, ინსტიქტის გადაქცეული სიყვარული, ღვიძლი სიყვარული, და არა ზედმიკერებული"[1].

აღნიშნავდა რა ქართული ფოლკლორისტიკის უკიდურეს ჩამორჩენილობას, პ. უმიკაშვილი დაბეჯითებით მოითხოვდა საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას ზეპირსიტყვიერების შეკრებაში. წერილის ავტორი იქვე იძლეოდა მოკლე განმარტებას, თუ ამ საქმით დაინტერესებულ პირებს ზეპირსიტყვიერების რომელი მასალა უნდა შეეკრიბათ და როგორ. ამიტომ ეს წერილი კარგა ხანს ასრულებდა სახელმძღვანელოს როლს ფოლკლორის შემკრებთათვის, ვიდრე 1882 წელს „ივერიაში" „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" ქართული ზეპირსიტყვიერების შეკრების პირველ პროგრამას გამოაქვეყნებდა. როგორც ცნობილია, ამ პროგრამას სწორედ ზემოხსენებული წერილი დაედო საფუძვლად, რადგანაც მისი შედგენა ძირითადად პ. უმიკაშვილმა განახორციელა[2].

პ. უმიკაშვილს იმედი არ გაუცრუვდა. აღნიშნულმა წერილმა დადებითი შედეგი გამოიღო. ფოლკლორული მასალების შეკრებამ ფართო ხასიათი მიიღო და მას ბევრი მიმდევარი გაუჩნდა. 1872 წელს „დროებაში" დაიბეჭდა მისი წერილი — „სახალხო ლექსების შეკრება", სადაც დიდი კმაყოფილებით წერდა: „სიხარულისა და მადლობის გრძნობა უნდა გამოვთქვა. სახალხო ლექსების, ზღაპრების, გამოცანებისა და სხვა ხალხის გამონათქვამის წერაში ბევრმა მიიღო მონაწილეობა და რაც რამდენისამე წლის განმავლობაში იყო შეკრებილი, იმის მესამედის ოდენა ორს თვეში შეეკრიბათ სხვადასხვა პირთა. შარშან იმედი გამოვთქვი, რომ შეერთებული შრომით ბევრის ლექსების შეკრება შეიძლება მეთქი. ეს ცხადათ და მალე ასრულდა"[3].

ქართული ზეპირსიტყვიერების ცალკეულ ნიმუშებს

---

[1] პ. უმიკაშვილი, სახალხო სიმღერებისა და ზღაპრების შეკრება, „დროება", 1871 წ., № 22.

[2] ვ. მაცაბერიძე, პ. უმიკაშვილის ფოლკლორისტული მოღვაწეობა, „ლიტერატურული ძიებანი", ტ. XIV, 1962 წ., გვ. 330.

[3] პ. უმიკაშვილი, სახალხო ლექსების შეკრება, „დროება, 1872 წ., № 23.

პ. უმიკაშვილი დროგამოშვებით აქვეყნებდა „დროებაში“, „კრებულში“, „ივერიაში“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. მის მიერ შეკრებილი ზოგიერთი ხალხური ნაწარმოები შეტანილი იყო ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში[1]. ფოლკლორული მასალების ერთ ნაწილს იგი ცალკე წიგნებისა და კრებულების სახით ბეჭდავდა. 1874 წელს მან დაბეჭდა ხალხური ლექსების პირველი კრებული[2]. ამავე წლის სხვადასხვა ვარიანტების საფუძველზე აღადგინა და ვამოაქვეყნა ჩვენი სახალხო გმირის — არსენა ოძელაშვილის უკვდავსაყოფად ხალხის მიერ შექმნილი „არსენას ლექსი“[3], რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა. ამასთანავე „არსენას ლექსის“ ყველა მომდევნო გამოცემა დღემდე თითქმის უცვლელად იმეორებს აღნიშნულ ტექსტს.

1875 წელს პ. უმიკაშვილმა აღადგინა და დაბეჭდა „ამბავი აბესალომ და ეთერისა“[4], რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო ზ. ფალიაშვილის ბრწყინვალე ოპერის — „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტოს. პ. უმიკაშვილის მიერ შეკრებილი რამდენიმე ხალხური ლექსი დაიბეჭდა აგრეთვე მისი ნაწერების პატარა კრებულში, რომელიც 1905 წელს აჰხანაგობა „ცისკარმა“ თავის პირველ წიგნად გამოსცა და ავტორის ხსოვნას მიუძღვნა[5].

გარდა ამისა, პ. უმიკაშვილის მოღვაწეობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს იაფფასიანი სახალხო წიგნაკების შედგენა-გამოცემას, რაც ხალხში წერა-კითხვის გავრცელებას ემსახურებოდა. 1874—1877 წლებში მან დაბეჭდა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის“ რჩეული იგავ-არაკები, თეიმუ-

---

[1] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. I, 1964 წ., გვ. 8.

[2] ლექსები, სახალხო სიმღერებისაგან შედგენილი პეტრე უმიკაშვილისაგან, ტფილისი, 1874 წ.

[3] არსენას ლექსი, მესტვირეთაგან თქმული, შედგენილი პეტრე უმიკაშვილისაგან, ტფილისი, 1874 წ.

[4] ეთერიანი. ამბავი აბესალომ და ეთერისა, შედგენილი სახალხო ლექსებისა და ნათქვამობისაგან პეტრე უმიკაშვილის მიერ, ტფილისი, 1875 წ.

[5] პ. უმიკაშვილი, სახალხო ლექსები, მცირე ტომთა ენებზე. სამზადისი, ტფილისი, 1905 წ.

რაზ პირველის „ვარდბულბულიანი“, „ქართული ანდაზები“, „ბეჟანიანი“, „ალექსიანი“, „ქალვაჟიანი“, რუსულიდან თარგმნილი ბროშურა „ყვავილის აცრაზე“ და სხვ. „ამ შაურიან წიგნების გამოცემას მე ისე ვუყურებდი, — წერს იგი, — როგორც წმინდა ვალდებულებას. როდესაც ხალხში კითხვის მოთხოვნილება აღიძრა, ამ მოძრაობას ხელის გამართვა ეჭირებოდა, რამდენადაც შესაძლო იყო, და პირველ ხანებში ისეთი რამ უნდა ენახა ხალხს სასყიდელი, რაც გაგონებით, სახელით გაეგონა. ნაკლოვანება ამ საქმეში მერე გასწორდებოდა, ამაზე მე დარწმუნებული ვიყავი“[1].

ხალხში ამ იაფფასიანი წიგნაკების ისეთი დიდი მოთხოვნილება ყოფილა, რომ ზოგიერთებს თვითნებურად დაუწყიათ პ. უმიკაშვილის მიერ შედგენილი ტექსტების ბეჭდვა. ამგვარი მოქმედებისათვის მან გაზეთ „დროების“ საშუალებით ოფიციალურად მოსთხოვა პასუხი ი. მელიქიშვილს[2], სხვებს კიდევ ხელწერილები ჩამოართვა, რომ მისი ნებართვის გარეშე არ დაბეჭდავდნენ იმ ტექსტებს, რომლების შედგენაც მას ეკუთვნოდა. მიუხედავად ამისა, პ. უმიკაშვილის მიერ შედგენილ ტექსტებს, განსაკუთრებით „არსენას ლექსს“, ბევრი მაინც თვითნებურად ბეჭდავდა, რის გამო მას უსიამოვნო ლაპარაკიც კი მოსვლია ვინმე ს. მდივანოვთან[3].

პ. უმიკაშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართველ მწერალთა ნაწერების გამოცემას. იგი თავიდანვე მწვავედ გრძნობდა, რომ ქართული წიგნების გამოცემის საქმე მკვეთრად ჩამორჩებოდა ახალი ეპოქის მოთხოვნილებას და ამის გამო მოსწავლე ახალგაზრდობა, ისევე როგორც ფართო საზოგადოება, ვერ ეცნობოდა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის მდიდარ ისტორიას. თავის ერთ-ერთ საგაზეთო წერილში გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „სასწავლებელში თუმცა ქართულ ენას ასწავლიან, მაგრამ არც მასწავლებელს, არც

---

[1] პ. უმიკაშვილი, ავტობიოგრაფია, „ივერია“, 1904 წ., № 123.

[2] პ. უმიკაშვილი, უფ. ი. მელიქიშვილს, „დროება“, 1875 წ., № 50.

[3] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1937 წ., გვ. XX.

მოსწავლეს არა აქვს საშუალება წაიკითხოს ქართველი მწერლების თხზულებანიო"[1].

პ. უმიკაშვილი ენერგიულად შეუდგა აღნიშნული ხარვეზის შევსებას. იგი შეუპოვრად სძლევდა მრავალ წინააღმდეგობას, მოთმინებით იტანდა საზოგადოების ერთი ნაწილის უსაფუძვლო დაცინვას და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა ქართველ მწერალთა ნაწერების გამოცემას. „ლიტერატურის ისტორიის ცოდნა, — ამბობს იგი თავის ავტობიოგრაფიაში, — თვით ავტორების გაცნობით ყოველ განათლებულ ერში, ოჯახში და სკოლაში უეჭველ საჭიროებად ითვლება. მხოლოდ ჩვენ უმეცარ და ვითომ ნასწავლ საზოგადოებაში შეიძლებოდა ამაზე ბაასი. ვინც ერთხელ აყალ-მაყალს სტეხდა ავტორების გამოცემის საჭიროებაზე, ისინიც კი, როდესაც ხელი მოვკიდე, დამცინოდნენ და ახლაც დამცინიან ამ სიტყვების გამოთქმით: „უმიკაშვილი ძველი წიგნების მბეჭდავიო". მაგრამ მე რა მენაღვლება, მოზარდი თაობა სწავლობს და კითხულობს"[2].

1869 წელს, როცა პლატონ იოსელიანმა წინადადება წამოაყენა ძველი ქართული წიგნების გამოცემის თაობაზე, პ. უმიკაშვილი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ამ წინადადებას. გაზეთ „დროებაში" მან დაბეჭდა სპეციალური წერილი, სადაც ძველი თაობის მწერლებს ბრალად დასდო ამ დიდი ეროვნული საქმისადმი დაუდევრობა და მხარი დაუჭირა აღნიშნული წინადადების განხორციელებას. იგი წერდა: „აქამდის მარტო ლაპარაკით თავდებოდა ყველა სამზადისი ბეჭდვაზე და ელოდნენ, რომ ერთი ღვთიანი კაცი გამოვიდესო და დაგვიბეჭდოს ქართული მწერლების წიგნებიო. დალოცვილები, თვითონ კი ხელს არ ანძრევდნენ, ყველაფერს სხვისგან მოელოდნენ მამაპაპურ ღალასა და კულუხსავითა. ისინი არა ჰფიქრობდნენ, რომ თუ კაცს საქმის გაკეთება უნდა, სხვაზე კი არ უნდა მიაგდოს, არამედ თითონ იკისროს, თითონ იდვას

---

1 პ. უ.—შვილი, პლ. იოსელიანის წინადადება ქართული წიგნების ბეჭდვაზე, „დროება", 1869 წ., № 18.

2 პ. უმიკაშვილი, ავტობიოგრაფია, „ივერია", 1904 წ., № 123.

იმ საქმის უღელი. ჩვენ არ ვიცით, რომ ძველი თაობისაგან რამდენიმე გამოჩენილი პირი საზოგადოებაში და ჩვენ ლიტერატურაში შეერთებულიყოს და თავს ედვას სამსახური სალიტერატურო საქმის წინ წაყვანისათვის. არა! პირიქით, ისინი ჩვენ ახალ თაობას დასცინოდნენ, ჰკიცხავდნენ და თითქმის იმათთან და იმათ ლიტერატურულ საქმესთან ერთობისა სცხვენოდათ და თაკილობდნენ. სალიტერატურო საქმე ბოლოს მდაბალ, უკადრის საქმეთ ჩასთვალეს. რასაკვირველია, ზემოხსენებულ პირებში რამდენიმე დარჩნენ, რომელთაც შეინახეს გულში პატიოსანი წმინდა გრძნობა, მაგრამ ისინი ისე ცოტანი იყვნენ, რომ ერთმანეთისათვის შეეძლოთ ეთქვათ ღრმა გულისტკივილითა, რომ ამდენთა შორის: მხოლოდღა დავრჩით მე და შენ"[1].

აღნიშნულ წერილს პ. უმიკაშვილი შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „ბოლოს ვისურვებთ, რომ ბეჭდვის საქმე მართლა ახდეს და იმედიცა გვაქვს გამოცხადებულის სახელებისაგან, რომ, რაც უნდა დაბრკოლებები აღმოჩნდეს, ცრუთ აღარ დაბოლოვდება საქმე, როგორც აქამდისინ იყო ხოლმე"[2].

მაგრამ იმ ხანებში პლატონ იოსელიანმა უარი განაცხადა წიგნების გამოცემაზე და პ. უმიკაშვილმა, გ. წერეთელთან და ნ. ბერძენოვთან ერთად, იკისრა ამ საქმის შესრულება. გაზეთ „დროებასა" და ჟურნალ „მნათობში" დაიბეჭდა მათი ერთობლივი წერილი — „ძველი წიგნების გამოცემაზე", რომელშიც მოკლედ იყო გადმოცემული ქართველ მწერალთა ნაწერების გამოცემაში არსებული უკიდურესი ჩამორჩენილობა და ამ ნაკლის გამოსწორების აუცილებელი საჭიროება. აღნიშნულ წერილში ვკითხულობთ: „ამ ჟამამდე ძალიან ცოტა მეცადინეობა გვიხმარია ჩვენ, ქართველებს, რომ ჩვენის ძველის მწერლობისთვის ბეჭდვით მიგვეცა მკვიდრობა და ამ მხრით დაგვეცვა დროთა შემუსვრისაგან ჩვენის ისტორიისათვის უძვირფასესი მასალა. ძველი ქართული წიგნების ბეჭდვა ამგვა-

---

[1] პ. უ.-შვილი, პლ. იოსელიანის წინადადება ქართული წიგნების ბეჭდვაზე, „დროება", 1869 წ., № 18.

[2] იქვე.

რად იქნებოდა სასარგებლო როგორც საზოგადოდ ისტორიისათვის, აგრეთვე განსაკუთრებით თვით ლიტერატურისათვის და სალიტერატურო ისტორიისათვის... ძველს თხზულებებში გამოიხატება ჩვენი ქვეყნის ბუნება, იქ ქართველს ესმის თავისი გულის ძგერა, თავისი სიხარული და წადილი, ნაღველი და უიმედობა, ყოველი, რაც იმის ცხოვრებასთან დაახლოებულია, რასაც კითხულობს, კარგად ესმის და ამიტომ უყვარს, უყვარს ღვიძლ დედასავით... მაგრამ მრავალი წიგნია დარჩენილი დაუბეჭდავად და ამათ დაბეჭდვას კერძო პირის შრომა ვერ აუვა. ამ საგანზე ბევრი ლაპარაკი ყოფილა და არის აქამომდე. ერთი შემთხვევა მოხდა კიდეც, რომ საზოგადოებაში შეიკრიბა ფული ძველი წიგნების დასაბეჭდავად: ერთი წიგნი „კალმასობისა“ დაიბეჭდა ამ ექვსის წლის წინად და მას შემდეგ აღარა გვინახავს რა. მოგროვებულმა ფულმა ფუჭად ჩაიარა და ჩვენ მოტყუებულნი დავრჩით იმ პირთაგან, რომელთაც უთაურობით დაიწყეს საქმე, ანუ უთაურ კაცებს ჩააბარეს ეს საქმე“[1].

წერილის ავტორები ბოლოს მკითხველ საზოგადოებას აცნობდნენ ქართველ მწერალთა ნაწერების გამოცემის თავიანთ გეგმას.

ამავე ხანებში პ. უმიკაშვილმა რამდენიმე წერილი დაბეჭდა წიგნების გამოცემის პრაქტიკულ საკითხებზე. მაგრამ მისი მონაწილეობა ქართული წიგნების გამოცემაში მარტო საგაზეთო წერილების გამოქვეყნებით არ ამოიწურებოდა. იგი დიდი გულმოდგინებითა და თავდადებით შეუდგა ქართული წიგნების გამოცემის იმ გეგმის პრაქტიკულ განხორციელებას, რომელიც ზემოხსენებულ ავტორთა ერთობლივ წერილში იყო გამოცხადებული.

1870 წელს პ. უმიკაშვილმა, გ. წერეთელთან და ნ. ბერძენოვთან თანარედაქტორობით, გამოსცა დ. გურამიშვილის „დავითიანის“ პირველი ნაწილი[2]. პ. უმიკაშვილი იყო ამ წიგ-

1 ნ. ბერძენოვი, პ. უმიკაშვილი, გ. წერეთელი, ძველი წიგნების გამოცემაზე, „დროება“, 1869 წ., № 52.

2 დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისაგან, წიგნი პირველი, ტფილისი, 1870 წ.

ნის ფაქტიური რედაქტორი, რადგანაც მთლიანად მას ეკუთვნოდა ტექსტის დასაბეჭდად მომზადება[1]. აღნიშნული წიგნის გამოცემით მან, თანარედაქტორებთან ერთად, პირველად გააცნო ფართო საზოგადოებას დ. გურამიშვილის უკვდავი პოეტური შემოქმედება და ამასთანავე სათავე დაუდო „დავითიანის“ ბეჭდურ გამოცემებს. პ. უმიკაშვილს ეკუთვნოდა აგრეთვე რედაქცია „დავითიანის“ მეორე გამოცემისა, რომელიც 1881 წელს დაიბეჭდა და დ. გურამიშვილის პოეტური მემკვიდრეობის სრულ ტექსტს შეიცავდა[2]. წიგნს დართული ჰქონდა რედაქტორის ვრცელი ნარკვევი „დავითიანის“ ავტორის ცხოვრებისა და მხატვრული შემოქმედების შესახებ.

1873 წელს პ. უმიკაშვილის რედაქციით დაიბეჭდა გრიგოლ ორბელიანის ლექსების კრებული. თავის წინასიტყვაობაში ამ წიგნის რედაქტორ-გამომცემელი წერდა: „თავადის გრიგოლ ორბელიანის ლექსები დღევანდლამდე აქა-იქ გაფანტული იყო სხვადასხვა ქართულს ჟურნალებში, „ცისკარში“, „საქართველოს მოამბეში“ და „კრებულში“, გარდა რამდენისამე ლექსებისა. ცალკე გამოცემულია ივ. კერესელიძისაგან მხოლოდ „სადღეგრძელო“. ახლა შეკრებილ იქმნა ყველა ლექსები და ავტორისაგან გასწორებული ამ წიგნში იბეჭდება წელიწადთა რიგობით“[3].

გრ. ორბელიანის ლექსების გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართულ მწერლობაში. ამ წიგნის შესახებ ნ. ნიკოლაძემ ვრცელი სტატია დაბეჭდა ჟურნალ „კრებულში“, სადაც გამოჩენილმა კრიტიკოსმა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მისცა გრ. ორბელიანის ლექსების გამოცემას და მადლობით აღნიშნა რედაქტორის მიერ გაწეული შრომა, რომელმაც ფარდა ახადა და ფართოდ გამოაჩინა მაღალნიჭიერი პოეტის მხატვრული შემოქმედება. ნ. ნიკოლაძე წერდა: „ჩვენი მწერლობის მოყვარეს გულითადი მადლობა მართებს უფ.

---

[1] დავითიანი, თქმული დავით გურამიშვილის მიერ, მესამე გამოცემა, ტფილისი, 1894 წ., გვ. II—III.

[2] დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისაგან, ტფილისი, 1881 წ.

[3] თავადის გრ. ორბელიანის ლექსები, გამოცემა პეტრე უმიკაშვილისა, ტფილისი, 1873 წ.

პ. უმიკაშვილისა ამ ჩინებული წიგნის დაბეჭდვისათვის... არც ერთ შრომას უფ. პ. უმიკაშვილისას დღემდე იმსიდიდე მნიშვნელობა და სარგებლობა არ ჰქონია, როგორც გრ. ორბელიანის ლექსების შეკრებას და გამოცემას“[1].

პ. უმიკაშვილმა განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი ძეგლის — „ვისრამიანის“ გამოცემას. 1884 წელს დაიბეჭდა „ვისრამიანის“ პირველი გამოცემა, რომლის საერთო ხელმძღვანელობა ი. ჭავჭავაძეს და ალ. სარაჯიშვილს ეკუთვნოდა, ხოლო ტექსტის დასაბეჭდად მომზადების მთელი სამუშაო პ. უმიკაშვილს შეუსრულებია. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ „ვისრამიანის“ პირველი გამოცემა თავისი დროისთვის კარგად იყო შესრულებული[2]. მართალია აკადემიკოსი ნ. მარი „ვისრამიანის“ ამ გამოცემას უარყოფითად აფასებდა, მაგრამ მის უდიდეს მნიშვნელობას იმაში მაინც ხედავდა, რომ ფართო მკითხველმა საზოგადოებამ და ძველი ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლით დაინტერესებულმა პირებმა ბეჭდური სახით პირველად მიიღეს ჩვენი საერო ლიტერატურის ეს შესანიშნავი მხატვრული ძეგლი. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის პ. უმიკაშვილს, რომელიც „ვისრამიანის“ აღნიშნული გამოცემის ფაქტიურ რედაქტორად არის აღიარებული.

1886 წელს პ. უმიკაშვილმა გამოსცა ვახტანგ მეექვსის „დასტურლამალი“[3]. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იმ დროისათვის ეს იყო თავისებურად აკადემიური გამოცემა, რადგანაც წიგნს დართული ჰქონდა ძირითადი ტექსტის ვარიანტები, რედაქტორის მიერ შედგენილი საძიებელი, ლექსიკო-

---

1 ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი. ტ. 3, 1963 წ., გვ. 261.

2 პროფ. ალ. ბარამიძე, ილია ჭავჭავაძე და „ვისრამიანი“ (ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, 1937 წ., გვ. 223—228); „ვისრამიანი“, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით, ტფილისი, 1938 წ., გვ. 11; „ვისრამიანი“, ალ. გვახარიას და მ. თოდუას რედაქციით, თბილისი, 1962 წ., გვ. 18—19.

3 „დასტურლამალი“ მეფის ვახტანგ მეექვსისა, რედაქტორობით პეტრე უმიკაშვილისა, ტფილისი, 1886 წ.

ნი და კომენტარები. აღნიშნული გამოცემის თვალსაჩინო ღირსებასა და მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ამის შემდეგ „დასტურლამალი“ მეორედ აღარ დაბეჭდილა და ჩვენი მეცნიერები დღესაც წარმატებით სარგებლობენ ამ წიგნის პირველი გამოცემით. ეს, რა თქმა უნდა, პ. უმიკაშვილის დიდ დამსახურებას შეადგენს, რაც თავის დროზე გარკვევით აღნიშნა ცნობილმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ. იგი წერდა: „ბ-ნი პეტრე (უმიკაშვილი) საზოგადოდ ჩვენის მხრით მადლობის ღირსია „დასტურლამალის“ გამოცემისათვის. ამ წიგნის გამოცემა სურდა ფრანგულ ენაზე თვით განსვენებულს ბროსსეს, როგორც დიაღ საჭირო მასალისა ქართულის ისტორიისათვის, მაგრამ ეს სურვილი მან აღსრულებაში ვერ მოიყვანა. მიზეზი ის იყო, რომ „დასტურლამალში“ მეტად ბევრია სპარსული სიტყვები და ტერმინები, რომლის განმარტება ვერ შესძლო და უამისოდ შინაარსი წიგნისა მისახვედრი არ არის. ბ-ნ პეტრემ ეს დაბრკოლება თავიდან აგვაცილა, მუფთის ჰუსეინ გაიბოვის დახმარებით უცხო ენის სიტყვები და ტერმინები გამოგვიკვლია და აგვიხსნა ცალკე ლექსიკონში, რომელიც მთლად „დასტურლამალის“ ბოლოს არის ჩართული“[1].

გარდა ამისა, პ. უმიკაშვილის რედაქტორობით 1871 წელს დაიბეჭდა სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, 1894 წელს — ვახტანგ ორბელიანის ლექსები. ი. ჭავჭავაძესთან და გ. თუმანიშვილთან ერთად, 1876 წელს მას აქტიური მონაწილეობა მიუღია ნ. ბარათაშვილის ლექსების პირველი გამოცემის მომზადებაში, ხოლო 1881 წელს აღ. ჭავჭავაძის ლექსების პირველი ნაწილის გამოცემაში[2]. 90-იან წლებში იგი აპირებდა აგრეთვე მე-18 საუკუნის ნაკლებად ცნობილი პოეტის იესე ტლაშაძის პოემა „კათალიკოს-ბაქარიანის“ დაბეჭდვას[3], მაგრამ ეს საქმე აღარ დაუმთავრებია.

პ. უმიკაშვილი დიდი სიყვარულითა და თავგამოდებით

---

[1] დიმიტრი ბაქრაძე, ბიბლიოგრაფია, „ივერია“, 1886 წ., № 173.

[2] პ. უმიკაშვილი, ავტობიოგრაფია, „ივერია“, 1904 წ., № 123.

[3] იქვე.

ეკიდებოდა წიგნების გამოცემას. ტექსტის მომზადებიდან დაწყებული, იგი ერთგული გუშაგივით თავს დასტრიალებდა და შეუნელებელ ზრუნვას იჩენდა, რომ გათვალისწინებული წიგნის დაბეჭდვა არაფერს შეეფერხებინა. ქართული კულტურის დაუცხრომელი პატრიოტი მწვავედ განიცდიდა, როცა გამოსაცემად გამზადებული წიგნის დაბეჭდვა რაიმე მიზეზით იგვიანებდა. 1893 წელს იგი გულისტკივილით სწერდა ზესტაფონიდან ეკატერინე გაბაშვილს: „მარია ვახტანგოვნა თუ ნახოთ, გადაეცით ჩემ მაგიერ: რას ფიქრობს ვახტანგის (ვ. ორბელიანი — ზ. მ.) ლექსების გამოცემაზე. შარშან ხოლერობის დროს მე, რამდენიც შევიძელი, ვეცადე დაბეჭდილიყო. სანამ ბეჭდვა არ გავათავე უკანასკნელ ფორმამდის, ქალაქიდამ არ გავედი ჩემის ავადმყოფ დეიდებით და ახლა, აგერ წელიწად-ნახევარია, გდია სტამბაში და ლპება“[1].

პ. უმიკაშვილს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ საგამომცემლო საქმის წარმატებას, პირველ რიგში, გამოცემული წიგნების შინაგანი ღირსება განსაზღვრავდა, რაც რედაქტორ-გამომცემელს განსაკუთრებულ მოვალეობასა და პასუხისმგებლობას აკისრებდა. თავის წერილში — „ქართული მწიგნობრობა“, რომელიც 1883 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“, იგი წერდა: „სჯობს ცოტა დაიბეჭდოს წიგნი, თუნდა პატარა ბროშურებიც იყოს, ოღონდ კი შინაგანი ღირსება ჰქონდეს. რიცხვის სიმრავლეს სიკეთის სიმრავლე სჯობს. უკეთესი იქნება ერთი წიგნი მომზადდეს კარგად, დიდხანს, ვიდრე ორმოცი და ხელდახელ მომზადებული და უვარგისი“[2].

ეს არ იყო ლიტონი ფრაზა, ნათქვამი მხოლოდ სხვების მისამართით. გამოსაცემი ტექსტების დასაბეჭდად მომზადებაში პ. უმიკაშვილი თვითონ იჩენდა სამაგალითო კეთილსინდისიერებასა და გულმოდგინებას. იგი ძალ-ღონეს არა ზოგავდა, რომ მკითხველისთვის რიგიანად გამოცემული წიგნი მიეწოდებინა. გამოცემული წიგნების უმრავლესობას საკუთარ წინასიტყვაობებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კომენტარებ-

---

[1] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, ფ. 17156.

[2] პ. -უ., ქართული მწიგნობრობა, „ივერია“, 1883 წ., № 7—8, გვ. 156.

სა და ლექსიკონებს ურთავდა. პროფ. ფ. გოგიჩაი'შვილი სავსებით მართალი იყო, როცა პ. უმიკაშვილის შესახებ წერდა, რომ „სხვების ნაწერებს მეტის ყურადღებით ეკიდებოდა, ვიდრე თავის საკუთარსო". პ. უმიკაშვილი ამას თვითონაც აღნიშნავდა. 1894 წელს იგი საყვედურით მიმართავდა იაკობ გოგებაშვილს: „თუ ჩემ საკუთარ წერაზე ისე არ მიბეჭითნია, როგორც სხვების ნაწერების გამოცემაზე, ვგონებ არავის ნება არ ჰქონდეს მსჯიდეს, შენი თავი რად დაიეიწყე და სხვებს გამოუდეგიო"[1].

მართალია, პ. უმიკაშვილის მიერ ძველი პერიოდის მწერალთა ნაწერების გამოცემას, როგორც თვითონ აღნიშნავს, საზოგადოების ერთი ნაწილი დასცინოდა, მაგრამ ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს კარგად ესმოდათ ჩვენი ძველი საერო ლიტერატურის ძეგლების ბეჭდური გამოცემის უდიდესი მნიშვნელობა და პ. უმიკაშვილის დამსახურება ამ საქმეში. 1886 წელს გაზეთი „ივერია" ამის შესახებ წერდა: „მადლობის მეტი არა ეთქმის რა იმისთანა კაცს (პეტრე უმიკაშვილს — ზ. მ.), რომელიც ასე უანგაროდ მოღვაწეობს ძველის მწერლობის გამოსარკვევად, ჰბეჭდავს სხვადასხვა ძველ ლიტერატურულ ქმნილებათა და ამგვარის თავის შრომით უადვილებს მომავალს მოღვაწეთ სამშობლო ისტორიის შესწავლასა და გამოკვლევას"[2].

პ. უმიკაშვილის, როგორც ქართული წიგნების რედაქტორ-გამომცემლის, შრომას ასევე მაღალ შეფასებას აძლევდა მოწინავე პუბლიცისტი და კრიტიკოსი ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ჯერ კიდევ 1873 წელს წერდა: „ეს ჩვენი ახალგაზრდა „ბიბლიოგრაფი" (პ. უმიკაშვილი — ზ. მ.) დიდი ხანია, რაც ნელ-ნელა, აუჩქარებლათ და თან მოუსვენრათ, სჩხრეკს ძველებურ ხელნაწერებს, აგროვებს სახალხო ლექსებს და ანდაზებს, ჰკრეფს ძველ წიგნებს და გამოცემებს, და ზოგჯერ კიდეც ბეჭდავს შესანიშნავ თხზულებებს. მისი მხრით ეს მით უფრო მოსაწონი და საქები საქმეა, რომ ამნაირ შრომას მეტის-მეტი თავდავიწყება სჭირია: მშრომელი თავის ღვაწლის

---

[1] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. II, 1964 წ., გვ. 15.

[2] „ივერია", 1886 წ., № 151.

ნაყოფს ვერ ესწრება და ვერც ხედავს, და თვითონ ეს ღვაწლიც, წვრილმანი სიმძიმეებით დატვირთული, მკითხველ საზოგადოებას უბრალო, ადვილ რამეთ მიაჩნია. მშრომელის პიროვნება, ნიჭი და ჯაფა არც კი სჩანს ამ უმადურ ასპარეზზე, რომელიც სინდისიან მოქმედისაგან ნამდვილ თავდავიწყებას თხოულობს. ვიმეორებთ უფ. პ. უმიკაშვილი გულითადი ჰადლობის ღირსია ჩვენი მწერლობის და მკითხველი საზოგადოების მხრით!".

პ. უმიკაშვილი დაუცხრომლად ზრუნავდა საგამომცემლო საქმის წინსვლისა და გაფართოებისათვის. იგი ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ქართული წიგნების გამოცემა, გარდა თბილისისა, გამოეცოცხლებინა აგრეთვე ქუთაისში, სადაც იმ დროს არა ერთი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ცხოვრობდა. მას კარგად ესმოდა, რომ ქართული წიგნების გამოცემა ხელს შეუწყობდა მწერლების ურთიერთდაახლოებას და კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენდა მხატვრული ლიტერატურის განვითარებაზე. 1872 წლის „დროებაში" ამის შესახებ წერდა: „ლიტერატურის ნამდვილ-მოყვარე მწერლისთვის მეტად მოსაწყენი და დასაღონებელი მდგომარეობა უნდა იყოს მარტო ჟურნალებში წერა. საზოგადოდ, ლიტერატურა მარტო ჟურნალებითა და გაზეთებით ხომ არ მიდის წინა. მაშასადამე, ჟურნალ-გაზეთებს გარდა, სხვა მხარესაც უნდა ყურადღების მიქცევა. ეს მხარენი ბევრნი არიან და სხვათა შორის წიგნების გამოცემა... რამდენი სარგებლობა ექნებოდათ ამ გამოცემათა. სხვადასხვა მრავალი წვრილი მხარეები რომ არ ჩამოვთვალოთ, ერთადერთი რომ დავასახელოთ, საკმაო იქნებოდა: ჩვენი მწერლები, ქუთაისში მცხოვრებნი, ერთმანეთს დაუახლოვდებოდნენ, შეკავშირდებოდნენ და თავის შრომას შეაერთებდნენ. აქედან უფრო გაძლიერდებოდა იმათი ღონე როგორც თფილისის ჟურნალ-გაზეთების სასარგებლოდ, აგრეთვე ქუთაისში წიგნების გამოცემის სასარგებლოთაც"[2].

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 3, 1963 წ., გვ. 261.

[2] ანჩისხატისუბნელი, წიგნების ბეჭდვა ქუთაისში, „დროება", 1872 წ., № 15.

პ. უმიკაშვილის ერთ-ერთ დიდ საზრუნავს შეადგენდა ქართული წიგნების გავრცელება. იგი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ხალხში ფართოდ მოეფინა ქართული წიგნები და ამით ხელი შეეწყო სწავლა-განათლების გავრცელებისათვის. გარდა იმისა, რომ ზაფხულობით მოგზაურობის დროს თვითონ მიჰქონდა წიგნები სოფლებში, მას ადგილობრივ გაჩენილი ჰყავდა აგენტები, რომლებიც მისგან გაგზავნილ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს ავრცელებდნენ. ამ საქმესთან დაკავშირებით დროგამოშვებით წერილებს აქვეყნებდა გაზეთ „დროებასა“ და „ივერიაში“, სადაც დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ წიგნების გავრცელება მთელი საზოგადოების ზრუნვის საგანი გამხდარიყო. მაგალითად, 1872 წელს „დროებაში“ წერდა: „ჩვენში არასდროს არ გავრცელდება და არ მოიფინება ხალხში ქართული წიგნები, თუ ისეე იმგვარად მოვიქცევით, როგორც აქამდინ მოვქცეულვართ და ან დუქნებში და მაღაზიებში ეწყობა, ან ორიოდე კაცს ებარება. სანამდინ ყველანი არ ვიკისრებთ წიგნების გაყიდვის და გავრცელების საქმესა და ერთმანეთს არ შევაგულიანებთ, მანამდის ესე ცოტა წიგნებით დავრჩებით“[1].

მეორე წერილში, რომელიც 1889 წელს დაიბეჭდა „ივერიაში“, იგი რჩევას იძლეოდა, რომ წიგნების გასავრცელებლად უნარიანად ყოფილიყო გამოყენებული რელიგიური დღესასწაულები და ბაზრობები, სადაც დიდძალი ხალხი იკრიბებოდა და ბევრ მათგანს ექნებოდა ქართული წიგნების შეძენის სურვილი[2].

განსაკუთრებით აღსანიშნავია პ. უმიკაშვილის მეცადინეობა ქართული წიგნის ევროპაში გატანისათვის. 1899 წელს მას წინადადება შეუტანია „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“, რომ დაწყებულიყო ქართული წიგნების გაგზავნა ევროპის ცენტრალურ ბიბლიოთეკებში. „საზოგადოებას“ ეს წინადადება მიუღია, რასაც იგი კმაყოფილებით

[1] პ. უმიკაშვილი, ხალხში როგორ უნდა მოეფინოთ ქართული წიგნები, „დროება“, 1872 წ., № 24.

[2] პ., ვინ უნდა ითავოს წიგნების გაყიდვა ხატობა-ბაზრობაში, „ივერია“, 1889 წ., № 136.

აცნობებდა ფ. გოგიჩაიშვილს, რომელიც იმ დროს სასწავლებლად იმყოფებოდა ქ. ლაიფციგში. პ. უმიკაშვილის წერილში ვკითხულობთ: „ერთი აზრი შევიტანე „წერა-კითხვის საზოგადოებაში“ და სხვებსაც ვეუბნები, რომ ქართული წიგნები უმთავრეს ევროპის ქალაქების მთავარ ბიბლიოთეკებში გავგზავნოთ სამუდამოდ. საკუთრად ლეიპციგისთვისაც ვითხოვე. „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ მიიღო ჩემი წინადადება და აგრეთვე რამდენიმე კაცმა. წიგნებს გამოგზავნიან შენ სახელზე. ისარგებლე ჯერ შენ და მერე გადაეცი იმისთანა ბიბლიოთეკას ლეიპციგში, რომელიც უფრო მდიდარ და ვრცელ ბიბლიოთეკად ითვლება. ამგვარადვე სხვა ქალაქებშია საჭირო. აქამდის თითო-ოროლა კაცს ეგზავნება ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, რომელიც მისგან იხევა და იკარგება. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ ეს შემოვიღოთ და გაუჩინოთ სამემრისოდ ადგილი ქართველ მოსწავლეთათვის. მგონია მთავარი ბიბლიოთეკები უარს არ იტყვიან ქართული განყოფილების გახსნაზე (თუმცა კი ჯერჯერობით პაწია იქნება)“[1].

როგორც ვხედავთ, პ. უმიკაშვილის ინიციატივით დაწყებულა ქართული წიგნების გაგზავნა ევროპის ბიბლიოთეკებში. ამ საქმის მთავარი მიზანი ის კი არ იყო, რომ შემდგომში ეს წიგნები გამოდგომოდა ევროპაში სწავლა-განათლების მისაღებად წასულ ქართველ ახალგაზრდობას. ეს, რა თქმა უნდა, თავისთავად იგულისხმებოდა. წიგნების გაგზავნის უმთავრესი მიზანი ის იყო, რომ ამ წიგნების საშუალებით ევროპის მოწინავე მეცნიერები ახლოს გაცნობოდნენ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, მის მდიდარ და მრავალფეროვან თვითმყოფად კულტურას.

პ. უმიკაშვილი არ იყო დაჯილდოებული დიდი პოეტური ნიჭით და არც ჰქონდა ამის პრეტენზია. გაზეთ „დროებასა“ და „ივერიაში“ დაბეჭდილი მისი ოთხიოდე ლექსი („ბაღჩისერალი“, „ეპიტაფია“, „კენჭის ჰარალე“, „ხაბარი“)[2] მოკ-

---

[1] ფ. არქ. უმიკ., ს. 1, დ. 11.

[2] „დროება“, 1882 წ., № 99; 1884 წ.. №№ 243, 244; „ივერია“, 1886 წ., № 262.

ლებულია ყოველგვარ მხატვრულ ღირსებას. სამაგიეროდ მან ორი მშვენიერი მოთხრობა შესძინა ქართულ საბავშვო ლიტერატურას. ხალხური სიუჟეტების მიხედვით შექმნილი მისი საბავშვო მოთხრობები „ოლოლი“ და „ყმაწვილობის მოგონება“, რომლებიც 1890—1891 წლებში გამოაქვეყნა ჟურნალ „ჯეჯილის“ ფურცლებზე, დღესაც დიდი ინტერესით იკითხება.

ქართული ლიტერატურისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს პ. უმიკაშვილის მთარგმნელობით მუშაობას. მას ეკუთვნის პოპულარული ესპანური მოთხრობის — „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრების“ შესანიშნავი ქართული თარგმანი, რომელიც 1899 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ და იმავე წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა. აღნიშნული თარგმანი, რომელიც შესრულებულია მაღალმხატვრულ დონეზე და დღემდე არ მოძველებულა, ჩვენს დროში (1933 და 1959 წ.წ.) კიდევ ორჯერ გამოიცა მასობრივი ტირაჟით. ეს, რა თქმა უნდა, გარკვევით მიუთითებს მთარგმნელის თვალსაჩინო დამსახურებაზე. გარდა ამისა, პ. უმიკაშვილმა თარგმნა ცნობილი სომეხი მწერლის გაბრიელ სუნდუკიანცის მოთხრობა „ვარინკას ვეჩერი“ (დაიბეჭდა 1877 წ. გაზეთ „ივერიაში“) და უნგრელი მწერლის კოლომონ მაკსატის ნოველა — „გლეხმა ჩომაკმა როგორ იყიდა ცელი“ (დაიბეჭდა 1898 წ. ჟურნალ „მოამბეში“). მის პირად არქივში ინახება აგრეთვე მაინ რიდის „ტყის შვილების“ დაუმთავრებელი თარგმანი[1].

პ. უმიკაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული პროფესიული თეატრის აღდგენისა და განვითარების საქმეში. მას ახალგაზრდობაშივე უღვივოდა თეატრალური ხელოვნების — როგორც საოპეროს, ისე დრამატულის მხურვალე სიყვარული და ეს სიყვარული შერჩა სიბერემდის. „მე უთეატროდ მკვდარი ვარ, ჩემი სიცოცხლე მარტო თეატრშია“[2], — წერდა 22 წლის ჭაბუკი, ხოლო 61 წლის ასაკში აღნიშნავდა:

---

[1] ფ. არჭ. უმიკ., ს. 2, დ. 37.

[2] იქვე. ს. 3-ა, დ. 88.

„ჩემზე დიდი გავლენა ჰქონდა ოპერას და ეს რომ არ ყოფილიყო, ჩემს თავს ძალიან მოკლებულად ჩავთვლიდი ერთის ძლიერის ელემენტისაგან, რომელიც გვაყვარებს მშვენიერებას, კეთილს, გვაკეთილშობილებს და პატიოსან მოქმედებას ინ'ტიქტიურ და არა ნაძალადევ მოთხოვნილებად გვიხდის"[1].

ჯერ კიდევ გიმნაზიის ახლად კურსდამთავრებული პ. უმიკაშვილი მწვავედ განიცდიდა, რომ გ. ერისთავის თეატრის დახურვის შემდეგ გაცივდა ჩვენი კულტურის ეს მხურვალე კერა. შეწყდა ქართული წარმოდგენების გამართვა. მას მიზნად დაუსახავს ნაწილობრივ მაინც შეევსო ეს ხარვეზი და 1861 წელს გაუმართავს გიმნაზიის მოსწავლეთა შინაური წარმოდგენა. თავის მოგონებაში — „ჩვენი თეატრის თავგადასავალი", რომელიც 1899 წელს დაიბეჭდა „ივერიაში", ამის შესახებ გადმოგვცემს: „ერთი წლის კურსდასრულებული ვიყავი, მაგრამ გიმნაზია მიყვარდა, იქ ამხანაგები მყავდა და დავდიოდი ხოლმე მათთან. ვკითხულობდით ზოგჯერ ერთად, სხვათა შორის, ქართულ წიგნებს. დავიწყეთ ლაპარაკი ქართულ თეატრზე და გადავწყვიტეთ უეჭველად ქართული წარმოდგენა გაგვემართა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ გორელი რამდენიმე მოსწავლე ერია, რომელთაც გორში ეთამაშნათ. სცენა მზად გვქონდა, დირექტორი და მთავრობა არ გვიშლიდა. მოვიტანე პიესები „გაყრა" და „მე მინდა კნეინა გავხდე". გავიყავით როლები, მე რეჟისორობა მერგო. ერთ უქმეს თუ კვირა დღეს დავნიშნეთ წარმოდგენა, შევკრიბეთ ჩვენშივე თითო აბაზი სანთლების საყიდლად, ვიშოვეთ ტანისამოსი, როგორც კი შეიძლებოდა. რასაკვირველია, ეს შინაური წარმოდგენა იყო, მაგრამ ხმა გავარდნილიყო და ყმაწვილების მშობელ-ნათესავებით დარბაზი აივსო ისე, რომ არ მოველოდით. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა"[2].

რამდენიმე კვირის შემდეგ პ. უმიკაშვილს, ანტონ ფურ-

---

1 პ. უმიკაშვილი, ჩვენი თეატრის თავგადასავალი, „ივერია", 1899 წ., № 210.

2 იქვე.

ცელაძესთან ერთად, გიმნაზიის მოსწავლეთა ძალებით გაუმართავს სახალხო წარმოდგენა, რომელსაც დიდი წარმატება ჰქონია. პიესები იგივე ყოფილა და ბევრი მაყურებელი დასწრებია. ზემოხსენებულ მოგონებაში ამ წარმოდგენის შესახებ ვკითხულობთ: „პირველი მოქმედება რომ შესრულდა, მაშინ დავმშვიდდით. ტაშის კვრას, არტისტების გამოწვევას ბოლო არ ეღებოდა. თეატრი სავსე იყო, კასას ამტვრევდნენ ბილეთის მყიდველნიო, როგორც გვითხრეს. ბილეთი გასაყიდი აღარ დარჩა. მთელმა წარმოდგენამ აღტაცების გრგვინვით გაიარა“[1].

პეტერბურგის უნივერსიტეტიდან დაბრუნების შემდეგ პ. უმიკაშვილი, ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებისა და ლიტერატურული საღამოების გამართვაში. ამ საქმეში მას ბევრი დაბრკოლების გადალახვა უხდებოდა, მაგრამ მტკიცედ სჯეროდა, რომ სწორედ ეს წარმოდგენები და საღამოები ამზადებდნენ საფუძველს ქართული პროფესიული თეატრის აღდგენისათვის, რაც მის დიდი ხნის ნატვრას შეადგენდა. ეს ნატვრა პ. უმიკაშვილს შეუსრულდა 1879 წელს, როცა ი. ჭავჭავაძის, გ. თუმანიშვილის, დ. ერისთავისა და ნ. ავალიშვილის ინიციატივით ჩამოყალიბდა ქართველ მსახიობთა მუდმივი დასი და კვლავ აღდგა ქართული კულტურის დიდებული ტაძარი. ამ დიდი ეროვნული საქმის განხორციელებაში, სხვა ქართველ საზოგადო და თეატრალურ მოღვაწეებთან ერთად, თვალსაჩინო წვლილი მიუძღოდა პ. უმიკაშვილს, როგორც სცენისმოყვარეთა წარმოდგენების გამართვის ერთ-ერთ ინიციატორსა და მოთავეს.

ამ პერიოდში იწყებს პ. უმიკაშვილი პიესების წერას. პირველი პიესა მან დაწერა 1879 წლის მიწურულში. ეს იყო სამმოქმედებიანი კომედია „გულთმისანი“, რომლის სიუჟეტი ავტორს აღებული ჰქონდა სულხან-საბა ორბელიანის

---

[1] პ. უმიკაშვილი, ჩვენი თეატრის თავგადასავალი, „ივერია“, 1899 წ., № 210.

„სიბრძნე-სიცრუის“ წიგნიდან. პიესის მოქმედება ჩვენს წელთაღრიცხვამდე ერთი საუკუნის წინათ მიმდინარეობდა ქ. მცხეთაში. როგორც პ. უმიკაშვილი აღნიშნავს, ამ პიესით მას სურდა გაეღვივებინა დრამატული მწერლობის მისწრაფება ისტორიულ-ეროვნული თემებისაკენ[1]. დასახელებული კომედია სცენაზე პირველად 1880 წლის 20 თებერვალს დაიდგა[2].

განსაკუთრებით აღსანიშნავია პ. უმიკაშვილის ერთმოქმედებიანი პიესა „სამზადისი“, რომელიც წლების განმავლობაში დიდი წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე. პიესა ეხებოდა ქართული კულტურის ისტორიის ერთ დიდმნიშვნელოვან მომენტს, კერძოდ, გ. ერისთავის კომედია „გაყრას“ პირველი წარმოდგენის გამართვას, რომელმაც სათავე დაუდო ჩვენი ეროვნული თეატრის აღორძინებას. პიესა „სამზადისმა“ თავიდანვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება. ჯერ კიდევ 1892 წელს გაზეთი „ივერია“ იტყობინებოდა, რომ პ. უმიკაშვილმა დაწერა პიესა „სამზადისი“ და წარუღგინა სათეატრო ცენზურას სცენაზე დადგმის ნებართვის მისაღებადო. გაზეთი იქვე აცნობდა მკითხველებს პიესის მოკლე შინაარსს, რომელსაც ავტორმა საფუძვლად დაუდო კომედია „გაყრას“ პირველი წარმოდგენის გამართვის ზოგიერთი ცოცხალი მონაწილის პირადი ნაამბობი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა მზადება ამ კომედიის სცენაზე დასადგმელად[3].

პ. უმიკაშვილის „სამზადისის“ დაწერის შესახებ გ. წერეთელი გადმოგვცემს: „ერთმა შესანიშნავმა შემთხვევამ გამოიწვია ზემოხსენებული პიესის — „სამზადისის“ შეთხზვა. 1892 წელს ქართული თეატრის გამგეობის თავმჯდომარე გ. მ. თუმანიშვილი და გამგეობის მდივანი პეტრე უმიკაშვილი დიდ მწუხარებაში იყვნენ ქართველ მსახიობთა შევიწროებული მდგომარეობით. ქართულ თეატრს თანდათან უფრო დაეტყო ქართველი საზოგადოების გულგრილობა. წარ-

1 პ. უმიკაშვილი, ავტობიოგრაფია, „ივერია“, 1904 წ., № 123.

2 თეატრის მატიანე, „დროება“, 1880 წ., № 43.

3 ახალი ამბავი, „ივერია“, 1892 წ., № 275.

მოდგენები იმართებოდა, მაგრამ როგორც თვით თეატრი, ისე მისი კასა დაცარიელებული იყო. მაყურებელნი არსად იყვნენ. თვით მსახიობთაც ეკარგებოდათ ხალისი თამაშობისა... ამ მდგომარეობაში იყო საქმე, როდესაც ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე და მისი მდივანი ფიქრობდნენ რამენაირათ გაეცოცხლებინათ ქართული სცენა არაჩვეულებრივი მოვლენით და გამოეწვიათ ქართული საზოგადოების ინტერესი ქართული სცენისათვის. იმათ აირჩიეს და ბოლოს გადაწყვიტეს საიუბილეო წარმოდგენისთვის შეემზადებინათ ახალი პიესა, რომელშიაც გამოხატული ყოფილიყო საუკეთესო მომენტი ქართული თეატრის დაარსებისა. ეს საქმე იკისრა გამგეობის მდივანმა პ. უმიკაშვილმა და ისტორიული მომენტის საგნად აიღო გ. ერისთავის პიესის — „გაყრის“ პირველი რეპეტიცია, მომხდარი მაშინდელი გიმნაზიის დარბაზში“[1].

მიუხედავად იმისა, რომ „სამზადისი“ საგანგებოდ დაიწერა ქართული თეატრის უნუგეშო მდგომარეობის გამოსასწორებლად, ცენზურისა თუ სხვა მიზეზების გამო ეს პიესა სცენაზე პირველად დაიდგა მისი დაწერის ექვსი წლის შემდეგ — 1898 წლის პირველ იანვარს. წარმოდგენას დიდძალი მაყურებელი დასწრებია და ქართული სცენის ნამდვილ ტრიუმფად გადაქცეულა. აი, როგორ აღწერს გ. წერეთელი „სამზადისის“ პირველ წარმოდგენას: „იმ საღამოს დიდძალი ხალხი მოაწყდა ქართულ თეატრს. ადგილები რომ ძღარ იყო, მრავალი სკამები მიადგეს იქ, საცა კი ცარიელი ადგილები მოიპოვებოდა. ფასიც არავის ენანებოდა. თუნდ ერთიორადაც გადაიხდიდნენ, ოღონდ ადგილი ეშოვნათ. ყველას სურდა ენახა ის ისტორიული მომენტი ქართული თეატრის დაარსებისა, რომელიც მთლად კულტურული მოძრაობით იყო გამოწვეული... მადლობის ღირსია ბ-ნი პეტრე უმიკაშვილი, რომელმაც ასე საუცხოოთ დაგვიხატა სცენაზე წარსული შესანიშნავი მომენტი ქართული გონებრივი აღორძინებისა“[2].

---

1 მაზაკვალი, ჩვენი სახიობა, „კვალი“, 1898 წ., № 2, გვ. 28—29.

2 იქვე, გვ. 28.

ამ წარმოდგენაზე სპეციალური რეცენზია დაიბეჭდა აგრეთვე გაზეთ „ივერიაში“, სადაც რეცენზენტი მ. ნასიძე მაღალ შეფასებას აძლევს წარმოდგენას და განსაკუთრებით აღნიშნავს პიესის მხატვრულ ღირსებას. რეცენზიაში ვკითხულობთ: „როგორც ჩინებულმა მხატვარმა ორი-სამი ხაზის გასმით დახატოს სახე, რომელიც თუმც დასრულებული არ არის, მაგრამ საკვირველად კი ჰგავს ნამდვილ სურათს, — ისე პეტრე უმიკაშვილის მომქმედნი არიან დახატულნი. თუმცა ბევრს არას ლაპარაკობენ, მაგრამ ორიოდე მათი სიტყვა ისე ცოცხლად ახასიათებს მთქმელს, რომ მაყურებელი სრულს ილუზიას ეძლევა, ჰგონია, რომ იმის წინ ლაპარაკობენ ნამდვილად: პლატონ იოსელიანი, გ. ერისთავი, ქეთევან ორბელიანი, რევაზ ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ ჭილაშვილი, გრიგოლ შანშიევი და სხვანი“[1].

ამის შემდეგ პ. უმიკაშვილის „სამზადისი“, გ. ერისთავის პიესებთან ერთად, ხშირად იდგმებოდა სცენაზე, როგორც ქართული თეატრის დღესასწაულისადმი მიძღვნილი წარმოდგენა. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს ქართულ სცენაზე იდგმებოდა პ. უმიკაშვილის პიესები — „დამარცხებულნი“, „ოინი, ანუ მახლასა ჯოჯოხეთში“, „ბენეფისის წინ“ და ვ. კრილოვიდან გადმოკეთებული კომედია „ალერსთა ბადე“. მის პირად არქივში ინახება აგრეთვე მთელი რიგი ორიგინალური და თარგმნილი პიესების ხელნაწერები და დაუმთავრებელი პიესების ფრაგმენტები („ქალის როლები“, „ორი ჯორი“, „მზეჭაბუკი“, „აჩრდილთა სავანე“, „აბესალომ და ეთერი“, „ინტერმედიასავით“, „ცილისწამება“, „სურათი ს. მესხის სარედაქციო მუშაობიდან“, მოლიერის „მიზანტროპი“, პაოლო ფერარის „გოლდონი“ და სხვ.)[2].

პ. უმიკაშვილის პიესები, მართალია, არ გამოირჩევიან მაღალმხატვრული ღირსებით, მაგრამ თავის დროისათვის ისინი გარკვეულ როლს მაინც ასრულებდნენ თეატრალურ

---

[1] მე გახლავარ, თეატრის მატიანე, „ივერია“, 1898 წ., № 2.
[2] ფ. არქ. უმიკ., ს. 4, დ. 1—11; ს. 5, დ. 12—16.

ცხოვრებაში და ხშირად გამოჰყავდათ გაჭირვებიდან ქართული სცენა.

1892—1893 წლებში პ. უმიკაშვილი მუშაობდა ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობის მდივნად. მოკლე ხნის მანძილზე მას წესრიგში მოუყვანია თეატრის ქონება. ამის შესახებ ეკ. გაბაშვილი გადმოგვცემს: „ქართული თეატრის უერთგულესი ლალა იყო პეტრე. როგორც მხნე პრაქტიკი და წესის და რიგის დამცველი კაცი, ქართულ უთავბოლობას სასტიკად სდევნიდა და ცდილობდა სუყველა ჩვენ საქმეში წესიერება და ლოღიკა შეეტანა. თეატრის ბიბლიოთეკა, თეატრის ქონება, თეატრის რეპერტუარი, ქართველურს შელეშობით აქა-იქ გაფანტული, დიდი მზრუნველობით, დიდი სულგრძელობით და თავგანწირულობით შეჰკრიბა, აღნუსხა და თავ-თავის ალაგი მიუჩინა“[1].

პ. უმიკაშვილს სიკვდილამდე არ შეუწყვეტია ზრუნვა ქართული თეატრის წინსვლისა და განვითარებისათვის. 1900 წელს მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული თეატრის აღდგენის 50 წლისთავის დღესასწაულის მომზადებასა და ჩატარებაში. დრამატიული საზოგადოების საიუბილეო სხდომაზე პ. უმიკაშვილმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება — „ქართული თეატრი და ლიტერატურა 50 წლის მანძილზე“[2], ხოლო საზეიმო საღამოზე მხურვალედ მიულოცა სცენის მუშაკებს ქართული თეატრის დღესასწაული: „ეს ტაძარი შექმნა ხალხმა თავისი ღონით, — მიმართავდა იგი თეატრის მუშაკებს, — მაგრამ მისი საქმის აღმსრულებელი, განმახორციელებელი თქვენა ბრძანდებით, ამ ტაძრის მუშაკნო და მოსაქმენო. დღევანდელი ჩვენი სახალხო დღესასწაული თქვენი დღესასწაულია. თქვენსა და ჩვენს სიხარულს იქნება შემოჰყოლოდეს კვნესა გულისა, მაგრამ ნუ შედრკებით. დიდი საქმე ხელოვნებისა, ამ მშვენიერის ხელოვნების დამკვიდრებისა ჩვენში თქვენმა ნიჭმა, თქვენმა ღვაწლმა განამტკიცა. თქვენ

---

1 საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, ფ. 17020.

2 ქართული სცენის დაარსებიდან 50 წლის შესრულების დღესასწაული, „ივერია“, 1900 წ., № 2.

მრავალი დაბრკოლება შეგხვდათ და გხვდებათ, მაგრამ დასძლიეთ და კიდეც დასძლევთ. თქვენი სახელი ქართულის ხელოვნების, თეატრის და ლიტერატურის ისტორიაში ჩაიბეჭდა. ვერაფერი ვეღარ წაშლის თქვენს შრომას, თქვენს სახელს. დღევანდელი დღესასწაული, ეს საერთო სიხარულის გამოცხადება, ეს პატივისცემა, თქვენი გვირგვინია, ხელთუქმნელი გვირგვინი, ხალხისაგან მოძღვნილი. ის არის თქვენი დიდება, თქვენი ჯილდო, თქვენი გზის დალოცვა და კურთხევა მომავლის თქვენის მოღვაწეობისათვის"[1].

ასე მიმართავდა პ. უმიკაშვილი ქართული თეატრის მოღვაწეებს. აღნიშნული სიტყვები მთლიანად ეხებოდა მათ ავტორს, რომელიც, სცენის მუშაკებთან ერთად, 40 წლის მანძილზე დაუღალავად ეწეოდა ქართული თეატრის მძიმე უღელს, მათთან ერთად ემსახურებოდა პროფესიული თეატრის აღდგენისა და განვითარების საქეყნო საქმეს.

პ. უმიკაშვილის მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული აგრეთვე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან". შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ დღიდან დაარსებისა ამ „საზოგადოების" მიერ არ ყოფილა წამოწყებული თითქმის არც ერთი ლიტერატურულ-კულტურული საქმე, რომლის განხორციელებაში მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო პ. უმიკაშვილს. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ფაქტს. ბევრმა იქნებ არც იცოდეს, რომ 1893 წელს, პ. უმიკაშვილის შედგენილი გეგმის მიხედვით განხორციელდა ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან სამშობლოში გადმოსვენება და დიდუბეში დაკრძალვა, რომლის თაოსნობა ეკუთვნოდა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას"[2]. აღნიშნული გეგმა ავტორს ისე

---

1 ქართული სცენის დაარსებიდან 50 წლის შესრულების დღესასწაული, „ივერია", 1900 წ., № 2.

2 90-ან წლებში გაზეთ „ივერიისა" და ჟურნალ „კვალის" ფურცლებზე დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის ორი წერილი, სადაც ავტორი დაბეჯითებით მოითხოვდა ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენებას და პოეტის ბიოგრაფიული მასალების შეკრებასა და პუბლიკაციას (იხ. „ივერია", 1891 წ., № 114 და „კვალი", 1893 წ., № 3).

შეუდგენია, რომ ამ საქმის განხორციელებას ნათლად გამოემჟღავნებინა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნება, მისი უდიდესი სიყვარული და პატივისცემა ნ. ბარათაშვილის უკვდავი სახელისადმი[1]. სხვა გარემოებებთან ერთად ამანაც შეუწყო ხელი, რომ ჩვენი საამაყო პოეტის ნეშტის გადმოსვენებამ დიდი ეროვნული მანიფესტაციის ხასიათი მიიღო.

პ. უმიკაშვილი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რათა „წერა-კითხვის საზოგადოებისთვის" რომელიმე შეძლებული პირის მატერიალური შემოწირულება გამოეძებნა. 1894 წელს, ოდესაში ყოფნის დროს მას ისიც კი უფიქრია, რომ ენახა ქალაქის თავი ვინმე მარაზლი და მისთვის ეთხოვა მატერიალური დახმარება „წერა-კითხვის საზოგადოების" ბიბლიოთეკა-მუზეუმის ასაშენებლად[2]. უფრო მოგვიანებით, 1903 წელს, ფლორენციაში მიმავალ ნიკო ღოღობერიძეს ამავე საქმის შესახებ სწერდა :„მანდ ფლორენციაშია, როგორც გამიგონია, ალექსანდრე ზუბალოვი. თუ მანდ არის, უეჭველია ნახავ. რას შვრება ეგ კაცი? ამბობენ, კარგი დიდი კოლექცია შეუკრებია ანტიკვარიული. რა ოხრად უნდა, თუ თავისი მდიდარი ძმისწულებისთვისა? ეგები სიტყვა გაუტარო და ანდერძი გააკეთებინო წერა-კითხვის მუზეუმის სასარგებლოდ... ამბობენ, „ლონდონის" სასტუმროს შენობა რომ მიჰყიდა ძმისწულებს, 200.000 მან. აიღოვო. ცუდი არ იქნება, შენი ანდერძიც გააცნო მაგ პირქუშს. ეგებ რამე გამოდნეს. აქედამ მანდ მდიდარ ქვეყანას უნდა შემატოს და ჩვენ ღარიბ ქვეყანას უნდა გამოაკლოს აქ ნაშოვნი? აქ ყოფნის დროს ვითომ რაღაცაებს ფიქრობდა წერა-კითხვის საზოგადოებისთვის შენობაზე და მერე კი მიჩუმდა. ეგ ცოტა მდუნე კაცია და კარგი ჩიჩინი უნდა. ეცადე, კარგა მოელაპარაკე შენებურად, ეგებ რამე გააკეთოს. ცოტა რბილი ლაპარაკის შუა სუსხადაც რომ ელაპარაკო, ცუდი არ იქნება. ჯანაბას მაგის თავი, რაკი ურგებელი კაცია"[3].

---

1 საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, ფ. 9078.

2 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1937 წ., გვ. XXX.

3 იქვე.

1893 წელს პ. უმიკაშვილმა თავი დაანება მასწავლებლობას და მუშაობა დაიწყო თავის მეგობარ ნიკო ღოღობერიძესთან, რომელიც იმ ხანებში მარგანეცის დამუშავებას აწარმოებდა. ღოღობერიძესთან იგი მუშაობდა საქმეთა მმართველად ჯერ ზესტაფონში (1893—1894 წ.წ.) და შემდეგ ბათუმში (1894—1897 წ.წ.).

პ. უმიკაშვილი დიდი ინტერესით შეუდგა მარგანეცის წარმოების გაცნობას. 1894 წლის 4 თებერვალს იგი ეკატერინე გაბაშვილს სწერდა: „ამ მარგანეცის მუშაობაში ცხოვრების დუღილს გავიცნობ, ნამდვილ დუღილს, რომელსაც ქალაქში ცხოვრება ვერ გვაჩვენებს. ჩვენი ქართველი მუშა, გლეხობიდამ დაწყებული ინგლისის გემის კაპიტნებამდის და ბანკირებამდის, ცხოვრების რა ძაფი გაუბამს ამ ვაჭრობაში, საინტერესო შესასწავლია. იმერეთი მშვენიერებით და სიცოცხლით სავსე, მომავლის კარგის იმედებით გაიახალგაზრდებს გულსა და სულსა. შავის ქვით გამტვერიანებულ, იმ გვარათვე გამურულ მუშების მოძრაობაში რამოდენა სიცოცხლესა ხედავ, რამდენ მშვენიერ ძვირფას თვისებას ჩვენის ერისას და ბუნებისას“[1].

მაგრამ მას ვერ წარმოედგინა თბილისიდან მოშორება და საზოგადოებრივი საქმიანობის შეწყვეტა. ამიტომ იქიდანაც გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს დედაქალაქის ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებას და საჟურნალგაზეთო თუ კერძო წერილების საშუალებით აქტიურად ეხმაურებოდა მის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას[2]. 1893 წლის 24 დეკემბერს იგი ზესტაფონიდან სწერდა ეკატერინე გაბაშვილს: „თქვენი წერილი წავიკითხე „ივერიაში“ ქართველ ლიტერატორთა შესაწევარ ფონდის დაარსებაზე. აზრი კეთილია. წინათ, ბარათაშვილის ტფილისში დასაფლავების შემდეგაც გამოვსთქ-

---

[1] მიხ. ზანდუკელი, პეტრე უმიკაშვილის ოთხი წერილი ეკატერინე გაბაშვილისადმი, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, I, 1941 წ., გვ. 60.

[2] იქვე, 57—75; ი. გრიშაშვილი, პეტრე უმიკაშვილის წერილი „კვალის“ რედაქციისადმი, ლიტერატურული ნარკვევები, 1957 წ., გვ. 499—502.

ვით ეს სურვილი. ვინ იქნება მაგ აზრის წინააღმდეგი, არ ვიცი. მაგრამ მთავარი ეს არის, როგორ ასრულდეს, რა ფორმა მიეცეს, ესე იგი სად შევკრიბოთ ფული და საიდამ, ვინ გაუძღვეს? აი, ამაზედაც საჭიროა მოფიქრება და უნდა მოილაპარაკოთ და მერე გაზეთში ან თქვენვე ან სხვას ვისმე დააწერინოთ... „მოამბისთვის“ დავიწყე წერა, მინდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს თვალი გადავავლო პირველის ხნიდამ აქამომდე[1]. ძალიან გრძელდება. ორ-სამ ნომერში მოთავსება მოუხდება“[2].

1897 წლის ბოლოს პ. უმიკაშვილი ისევ თბილისში დაბრუნდა. ამის გამო მეტისმეტად გახარებული სწერდა ფ. გოგიჩაიშვილს: „როგორც ყმაწვილს, ისე მიხარიან. დილას მზის შუქს ვუყურებ, მთაწმინდის წვერს რომ წითლად მოეფინება, ლოგინიდამ ვუყურებ და გული სტკბება“[3].

1899 წელს მან მცირე ადგილი იშოვა თბილისის სათავადაზნაურო ბანკში და სიკვდილამდე იქ მსახურობდა. 1900 წელს იმოგზაურა ევროპაში, რაც მის დიდი ხნის ოცნებას შეადგენდა.

პ. უმიკაშვილს ცოლშვილი არ ჰყოლია. იგი დიდხანს ეტრფოდა გ. წერეთლის დას მარიამს, მაგრამ თქმას ვერ უბედავდა. ბოლოს გაუმჟღავნა თავისი გრძნობა, მაგრამ ახალგაზრდა კეკლუც ქალს სიცილად არ ეყო 40 წლის კაცის ტრფიალი. ამის შემდეგ მას ოჯახის შექმნაზე აღარ უფიქრია. რადგანაც დარწმუნდა, რომ „ქალს მხოლოდ გარეგნობა იზიდავს და პატიოსანი კაცის თაყვანისცემა გროშად არ უღირს“[4]. თავისი გარეგნობით, როგორც ჩანს, კეკლუცი ვერავინ მოხიბლა, უამისოდ კი ცოლის შერთვა არ ისურვა.

აი, როგორ აღწერს პ. უმიკაშვილის გარეგნობას მისი ბიოგრაფი პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი: „დაბალი, დაბალზე დაბალი ტანის კაცი, ჭაღარა, წვერ-ულვაშგაკრეჭილი, ნახევრად

---

1 მის პირად არქივში დაცულია აღნიშნული ნაშრომის ხელნაწერი — თვალის გადაველება ქართული ჟურნალ-გაზეთებისა (საქმე 3, დოკუმ. 87).

2 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ფ. 17156.

3 ფ. არქ. უმიკ., ს. 1, დ. 28.

4 საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, ფ. 17020.

მელოტი, ფერმკრთალი, მოგრძო სახისა, რომელზედაც ვეება, სპილოს ხორთუმივით ძირსდაშვებული, მოხრილი ცხვირი ეკიდა. ტანთ ეცვა მაშინ (და შემდეგშიაც მუდამ) წინაკალთებშემოჭრილი სერთუკი, რომელიც მის დაბალ ტანს რაოდენადმე უფრო დარბაისლურ შესახედაობას აძლევდა. გულზე ეკიდა პენსნე. ლაპარაკობდა ტკეპნა-ტკეპნით, მაგრამ გრძნობით და გატაცებით. მიხვრა-მოხვრა ჰქონდა სწრაფი, დადიოდა ნელა, მაგრამ ცუნცრუკით. ლაპარაკის დროს, განსაკუთრებით ახალგაცნობილს, გიცქეროდა თვალებში, იწიწკნიდა მოკრეჭილ ულვაშებს, გშინჯავდა, გათვალიერებდა. გამოგკითხავდა ყველაფერს, ყველაფერი ეინტერესებოდა; გრძნობდი, რომ პირველ ხანად უნდობლად, ეჭვით გეპყრობოდა, შენი სიტყვა მას არ ჰყოფნიდა, თვითონ უნდოდა დარწმუნება, — გზომავდა, გწონავდა, გითვალთვალებდა"[1].

როგორც მისი თანამედროვენი გადმოგვცემენ, პ. უმიკაშვილი თავისუფალ დროსაც ქართული მწერლობისა და კულტურის საკითხებზე ფიქრით იყო გამსჭვალული და სადაც თავის მეგობარს ან ნაცნობს შეხვდებოდა, აუცილებლად ამ საკითხებზე დაუწყებდა გაბმულ ლაპარაკს, რაც ხუმრობის საგანი ყოფილა მის ნაცნობ-მეგობრებში[2]. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი შემთხვევა, რომელიც არტურ ლაისტს მოჰყავს თავის მოგონებაში. იგი წერს: „შუაღამისას, ერევნის მოედნით შინისკენ მივეშურებოდი. გზაზე უმიკაშვილს შევხვდი, ვანო მაჩაბელთან ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომაზე. პეტრემ მაშინვე ამ საგანზე დამიწყო ლაპარაკი, ერთი საათი მელაპარაკა

---

[1] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. II, 1964 წ., გვ. 18.

[2] შეიძლება ამითაც იყო გამოწვეული, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მას დაუწერია სპეციალური საგაზეთო წერილი „დრო ფულიაო", სადაც მიზნად ისახავს ერთგვარი გამართლება მოუძებნოს აღნიშნულ თვისებას. იგი წერს: „ნემეცები ხომ არა ვართ საათის ჩარხივით დანიშნული გვქონდეს, ამდენ მინუტს სადილი, ამდენს დასვენება, ამდენს მუშაობა, ამდენს ძილი, უეჭველად და აუცილებლად ერთგვარის ბეჯითობით დანიშნულ დროს წინადვე განსაზღვრულის წესით ყველაფრის ასრულება" (ფ. არქ. უმიკ, ს. 3, დ. 71).

ჯერ გულდინჯად ვუგდებდი ყურს, მერე კი ვეღარ მოვითმინე და პირდაპირ ვუთხარი, პირველის ნახევარია და დასაძინებლად წავიდეთ-მეთქი. მან გაიცინა და გატაცებული ლაპარაკი შეწყვიტა"[1]. ანალოგიური შემთხვევა აღწერილია აგრეთვე 1886 წლის „ივერიაში" დაბეჭდილ ნაკვესებსა[2] და სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებაში[3].

პ. უმიკაშვილის ერთ-ერთ საუკეთესო თვისებას შეადგენდა ჯანსაღი ოპტიმიზმი. პირად ცხოვრებაში მან საკმაო გაჭირვება და ხელმოკლეობა გამოსცადა, მაგრამ ამან ვერ გასტეხა მისი ნებისყოფა. მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი ცხოვრების პირველი სიძნელეები დასძლია, სასოება არასოდეს წარკვეთია და მუდამ ღრმად სწამდა, რომ განათლებისა და კულტურის შუქი თანდათან უფრო ფართოდ მოეფინებოდა ჩვენს ქვეყანას და ბოლოს საქართველოსთვისაც დადგებოდა სანეტარო დრო წარმატებისა. „შევყურებ იმედით მომავალს, — წერდა იგი ერთგან, — დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეთა რიცხვი იმატებს, გამრავლდება და მათი შრომა თანდათან საზოგადო სიკეთეს მოგვიახლოვებს მწერლობაში და ცხოვრებაში"[4].

ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ყოველი წარმატება უდიდეს სიამოვნებასა და კმაყოფილებას გვრიდა პ. უმიკაშვილს. იგი დიდი აღტაცებითა და სიხარულით ეგებებოდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსულ ნიჭიერ ახალგაზრდობას, უკეთესი მომავლის იმედით ამხნევებდა და ახალისებდა. მაგალითად, 1894 წელს ზესტაფონიდან სწერდა ეკატერინე გაბაშვილს: „თქვენ ნუ დაიეჭვებთ, რომ ქალებში მწერლობის სახელი პირველად თქვენ გეკუთვნით და რაც უნდა მოხდეს, კალამი ხელიდამ არ დასტოვოთ. ცუდი მაგალითი იქნება. მუდმივი თქვენი სახელი კი წამბაძველი იქნება სხვა ქალებისათვის. იცოცხ-

---

1 არტურ ლაისტი, საქართველოს გული, თბილისი, 1963 წ., გვ. 11.

2 ნაკვესი, „ივერია", 1886 წ., № 4.

3 ს. მგალობლიშვილი, ქართველ მწერალთა წერილები, „თეატრი და ცხოვრება", 1914 წ., № 29, გვ. 7.

4 „საქართველოს კალენდარი", 1904 წ., გვ. 577.

ლეთ დიდხანს და სწერეთ მთელ სიცოცხლეში კეთილის და პატიოსანის საზოგადო ბედნიერებისათვის, ნუ დაეჩაგვრინებით მწუხარე აზრს, ყველაფერი იცვლება, შეკეთდება, გაუმჯობესდება. კაცობრიობის ისტორია ამას გვასწავლის. საკუთარი გაჭირვება, სიღარიბე, მწუხარება, ერთის ატომის, ერთის წინწკალის დაჩაგვრაა, ამან არ უნდა შეგვაშინოს, არ უნდა შეაშინოს, ვისაც თავისი თავი მრთელის ქვეყნიერების, მრთელის მსოფლიოს ცენტრად არ მიაჩნია. რა მშვენიერი წიგნია კაცობრიობის ისტორია, ყველაფერი წინ მიდის, ცოცხლობს და ნელნელა წარმატებაში შედის. კაცნი ვართ, გულვიწროობა გვემჩნევა. ვითმენთ, გამოვივლით ხოლმე შევიწროებას და ვეჩაგვრინებით, ესე იგი მოვდევთ მწუხარების ფიქრს, ეს ცუდია; რაც ჩვენს კერძო ცხოვრებაში უხერხულობაა, უნდა ვიზრუნოთ რასაკვირველია მის შველისათვის, გამოკეთებისათვის, მაგრამ მწუხარე აზრს კი ნუ დავემორჩილებით"[1].

ასევე ამხნევებდა იგი ყველა იმ ახალგაზრდას, ვისაც საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნიჭსა და მისწრაფებას შეამჩნევდა[2]. სამართლიანად წერდა ეკ. გაბაშვილი, რომ „ეს საუკეთესო გზა იყო გამოფხიზლებისთვის იმ მცირე ძალებისა, რომელნიც ჩვენ დაჩაგრულ და დაბეჩავებულ საზოგადოებაში გაიელვებდნენ და ჩაქრებოდნენ, თუ იმისთანა გამღვიძებელნი და დამცველნი არ გაუჩნდებოდნენ ნაპერწკლების სათუთობას, მათ ცეცხლათ გაღვივებას"[3].

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ პ. უმიკაშვილის პირდაპირობა და სიმართლისმოყვარულობა, მიდრეკილება ამა თუ იმ საქმის ან პიროვნების შესახებ თავისი აზრის დაუფარავად და მოურიდებლად გამოთქმისა. მაგრამ ამაზე სჯობს მის ბიოგრაფსა და ახლო მეგობარს პროფ. ფ. გოგიჩაიშვილს მოვუსმინოთ. იგი წერს: „თავის დღეში სხვის მოტყუებას არ

---

1 მიხ. ზანდუკელი, პეტრე უმიკაშვილის ოთხი წერილი ეკატერინე გაბაშვილისადმი, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, I, 1941 წ., გვ. 61—62.

2 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. II, 1964 წ., გვ. 19—20.

3 საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი. ფ. 17020.

მოინდომებდა (პ. უმიკაშვილი — ზ. მ.) და განზრახ ცრუობას არ ეტყოდა. ადვილად არავის არ შეჰპირდებოდა რამეს, მაგრამ შეპირების შემდეგ კი აღთქმულს უეჭველად შეასრულებდა. სიმართლე და პირიანობა ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. ისე არაფერი ეჯავრებოდა, როგორც ცრუობა და ტყუილის მოლაპარაკე ადამიანი. როგორც კი ვინმეს ერთ, თუნდა სულ პატარა ტყუილს შეამჩნევდა, მერე მისი აღარაფერი სწამდა და სჯეროდა. სიმართლე და სიტყვის გაუტეხლობა მისი მთავარი მცნება იყო ცხოვრებაში"[1].

სწორედ ამიტომ იყო, რომ პ. უმიკაშვილი გულწრფელად უყვარდა ქართველ საზოგადოებას, ყველა პატივს სცემდა და აფასებდა მის უმწიკვლო მოღვაწეობას. ეს ნათლად ჩანს ილია ჭავჭავაძის იმ კერძო წერილიდანაც, რომელიც 1890 წლის 31 მარტს მიუწერია პ. უმიკაშვილისთვის. ილიას წერილში ვკითხულობთ: „ძმაო პეტრე! ჩემდა საოცრად მე შევიტყე, რომ შენ რაღაცაზე ხარ ჩემზე გაჯავრებული და ეს მით უფრო შესაწუხებელია ჩემთვის, რომ ვერ მომისაზრებია რა უნდა იყოს ამისი მიზეზი. შენგან მიკვირს, რომ თუ რამ მიზეზი გაქვს, აქამომდე პირდაპირ არ მითხარი. ამას თხოულობს ჩვენი დიდი ხნის მეგობრობა. თუ გიყვარდე და ჩემი მცირეოდენი პატივისცემა კიდევ შეგრჩენია, ამაღამ ჩემთან მოდი გასახსნილებლად. აქ ყმაწვილები იქნებიან, „ივერიაზე" გვექნება ლაპარაკი და მინდა, რომ შენც დაესწრო და შენი რჩევა გავიგონო. თუ სამუდამოდ ჩემი შემოწყრომა და ჩემზე ხელის აღება არ გინდა, გეხვეწები უარი არ მითხრა და უსათუოდ მოხვიდე"[2].

პ. უმიკაშვილს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე შერჩა საზოგადოებრივი საქმიანობის ხალისი. იგი სიბერის წლებშიც ახალგაზრდული გატაცებით მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, თავგამოდებით ემსახურებოდა მის წინსვლასა და განვითარებას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი მომენტი. 1904 წელს

---

[1] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. II, 1964 წ., გვ. 23.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961 წ., გვ. 40.

ახალგაზრდობის ერთ ჯგუფს განუზრახავს სერგეი მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს გამართვა და პ. უმიკაშვილისთვის უთხოვია სცენაზე წარმოსადგენი სურათის დაწერა ამ მოწინავე ჟურნალისტის ცხოვრებიდან. ისიც დათანხმებია და მაშინვე შესდგომია მუშაობას. 1904 წლის 1 მარტს ამის შესახებ იონა მეუნარგიას სწერდა: „სერგეი მესხის ნაწერების დაბეჭდვა გაუთავებიათ. აპირებენ მის მოხსენებას და ჩამციებიან სურათი სცენისათვის დაგვიწერეო... დავიწყე და გამიჭირდა კი. არ ვიცი გავათავებ თუ არა და გამოდგება თუ არა. ცოცხლების გამოყვანა ვერ იქნება კარგი, მკვდრები რო შევყარო, როგორც „სამზადისში“, ტიპიური ცოტა იქნება. ცენტრი სერგის სულის მოძრაობისა — წერტილი თვალისა — რელიეფურად სანახავი გამიძნელდა. ვნახოთ, რა გამოვა და გამოვა თუ არა ისეთი, რომ დაახასიათოს სერგეი და მაყურებელსაც არ მოსწყინდეს, ნამდვილი სურათი დაინახოს, ცოცხალი სურათი და არა მკვისე“[1].

ამ სურათის დიდი ნაწილი მან კიდეც დაწერა. მაგრამ ვერ მოასწრო მისი მთლიანად დასრულება[2].

პ. უმიკაშვილი გარდაიცვალა 1904 წლის 25 მაისს (7 ივნისს). მადლიერმა ქართველმა საზოგადოებამ დიდი პატივი სცა განსვენებულს. ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა ნეკროლოგები და წერილები, სადაც გარკვევით იყო აღნიშნული ამ ჩუმი, უპრეტენზიო საზოგადო მოღვაწის თვალსაჩინო დამსახურება ქართული კულტურის განვითარების საქმეში. „აი მოღვაწე, — წერდა ჟურნალი „მოამბე“, — რომელსაც სამართლიანად შეუძლია უთხრას საზოგადოებას: „ვქმენ, რაც შემეძლოო“[3]. პროფ. ალ. ხახანაშვილის მიერ მოსკოვიდან გამოგზავნილი სამძიმრის დეპეშა იუწყებოდა: „მადლობით ვიდრეკ მუხლს პეტრე უმიკაშვილის ცხედრის წინაშე. ეგ იყო ჩემი კეთილისმყოფელი მასწავლებელი, რომლის წუნდაუდე-

---

1 საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, ფ. 18712.

2 მის პირად არქივში დაცულია აღნიშნული სურათის დაუმთავრებელი ხელნაწერი (იხ. საქმე 5, დოკუმ. 12—16).

3 „მოამბე“, 1904 წ., № 5, გვ. 165.

ბელი, უანგარო და ვრცელი მოღვაწეობა ყველამ უწყის"[1].

28 მაისს ქართველმა მწერლებმა და თეატრის მუშაკებმა პ. უმიკაშვილის ცხედარი გამოასვენეს მისი ბინიდან და ზაქარია ფალიაშვილის ხოროს თანხლებით წაასვენეს ქართველ კათოლიკეთა კუკიის სასაფლაოზე. დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო. აკაკი წერეთელმა ლექსით დაიტირა ქართული კულტურის დაუღალავი მოჭირნახულე:

იმ თავიდან ამ ბოლომდე
სულ სწორი გზით მიმავალი...
გაქრა, ვისაც საამქვეყნო
მოხდილი აქვს წმინდა ვალი.

თაყვანსა ვსცემ და ვადიდებ!..
იმას ვეტყვი „მამულიშვილს",
საეროვნო ტრაპეზზე ვინც
უბიწოდ სდებს მცირესაც წვლილს.

რაც კი შესძლო, სულით, გულით,
მოგვაწოდა მოძმეთ საზრდო
და სამშობლოს სიყვარული
საანდერძოდ ჩვენ წინ დასდო.

ჩვეულებრივ მაღალ სიტყვით
არ ვადარებთ მზე და მთვარეს!..
ვერც შევამკობთ ოქრო-ვერცხლით
მაგის კუბოს და სამარეს!..

სულ ფუჭია!.. სათვალთმაქცო
გვირგვინები და დიდება.
ვინც ღირსია, თავის-თავად
ღვაწლი შუქად დაადგება!

და შენც, ჩვენო საყვარელო,
სახსოვარო ძმაო პეტრე!
აქ ყველასთან ვალმოხდილმა
იქ წინაპართ შეგვაევედრე,

[1] „ივერია", 1904 წ., № 123.

რომ ჩაგვბერონ მაღლით ძალი
ჩვენ აქ, დღეს გულგატეხილებს
და გვასწავლონ სამშობლოსთვის
თავდადება შვილის-შვილებს[1].

1946 წლის 30 ნოემბერს პ. უმიკაშვილის ნეშტი კუკიის სასაფლაოდან გადასვენებულ იქნა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

---

1 ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1954 წ., გვ. 101—102.

პ. უმიკაშვილის პუბლიცისტური წერილები

პ. უმიკაშვილის პუბლიცისტური წერილები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ საჭირბოროტო საკითხებს ეხება. აღნიშნული წერილების პრობლემათა მრავალფეროვნებას, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავდა იმ ეპოქის ხასიათი, რომელშიაც გაიშალა პ. უმიკაშვილის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა და რომელიც სავსეა თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოვლენებით.

პ. უმიკაშვილის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა იწყება გასული საუკუნის 60-იანი წლების მღელვარე ეპოქაში, როცა ცხოვრების განვითარების ობიექტურმა კანონზომიერებამ მთელი სიმწვავით დააყენა საკითხი დრომოჭმული ბატონყმობის აუცილებელი გაუქმებისა და ახალი, კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის დამკვიდრების შესახებ. სწორედ ამ პერიოდში მოხდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ეკონომიური გაერთიანება და ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების ისტორიული პროცესის დამთავრება, რასაც თან მოჰყვა მთელი ქართული კულტურის მძლავრი აღმავლობა. ეს პერიოდი აღინიშნა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობით, რამაც მკვეთრი გარდატეხა მოახდინა მთელ იდეურ ცხოვრებაში და ხელი შეუწყო პროგრესული საზოგადოებრივი ძალების ამოძრავებას.

პ. უმიკაშვილის მსოფლმხედველობა, ისევე როგორც 60-იანი წლების სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებანი, რაზნოჩინელთა მოწინავე იდეების უშუალო ზეგავლენით ჩა-

მოყალიბდა. მას კარგად ჰქონდა შეგნებული მოწინავე რუსული ლიტერატურის კეთილნაყოფიერი გავლენა ქართული ლიტერატურის განვითარებაზე. ამის შესახებ იგი წერდა: „დაწინაურებულის რუსის მწერლობის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ჩვენი მოზარდი თაობა. უნივერსიტეტის სტუდენტობა შეექმნა მას წინამძღოლად 1860 წლიდან მოყოლებული და იმ დროს გამოღვიძებული აზრები დაედვა საფუძვლად ჩვენს მწერლობას. ამან მისცა ღონე მწერლობას და ბეჭდვას. ამან გააფართოვა ჟურნალ-გაზეთების მკითხველთა წრე, რომელიც მანამდე მეტად ვიწრო და უმნიშვნელო იყო“[1].

პეტრე უმიკაშვილი სხვა ადგილას ასევე პირდაპირ აღნიშნავს, რომ „დროების“ და „ივერიის“ მთავარი მწერლები მესამოცე წლების რუსული ლიტერატურის გავლენის ქვეშ აღიზარდნენ“[2]. მართალია, იგი აქ თავის თავზე არ ლაპარაკობს, მაგრამ ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ თვითონაც 60-იანი წლების რუსეთის განმანათლებელთა იდეური გარემოცვის პირობებში აღიზარდა.

გამომდინარე აქედან, პ. უმიკაშვილის პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესწავლისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავითვალისწინოთ გასული საუკუნის 60-იანი წლების რუსეთის განმანათლებელთა მსოფლმხედველობის ყველაზე არსებითი თვისებები. ვ. ი. ლენინის დახასიათებით, 60-იანი წლების რუსეთის განმანათლებელთა არსებით თვისებებს შეადგენდა: სასტიკი მტრობა ბატონყმობისადმი და ყველა მისი გამოვლინებისადმი ეკონომიურ, სოციალურ და იურიდიულ დარგში; მხურვალე დაცვა განათლებისა, თვითმმართველობისა, თავისუფლებისა, ცხოვრების ევროპული ფორმებისა და საერთოდ რუსეთის ყოველმხრივი ევროპეიზაციისა; ხალხთა მასების, უმთავრესად გლეხობის ინტერესების დაცვა, იმის გულწრფელი რწმენა, რომ ბატონყმობის გაუქმებას და მისი

---

1 პეტ. უმიკაშვილი, ქართული თეატრი და ლიტერატურა, „მოამბე“, 1900 წ., № 1, გვ. 23.

2 პ. უმიკაშვილი, აზრები ლიტერატურაზე, „ივერია“, 1902 წ., № 125.

ნაშთების მოსპობას საყოველთაო კეთილდღეობა მოჰყვებოდა, და გულწრფელი სურვილი ამისათვის ხელშეწყობისა[1].

ვ. ი. ლენინი იქვე მიუთითებს, რომ „განმანათლებლები მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოჰყოფდნენ, როგორც თავიანთი განსაკუთრებული ყურადღების საგანს, ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე საერთოდ, არამედ ერზეც კი საერთოდ“[2].

ვ. ი. ლენინის ეს მითითება 60-იანი წლების რუსი განმანათლებლების არსებითი თვისებების შესახებ მთლიანად უდგება პ. უმიკაშვილის მსოფლმხედველობას. პ. უმიკაშვილი, რამდენადაც მაშინდელ პირობებში შესაძლებელი იყო, აშკარად გამოხატავდა შეურიგებელ მტრობას ბატონყმობის მიმართ. ამას ამტკიცებს მისი შესანიშნავი რეცენზია ნიკო ყიფიანის მიერ გამოცემულ „არსენას ლექსზე“[3], სადაც მოცემულია ადამიანის უფლებისა და ღირსების დამამცირებელი ბატონყმური წყობილების მკაცრი კრიტიკა (ამ რეცენზიას დაწვრილებით განვიხილავთ ნაშრომის მომდევნო თავში).

პ. უმიკაშვილისათვის რუსეთის განმანათლებელთა არც დანარჩენი თვისებები იყო უცხო და მიუღებელი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მხურვალე დაცვა განათლებისა და იმის გულწრფელი რწმენა, რომ ბატონყმობის მოსპობას თან მოჰყვებოდა საყოველთაო კეთილდღეობა, რაც წითელი ზოლივით გასდევს მის მთელ პუბლიცისტურ მემკვიდრეობას. ახასიათებდა რა გაზეთ „დროებას“, თავის წერილში — „ქართული თეატრი და ლიტერატურა (50 წლის დღესასწაულის გამო)“, — იგი წერდა: „შინაგანი მხარე გაზეთის საქმისა მთელი ჩვენი ლიტერატურის საქმე იყო. ის დრო ჩვენის საზოგადოების ძილიდან გამოღვიძების ხანა იყო ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ. საზოგადოება უნდა შეერიგებინა იმ აზრთან, რომ მთავრობისაგან კანონით დავალებული განთავისუფლება გლეხებისა შექმნილიყო საზოგადო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, 1948 წ., გვ. 626—627.

[2] იქვე, გვ. 656.

[3] მ. პეტრიძე, არსენა, „კრებული“, 1872 წ., № 7, გვ. 53—100.

ების რწმუნებად, საზოგადო მთელის ხალხის ბედნიერების და კეთილმოწყობილების აზრი ძვალსა და რბილში გასჯდომოდა; საზოგადოებისათვის უნდა შეეგონებინა, რომ კერძო ბედნიერება მთელის ხალხის ბედნიერებაზე არის დამყარებული და იქიდან წარმოსდგება. უნდა ჩაეგონებინა, რომ ყოველ საზოგადოების ცხოვრების მზრუნველობა და საზრუნველი ხალხის უმრავლესობის წინსვლაა, რომ მთელი ქართველობა ერთი ვრცელი ოჯახობაა გლეხიდან მოყოლებული თავადამდე, ღარიბიდან მდიდრამდე; რომ ამ ოჯახობაში დიდის და პატარის გარჩევა არ უნდა იყოს, როგორც ადამიანისა და დიდის საქვეყნო ოჯახის წევრისა და კეთილშობილ წოდებით თავის წამოწევას აღარაფერი მნიშვნელობა აღარა აქვს; რომ სწავლა-განათლება და ეკონომიურ ნიადაგზე შრომაა ჩვენი დაცემულის მდგომარეობის გამომაბრუნებელი. ეს დედაძარღვი გატარებული იყო ყოველგვარ წერაში წვრილის ამბებიდან მოყოლებული მოთხრობებამდე"[1].

პ. უმიკაშვილი, როგორც 60-იანი წლების რუსეთის განმანათლებელთა ტრადიციების ერთგული მიმდევარი და ქართველ განმანათლებელთა აქტიური თანამებრძოლი, სავსებით იზიარებდა „დროების" აღნიშნულ მიმართულებას. ამ გაზეთის ფურცლებიდან იგი ჯერ კიდევ 1867 წელს მიუთითებდა იმ კეთილმყოფელ გავლენაზე, რაც, მისი აზრით, ბატონყმობის გაუქმებამ და საერთო მმართველობაში გატარებულმა ცვლილებებმა იქონიეს გლეხობაზე. მის ერთ-ერთ ფელეტონში ამის შესახებ ვკითხულობთ: „შეხედეთ რა გამხდარა ჩვენი გლეხი. სულ სხვა კაცი შეიქნა: თავის თავის პატივი შეიტყო, გამხნევდა, გაჭკვიანდა. იმ ძველ გლეხს აღარ იცნობთ, ამ სამი წლის წინათ რომ გინახავთ. მუშაობს დაუდეგარივით თავისთვის, მუშაობს თავის სოფლისთვის: იმართავს პურის მაღაზიებს, შკოლებსა, გზებს იკეთებს და სოფლის ბანკის გამართვაზე ჰფიქრობს. ამაებს ჩვენ მარტო იმ ამბებზე არ ვამყარებთ, რაც ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი. სოფ-

---

[1] პეტ. უმიკაშვილი, ქართული თეატრი და ლიტერატურა, „მოამბე", 1900 წ., № 1, გვ. 19—20.

ლის ხალხში ეხლა სიცოცხლე დუღს. მნახველი გაკვირვებულია, რომ საიდგან დაიბადა ამ ხალხში ეს სიცოცხლე, ეს გონივრობა, ეს ძალა. დიდი გავლენა ჰქონდა ამაზე ყმების განთავისუფლებას, მაგრამ სოფლის თვითმმართველობაც დიდ საქმესა შვრება"[1].

ვფიქრობთ აქ კომენტარები ზედმეტია. მსგავსი ამონაწერების მოყვანა შეიძლება პ. უმიკაშვილის სხვა წერილებიდანაც. მის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში მკითხველი ადვილად შეამჩნევს 60-იანი წლების განმანათლებელთა თითქმის ყველა არსებით თვისებას. გავიხსენოთ, თუნდაც, როგორ ესმის მას მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი წერს: „დიდება შენს ძლიერებას მეცნიერებაო! შენ უნდა გაანათლო ქვეყნის სიბნელე, მტრობა მოშალო და მშვიდობა დაამყარო კაცთა შორის. რაც უნდა იჭექოს ზარბაზანმა, იმისი ძალა უნდა შეიმუსროს მეცნიერების ძლიერებითა; უნდა გადნეს და დანაცრდეს მტრობით ამართული კედელ-საზღვარი და გაიდვას სამშვიდობო ხიდი კაცთა და ერთა ბედნიერებისა"[2]. ან კიდევ: „რა საშუალებითა და იარაღითაც კი ქვეყნის ცხოვრება წინ მიდის, ჩვენი საზოგადოება მოელის მწერლობისა და თეატრისაგან"[3].

პ. უმიკაშვილს, ისე როგორც 60-იანი წლების რუსეთის განმანათლებლებს, საზოგადოებრივი ბედნიერებისა და კეთილდღეობის მიღწევის მთავარ საშუალებად შრომა და სწავლა-განათლება მიაჩნია. 1867 წელს გამოქვეყნებულ ფელეტონში იგი აღნიშნავს, რომ მეცნიერების დაუფლებისა და შრომის ჩვეულების გარეშე „დავრჩებით საუკუნოდ უძლურნი, როგორც ეხლა ვართ, და როგორც ეხლა, შემდეგაც ვერ გავცემთ პასუხს ცხოვრებისაგან მოტანილ კითხვასო". „სამწუხარო და დამაღონებელი ის არის, — ვკითხულობთ მის

---

1 პ-ძე, ფელეტონი, „დროება", 1867 წ., № 52.

2 პ., მეშვიდე კრება ორიენტალისტებისა ვენაში, „ივერია", 1888 წ., № 61.

3 პეტ. უმიკაშვილი, ქართული თეატრი და ლიტერატურა, „მოამბე", 1900 წ., № 1, გვ. 1.

ერთ-ერთ წერილში, — რომ დღემდე ჩვენ კარგად არა გვაქვს გონებაში და გულში დამკვიდრებული ის აზრი, რომ ბედნიერება ცხოვრებისა, წარმატება და გაუმჯობესება, სულ თავად და თავად დამყარებულია არა მარტო რომელსამე გარეშე ნივთიერ გარემოებაზე, არამედ სულ პირველად ჩვენსავე მუდმივ მშვიდს შრომაზე". და შემდეგ: „ვაი იმ ხალხს და იმ საზოგადოებას, რომელიც თავის ცხოვრების გაბედნიერებას უმთავრესად გარეშე სასწაულთმოქმედებისაგან მოელის და არა საკუთარ მშვიდის შრომისაგან. ამისთანა ხალხი და საზოგადოება მოკლებული იქნება ცხოვრების წარმატებას, სანამ თავის წინ წამყვან ძალად არ იცნობს თავის საკუთარს მშვიდობიანს ჩიადაგ შრომასა და ჯაფასა. მიეხვდეთ და კარგად დავიხსომოთ, რომ ჩვენს წარმატებას, თვითეული ცალკე და საერთოდ ყველანი, ჯერ პირველად ჩვენის საკუთარის შრომისაგან უნდა მოველოდეთ"[1].

ამ შემთხვევაშიც მკითხველი ადვილად შეამჩნევს პ. უმიკაშვილის მისწრაფებას ყველაფერი იმისადმი, რასაც „განმანათლებლობა" ეწოდება.

მაგრამ 60-იანი წლების რუსეთის განმანათლებელთა მსოფლმხედველობის გავლენა პ. უმიკაშვილის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაზე ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მას უბრალოდ გადმოეღოს თავისი რუსი მასწავლებლების პროგრესული იდეები. საჭიროა გარკვევით ითქვას, რომ პ. უმიკაშვილის მსოფლმხედველობა არ წარმოადგენს აღნიშნული იდეების მექანიკურ განმეორებას. პ. უმიკაშვილი შესანიშნავად გრძნობდა ჩვენი ქვეყნის მაშინდელი რეალური ცხოვრების საჭიროებას და რუსეთის განმანათლებელთა აზროვნებიდან, უპირველეს ყოვლისა, იმას ითვისებდა, რაც ხელს შეუწყობდა ამ საჭიროების დაკმაყოფილებას. ამასთანავე აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ცარიზმის უხეში კოლონიური პოლიტიკის მარწუხებში მოქცეული საქართველო, ისე როგორც მეფის რუსეთის იმპერიაში შემავალი სხვა არარუსი ერები, სასტიკ ნაციონალურ ჩაგვრა-

---

1 პ., ქრისტე აღდგა!, „დროება", 1883 წ., № 78.

სა და შევიწროებას განიცდიდა. თუ რუსეთში განმანათლებელთა მსოფლმხედველობას სოციალურ-პოლიტიკური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა განსაზღვრავდა და მათი პრაქტიკული მოღვაწეობაც უმთავრესად აქეთ იყო მიმართული, საქართველოში ამ პრობლემას ემატებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პრობლემა, რომლის შინაარსსა და მიზანს ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრისა და დევნა-შევიწროების მოსპობა შეადგენდა. ქართველ სამოციანელთა აზროვნებასა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში ეროვნულ პრობლემას ყოველთვის უმთავრესი ადგილი ეჭირა და ამას შეუძლებელია თავისი კვალი არ დაეჩინა პ. უმიკაშვილის მსოფლმხედველობისათვის. სწორედ ამ ეროვნულ საფუძველზე აღმოცენდა და განვითარდა ის დაუცხრომელი პატრიოტიზმი, რომელიც ჩვენი პუბლიცისტის შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ თვისებას შეადგენდა და რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის მდიდარი ტრადიციები ასაზრდოებდა.

გარდა ამისა, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ პ. უმიკაშვილის პუბლიცისტური მოღვაწეობის 40 წლის მანძილზე არსებითი ცვლილებები მოხდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების განვითარებაში. იგი ყურადღებით აკვირდებოდა აღნიშნულ ცვლილებებს და ხანდახან იძულებული იყო ანგარიში გაეწია ზოგიერთი ახალი მომენტისათვის. ცხადია, ყოველივე ეს თავისებურ გავლენას ახდენდა პ. უმიკაშვილის პუბლიცისტურ შეხედულებებზე, თუმცა მის მსოფლმხედველობაში არ მომხდარა არსებითი გარდატეხა. პ. უმიკაშვილი სიკვდილამდე დარჩა იმ იდეების ერთგული, რომელიც მან ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში შეითვისა.

ამ ზოგადი შენიშვნების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია სწორად გავიგოთ და შევაფასოთ პ. უმიკაშვილის პუბლიცისტური მემკვიდრეობა.

ახლა გავეცნოთ თუ როგორ ესმოდა პ. უმიკაშვილს პუბლიცისტიკის არსი და დანიშნულება.

პ. უმიკაშვილის შეხედულებით, პუბლიცისტიკა „განგვი-

მარტებს, აგვიხსნის რაიმე საზოგადო ცხოვრების მოვლენას, შუქს ჰფენს, თვალნათლად დაგვანახვებს და ამის საშუალებით გვიჩვენებს სასურველია იმ გზით სიარული თუ სხვა გზით უნდა ავირჩიოთ სავალელი". ამასთანავე, პუბლიცისტიკა, როგორც საზოგადოებრივი ცხოერების ამხსნელი და განვითარების გზის მაჩვენებელი, „მაშინ არის ძლიერი, თუ მისი სიტყვა თავისთავად ჭეშმარიტი, საბართლიანი და პროგრესულია". მაგრამ პუბლიცისტიკა განსაკუთრებით მაშინ არის ქმედითი, „თუ მის სიტყვას საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო მოისმენს, თუ მის მოსაზრებას კანონმდებელი შეიწყნარებს, თუ მას მინიშებული აქვს თავისი მსჯელობისა და გამოთქმის უფლება"[1].

პ. უმიკაშვილი მშვენივრად ხედავდა, რომ თვითმპყრობელობის ბატონობის პირობებში, როცა ოფიციალური ხელისუფლება სასტიკად სდევნიდა პროგრესული აზრის ყოველგვარ გამოვლინებას, ქართული პუბლიცისტიკა სავსებით მოკლებული იყო არა მარტო ზევიდან მხარდაჭერას, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებზე რამდენადმე თავისუფალი მსჯელობის უფლებასაც. ასეთ პირობებში ქართულ პუბლიცისტიკას თუმცა არსებულ კანონმდებლობაზე პირდაპირი გავლენით არ შეეძლო თავისი „მოქმედების სისრულეში მოყვანა", მაგრამ იგი მაინც უაღრესად დიდ როლს ასრულებდა ერის მთელი საზოგადოებრივი, გონებრივი და სულიერი ცხოვრების განვითარებაში, როგორც მისი ჭეშმარიტი ინტერესების დამცველი, პროგრესის სულისჩამდგმელი და მეთაური.

პ. უმიკაშვილს კარგად ესმოდა ის მაღალი მოვალეობა, რომელიც მას, როგორც პუბლიცისტს, ეკისრებოდა მკითხველებისა და საერთოდ ქართველი ხალხის წინაშე. „ამ სტრიქონების დამწერი თავის დღეში იმ აზრისა ყოფილა, — ვკითხულობთ მის ერთ-ერთ საპოლემიკო წერილში, — რომ ყოველთვის, როდესაც ხელში კალამს იღებს, ეს კალამი უნდა რისმე

---

1 პეტ. უმიკაშვილი, ქართული თეატრი და ლიტერატურა, „მოამბე", 1900 წ., № 1, გვ. 22.

აზრსა ხსნიდეს მკითხველისათვის, უნდა ყურადღება მიაქციონოს ისეთს საგანს, რაც მკითხველის ყოფა-ცხოვრებას მცირე ნაბიჯით მაინც წინ წასწევდეს; კალამს იღებს ყოველთვის იმ გრძნობით, რომ ნათქვამისათვის პასუხისმგებელია დიდ სამსჯავროს წინაშე, რომელსაც ჰქვიან სიმართლე, ჰეშმარიტება, კეთილი და ყოველ ამასთან ერთად, მოვალედ ჰხდის თავის თავს ჩვენის ერის ისტორიულს საჭიროებას, დროთა მოთხოვნილებას ემორჩილებოდეს. ჰეშმარიტი მწერლის ვალდებულება დიდი ვალდებულებაა, რომელსაც თითონ თავისის ნებით კისრულობს და ამიტომ იმას ყოველთვის უნდა ახსოვდეს თავისი ამორჩეული საგანიც, იმისი გზაცა და იმისი მნიშვნელობაცა ერის ისტორიულ წინსვლაში და წარმატებაში, თუ უნდა, რომ იმის ნაწერსა და ნათქვამს სიცოცხლე ჰქონდეს"[1].

ახლა ვნახოთ, როგორ ემსახურებოდა პ. უმიკაშვილი ჩვენი ერის ზემოხსენებულ ისტორიულ საჭიროებას.

როგორც ცნობილია, ბატონყმობის გაუქმებამ საგრძნობლად დააჩქარა საქართველოს ეკონომიური ცხოვრების აღმავლობა კაპიტალიზმის განვითარების საფუძველზე. 70-იანი წლებიდან ჩვენში სულ უფრო მრავლდება ფაბრიკა-ქარხნები, ვითარდება სამთამადნო მრეწველობა, იწყება რკინიგზების გაყვანა, ფართოვდება აღებმიცემობა, სწრაფად იზრდება ქალაქის მოსახლეობა და სხვ. ამან თავიდანვე მიიპყრო პ. უმიკაშვილის ყურადღება. იგი ნათლად გრძნობდა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების საჭიროებას, როგორც ქვეყნის წინსვლისა და წარმატების უაღრესად მნიშვნელოვან პირობას.

პეტრე უმიკაშვილი, ჯერ კიდევ 1872 წელს, მირზოევის საფეიქრო ფაბრიკის შესახებ გამოქვეყნებულ მოკლე ინფორმაციაში აღნიშნავდა, რომ „ჩვენი მხრისათვის ძვირფასი რამ არის ფაბრიკის გამართვა და სამწუხარო იქნება, რომ ამ საქმეს დაბრკოლება რამე მიეცესო". ხოლო 1886 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ფელეტონში რკინიგზის მნიშვნელობა-

---

[1] პ., დავით მიქელაძის პასუხი, „ივერია", 1889", წ., № 131.

ზე წერდა: „რა კარგი სახეა მოძრაობისა ეს რკინის გზა! მან შესძრა ჩვენი მძინარე ქართლი და უმეტესად გამოაფხიზლა მღვიძარე იმერეთი. ისტორიის გარუმოებით დამდგარი და დაგუბებული ჩვენი ცხოვრება მან უნდა გაამხნეოს და გამოაღვიძოს. მან უნდა ჩანერგოს ყოველ სულდგმულში აზრი, რომ სრბოლა, სიარული არის ცხოვრების წესი: იარე და წინ წადი, იარე და წინ წახვალ! ჯერ ათიოდ წელიწადს არ გაუვლია. რაც ეს ორთქლმავალი მუშაობს და ახლავე ეტყობა ქართლს გამოფხიზლება. მერმისი თავისას იზამს და წინსვლა უნდა დაეტყოს“[1].

აღიარებდა რა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების აუცილებელ საჭიროებას, პ. უმიკაშვილს გულწრფელად სურდა, რომ ამ გზით მოპოვებული სიმდიდრე ისევ საქართველოში დარჩენილიყო და მისი წინსვლის საქმეს მოხმარებოდა. როცა 90-იანი წლების მიწურულში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება ჭიათურის მარგანეცზე, იგი დაბეჯითებით აღნიშნავდა, რომ „საჭიროა ჩვენში აღმოჩენილ სიმდიდრეს ჩვენივე ხალხი დაეპატრონოს, თავისი სარგებლობისათვის ამუშაოს და ხელიდან არ გაუშვასო“.

მაგრამ პ. უმიკაშვილი ნათლად ხედავდა, რომ საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობაში მეტწილად უცხოეთის კაპიტალი ბატონობდა, ხოლო ეკონომიურად სუსტი ეროვნული ბურჟუაზია ვერ უწევდა მას აქტიურ წინააღმდეგობას. სწორედ ამით იყო გამოწვეული მისი სიტყვები: „ქართველ საზოგადოებას აკლია ესრედ ცნობილი შუა წოდება, ანუ, ჩვენებურად რო ვთქვათ, ვაჭარ-მრეწველთა, მოქალაქეთა წოდება, რომელსაც ყველა ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში დიდი ღვაწლი შეუტანია და ჩვენს საუკუნეში დაწინაურებულს ქვეყნებში დღეს მბრძანებელია ერის ეკონომიურისა და სულიერის ცხოვრების ტრიალისაო“[2].

პეტრე უმიკაშვილი, ერთი მხრივ, გრძნობდა ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისა და კაპიტალისტური ურ-

---

1 ანჩხატელი, საუბარი ვაგონში, „ივერია“, 1886 წ., № 20.

2 პ,. დასაწყისი განახლებისა, „ივერია“. 1890 წ., № 224.

თიერთობის დამკვიდრების აუცილებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, იმასაც ნათლად ხედავდა, თუ რა მანკიერება ახასიათებდა ექსპლოატაციისა და მოგების თავისუფლებაზე დამყარებულ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ამას ადასტურებს მისი წერილი „საქართველოს მატიანე“ („ივერია“, 1877 წ., № 13), სადაც მოურიდებლად ააშკარავებდა ბურჟუაზიის არსებით თვისებას — ფანატიკურ მისწრაფებას მაქსიმალური მოგებისაკენ. ამ წერილში იგი მკითხველს აცნობდა თბილისის საფეიქრო ფაბრიკის მეპატრონე მირზოევის განუსაზღვრელ თვითნებობას მუშების მიმართ. მოგების ჟინით შეპყრობილი ფაბრიკანტი მუშებს ხელფასს უკლებდა და უწყალოდ ერეკებოდა ქუჩაში, რასაც აღნიშნული ფაბრიკის მუშათა დიდი გაფიცვა მოჰყვა (1872 წ.).

ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეებს ამ მხრივ არც ვაჭრები ჩამორჩებოდნენ. „ყველა, დიდი და პატარა ხედავს, — წერდა პ. უმიკაშვილი, — რომ როგორც ვთქვი, ზოგ უბედურებას ვარდა, ვაჭრები სიხარბით და ქონების შეძენისათვის ავაზაკობით სხვას ქონებას სტაცებენ. თითონ მტაცებელმა, კოტრმა კაჭარმა იცის, რომ ის სხვის ქონების ქურდია, მტაცებელია, კაცის დამღუპველია“[1].

პ. უმიკაშვილის აზრით, კაპიტალისტური ურთიერთობის დამკვიდრება-განვითარების კვალობაზე საზოგადოებაში იზრდება „აღვირაწყვეტილი სიხარბე და ადვილად გამდიდრების სურვილი“, მრავლდებიან „ყალბი ფულის გამსაღებლები, დუქნების დამწველები, ძალით და უნებურად კოტრები“, „მამულების გამყიდველები, დამგირავებლები, მადნის მძებნელ-მყიდველები“, „სხვის შემჭმელი, დამქცევი და ჯაფის, მონაგარის დამღუპველნი“. „იმისთანა ხალხში, საცა ერთმანეთის ნდობა აღარ არის, — ეკითხულობთ მის ერთ-ერთ ფელეტონში, — საცა მინდობილი ცარიელზე რჩება და სანდოთ ჩათვლილი კაცი არამზადობს, იქ არც მდიდარს უნდა ჰქონდეს იმედი დიდხანს მდიდრათ დარჩენისა. დღეს-ხვალ ერთი არამზადა გამოჩნდება და ისეთ ეშმაკობას ჩაიდენს, რომ ათიოდ

---

[1] ანჩხატელი, საკვირაო საუბარი, „დროება“, 1880 წ., №: 38.

მდიდარს ცარიელზე დასვამს... ერთის მხრით ეს ერთმანეთის უნდობლობა, დაუნდობლობა და ზოგი კიდევ სხვა გარემოება და მეორეს მხრით ადვილათ სიმდიდრის შეძენის სურვილი არის მიზეზი, რომ მრავალს გული აუფანცქალა და სული ამოხუთა. ეს დაუნდობლობა და ადვილათ გამდიდრების სურვილი იქამდის მივიდა, რომ განგებ დუქნებისა და სახლების დაწვა პატრონებისაგან იშვიათ საქმეთ აღარა სჩანს და ხელობათ გამხდარა, სხვის ფულის შეპმა, აშაზე დგომა, ყალბი ბილეთების მოფენა, დამოჯნებში საქონლის გამოპარება და ამით სხვა ვაჭრების დამხობა, უზომოთ გაძვირება საქონლისა, სასწორ-საზომის გამრუდება, ამას სულ ეხლა მარჯვობა, ხერხიანობა, გამჭრიახობა, ყოჩაღობა ჰქვიან"[1].

მიუხედავად ამისა, პ. უმიკაშვილი მაინც მხარს უჭერდა ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას, რადგანაც მაშინდელ პირობებში ვერ ხედავდა და, ნაწილობრივ, არც შეეძლო დაენახა ქვეყნის წინსვლისა და განვითარების უფრო პროგრესული გზა.

პეტრე უმიკაშვილის პუბლიცისტურ წერილებში განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს აგრარულ საკითხს. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგანაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო არსებითად ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო. თუმცა ბატონყმობის გაუქმებამ საგრძნობლად დააჩქარა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, 1897 წლის აღწერის მიხედვით მოსახლეობის ძირითადი მასა მაინც ჯერ კიდევ სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. ამიტომ აგრარული საკითხის გადაწყვეტას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების წინსვლისათვის. ამით აიხსნება ის შეუნელებელი ინტერესი, რომელსაც 60—70-იანი წლების მოწინავე ქართველი ინტელიგენცია და მათ შორის პ. უმიკაშვილი იჩენდა აღნიშნული საკითხის მიმართ.

პ. უმიკაშვილი კარგად ხედავდა, რომ საგლეხო რეფორმის შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობაში შეუჩერებლად

---

1 ანჩხატელი, საკვირაო საუბარი, „დროება", 1880 წ., № 43.

ირღვეოდა ფეოდალური წარმოების საფუძველი — მიწის მემამულური საკუთრება და გზას იკაფავდა წარმოების კაპიტალისტური წესი. იგი მხარს უჭერდა სოფლად ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებას, მაგრამ ამავე დროს მწვავედ განიცდიდა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში უცხოეთის სავაჭრო კაპიტალის შემოჭრას. მას მტკიცედ სწამდა, რომ ქართველი ხალხის მიწა-წყალს თუ უცხოელი ვაჭარი დაეპატრონებოდა, ეს გამოიწვევდა მეურნეობის დაქვეითებას, გლეხობის სიღატაკის გაძლიერებას და საერთოდ ჩვენი სოფლის გაჩანაგებას. ამიტომ პ. უმიკაშვილი, უწინარეს ყოვლისა, იმაზე ამახვილებდა ყურადღებას, თუ რა საშუალებით შეიძლებოდა აღნიშნული საფრთხიდან ქვეყნისა და ხალხის დახსნა.

პ. უმიკაშვილის შეხედულებას აგრარულ საკითხზე კარგად გამოხატავს მისი წერილი „ჩვენი მიწა-წყლის საქმე“, რომელიც 1883 წელს დაიბეჭდა „დროებაში“ (№ 73). წერილის დასაწყისში ავტორი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ პარაზიტული ცხოვრების შედეგად ვალებში ჩაფლული ქართველი თავადაზნაურობის მამულები უცხოელი ვაჭრების ხელში გადადის. იგი წერს: „უკანასკნელ წლებში ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში ერთმა საქმემ მეტად თავი ამოჰყო: ყველამ ცხადად დაინახა, რომ ჩვენი მამულები ზოგიერთის მებატონეების ხელიდგან სხვების ხელში გადადის. ეს სხვები სოფლისავე მოსახლენი, ქართველნი თავადნი, აზნაურნი რომ ყოფილიყვნენ, ისე საფიქრებელი და სავნებელი არ იქნებოდა ჩვენის ქვეყნის მეურნეობისა, ხვნა-თესვისა და საერთოდ ცხოვრებისათვის. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ სხვა უცხო, ხვნა-თესვის შეუჩვევარ ხალხს უვარდება ხელში, რომლებზედაც ყიდიან ან ისპოლნიტელნი ლისტებით გადადის ცოლის კაბებისათვის და თვით მათის უანგარიშო ფლანგვის გამო“[1].

პ. უმიკაშვილი გარკვევით მიუთითებს, რომ ვაჭარი ხალხს „ხვნა-თესვის საქმეს არსად არ მისდევს“, „არც ერთი ქვეყანა არ იპოვება, რომ ვაჭარი მეურნეობის საქმეს წინ სწევდეს,

---

1 პ., ჩვენი მიწა-წყლის საქმე, „დროება“, 1883 წ., № 73.

სიკეთეს ჰმატებდეს“, მეურნეობის გაუმჯობესებას „ევროპაშიც კი იმათგან არ მოელიან და ჩვენ ხომ უფრო მეტად არ უნდა მოველოდეთო“. მოგების მალე მიღებას შეჩვეული ვაჭარი, მისი სიტყვით, „არ აყრის მამულს თავის თანხას, რადგანაც იცის, რომ დიდხანს მოუნდება ცდა მოგების დაბრუნებისა“. როგორც თვითონ ამბობს, ვაჭარი იმით არის დაინტერესებული, რომ „მოკლე ხანში თავისი სამუშაო თანხა დაატრიალოს კარგი მოგებით“ და ამიტომ ნაყიდ მამულებს დასამუშავებლად „ყოველთვის სოფლის ეულ. უმამულო გლეხებს აძლევს და თავისი დანახარჯის სარგებელს იმათ ახდევინებს“, თანაც „ცდილობს იაფად იყიდოს და გაცემით კი მხვნელ-მთესველ გლეხზე ძვირად გასცეს“.

პ. უმიკაშვილის აზრით, მეურნეობის წარმატება უმთავრესად დამოკიდებულია მხვნელ-მთესველზე, მაგრამ გლეხი, ვინც უშუალოდ ეწევა ხვნა-თესვას, დაინტერესებული არ არის მეურნეობის გაუმჯობესებით, რადგანაც მიწა მას არ ეკუთვნის. იგი წერს: „გლეხი კაცი, როდესაც თავის საკუთრებად არ მიაჩნია, მამულს არ გააკეთებს, კარგა არ უვლის, კარგა არ ამუშავებს, კარგა არ დაუდებს თავს, იმ აზრით, დღეს მე მიჭირავს, ტყვილად ოფლი რაში ჩაეღვარო, რომ ხვალ ხელიდგან გამომეცლებაო: ჩემი გაკეთებული მამული სხვას ჩაუვარდება და მე რაო?“[1].

„როგორ მოვახერხოთ, რომ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი სახნავ-სათესი, ვენახი, სათიბ-საძოვარი, ტყე, წყალი ისევ ქართველ მხვნელ-მთესველს დარჩეს და არ გადავიდეს სხვის ხელში?“, — კითხულობს პ. უმიკაშვილი და იქვე პასუხობს, რომ ამისათვის საჭიროა „დიდი მამულის პატრონებისაგან განაწილება თავის მამულებისა და აზნაურებზე, გლეხებზე და თვით წვრილ თავადებზე გასყიდვაო“.

პ. უმიკაშვილს მიაჩნია, რომ მამულების ამგვარი გაყიდვა და წვრილგლეხური მეურნეობების შექმნა ხელს შეუწყობს მიწათმოქმედების გაუმჯობესებას, ჭლეობას გამოიყვანს სიღატაკიდან და საერთოდ კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს

---

1 პ., ჩვენი მიწა-წყლის საქმე. „დროება“, 1883 წ., № 73.

სოფლის წინსვლასა და წარმატებაზე. იგი წერს: „სოფელს ამგვარის მამულების წერილად ყიდვით სარგებლობა ბევრი მიეცემა. ჯერ პირველად მცირე მამულიანი ან სულ უმამულო სამკვიდრებელს, ფეხმოსაკიდებელს შოულობს, მერე ამ მცირე მამულის ახალი პატრონი იმდენად ეცდება გააკეთოს, რამდენადაც კი ადგილობრივი გარემოება ნებას აძლევს და რამდენადაც პატრონს ღონე მოსდევს. მაინცდამაინც რაკი მცირე მამულიანი მხვნელ-მთესველის ბედი მიწის შემუშავებაზეა, ყოველ ღონეს იხმარებს უკეთესად გააკეთოს და მოუაროს, ვიდრე დიდი მამულის პატრონი მოვაჭრე. მოვაჭრე ან სხვებს იჯარით აძლევს ან მოჯამაგირეები ჰყავს და ამათ, რასაკვირველია, გული მაგდენად არ შესტკივათ. ამგვარად მცირე მამულის პატრონის მეურნეობა წინ მიდის და რადგანაც სოფელში მცირე მამულიანი მეტია, წარმატებაც მთელი სოფლისა წინ წავა, სიმდიდრე იმატებს, ხალხი გამრავლდება და მიწა ისე შემუშავდება, როგორც საშვილიშვილოდ საკეთილო იქნება“[1].

პ. უმიკაშვილს ამის სრულიად საწინააღმდეგო სურათი ეხატება იმ შემთხვევაში, თუ მამულები ვაჭრების ხელში მოექცა. „სულ წინააღმდეგი ემართება სოფელს, — ვკითხულობთ ზემოხსენებულ წერილში, — თუ ვაჭარმა ფეხი შეადგა. მამულების ყიდვას ერთზე არ გაათავებს, თანდათან ადიდებს, იმატებს და რაც მხვნელ-მთესველს შეეძლო ეყიდნა, ის მოვაჭრის ხელში გროვდება. მხვნელ-მთესველს სხვა ღონე აღარა აქვს, ვაჭრის მამულზე დღიურ მუშათ დადგეს. ამით ხალხი, რასაკვირველია, თანდათან გაღარიბდება და გამრავლების ნაცვლად თხელდება, მცირდება. თვით მეურნეობა ისე მიდის, რომ ვაჭარი ცდილობს, რაც შეიძლება მიწიდამ ყოველივე სარგებლობა მალე გამოიღოს, ის სახვალოდ, საშვილიშვილოდ არ ზრუნავს. ამისთანა მოვლით მამულს ღონე აკლდება, ტყე იკაფება, მთები შიშვლდება და თვით სახნავ-სათესი ადგილებიც კი ხშირად ადგილად იქცევა, როგორც ქალაქის არემარეს დამართებია ტფილისის მცხოვრებთაგან. სა-

---

1 პ., ჩვენი მიწა-წყლის საქმე, „დროება“, 1883 წ., № 73.

ძოვარი ბალახიც კი აღარ მოდის იქ, სადაც დიდი ხშირი ტყე ჰდგარა".

„აქედამ წარმოსდგება სხვა უდიდესი ვნება მთელის რო-ველისამე ქვეყნისათვის, რადგანაც ეცემა მხვნელ-მთესველობა და მეურნეობა, მცირდება ხალხის რიცხვი, თვით ხალხი ღარიბდება და საზოგადო კეთილდღეობა წარმატების ნაცვლად უკუღმართად მიდის. როგორც ერთის მხრით, ოჯახობა ირღვევა და იღუპება, მეორეს მხრით, იმავე ქვეყნის ხალხი იმგვარად იშლება და იღუპება"[1].

პ. უმიკაშვილს მიაჩნია, რომ ცხოვრების ეს უკუღმართობა კიდევ უფრო მწვავე ფორმებში ვლინდება და „უმეტესად სთრგუნავს ხალხს, როდესაც მამულები უვარდება სხვა სარწმუნოების, სხვა ტომის, სხვა ჩამომავლობის" უცხოელ ვაჭარს, რადგანაც ამ შემთხვევაში გლეხების სოციალურ ექსპლოატაციას ემატება მათი ეროვნული ჩაგვრა.

„მამულების დანაწილებით სოფლისავე გლეხებზე და თავადაზნაურებზე, — დაასკვნის პ. უმიკაშვილი, — როგორცა ვთქვით, სარგებლობას მოუტანთ თვითონ ჩვენ თავსაც, ჩვენა სოფელსაც და ჩვენ საერთო დედა-საქართველოსაც. ეს ღონე ერთი ღონეთაგანია, რომელიც ჩვენს ნებაყოფლობაზე და კაი კაცობაზეა დამოკიდებული. გამოვიჩინოთ გონიერება და კეთილი განზრახვა, გამოვიჩინოთ, რომ ჩვენი საკუთარი სარგებლობის ანგარიშიც შეგვიძლია და შევაერთოთ ეს ანგარიში და სარგებლობა დედა-ქვეყნის სარგებლობასთან და ანგარიშთან"[2].

როგორც ვნახეთ, პ. უმიკაშვილი მოითხოვდა მსხვილი ლატიფუნდიების ნაცვლად თავისუფალი გლეხური მეურნეობების შექმნას. მას შეგნებულად სწამდა, რომ ფეოდალურ-მემამულური მიწათმფლობელობის ამგვარი გარდაქმნა უზრუნველყოფდა სოფლად საყოველთაო კეთილდღეობას. ეს უტოპიური შეხედულება წვრილბურჟუაზიული საკუთრების სრული გაუგებრობის საფუძველზე იყო აღმოცენებული და სავ-

---

[1] პ., ჩვენი მიწა-წყლის საქმე, „დროება", 1883 წ., № 73.

[2] იქვე.

სებით შეესაბამებოდა პ. უმიკაშვილის განმანათლებლურ მსოფლმხედველობას.

მაგრამ ეს განმანათლებლური იდეები საზოგადოების წევრთა „ნებაყოფლობისა და კაი კაცობის“, „გონიერებისა და კეთილი განზრახვის“ საფუძველზე აგრარული ურთიერთობის შშვიდობიანი მოწესრიგებისა და სოფლად საყოველთაო კეთილდღეობის დამყარების შესახებ 80-იან წლებში უკვე აღარ შეეფერებოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ვითარებას. მიუხედავად ამისა, პ. უმიკაშვილი ბოლომდე ერთგულად იცავდა აღნიშნულ იდეებს და დაბეჯითებით ქადაგებდა წვრილი მეურნეობების შექმნის საჭიროებას, როგორც მიწათმოქმედების გაუმჯობესებისა და სოფლის წინსვლის უმთავრეს პირობას. ამას ადასტურებს მისი ვრცელი ფელეტონი „საუბარი ვაგონში“, რომელიც 1886 წელს დაიბეჭდა „ივერიაში“ (№№ 20, 21, 22, 23).

დასახელებულ ფელეტონში პ. უმიკაშვილი უფრო აღრმავებს თავის განმანათლებლურ შეხედულებას აგრარულ საკითხზე და ერთ-ერთი მგზავრის პირით აცხადებს: „თავადაზნაური თუ არის ვინმე შეძლებული, ესე იგი უჭირველის ჯერის მჭამელი, უეჭველად პატარა მამულის პატრონი იქნება, ჭლეხისოდენა მამულისა. ისიც გლეხად ჩაითვლება, იმიტომ, თითონ უბრალო მუშასავით მუშაობს, თითონვე თავს ადგია თავის მუშებსა, თვალყურის დამჭერიც თითონვე არის, რა საკვირველია, რომ გაკეთდებოდაო“[1].

ეს სიტყვები ნათლად გამოხატავს პ. უმიკაშვილის გულწრფელ სურვილს, რომ ახალ ისტორიულ ვითარებაში თავადაზნაურობამ თვითონ აიღოს ხელი თავის წოდებრივ პრივილეგიებზე, შრომაში ჩაებას და გლეხობის ბედი გაიზიაროს. ცხადია, ეს უნიადაგო ოცნება იყო, რადგანაც სინამდვილეში თავადაზნაურობა არათუ ხელს იღებდა თავის წოდებრივ პრივილეგიებზე, არამედ სასტიკად იბრძოდა ამ პრივილეგიების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

პ. უმიკაშვილს, ვიმეორებთ, გულწრფელად სურდა თავადაზნაურობის შრომაში ჩაბმა, თორემ სინამდვილეში თვითო-

---

[1] ანჩხატელი, საუბარი ვაგონში, „ივერია“, 1886 წ., № 20.

ნაც კარგად ხედავდა, რომ უსაქმობასა და სხვისი შრომით ცხოვრებას მიჩვეული ეს არისტოკრატიული წოდება სრულებით არ აპირებდა მუქთახორობისა და ფუქსავატური დროსტარებისათვის თავის დანებებას. აი, როგორ ახასიათებს იგი აღნიშნული წოდების ერთ-ერთ ტიპიურ წარმომადგენელს: „მეორე საბახურში ნამყოფ აზნაურსა ჰგავდა, რომელსაც თავი დაუნებებია, ანუ, უკეთ ვთქვათ, თავი დაუნებებინებიათ საბახურისათვის. სახე ცოტა წამოწარხლებული ჰქონდა. ეტყობოდა, ლხინის მოყვარეა და იმ ჩვენი დროის სოფლის კაცების ჯურას ეკუთვნოდა, რომელნიც არცა ხვნენ, არც მკიან. ვითარცა ფრინველნი ცისანი და ამაო წუთისოფელს საამურად ატარებენ, რასაკვირველია, ღვინის სმაში. ერთი სიტყვით, საცა კომლი მაღალია, მე იმისი მაყარი ვარო, ყველას სუფრაზე არჭვიან და ჩხუბის ბიჭები არიანო“[1].

პ. უმიკაშვილი კვლავ ენერგიულად მოუწოდებს თავადაზნაურობას, რომ გაუფრთხილდნენ ქართველი ხალხის მიწა-წყალს, უცხოელ ვაჭრებსა და ფაბრიკანტებს ნუ უგდებენ ხელში თავიანთ მამულებს. ერთ-ერთი აზნაურის სიტყვებზე — „შერცხვენილი ვიყო და ღვთისაგან დაწყეველილი, თუ მე მამული დავაგირავო ან გავყიდო, რომ ვიცოდე მომაკვდავ შვილს გადავარჩენო“, — იგი კმაყოფილებით შენიშნავს: „ეს ლაპარაკი მეტად შესანიშნავი მეჩვენა ამ ჩვენს დროში. ნეტა ვიცოდე, ვფიქრობდი ჩემ გულში, ბევრია თეიმურაზისთანა ფრთხილი კაცი მეთქი“[2].

ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ფელეტონის დასასრული, სადაც პ. უმიკაშვილი კარკვევით მიუთითებს ივ დიდ საფრთხეზე, რომელსაც სოფლად უცხოეთის კაპიტალის ექსპანსია უქმნიდა ჩვენს ქვეყანას. ერთ-ერთი მგზავრის პირით იგი ამბობს:

---

1 ანჩხატელი, საუბარი ვაგონში, „ივერია“, 1886 წ., № 21.

2 იქვე, № 22. პ. უმიკაშვილი ამ საკითხზე ხშირად ამახვილებდა ყურადღებას. 1880 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ „საკვირაო საუბარში“ იგი მეტად მწვავე ტონით წერდა: „ქართველ თავადაზნაურს და გლეხს რომ მამულებს უყიდიან ვალებში და კოტრდება, გული დამშვიდებული აქვს და სვინდისი არ აწუხებს, რაცა მჭონდა წაიღო ფულის პატრონმაო, ხომ გაღ-

„ონანოვი რომ არის, ვარციხე და აჯამეთი რო დეიჭირა- მისთანებს ნახავ. შენ გგონია, ჩვენ რომ ფული არა გვაქვს, გარეთაც, სხვა ქვეყნებში ფული არ იყოს. მილიონებს ატრიალებენ, ვაჭრები არიან, ფაბრიკები აქვთ. მათთვის ერთი მილიონი მითამც არა ყოფილა. თავის სიამოვნებისათვის ნახევარ მილიონს მისცემენ და დაჩებს გაიკეთებენ აქეთ, აი შენ გვერდით. ონანოვისთანა მამულებს კი არა, მასზე უკეთესებსაც. ჩვენი დაგირავებული მამულები, ბანკში იქნება თუ ისე, ვისმე ხელში, სულ მათ დარჩებათ, წავა. მოხვალ ჩემო გრიგოლ და ნახავ ოც-ორმოც წელიწადში აქ ჩამწკრივებულ დაჩებს

— მაშ, შენის ფიქრით, ჩვენი მამულები ვიცხა მოსულ ფრანცუზს თუ ნემეცს ჩაუვარდება ხელში და ჩვენ კი ცარიელები დავრჩებით რაღა? — ჰკითხა ყოყმანობით პირველმა მოსაუბრემ.

— ჩაუვარდება, შენ არ მომიკვდე. მოვა შენი შვილი და შვილიშვილი მაჲთან მუშად, თუ ჩვენ თავს ეხლავ არ ვუპატრონებთ და საქმე მაგრად არ დავიჭირეთ, — უთხრა მოჭიკჭიკემ.

— თუ არ გავყიდი მამულს და არ დავაგირავებ, რად გავხდები აგრე?

— ძალიან ეშვი მაქვს. ფაიტონები რომ ვიყვარს და ლხინი რო დაჩვეულხარ, დაგახარბებს ფულს. ას ოუმნიან მამულში ორასს მოგცემს და გეიკეთებს დაჩებს. განა მე კი არ ვიცი,

ვიხადეო. იმას თითქოს თავისი თავი პირნათლათ გამოსული ჰგონია. ვაჭარსავით თავის გულში, თავის სვინდისის წინაშე თავის დანაშაულს არა ჰგრძნობს. აი აქ არის ჩვენი უბედურება და ჰკუის სიმოკლე... გონების, ჰკუის კოტრობა აქა ჩნდება. თუკი ის გვესმის, რომ ვალს გადახდა უნდაო, ხერხი უნდა ვიხმაროთ, სიმარჯვე გამოვიჩინოთ. გამჭრიახეთ მოვიქცეთ, რომ ვალებიც მოვიშოროთ და სარჩო-საბადებელი, მამაპაპის სისხლით გაჟღენთილი მამულიც შევინარჩუნოთ. ჩვენ კი გაგვიჭირდებია ვალების კრეფა და მიცემისათვის არა ვზრუნავთ. რაკი ვალის გადახდას არ ვიზრუნებთ ისე, რომ პირნათლად სხვასთანაც გამოვიდეთ და მამულიც არ გაგვეყიდოს, ეს რით არის ნაკლები ტაცობაზე, ქურდობაზე და კოტრობაზე? აქ, მგონია, განსხვავება არ არის. ამ ქართველობის კოტრობაში გონების, ჰკუის, სწავლის კოტრობა ჩანს. გონება შორს არ ხედავს, ჰკუა არ გვიპრის და სწავლა გზას არ გვიჩვენებს“ (ანჩხატელი, საკვირაო საუბარი, „დროება“, 1880 წ., № 38).

თუ კაცი კაცობს, სიხლით მოპოვებულ მამა-პაპის მამულს ქანგიან ფულზე არ გასცვლის, მაგრამ ვინ იცის, ბევრი კი ვართ ამისთანა?“[1]

ეს დიალოგი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ პ. უმიკაშვილისათვის, ისე როგორც თერგდალეულთა მთელი თაობისათვის, ნიშანდობლივია აგრარული საკითხის დაკავშირება საქართველოს ეროვნული კონსოლიდაციის ინტერესებთან. ამავე დროს პ. უმიკაშვილი აქსიომად თვლიდა, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნული კონსოლიდაცია იყო უმთავრესი პრობლემა, რომლის გადაწყვეტა უზრუნველყოფდა მთელი ქართველი ხალხის კეთილდღეობას. გამომდინარე აქედან, ყველა დანარჩენი საჭირბოროტო საკითხის და მათ შორის აგრარული საკითხის გადაწყვეტაც, მისი აზრით, აღნიშნული პრობლემის ინტერესებს უნდა დამორჩილებოდა. სწორედ ამაშია პ. უმიკაშვილის აგრარული კონცეფციის არსებითი ნაკლი, რომელსაც ჩვენი პუბლიცისტი აგრარული ურთიერთობის „კაი კაცობის“ გზით მოწესრიგებისა და წოდებათა მშვიდობიანი მორიგების აღიარებამდე მიჰყავს[2].

---

[1] ანჩხატელი, საუბარი ვაგონში, „ივერია“, 1886 წ., № 23.

[2] სხვათა შორის, პ. უმიკაშვილი ერთ ხანს მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ წოდებათა შორის კლასობრივი მტრობის შემცირებას ხელს შეუწყობდა ქართლმადიდებელი ეკლესიის მიერ სამრევლო მზრუნველობის შესახებ მიღებული დებულების განხორციელება. იგი წერდა: „ამ მრევლში და მზრუნველობაში შეერთდებოდნენ სამღვდელო და ერის კაცნი, მდიდარნი და ღარიბნი, თავად-აზნაურნი და გლეხნი... სამრევლო მზრუნველობა სოფელს შესამჩნევ წარმატებას მისცემს და ხალხს შეაჩვევს ერთად, წოდების და შეძახილების გაურჩევლად, საზოგადო საქმის გაკეთებასა, უფრო ერთმანეთში სიყვარულს ჩამოაგდებს და ეხლანდელ უპირობას, შურს, ერთმანეთის მხეცურ მტრობას, თუ სრულებით ვერ მოსპობს, რამდენადმე დაეხმარება მაინც მის შემცირებასა“ („სამრევლო მზრუნველობა“, „დროება“, 1883 წ., № 54).

ამ სიტყვებიდან აშკარად იგრძნობა პ. უმიკაშვილის მისწრაფება წოდებათა მშვიდობიანი გზით მორიგებისაკენ. აღნიშნულ შეხედულებას იგი ამეორებს თავის წერილებში: „სამრევლო მზრუნველობანი ტფილისში“, „ტფილისის ქართველობა“, „ტფილისის ქართველობა ინტელიგენცია“, „ძილია თუ ღვიძილობა“, „დ. მიქელაძის პასუხი“ („ივერია“, 1889 წ., №№ 112, 113, 114, 120, 131).

როგორც ცნობილია, 60—70-იან წლებში ქართველი ახალთაობის ინტელიგენცია ფართო პროპაგანდას უწევდა ჩვენში სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების, ასოციაციებისა და ამხანაგობა-კოლექტივების იმ საოცნებო იდეებს, რომლებიც დასავლეთ ევროპისა და რუსეთის უტოპისტ-სოციალისტებმა წამოაყენეს. ეს იდეები არც პ. უმიკაშვილისათვის იყო უცხო და მიუღებელი. ამას ამტკიცებს მისი წერილი „მალე, დროიანად და ადვილად მუშაობა“ („სასოფლო გაზეთი“, 1869 წ., № 12), სადაც ავტორი ნათლად განმარტავს მეურნეობის კოლექტიური გაძღოლის უპირატესობას და გლეხობას ურჩევს ხელი აიღოს მიწის ინდივიდუალურ დამუშავებაზე. მაგრამ კერძო მიწათმფლობელობისა და ანტაგონისტური კლასების არსებობის პირობებში, ცხადია, ეს მხოლოდ ფუჭი ოცნება იყო.

პ. უმიკაშვილი, ისე როგორც თერგდალეულთა თაობის ბევრი სხვა წარმომადგენელი, გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და აგრარული ურთიერთობის მოწესრიგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად თვლიდა სოფლის საამხანაგო ბანკების გამართვას. ამ საქმისათვის ხელშეწყობის მიზნით მან 1873 წელს „სასოფლო გაზეთში“ გამოაქვეყნა რუსულიდან გადმოკეთებული ვრცელი წერილი — „სოფლის საამხანაგო ბანკი“, სადაც დეტალურად განმარტა ამგვარი ბანკების დანიშნულება და მუშაობის სპეციფიკა.

დასახელებულ წერილში პ. უმიკაშვილი, უწინარეს ყოვლისა, იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ეკონომიურად გაღატაკებულ გლეხობას მძიმე ტვირთად აწვება და სულს უხუთავს ვაჭარ-მევახშეთა ვალები. მისი სიტყვით, „ვაჭარი ხალხი, ფულის პატრონი უსვინდისოთ წლითწლობამდინ თავის სარგებელს უმატებს და გლეხობა უფრო და უფრო ვალში შედის“. ამის შედეგად გლეხობა თანდათან უფრო ღატაკდება, რადგანაც ვაჭარ-მევახშე სულ მუქთად იგდებს ხელში მის მონაგარ ჰირნახულს.

პ. უმიკაშვილს მიაჩნია, რომ ამ ვალებიდან გლეხობის „გამოყვანა რიგიანად გამართულ სოფლის სახალხო ბანკებს შე-

უძლიათ". ამიტომ იგი დაბეჯითებით მოითხოვს ხსენებული ბანკების გამართვას ჩვენს სოფლებში. პ. უმიკაშვილი წერს: „სოფლის ბანკები ფულს პატარა სარგებლით უნდა გასცემდნენ ხოლმე. ამის გამო გლეხობა მალე განთავისუფლდება ვალისაგან და ვაჭრების უსვინდისობას გადარჩება. აი, ამიტომაც ყველა სოფლის ფიქრი და ზრუნვა ეხლა ის უნდა იყოს, რომ ყველა სოფელში ბანკი რიგიანი გაიმართოს. სოფლის გლეხკაცებმა, ღარიბია თუ მდიდარი, მამასახლისია თუ უბრალო კაცი, ყველამ, ვისაც სოფლის სიკეთე უნდა და ღარიბ გლეხობის ფეხზე წამოყენება, ეს საქმე უნდა ითავონ"[1].

როგორც ვხედავთ, პ. უმიკაშვილს სოფლის საამხანაგო ბანკების საშუალებით სურდა გლეხების სიღატაკის მოსპობა და მათი განთავისუფლება ვაჭარ-მევახშეთა ეკონომიური მარწუხებისაგან. ეს, რა თქმა უნდა, უტოპია იყო. მაგრამ ამ უტოპიურ შეხედულებაში ნათლად იგრძნობა პ. უმიკაშვილის მხურვალე მისწრაფება — დაიცვას ღარიბი გლეხების ინტერესები, იხსნას ისინი ეკონომიური სიღატაკისა და ვაჭარ-მევახშეთა დაუნდობელი ძარცვა-გლეჯისაგან.

პ. უმიკაშვილის მახვილი თვალი კარგად ამჩნევს, რომ გლეხებს, მსხვილი ვაჭრებისა და მევახშეების გარდა, უსინდისოდ ატყუებენ აგრეთვე ქალაქის წვრილი ვაჭრები, რომლებიც ხვდებიან რა ქალაქში ჩამოსულ გამოუცდელ, ზომა-წონის უცოდინარ, უსწავლელ გლეხებს, მუქთად ართმევენ გასაყიდად ჩამოტანილ ჭირნახულს. 1872 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში იგი გულისტკენით აღნიშნავს: „ვინ მოსთვლის, ზღვისოდენა ქალაქში, (გლეხების) რამდენი ტყუებაა წონაში, თვლაში, ზომაში, რწყვაში, რა თვალი ნახავს, ან რა პირი იტყვისო".

„ახლა რა ღონისძიება უნდა იხმაროს გლეხმა კაცმა, რომ ამ უსინდისობას ხელი შეუკრას და ძალა წაართვას", — კითხულობს პ. უმიკაშვილი და იქვე მიუთითებს, რომ გლეხობა მხოლოდ მაშინ გადარჩება ქალაქის წვრილი ვაჭრებისაგან

---

[1] პეტრე უმიკაშვილი, სოფლის საამხანაგო ბანკი, „სასოფლო გაზეთი", 1873 წ., № 2.

მოტყუებას, თუ ვაჭრობაში მიღებული ზომა-წონა ეცოდინებაო. ამიტომ, მისი აზრით, კარგი იქნება სოფლებმა სკოლასთან ან სასამართლოსთან იქონიონ ზომა-წონის ხელსაწყოები და „გლეხის შვილებს აჩვენონ და ასწავლონ“[1].

დაკვირვებული მკითხველი აქ ადვილად შეამჩნევს პ. უმიკაშვილის კულტურტრეგერულ მისწრაფებას, რაც ხალხოსნური იდეების გავლენით უნდა აიხსნას[2]. ამ იდეების გავლენა ეტყობა აგრეთვე მის წერილს „გადასახადი, ჯარიმა და შტრაფი მთელი სოფლისა არის“, რომელიც 1870 წელს დაიბეჭდა „სასოფლო გაზეთში“ (№ 11).

აღნიშნულ წერილში პ. უმიკაშვილი მიუთითებს, რომ სოფლის სასამართლოებში რასაც კი დამნაშავეს ჯარიმის სახით ახდევინებენ, მთელ სოფელს ეკუთვნის, სოფლის საჭიროებას უნდა მოხმარდეს, მაგრამ სინამდვილეში ჯარიმებიდან მიღებულ შემოსავალს, ისე როგორც „ბილეთისა და ბეჭდის ფულს“, მოსამართლეები, მამასახლისები და გზირები ითვისებენო. ამიტომ მას საჭიროდ მიაჩნია სოფლის სასამართლოში შემოიღონ სპეციალური წიგნი, რომელშიც ჩაიწერება აღნიშნული სახსრები. ხოლო გლეხებმა წელიწადში ორსამჯერ გასინჯონ ეს წიგნი და შემოსული ფული მოახმარონ სოფლის სკოლასა და პურის მაღაზიას, ან ღარიბ კაცს ასესხონ. ავტორის სიტყვით, „სოფლის გლეხობა ყველა ამას ყურს უნდა უგდებდეს, ყველა ურიგობას უნდა უშლიდეს მამასახლისსაც, მოსამართლესაც, ნაცვალსაც და ყველას, ვისაც ჰხედავს, კანონი და სამართალი ამას ჰოითხოვს, რომ ყველა რიგიანათა კეთდებოდეს“. მაგრამ პ. უმიკაშვილს ავიწყდება, რომ არსებულ ვითარებაში უფლებააყრილი გლეხობა შეუძლებელია კონტროლს უწევდეს სოფლის მოხელეთა საქმიანობას.

---

[1] პ., გლეხებისთვის საჭირო რამ ვაჭრობაში, „სასოფლო გაზეთი“, 1872 წ., № 24.

[2] ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა აგრეთვე პ. უმიკაშვილის წერილი „მედიატორებით დავის შემცირება“ („დროება“, 1885 წ., № 142), სადაც ავტორი, ისე როგორც რუსი ხალხოსნები, ფართო პროპაგანდას უწევს საადათო სამართალს.

გარკვეულ ინტერესს იწვევს პ. უმიკაშვილის წერილი „თერგის ხევი და მთიულეთი“, რომელიც 1882 წელს დაიბეჭდა „დროებაში“ (№ 270). აღნიშნულ წერილში ავტორი ყურადღებას ამახვილებს მოხევეებისა და მთიულების სიღარიბეზე. მაგრამ მას განსაკუთრებით ის აშინებს, რომ ამ ხალხის ეკონომიური მდგომარეობა ამიერიდან, ბაქოს რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო გაუარესდება, რადგანაც რუსეთიდან საქონლის შემოზიდვა-გაზიდვას რკინიგზით დაიწყებენ, ხოლო მოხევეებსა და მთიულებს, რომლებიც აქამდე ქირაზე სიარულით ირჩენდნენ თავს, ცხოვრების ეს უკანასკნელი სახსარიც მოესპობათ. პ. უმიკაშვილის აზრით. რაკი ამ ხალხს მთაში ცხოვრების არავითარი საშუალება არ რჩება, მიზანშეწონილია მათი გადასახლება ახლად შემოერთებულ შავშეთ-არტაანში, მაგრამ ვინაიდან ძალზე გაუჭირდებათ მამაპაპეული საცხოვრებელი ადგილის დატოვება, უჭირობესი იქნება, თუ მოხევეები და მთიულები ქვის თლასა და კალატოზობას, ე. ი. ხელობას ისწავლიან, რაც გარკვეულ სარგებლობას მოუტანთ.

ამ წერილს, ბუნებრივია, მაშინვე გამოეხმაურა ალ. ყაზბეგი. დიდი მწერალი არ დაეთანხმა პ. უმიკაშვილის მიერ დასახულ ღონისძიებას მოხევეებისა და მთიულების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ალ. ყაზბეგს მიაჩნდა, რომ ამ ხალხისათვის ყველაზე უფრო სასარგებლო იქნებოდა მესაქონლეობის განვითარება[1]. ეს წინადადება, რასაკვირველია, სავსებით შეესაბამებოდა მთის ხალხის ტრადიციულ მიდრეკილებას მესაქონლეობისაკენ, მაგრამ მაშინდელ ვითარებაში არც პ. უმიკაშვილის ზემოხსენებული წინადადება იყო უსაფუძვლო და მიუღებელი.

პ. უმიკაშვილის დაუცხრომელ ზრუნვას სოფლის მშრომელთა ბედ-იღბალზე კარგად გამოხატავს აგრეთვე მისი წერილი „ხევსურების ყოფა“ („დროება“, 1883 წ., № 78). ავტორი მწვავედ განიცდის, რომ სახნავ-სათესის სიმცირისა და

---

[1] ალ. ყაზბეგი, მოხევეებისა და მთიულების მდგომარეობა მომავალში, თხზ., ტ. V, 1950 წ., გვ. 74—80.

განსაკუთრებით უგზოობის გამო ხევსურეთი უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდნილა. „სიღარიბე და განწირული მდგომარეობა იქამდის მისულა, — გულისტკივილით ამბობს პ. უმიკაშვილი, — რომ ხალხი გამრავლებას შიშობს. როდესაც ოჯახში ორი შვილი უჩნდებათ, ცოლ-ქმარნი ღვთისა და ქვეყნისაგან დადგენილ წესს შორდებიან და შვილების მომატება უბედურებად მიაჩნიათ. ეს მდგომარეობა მეტად საზარელი რამ უნდა იყოს, რომ ადამიანს უშვილობაზე მიიყვანდეს.. როდესაც ხალხში შიშია ოჯახობის მატებისა, როდესაც ოჯახი განზრახვით ცდილობს და საკუთარის მეცადინეობით ფრთხილობს ამასა, უაღრესი უბედურება ხალხისა აღარ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა“[1].

პ. უმიკაშვილის აზრით, ერთადერთი საშუალება, რომელიც ხევსურეთს ამ აუტანელი სიღარიბისა და უკიდურესი ჩამორჩენილობიდან გამოიყვანს, ეს არის ბართან დამაკავშირებელი გზის გაყვანა. „გზა რომ ჰქონოდა, — წერს იგი, — მისვლა-მოსვლა და ვაჭრობა გახშირდებოდა. ამ აღებ-მიცემასთან გონების აღებ-მიცემა დაიწყებოდა და ხალხს მიძინებული გონება გამოუფხიზლდებოდა: მიივლ-მოივლიდა, გამოიკითხავდა, გამოსძებნიდა საბინაო ადგილსა და თავის ყოფაცხოვრებას წინ წასწევდა“.

აქედან გამომდინარე, პ. უმიკაშვილს უპირველეს საჭიროებად ხევსურეთში მისასვლელი გზის გაყვანა მიაჩნია. მისი სიტყვით, „ხევსურეთში გზის გაყვანას ერთი ისეთი უპირველესი და უაღრესი მნიშვნელობა აქვს, რომ ამჟამად სხვა საჭიროების მასთან შედარება არც კი შეიძლება“.

„რაც უნდა ხარჯი მოუნდეს ამ გზის გაყვანას, — დაასკვნის პ. უმიკაშვილი, — რაც უნდა მსხვერპლი მოიტანოს ხალხმა ამ გზის კეთებისათვის, ეს საქმე ეღირება ყოველ ხარჯათა და შრომათ“[2].

პეტრე უმიკაშვილი, როგორც თერგდალეულთა თაობის ტიპიური წარმომადგენელი, მტკიცედ იდგა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე. იგი შეუპოვრად

1 პ., ხევსურების ყოფა, „დროება“, 1883 წ., № 78.

2 იქვე.

გამოდიოდა იმათ წინააღმდეგ, ვინც ბოროტ განზრახვას იჩენდა ჩვენი ეროვნული ღირსებისა და უფლების, ჩვენი ისტორიის, ენისა და კულტურის მიმართ. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამ მხრივ მისი ვრცელი სტატია „მცირე ტომთა ენებზე“, რომელიც 1872 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ (№№ 10—11—12).

პ. უმიკაშვილის დასახელებულ სტატიაში სასტიკად იყო გაკრიტიკებული გ. კ. მუხრან-ბატონის ბროშურა „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“ (ანონიმურად გამოვიდა 1872 წელს, როცორც გაისეთ „კავკაზის“ დამატება), სადაც ავტორი იმ აზრს იცავდა, რომ აუცილებელია პატარა ერების ასიმილაცია დიდი ერების მიერ. ბროშურის ამ რეაქციულმა შინაარსმა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის საერთო აღშფოთება გამოიწვია[1].

პეტრე უმიკაშვილმა დაუნდობლად ამხილა აღნიშნული ბროშურის პროვოკაციული მიზანდასახულება და ანტიმეცნიერული ხასიათი. იგი ბროშურის ავტორს მოავონებდა, რომ „თუკი მართლაცდა საფუძვლიანად გვინდა დავასკვნათ რამე ცხოვრების შესახებ, საჭიროა თვით ცხოვრების გამოცდილების ცოდნა და შემეცნება ცხოვრების მსვლელობის მიმართულებისაო“. ამასთანავე გარკვევით მიუთითებდა ავტორის დოგმატური მსჯელობის, აზრების არევ-დარევისა და სრული ანარქიის შესახებ.

პეტრე უმიკაშვილმა სავსებით გააქარწყლა გ. მუხრან-ბატონის აბსურდული მოსაზრება მცირე ხალხთა ენების გაქრობის აუცილებლობაზე და დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ დიდი და მცირე ხალხებისა სახელმწიფოებრივი გაერთიანება სრულებით არ გულისხმობს მცირე ხალხთა ენების მოსპობას, თუ გამორიცხული იქნება ძალმომრეობა, ძლიერისაგან სუსტის დამონება. იგი გარკვევით აღნიშნავდა, რომ კაცობრიო-

[1] გ. მუხრან-ბატონი და მისი ბროშურა მკაცრად გააკრიტიკეს ილია ჭავჭავაძემ (იხ. ლექსი „რჩევა“, თხზ., ტ. I, თბ., 1951 წ., გვ. 100) და სერგეი მესხმა (იხ. „ბიბლიოგრაფია“, თხზ., ტ. I, თბ., 1962 წ., გვ. 254—259).

ბის ისტორიამ იცის მცირე ხალხთა ენების ბარბაროსული მოსპობის მაგალითები, მაგრამ „რაც ისტორიაში მომხდარა იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სულ ასე უნდა იყოსო".

პ. უმიკაშვილის აზრით, უკანასკნელ პერიოდში, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესული განვითარება გზას უკაფავს ხალხთა თანამშრომლობის დემოკრატიულ პრინციპებს, ვისაც შეუძლებლად მიაჩნია სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხების ერთმანეთში მოთავსება, მან არ იცის ახალი საუკუნეების ისტორია და საერთოდ ცხოვრების განვითარების ობიექტური კანონზომიერება. იგი წერს: „ჩვენ თვალწინ სახელმწიფოები ერთმანეთს ეკვრიან სხვადასხვა ტრაქტატებით და კონვენციებით, რადგანაცა ხედავენ, რომ ერთი და იგივე მიზან-აზრი აქვთ თუ ვაჭრობაში, თუ მისვლა-მოსვლაში, თუ ფოჩტაში და დამოუნაში, თუ სამეცნიერო საგნებში, სწავლაში და ხელოვნებაში. მუდამ წელსა ვხედავთ ამ ერთობის გახშირებასა. რას გვიჩვენებს ესენი, თუ არ წინამორბედს საქმესა ხალხების ერთმანეთთან ნამდვილ დაკავშირებისას"[1].

მაშასადამე, მრავალი ქვეყნის ხალხები თუმცა სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, ეს ხელს არ უშლის მათ თანამშრომლობას, რადგანაც, პ. უმიკაშვილის სიტყვით, „უმაღლესი ერთობა ხალხების ერთმანეთთან კავშირი ყოფილა, რომელიც წარმოსდგება ენის ერთობისაგან კი არა, არამედ საზოგადო ცხოვრების ინტერესისაგან".

პ. უმიკაშვილმა ასევე სასტიკად დაგმო გ. მუხრან-ბატონის დოგმატური დებულება იმის შესახებ, თითქოს მცირერიცხოვანი ხალხები არავითარ როლს არ ასრულებდნენ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. ამ რეაქციული დებულების საწინააღმდეგოდ იგი სწორად მოაგონებს ბროშურის ავტორს, რომ ქართველი ხალხი თუმცა რიცხვმრავალ ხალხებს არ ეკუთვნის, მაგრამ მან ისტორიული როლი შეასრულა ოსმალებისა და მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლაში და ამით დიდი ღვაწლი დასდო ევროპის ხალხებს, რომლებსაც ბარბაროსთაგან წალეკვა ემუქრებოდათო.

---

1 მ. პეტრიძე, მცირე ტომთა ენებზე, „კრებული", 1872 წ., 10 — 11—12, გვ. 23—24.

პეტრე უმიკაშვილი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ რიცხვმრავლობა კი არ განსაზღვრავს ამა თუ იმ ხალხის კულტურის განვითარების დონეს, არამედ სამოქალაქო წყობილება, ხალხის ქონებრივი და იურიდიული მდგომარეობა. „რამდენი რიცხვმრავალი ხალხები ყოფილან და არიან, — წერს იგი, — რომ წიგნიც არა სცოდნიათ და რამდენი რიცხვმცირე, რომ უმაღლესი განათლება ჰქონიათ. ნუთუ ჩენგის ყეენის და ლანგთემურის ურდოები რუსის ანუ ქართველ ხალხზე გონებით გახსნილნი იყვნენ? ნუთუ ძველი პაწაწინა საბერძნეთის ხალხის განათლება რიცხვზე იყო დამყარებული?“

„ყველა ხალხის გონებითი ძალა ხალხის უბრალო რიცხვზე კი არ არის დამყარებული, — განაგრძობს პ. უმიკაშვილი. ჯერ სიმდიდრის ქონებაზეა და მერე განაწილებაზეა. გონებითს შრომას თავისუფალი დრო, მოცლა უნდა. მოცლისათვის ღონისძიება ეპირება. მწერლებს, სწავლულებს, მასწავლებელთა, საზოგადო საქმის მკეთებელთა, რასაკვირველია, ღონისძიება უნდებათ, რომ თავიც ირჩინონ და საზოგადო საქმეც გააკეთონ. განა ამისთანა კაცები უეჭველად იმ ხალხში ჩნდებიან, რომელიც რიცხვმრავალია, თუ სხვა პატარა ხალხებშიაცა ჩნდებიან? ეს ყველა მცოდნე კაცმა იცის, რომ სწავლა და განათლება იმისთანა ხალხებშია, დიდებშიაც და პატარებშიაც, სადაც მოქალაქეობრივი განწყობილება უკეთესია, სადაც ხალხის შემადგენელ ნაწილებს შორის უფრო ადამიანური ერთობაა და სადაც მეტს მცხოვრებელს საზოგადო საქმე თავის საკუთარ საქმედ მიაჩნია“[1].

პ. უმიკაშვილი გარკვევით მიუთითებს, რომ ბროშურის ავტორი ემყარება რასობრივ თეორიას, რომლის რეაქციული არსი სავსებით გამოააშკარავა თვით ცხოვრებამო.

ასე გამანადგურებლად გააკრიტიკა პ. უმიკაშვილმა რენეგატ გ. მუხრან-ბატონის ბროშურა, რომელიც პატარა ერების მიმართ ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელებას ემსახურებოდა. ხალხთა ეროვნული თანასწორობის

---

[1] მ. პეტრიძე. მცირე ტომთა ენებზე. „კრებული“, 1872 წ., №№ 10 — 11—12, გვ. 30—31.

და მშვიდობიანი თანამშრომლობის პროგრესულ-დემოკრატიულ იდეებთან ერთად, პ. უმიკაშვილის სტატიის ღირსებას შეადგენს პუბლიცისტური სიმახვილე და მეცნიერული არგუმენტაცია. მასში აშკარად იგრძნობა ავტორის პოლემიკური ნიჭი და ნათელი აზროვნების უნარი.

სახელოვანი ჟურნალისტი ს. მესხი თვლიდა, რომ პ. უმიკაშვილის „მცირე ტომთა ენებზე“ „თავისი მიმართულებითა და აზრებით ურიგო სტატია არ არის“, მაგრამ იქვე შენიშნავდა, რომ „ეს აზრები, საუბედუროთ, ისე ნაწყვეტ-ნაწყვეტათ და უთავბოლოთ არის გამოთქმული, რომ ყოველ ღირსებას უკარგავს სტატიას და ვერც რიგიანათ არწმუნებს მკითხველს თავისი აზრების სიბეჯითეში და ბროშურის შეცდომილებაშიო“[1]. ს. მესხის ეს შენიშვნა მეტად მკაცრი და გადაჭარბებულია, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მან სწორად მიუთითა სტატიაში დაშვებულ ზოგიერთ შეცდომაზე.

პეტრე უმიკაშვილი მტკიცედ იბრძოდა საქართველოს სკოლებში ქართული ენის უფლებების დასაცავად. როდესაც 1879 წელს რუსულმა გაზეთმა „ტიფლისკი ვესტნიკმა“ განგაში ასტეხა, რომ დედაენაზე სახელმძღვანელოების უქონლობის გამო ქართული სახალხო სკოლები დაიხურებაო, პ. უმიკაშვილმა ღირსეული პასუხი გასცა ამ წინდაუხედავ გამოხდომას. იგი წერდა: „დაგვაცადეთ, ბატონებო, რამდენიმე წელიწადი და მაშინ იქნება. გქონდეთ ცოტაოდენი უფლება წარმოსთქვათ მკაცრი და უსამართლო განაჩენი.

დაგვაცადეთ, ბატონებო. ჯერ ყველა სასწავლებელში შეიტანეთ ნამდვილი გონივრული პედაგოგიის წესი, ესე იგი სამშობლო ენაზე სწავლა და ნახავთ გამოჩნდება სახელმძღვანელოები თუ არა.

თუკი სისხლის ღვრის და აოხრების დროს ქართული მწერლობა და სასწავლო მწიგნობრობა არ შემდგარა, ამ მშვიდობიანობის დროს, ყოვლად გამაცხოველებელის განათლების შუქის ქვეშ ეს ჩვენი ქვეყანა არ გაძუნწდება მუშაკი არ გამოიჩინოს. ნუ ეშვობთ.

---

[1] ს. მესხი, ბიბლიოგრაფია, თხზ., ტ. I, 1962 წ., გვ. 330.

დაგვაცადეთ. მოგვეცით ყოველგვარ პირველდაწყებით სასწავლებლებში, ყველა სასოფლო სკოლებში დედაენაზე სწავლა"[1].

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი პ. უმიკაშვილის სტატია „იოსებ მაძინი", რომელიც 1872 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში" (№ 8—9). როგორც თვითონ ამბობს, ეს სტატია შემოკლებით გადმოუკეთებია რუსულ ჟურნალში დაბეჭდილი წერილიდან — „იტალია და მაძინი" („Вестник Европы", 1869 г., №№ 1, 2, 5, 7).

დასახელებულ სტატიაში პ. უმიკაშვილი დაწვრილებით მოუთხრობდა მკითხველს იმ აუტანელი ტანჯვა-წამების შესახებ, რომელიც იტალიელმა ხალხმა უცხოელ დამპყრობთა უღელქვეშ გამოსცადა უკანასკნელი ორი-სამი საუკუნის მანძილზე. მისი სიტყვით, „როგორც საქართველოს სამეფოებში და სამთავროებში სპარსელებსა და ოსმალებს ბრძანება გაუდიოდათ, სწორედ ისე ბატონობდნენ იტალიაში ნემეცები, ფრანცუზები და ესპანელები". ამას ემატებოდა ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს შორის გაუთავებელი ბრძოლები.

იტალიელი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, პ. უმიკაშვილის აზრით, წარმატებას ვერ აღწევდა, რადგანაც იგი დაქსაქსულად სწარმოებდა: „ბოლოს იტალიის ერიც დაიღალა, — ამბობს პ. უმიკაშვილი, — და მოქანცული, მტრისგან ხელფეხშებორკილი. უცხო ქვეყნებისა სალდათებით დაჭერილი, მცირედის კაცურის აზრისათვის დასჯილი, მიეცა თავის შავს ბედსა. როგორც ბებერს ქმარს დაჰყვება მშვენიერი ახალგაზრდა ქალი სიყვარულის გამო კი არა, არამედ განწირულებისაგან და დაღალვისაგან. ორასმა წელიწადმა გაიარა, შინაური და გარეული მტრები სისხლსა სწოვდნენ ამ ხალხსა, მაგრამ ვერ მოსწოვეს. ნამდვილი მოწამეობა გამოიარა იტალიამ თავისი ნაწილების ერთმანეთთან ბრძოლაში და უცხო ქვეყნის ხალხებთან ბრძოლაში"[2].

---

1 პ. პეტრიძე, ორიოდე სიტყვა რუსულ გაზეთ „თფილისის მოამბის" აზრზე, „დროება", 1879 წ., № 153.

2 მ. პეტრიძე, იოსებ მაძინი, „კრებული", 1872 წ., № 8—9, გვ. 39—40.

ყოველივე ამის შედეგად, როგორც პ. უმიკაშვილი აღნიშნავს, იტალიაში დაეცა წარმოება და ვაჭრობა, დაქვეითდა სწავლა-განათლება, გაძლიერდა რეაქცია. იგი წერს: „სიღარიბე, უგზოობა. სიძვირე, უსამართლობა, ცარცვა და ტაცება. საწყლისა და უღონოს დაჩაგვრა, მცირე სწავლა და გაუნათლებლობა, ლიტერატურის და მწერლების შევიწროება და დასჯა თავისუფალ აზრების გამოთქმისათვის, აი ასე გამოიხატება იტალიის ყოველი ნაწილის ვითარება“.

მაგრამ, პ. უმიკაშვილის შეხედულებით, ხალხის მისწრაფება თავისუფლებისა და უკეთესი მომავლისაკენ უკვდავია. მას ვერ მოსპობს ვერავითარი ძალმომრეობა. „კაცი რაც უნდა სიღარიბეს და შიმშილს იყოს დაჩვეული, — ვკითხულობთ ზემოხსენებულ სტატიაში, — თავის თავის გაკეთების სურვილი უკვდავი აქვს. უსამართლობას რაც უნდა ფესვები გაედგას, კაცში სიმართლის გრძნობა და სვინდისი თავის დღეში არ გამოილევა, რაც უნდა კაცს აუკრძალონ და დაუშალონ სწავლა და მოფიქრება, უაზრობას ადამიანი ვერ შესძლებს“[1].

პეტრე უმიკაშვილი გაბედულად ეწევა იოსებ მაძინის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდას. იმოწმებს რა მაძინის სიტყვებს, იგი გარკვევით აღნიშნავს, რომ „ხალხი ეხლა აღარა კმაყოფილდება წვრილ-წვრილ ცვლილებასა, თხოულობს კაცობრიულს უფლებასა, სიმართლესა, კანონიერებასა და თავისუფლებასა, დამოუკიდებლობასა და ერთობასაო“. პ. უმიკაშვილი საესებით იზიარებს მაძინის რადიკალურ მოთხოვნას, რომ ქვეყანა „მეფეებისა და მღვდლებისა კი არ უნდა იყოს“, არამედ „ხალხისა, ერისა უნდა იყოს. ესე იგი ხალხმა უნდა განაგოს თავისი საქმე, თავისი ცხოვრება“. მას იქვე მოჰყავს მაძინის დებულება, რომ „ყოველნი კაცნი ღვთისა და კაცის კანონით უნდა იყვნენ თავისუფალნი და თანასწორნი. მხოლოდ რესპუბლიკური წესები აძლევენ კაცს ამ მომავალსა, რადგანაც უმაღლესი უფლება უნდა ეკუთვნოდეს თვით ხალხსა“.

შემდეგ პ. უმიკაშვილი ყურადღებას ამახვილებს მაძინის

---

[1] მ. პეტრიძე, იოსებ მაძინი, „კრებული“, 1872 წ., № 8—9, გვ. 49.

მიერ „ახალგაზრდა იტალიის“ სახელწოდებით დაარსებული ორგანიზაციის პროგრამაზე. როგორც თვითონ ამბობს, ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავდა შეიარაღებული აჯანყების გზით იტალიიდან უცხოელი დამპყრობლების განდევნას და ქვეყანაში რესპუბლიკური წყობილების დამყარებას, რისთვისაც საჭიროდ თვლიდა ხალხის პოლიტიკურ აღზრდას. ამის დასამტკიცებლად მას მოჰყავს მაძინის შემდეგი სიტყვები: „ვინც უნდა იყოს სათვითაოდ კაცი, ანუ საზოგადოება, უნდა იცოდეს მიზანი და წადილი მოძრაობისა. ვინც ხალხს სმალს აღებინებს. უნდა შეეძლოს, რომ ხალხს უთხრას რისთვისაც აღებინებს. ვინც განახლების საქმეს ხელს ჰკიდებს, უნდა სწამდეს განახლება. თუ არადა ამისთანა კაცი არის არეულობის, ანარქიის მომხდენი. ხალხი საომრად არ გამოვა, თუ არ ეცოდინება თავის გამარჯვებას ნაყოფად რა მოჰყვება“[1].

პ. უმიკაშვილის აზრით, მაძინის იდეებმა და მის მიერ დაარსებულმა „ახალგაზრდა იტალიის“ ორგანიზაციამ მძლავრი გამოხმაურება ჰპოვეს ევროპის ქვეყნებში. ამ ორგანიზაციის გავლენით შეიქმნა „ახალგაზრდა გერმანია“, „ახალგაზრდა უნგრეთი“, „ახალგაზრდა პოლონეთი“ და სხვა ფარული საზოგადოებანი, რომელთა მოღვაწეობაც იქით იყო მიმართული, რომ ყველა ხალხი ერთმანეთს დახმარებოდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

„იტალიის ხალხს თავის ქვეყნის შეერთება დიდ შრომად და სისხლად დაუჯდა, — დაასკვნის პ. უმიკაშვილი, — მრავალი დედა ატირდა. მაძინის ორმოცი წლის დაუძინარმა ბრძოლამ ნაყოფი მოიტანა. ეხლა იტალიის ხალხი და სახელმწიფო პატივისცემით იხსენიება ევროპის სახელმწიფოთაგან“[2].

იოსებ მაძინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული გრძნობისა და თვითშეგნების გაღვივებისათვის. იგი ხელს უწყობდა ჩვენი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარე-

---

1 მ. პეტრიძე, იოსებ მაძინი, „კრებული“, 1872 წ., № 8—9, გვ. 94.

2 იქვე, გვ. 127.

ბას. პ. უმიკაშვილის სტატიის დანიშნულებაც სწორედ ეს იყო.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენდა პ. უმიკაშვილი ოსმალეთის მიერ წინათ მიტაცებული ჩვენი ისტორიული მიწებისა და ამ მიწებზე მცხოვრები ქართველების მიმართ. ამას ადასტურებს მისი წერილების სერია „ოსმალოს საქართველო“, რომელიც 1877 წელს დაიბეჭდა „ივერიაში“ (№ № 8, 12, 13, 15, 18, 20, 21, 23, 44).

აღნიშნულ წერილებში პ. უმიკაშვილი იძლევა აჭარის, შავშეთის, ქობულეთის, ლივანისა და ტაო-კლარჯეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ მიმოხილვას. ავტორი უურადღებას ამახვილებს იმ ისტორიულ ერთობასა და ურღვევ კავშირზე, რომელიც არსებობს დედა-საქართველოსა და მისგან ხელოვნურად მოკვეთილ ოსმალოს საქართველოს შორის. იგი წერს: „ოსმალოს საქართველოში ერთობა სისხლისა დღევანდლამდე ახსოვთ. იციან, რომ ისინი ქართველის ტომისანი არიან, ერთ დროს საქართველოს სამეფოსთან შეერთებულნი იყვნენ და ვახტანგ გორგასლანს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს და თვით მეფე ერეკლესაც იგონებენ, თუმცა ამ უკანასკნელის მეფის დროს ჩვენგან განშორებულნი იყვნენ. ჩვეულება, ხალხის რწმუნება, ყოფაცხოვრება იგივეა რაც ქართლ-კახეთში... სარწმუნოებით ისინი მაჰმადიანები არიან, მაგრამ ჩვეულებით, ხასიათით და ენით დღესაც ქართველნი არიან თითქმის ყოველისფერში. ქართული ენა თითქმის შეუცვლელი აქვთ, შინაურობაში დღესაც დიდი და პატარა სულ ქართულს ლაპარაკობს, მიწერ-მოწერაშიაც ერთმანეთში ქართულს ხმარობენ“[1].

პეტრე უმიკაშვილის აზრით, ამ ხალხის მთავარი თვისებაა შრომისმოყვარეობა. როგორც თვითონ ამბობს, „ოჯახობა და სახლკარი კარგად და ფაქიზად მოწყობილი აქვთ“, „მთელი დღე კაცი მინდორში შეუწყვეტლად მუშაობს, დედაკაცი ოჯახში. ყმაწვილი რაკი მოჩიტდება, მაშინვე მწყემსად გადის“.

პ. უმიკაშვილი გარკვევით აღნიშნავს იმ ისტორიულ დამ-

---

[1] „ივერია“, 1877 წ., № 8, გვ. 11.

სახურებას, რომელიც საქართველოს ამ ერთ-ერთ უძველეს კუთხეს მიუძღვის ჩვენი ქვეყნის მოძალადე მტრებთან ბრძოლებში. შავშეთის შესახებ იგი წერს: „შავშეთი წარსულ დროებში დიდ შემწეობას და ვაჟკაცობას იჩენდა სპარსების და არაბების დაცემის დროს საქართველოზედ. არც ერთ მტკაველ ადგილს უომრად და თავგანწირავად არ უთმობდა მტერსა. ამის გამო ეს ვაჟკაცობა აძლიერებდა გარეშო ქვეყნებსაც და საქართველოს მეფეებს წელს უმაგრებდა“[1].

მაგრამ ეს შრომისმოყვარე და შეუპოვარი ხალხი ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ოსმალეთის უღელქვეშ მოექცა. პ. უმიკაშვილი ამხელს ოსმალეთის ბარბაროსულ-დესპოტური სახელმწიფოს კოლონიურ პოლიტიკას საქართველოდან მიტაცებული პროვინციების, კერძოდ აჭარის მიმართ. იგი წერს: „თუმცა ოსმალოს საქართველოდან შეშოსავალი კარგი აქვს ხონთქარის მმართველობასა, მაგრამ ხალხის სასარგებლოდ და მოსახმარად არ იხარჯება. მაგალითად. ზედა აჭარიდან წელიწადში შემოსავალი არის თითქმის ათასხუთასი თუმანი, დანახარჯი სულ ორას თუმნამდინ არცკია და ესეც მარტო მოხელეებზე იხარჯება. არც გზის კეთებაზე, არც შკოლების გახსნაზე, არც მართლმსაჯულებაზე და სხვა მრავალ-ჭვარ ხალხის საჭიროებაზე მმართველობა არაფერს არა ხარჯავს და ათასსამასი თუმანი თითქმის სულ სტამბოლში მიაქვს“[2]. სხვა ადგილას ვკითხულობთ: „ეს ლამაზი კუთხე საქართველოსი საკმაოდ გამდიდრდებოდა ცოტაოდენი რიგიანი გზა რომ ჰქონოდა, მაგრამ გზები ისეთი საძაგელი აქვს. რომ მარტო ცხენი თუ ივლის, თორემ ურმის ხსენება არ არის. მმართველობა ამაზე არა ფიქრობს. წყლებზედ თუ სადმე ხიდია, ისიც ძველისძველად აშენებულია, საქართველოს მეფეების დროინდელია. ამის გამო ვაჭრობა და მისვლა-მოსვლა ძნელდება“[3].

პეტრე უმიკაშვილი გარკვევით მიუთითებს აგრეთვე ივ

[1] პ. უ., ოსმალოს საქართველო. შავშეთი, „ივერია“, 1877 წ., № 18, გვ. ბ.

[2] „ივერია“, 1877 წ., № 12, გვ. 12.

[3] „ივერია“, 1877 წ., № 15, გვ. 13.

სოციალურ-პოლიტიკური უსამართლობის შესახებ, რომელსაც ოსმალთა ბატონობის ქვეშ მყოფი აჭარლები და სხვა ქართველები განიცდიან. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ხალხს სულსა ხდიან ათამდე სხვადასხვა გადასახადით, „ცხადად და მოურიდებლად სცარცვავენ“, მათ ადამიანურ ინტერესებზე კი არავინ ფიქრობს, რადგანაც ყველა „თანამდებობა ფულითა და ქრთამით იყიდებაო“. მისი სიტყვით, „ხალხი თუმცა მოსურნეა სწავლისა, ოსმალოს მმართველობა რიგიან სასწავლებელს არა მართავს, რომ სწავლა ქართულ ენაზე იყოს და მარტო მაჰმადიანი საღმთო წიგნების საკითხველად მოლები არაბული ასოების ჩათვლას ასწავლიან“.

პ. უმიკაშვილის ზემოხსენებული წერილების დანიშნულება ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროს, რუსეთ-ოსმალეთის ომთან დაკავშირებით, დღის წესრიგში იდგა საკითხი ოსმალეთის მიერ ადრე მიტაცებული საქართველოს ძველი მიწების დაბრუნების შესახებ. ასეთ ვითარებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ჭეშმარიტი სიყვარულისა და პატივისცემის განმტკიცებას იმ თანამოძმეთა მიმართ, რომლებიც ის-ის იყო თავისუფლდებოდნენ ოსმალეთის სამსაუკუნოვანი მონობიდან და თავიანთ დედა-საქართველოს უბრუნდებოდნენ. პ. უმიკაშვილის წერილებიც სწორედ ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, რაც აშკარად იგრძნობა ავტორის შემდეგი სიტყვებიდან: „მარტივი, უბრალო, წაუხდენელი და გაურყვნელია ხასიათი ოსმალოს საქართველოს ხალხისა. დავისა და ჩხუბის სიყვარული, ჭინჭყლიანობა, ერთმანეთის წაცილება, შური, გულღვარძლიანობა, მუქთამჭამელობა და ამათგან დაბადებული ათასგვარი ბიწიერება და საძაგლობა ამ ხალხში იშვიათი შემთხვევაა. პირიქით, მხნეობა, შრომისმოყვარეობა, ძმობრივი სიყვარული, ერთმანეთის შემწეობა, გულწრფელობა, პურადობა, პირობის გაუტეხლობა და ასრულება, ეს ყოველი სიყვარულის და პატიოსანი ზნის ხალხად ხდის ჩვენს დაშორებულ ძმებსა“[1].

როგორც ცნობილია, რუსეთ-ოსმალეთის ომი რუსეთის

---

[1] პ. უ., ოსმალოს საქართველო, „ივერია“, 1877 წ., № 44 გვ. 6.

გამარჯვებით დამთავრდა. ამის შედეგად საქართველოს დაუბრუნდა თავისი წინათ დაკარგული ტერიტორიის ერთი ნაწილი (აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ოლთისი). ქართველმა ხალხმა დიდი აღფრთოვანებით მიიღო ოსმალეთის მონობიდან განთავისუფლებული თავისი ძმები და მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ეკონომიური და კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებაში. პ. უმიკაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ საქმეში. ხოლო, რაც შეეხება ეგრეთწოდებულ „მუხაჯირობას“ — აჭარა-ქობულეთის ქართველობის თავისი მიწა-წყლიდან ნაწილობრივ გადასახლებას, ამის თაობაზე იგი წერდა: „გადასახლებულთა ცხოვრების შესახებ კარგი ამბავი არაფერი მოგვდის. ოსმალეთში კარგი ადგილები წინათვე დაჭერილი იყო და ვიღა დაანებებდა გადასულებსა. უმეტეს ნაწილს უტყეო ადგილები შეხვდათ და რადგანაც ცხელი ადგილები იყო, ჰაერმა დასცადა გრილს მთას შეჩვეული ხალხი. ამ მიზეზისა და აგრეთვე უცხო ადგილას მოუწყობელის ცხოვრებისა, საშმელ-სასმელის ნაკლებობისა და სიღარიბის გამო მრავალი გამოესალმა სიცოცხლესა... გასულნი დღესაც სწერენ თავის ნათესავებს და ნაცნობებს, აქ დარჩენილებს, რატო არ დაგვაბით მანდა, რატო არ მოგვკალით და რად გამოგვიშვით აქეთაო. შეჰნატრიან აქაურობას და იწერებიან: მანდაურს ფოთელს ვეყურბანეთო (ვენაცვალეთო). წუხილი და ვაება სამშობლო ქვეყნის დატოვებისა მოდის ამ შავი ზღვის პირებიდამ“[1].

პეტრე უმიკაშვილი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს საქართველოს ცარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამოძმეთა სწავლა-განათლების საქმეს. იგი მწვავედ განიცდიდა, რომ უცხოეთში გადახიზნულ ქართველებს არ დაეკარგათ თავიანთი მშობლიური ენა და ეროვნული მეობა. ამ საკითხს ეხებოდა მისი წერილი „გურჯები (ქართველები) ოსმალეთში“ („ივერია“, 1888 წ., № 21).

დასახელებულ წერილში პ. უმიკაშვილი აღნიშნავს, რომ „ყოველი ერი თავის ნათესავის ამბავს და მდგომარეობას

---

1 პ., ბათუმის ამბები, „ივერია“, 1887 წ., № 204.

ყურს უგდებს“, რადგანაც უცხოეთში გახიზნული კაცი თუმცა „მოშორებულია დედაქვეყანას, სულიერად, აზრით და ფიქრით მაინც ახლოა, ნუგეში და ზნეობრივი დახმარება მაინც ეჭირებაო“. შემდეგ იგი კონკრეტულად ეხება ოსმალეთში მცხოვრები ქართველების სავალალო მდგომარეობას. მისი სიტყვით, „ქართველი ხალხი ოსმალეთში დარჩენილია საცოდავად“, რადგანაც „ნასწავლი გურჯები და ბეგები, ჩვენი მოძმენი არას დასდევენ თავის მოძმე კაცების გაჭირვებას, იმათ სულიერ წარმატებას, იმათ სიკეთეს“. „ვისაც სწავლის გემო უნახავს, -- ამბობს პ. უმიკაშვილი, — არა ჰფიქრობს, რომ იმისი დამცირებაა, როდესაც თავის მოძმეების უსწავლელობას და სიღარიბეს არა ჰშველის“.

პ. უმიკაშვილი სასტიკად ამათრახებს იმ მუსულმან ქართველებს, რომლებსაც ევროპა მოუვლიათ, ფრანგული უსწავლიათ და მშობლიური ენა თუმცა ჯერ არ დავიწყებიათ, მაგრამ წარმოდგენა არა აქვთ ქართულ მწერლობაზე. მისი აზრით, ისინი წარმოადგენენ იმ წყალწაღებულ ინტელიგენციას, რომელმაც „სხვა ხალხის ცხოვრება და მწერლობა იცის და თავის ხალხისა, თავის გვარტომობისა არც ისტორია იცის, არც მწერლობა, არც ცხოვრება“.

„აბა რა საკვირველი უნდა იყოს ხალხის დაცემა სულიერად და ხორციელად, —წერს პ. უმიკაშვილი, — თუკი იმისი ნასწავლი შვილები თავის მოძმე ხალხში არაფერს სიკეთეს არ შეიტანენ არც სწავლით და არც ჩაგონებით, რაც იმათი ფეხზე დამყენებელია და სულის ჩამდგმელია. ყოველი კაცი პირუტყვს ემსგავსება, როდესაც თავის თავისა, თავის ნათესავისა და თავის ტომისა არა ესმის რა, არც თავის ნათესავისაგან დახმარება სურს და არც იმისთვის დახმარება უნდა. რასაკვირველია, ამისთანა კაცი და ხალხის ნაწილი სიკვდილს არ გადარჩება“[1].

გამომდინარე აქედან, პ. უმიკაშვილს მიაჩნია, რომ „ოსმალეთში ჩვენი მოძმენი დიდ უბედურებაში დარჩებიან, თუ თავს არ მოუარეს და სწავლა-ცოდნას არ მიმართეს“. ამასთა-

[1] პ., გურჯები (ქართველები) ოსმალეთში, „ივერია“, 1888 წ., № 21.

ნავე, მისი რწმენით, ოსმალეთში მცხოვრები ქართველებისათვის სწავლა-განათლება იმას კი არ ნიშნავს, რომ არაბული ან ოსმალური ისწავლონ და ყურანი იკითხონ, ვრამედ საჭიროა ქართული სკოლები გამართონ, ქართული წერა-კითხვა ისწავლონ და „თავიანთი სამშობლო ენა საკუთარი წარმატების იარაღად გახადონ“.

„ჩვენ ამას დიდის მწუხარებით იმიტომ ვლაპარაკობთ, — დაასკვნის პ. უმიკაშვილი, — რომ ყოველ კაცისათვის, ხალხისათვის სამწუხაროა, როდესაც იმისი ნათესავი კაცი და ხალხი ეცემა, ფუჭდება. ყოველი ნასწავლი და განათლებული კაცი ვალდებულია სხვებს, უმეტესად თავის მოძმეებს გზა უჩვენოს სიკეთისა და დაეხმაროს ყოველის მხრით იმის გაჭირებასა. დღეს ოსმალეთშიაც სკოლა და სწავლა დედაენაზე პირველი საჭიროებაა გურჯებისათვის და ამიტომ ამას დიდი ზრუნვა ეჭირება ოსმალეთში მყოფ განათლებულ ქართველ კაცებისაგან“[1].

ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას ემსახურებოდა აგრეთვე პ. უმიკაშვილის წერილი „ხალხის გადასახლების გამო“ („დროება“, 1883 წ., № 21). ეს წერილი გამოუწვევია გაზეთ „დროებაში“ მოთავსებულ ცნობას ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე რაჭველების დასახლების შესახებ.

პ. უმიკაშვილს ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესებისათვის საზიანოდ მიაჩნია ქართველი კაცის მიერ თავისი მშობლიური მიწა-წყლის დატოვება და სხვა ხალხის ტერიტორიაზე გადასახლება. მისი აზრით, როცა ხალხს უმიწობა ან სხვა რაიმე გარემოება აიძულებს მამა-პაპის საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას, მან ბინა იქ უნდა დაიდოს, სადაც „თავისი ტომის, თავისი რჯულის, თავისი ენით მოლაპარაკეა, სადაც მკვიდრ მოსახლეს ოჯახობა და სამუშაო ისე აქვს მოწყობილი, როგორც გადმოსახლების მოსურნეს“. ამასთანავე, ახალი საცხოვრებელი ადგილის ჰავა ნაკლებად უნდა განსხვავდებოდეს ძველისაგან. როგორც თვითონ ამბობს, „თუ ამას რომე-

[1] პ., გურჯები (ქართველები) ოსმალეთში, „ივერია“, 1888 წ., № 21.

ლიმე ტომის ხალხი გადასცდა, საშინლად დიდ და ბევრ მსხვერპლად დაუჯდება“.

პ. უმიკაშვილი მიუთითებდა, რომ თავის მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტილი და უცხო ადგილას დასახლებული ხალხი, უჩვეულო ჰავას თუ გადურჩა, ეროვნულ სახესა და ღირსებას მაინც კარგავსო. ამის დასამტკიცებლად იგი ასახელებს არჩილ მეფის დროს ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ მოზდოკსა და ყიზლარში დასახლებულ ქართველებს, რომლებმაც ორ საუკუნესაც ვერ შეინარჩუნეს მშობლიური ქართული ენა და ეროვნული მეობა. გამომდინარე აქედან, პ. უმიკაშვილი დასკვნის: „ძველი საქართველოს მიწა-წყალი ფართოა, იგი შეიცავს ტფილისის, ქუთაისის და ბათომის გუბერნიას, აფხაზეთს, არტაანის ოკრუგს, ყარსის გუბერნიისა და ზაქათალის მაზრის ნაწილს. ამ საზღვრებში ბევრი ცარიელი ადგილია და ქართველ ხალხს არ ეჭირება სხვა ხალხებში გადასვლა და მისი შევიწროება. საქართველოდან ყოველ გადამსახლებელს შეუძლია თავის ძველ მოსახლების შესაფერი ადგილი მოიპოვოს საქართველოსავე ნიადაგზე, დასატევი ადგილი მოიპოვება. თუკი ამ ადგილს ოთხი მილიონი ქართველობა ესახლა თამარ დედოფლის დროს, ამ რვაასი წლის წინათ, ნუთუ მილიონ-ნახევარს დღეს დარჩენილ ქართველობას ვერ შეუძლია მოთავსდეს. ნახეთ, კარგა მონახეთ, რამოდენა ცარიელ და უშენებელ ადგილებს იპოვით ტფილისის, ახალციხის, ახალქალაქის უეზდებში, აფხაზეთის და არტაანის მაზრებში... ისტორიული მაგალითი, მწარე მაგალითი წინ გვიდევს და მისი განახლება საზოგადოების ზიანია. რაჭველების და საზოგადოდ ქართველების წახალისება კავკასიის მთის ჩრდილოეთისაკენ გადასახლებისა მძიმე გარდამავლობითი ცოდვა იქნება ორი ხალხის წინაშე, წინაშე გადასახლების მოსურნისა და წინაშე იმ ხალხისა, რომელშიაც ბინის ჩაგდება სურთ მიმსელელთ“[1].

ამავე საკითხს ეხებოდა პ. უმიკაშვილის წერილი „დასახლებისათვის ცარიელ ადგილებზე ცნობის შეკრება“ („დროება“, 1883 წ., № 48), სადაც ავტორი წინადადებას იძლეოდა,

---

1 პ., ხალხის გადასახლების გამო, „დროება“, 1883 წ., № 21.

რომ ჟურნალ-გაზეთებს გამოექვეყნებინათ ზუსტი ცნობები საქართველოს დაუსახლებელი ადგილების შესახებ, რაც, მისი აზრით, უმიწაწყლო ქართველ გლეხობას გაუადვილებდა საცხოვრებელი ადგილის მოძებნას თავისი ქვეყნის ფარგლებში და ხელს შეუწყობდა წინათ გავერანებულ ადგილებში ხალხის დასახლებასა და ცხოვრების აღორძინებას. „დარწმუნებული ვართ, — წერდა პ. უმიკაშვილი, — რომ ეს ცნობები დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს მხარეს, თვით მამულის პატრონებს და გლეხობას, აშენდება აოხრებული, დაცლილი ადგილები, გაღვივდება ცხოვრება, მხვნელ-მთესველობა, აღებმიცემა, ხალხი იმატებს და გააცოცხლებს ეხლანდელ მიყრუებულ ადგილებს“.

ზრუნავდა რა საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე, პ. უმიკაშვილი ამავე დროს აქტიურად გამოდიოდა ნაციონალური კარჩაკეტილობისა და შეზღუდულობის წინააღმდეგ. ყოველი ღონისძიებით ცდილობდა ქართველი ხალხის მშვიდობიანი თანამშრომლობისა და მეგობრობის განმტკიცებას სხვა ხალხებთან. საგულისხმოა ამ მხრივ მისი წერილი „ქართველები და სომხები“, რომელიც 1889 წელს დაიბეჭდა „ივერიაში“ (№ 123).

დასახელებულ წერილში პ. უმიკაშვილი სავსებით ეთანხმება სომხურ გაზეთ „მშაკის“ ფურცლებზე გამოთქმულ მოსაზრებას — ამიერკავკასიის ხალხები ერთნაირ მდგომარეობაში ვართ, საზოგადოებრივ-ეკონომიური ინტერესებიც ერთნაირი გვაქვს, ამიტომ მწერლობის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ერთმანეთის ცხოვრებისა და ვითარების გაცნობასო. ავტორი კმაყოფილებით მიუთითებს იმ ურთიერთპატივისცემასა და მეგობრობაზე, რომელიც ამიერკავკასიის ხალხებს შორის არსებობს. იგი წერს: „ჩვენს კავკასიის ხალხებში, თუ განათლებულ და დაწინაურებულ კაცებში და თუ უანბანო, უსწავლელ გლეხობაში, საკმაოდ გავრცელებულია აზრი, რომ ყველასათვის სასარგებლოა ერთმანეთის კარგი მეზობლობა და მშვიდობიანი ცხოვრება. შეგვიძლია ბეჯითად ვთქვათ, რომ ჩვენი ხალხების შეგნებამ ამ საკეთილო აზრამდე მიაღწია. ეხლა ვგონებ ძალიან მიყრუებულ ხევხუვში და მიყ-

რუებულ კაცებშიაც აღარ იყოს ნატამალი ძველის ისტორიულის ბძარვისა და მტრობის სურვილისა სხვა მეზობელ ტომის ხალხთან"[1].

პ. უმიკაშვილის აზრით, ქართულ მწერლობას მცირე ღვაწლი როდი მიუძღვის ჩვენსა და მეზობელ ხალხებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარების საქმეში, მაგრამ მისი ჭეშმარიტი მოვალეობაა უფრო გარკვევით ახსნას ამ ურთიერთობის კონკრეტული საკითხები. როგორც თვითონ ამბობს, „მწერლობა თუ ამ გზას დაადგა და მარტო საზოგადო პლატონურ აზრებზე არ შეჩერდა, მართლა შეუძლია კარგი სამსახური გაუწიოს ჩვენი ხალხების საურთიერთო კეთილდღეობას".

პ. უმიკაშვილს სასიხარულო მოვლენად მიაჩნია მოსკოვის ქართველი და სომეხი სტუდენტების განზრახვა, რომ შეისწავლონ ერთმანეთის წარსული ისტორია და ლიტერატურა, დღევანდელი გონებრივი და საზოგადოებრივ-ეკონომიური მდგომარეობა და შეუდგნენ იმ ღონისძიების გამორკვევას, რაც ხელს შეუწყობს ამ ორი ხალხის ურთიერთკეთილგანწყობილებისა და მეგობრობის განმტკიცებას. მას კარგად ესმის, რომ აღნიშნული განზრახვის პრაქტიკულ განხორციელებას ძველი შეცდომებისაგან დარჩენილი ბევრი დაბრკოლება დახვდება, მაგრამ, მისი სიტყვით, „სიმართლესა და ჭეშმარიტებას ისეთი ძლიერება აქვს, რომ გაღორკვეული, მეცნიერებით იარაღით შეჯურვილი აზრები გონებას გაუნათლებს ჩვენის ხალხების დაწინაურებულ თაობათა და ბოლოს საზოგადო კუთვნილებად შეიქნება ჩვენთა ხალხთა საურთიერთო განწყობილებისათვის".

„მხოლოდ ერთი უნდა დავიხსომოთ, — დაასკვნის პ. უმიკაშვილი, — რომ საზოგადო აზრების გამოთქმაზე არ შევდგეთ, არამედ სადამდინაც ხელი მიგვიწვდება, დაწვრილებით შევეხოთ და გამოვარკვიოთ, რაც უშლის ჩვენს შინაურს კარგს ურთიერთობას და რითაც შეიძლება განვამტკიცოთ იგი"[2].

---

[1] პ., ქართველები და სომხები, „ივერია", 1889 წ., № 123.

[2] იქვე.

პეტრე უმიკაშვილი ასევე დაბეჯითებით მოითხოვდა ქართველი ხალხის მეგობრული ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან. 1887 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში იგი ამის შესახებ წერდა: „საზოგადოდ უნდა გულწრფელად ვთქვათ, რომ ჩვენ, ქართველებს მეტისმეტად ცოტა ცნობა გვაქვს ჩვენს მეზობლად მცხოვრებ ხალხებისა, არ დავდივართ იმათში, არ ვუახლოვდებით, არ ვიახლოვებთ, მისვლა-მოსვლა არა გვაქვს და საუბედუროდ კავკასიის ყოველ კუთხის ხალხს ერთმანეთზე სულ უკუღმართი აზრი გვაქვს. ბევრი უცხო ქვეყნის კაცი, ევროპიელი, ცხრა მთის იქიდამ მოსული უფრო კარგად მცოდნეა ჩვენის კავკასიის სხვადასხვა ერებისა, ვიდრე ჩვენ, ქართველნი, აქვე მეზობლად, გვერდით მცხოვრებნი. ათასში ერთი არ გამოვა, რომ დაღისტნის ყოფა-ცხოვრების ამბავი იცოდეს, ან ყარაბაღისა, ან ოსებისა, ან ყაბარდოსი და სხვადასხვა. აქედამ არის ხშირად ცრუ და მეზობლობაში სავნებელი აზრი. აზრს მოსდევს ცუდი ურთიერთობა და ავი მეზობლობა. ამის აცილება ორის მხრით შეიძლება, მისვლა-მოსვლით და ერთმანეთის ცხოვრებაზე ნაწერის კითხვით. ამ მხრით რაც კი რამ არის ჩვენს ენაზე ანუ სხვა ენებზე ნაწერი ძვირფასი იქნება“[1].

პ. უმიკაშვილი არა ერთხელ გამოსულა პრესაში ჩვენი მეზობელი ხალხების, კერძოდ სომეხი ხალხის ეროვნული ინტერესების დასაცავად. ამის ნათელსაყოფად შეიძლება დავასახელოთ მისი ვრცელი სტატია „ოსმალოს სომხეთის საქმე“ („ივერია“, 1883 წ., № 7—8), სადაც ავტორი მხარს უჭერდა ოსმალეთის უღელქვეშ მყოფი სომხების მისწრაფებას ეროვნული თავისუფლებისაკენ.

პ. უმიკაშვილი აქტიურად გამოეხმაურა აგრეთვე სომხური ჟურნალ-გაზეთების მიმართვას თავისი ხალხისადმი იმის შესახებ, რომ მამა-პაპის მკვიდრ მიწა-წყალს თავს ნუ ანებებთ და უცხოეთში ნუ იხიზნებითო. იგი სავსებით იწონებდა ამ პატრიოტულ მოთხოვნას, მაგრამ სომხურ ჟურნალ-გაზე-

[1] პ., ბიბლიოგრაფია, „ივერია“, 1887 წ., № 85.

თებს მოაგონებდა, რომ სომეხი ერისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია უცხოეთში გადახიზნული სომხების სამშობლოში დაბრუნების საკითხი, ხოლო სომხური მწერლობა ამაზე ხმას არ იღებსო. თავის წერილში „სომხური გაზეთები და სომხობა მკვიდრ ქვეყანაში“ („ივერია“, 1889 წ., № 121), რომელიც სპეციალურად ეხებოდა აღნიშნულ საკითხს, პ. უმიკაშვილი წერდა: „პატივსაცემი და თანაგრძნობის ღირსია, რომ სომხური ჟურნალ-გაზეთობა ეწინააღმდეგება უცხოობაში გადასახლებასა და მკვიდრის ქვეყნის თავის დანებებას. მაგრამ, ჩვენის აზრით, სომხურ გაზეთების განზრახვა უფრო თავის საგანს ღონივრად და მტკიცედ აასრულებდა, რომ სხვაფრივად შეჰხებოდა საქმეს და უფრო ღრმად დაჰკვირვებოდა. მწერლობას უნდა ხმა ამოეღო, რომ გასული და გადასახლებული სომხობა თავის მიწა-წყალზე უნდა დაბრუნდეს, დამკვიდრდეს და არ იფანტებოდეს ევროპაში, აზიაში და ამერიკაში... მკვიდრ მიწა-წყლიდამ უცხო ხალხებში გასულ და გადასახლებულ სომხობის შინ დაბრუნება ისტორიული ასასრულებელი საგანი შეიქმნა... მთელ ქვეყანაზე გაფანტულ სომეხთა თვალი მიქცეულია იმ მხრისაკენ, საცა დედაა დღევანდლამდე დაბინავებული. ისტორიულ სიტყვას მარტო ის აზრი არა აქვს სომხობისათვის, რომ დედა მხოლოდ მშვიდობითა და კარგად ცხოვრობდეს და შვილები შორიდამ უყურებდნენ, არ ესმოდეთ იმისი სიტყვა, არ უყოფდნენ გვერდით ცხოვრებაში ჭირსა და ლხინსა, არ ეალერსებოდნენ იმის დედობას, არ გათბებოდნენ იმის კალთაში და არ გაათბობდნენ თავის დედაშვილურს ხვევნაში. არა, სომხურ ჟურნალ-გაზეთობას უნდა ესმოდეს ახალ ისტორიულ სიტყვაში დედისაგან შვილების მოწოდება: „მოგროვდით სომხებო დედასთან სამკვიდრო მიწა-წყალში“. დიდებული სიტყვებია! ღონე რომ იყოს, ცაში მზეს მოვწყვეტდი სხივებსა და თითო ასოს ამ სიტყვისას იმ სხივებით შევმოსავდი, რომ ყველას დაენახა, წავართმევდი ბუნებას ყოველ ხმაზე უტკბესს, დედათა ხმას, რომ თითოეული ასო გამეხმაურებინა ქვეყნით ქვეყნამდის.

სომხური ჟურნალ-გაზეთობა მიხვედრილი უნდა იყოს, რომ, ოსმალოს სომხეთია თუ სხვა, ხალხი არ დაიშლის გას-

ვლას და გადასახლებას, სანამ იგი არ უქადაგებს განათლებულ სომეხთა და ვაჭარ-მრეწველთა, რომ ისევ თავის მკვიდრ მიწა-წყალში დაბრუნდნენ. გასვლა და გადასახლება სომხობისა მაშინ შეჩერდება, როდესაც მკვიდრი მცხოვრებელი სომხობა ჰნახავს, რომ გარეთ გასულნი და გადასახლებულნი უკან ბრუნდებიან თავის ერსა და თავის ქვეყანაში, თავის გუთანთან, თავის შინაობაში ჰირისა და ლხინის ერთად გასაყოფად. მწერლობასაც, ეროვნებასაც მაშინ ექნება მკვიდრი ნიადაგი საერთო კეთილდღეობის მოახლოვებისათვის"[1].

ეს ვრცელი ამონაწერი იმისთვის მოვიყვანეთ, რომ იგი ცხადად გვიჩვენებს, თუ როგორ კეთილ სურვილებს, სიყვარულსა და პატივისცემას იჩენდა პ. უმიკაშვილი ჩვენი მოძმე სომეხი ერის მიმართ.

პეტრე უმიკაშვილს კარგად ესმოდა, რომ სხვა ერის მიმართ ნამდვილი სიყვარული და პატივისცემა ამ ერის უსაფუძვლო, ცალმხრივ ქება-დიდებას ან დამცირებას, ნაკლოვანებების მიჩქმალვას ან გაზვიადებას კი არ უნდა ემყარებოდეს, არამედ მისი ხასიათის, წარსული და მიმდინარე ცხოვრების ღირსება-ნაკლოვანების მიუდგომელ განხილვა-შეფასებას. რუსი მწერლისა და პუბლიცისტის ევგენი მარკოვის წიგნის — „Очерки Кавказа" (СПБ, 1887 г.) მთავარ ღირსებას იგი სწორედ იმაში ხედავდა, რომ ამ წიგნში ავტორი იძლეოდა კავკასიის ხალხების ყოფა-ცხოვრების პირუთვნელ დახასიათებას. აღნიშნულ წიგნზე გამოქვეყნებულ რეცენზიაში პ. უმიკაშვილი წერდა: „საზოგადოდ ავტორი როდესაც დასცქერის და მოგვითხრობს კავკასიის ერების ყოფას ან წარსულ ცხოვრებას, ის ემსგავსება უფრო მშვიდობიან მომთხრობს ისტორიისას, ვიდრე ბრაზიან პუბლიცისტს, ცრუპენტელა მოუბარს, ტყუილისა და უსამართლო გულისთქმით აპილპილებულს მოლჩანოვის მსგავს მწერალსა. ავტორი კავკასიის ერების ცხოვრებაში, რასაკვირველია, ნაკლულოვანებასაც ჰხედავს, ეს თვითონ ამ ერებმაც იციან, მაგრამ ამასთა-

---

1 პ., სომხური გაზეთები და სომხობა მკვიდრ ქვეყანაში, „ივერია", 1889 წ., № 21.

ნავე ყოველს ერში იმდენს საყვარელ, კარგს თვისებასაცა ჰპოულობს, რომ ყველა ერზე „კავკასიის სურათებში“ თანაგრძნობა უფრო გამოითქმის, ვიდრე დაწუნება ანუ რაიმე მიუწდომელი სხვა ანგარიში, რომელსაც ჰქადაგებენ ხოლმე „სოვოე ვრემიას“ მოლჩანოვისებური მწერლები“[1].

როგორც ვნახეთ, პ. უმიკაშვილის წერილები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებზე გამსჭვალულია პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი სულისკვეთებით. ამ წერილებმა დიდად შეუწყვეს ხელი ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას, სხვა ხალხებთან მისი მეგობრული ურთიერთობის დაცვასა და განვითარებას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

პეტრე უმიკაშვილის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახალხო განათლების საკითხებს. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგანაც პ. უმიკაშვილი, როგორც ტიპიური განმანათლებელი, შესანიშნავად გრძნობდა საყოველთაო სწავლა-განათლების, განსაკუთრებით მომავალი თაობის მეცნიერული აღზრდის უდიდეს საზოგადოებრივ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის პროგრესისათვის. მისი სიტყვით, „აღზრდამ უნდა მოსწავლე ახალგაზრდა მტკიცე ხასიათის კაცი გამოიყვანოს და ამგვარად ნიჭი და შეძლება მისცეს, რომ პატიოსნურად მოეხმაროს მამულს, ქვეყანას და რომელი საზოგადოების სახელიც მისცეს ბედმა, იმ საზოგადოების დამამშვენებელი იყოს“[2].

პ. უმიკაშვილს კარგად ესმის, რომ ახალგაზრდობის მეცნიერული აღზრდისა და სწავლა-განათლებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სკოლა. ამიტომ იგი ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობის აღზრდა-განათლების ჩამორჩენის მთავარ მიზეზს სწორედ სკოლების ნაკლებობაში ხედავს. საგულისხმოა ამ მხრივ მისი წერილი „სკოლა მოხევეებში“ („ივერია“, 1888 წ., № 82), რომელიც ეხება ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების სავალალო მდგომარეობას სოფელ სტეფანწმინ-

---

1 პ., ბიბლიოგრაფია, „ივერია“, 1887 წ., № 85.

2 „ცისკარი“, 1861 წ., № 8, გვ. 191—192.

დაში. დასახელებულ წერილში ვკითხულობთ: „სწორედ გულსაკლავი ამბავია მოხევეების ამბავი და, მგონია, მეტი არ იყოს მოსათხრობლად. ნამდვილია, რომ რუსეთის გზაზე, სტეფანწმინდისა და კობის საფოსტო სადგურებთან, მგზავრა ყოველთვის ჯგუფ-ჯგუფად ჰხედავს უსაქმო ყმაწვილებს, ისეთის წლოვანებისას, როდესაც სწავლის დრო აქვთ. ეს ყმაწვილები დაეთრევიან უსაქმოთ მთელი დღე დუქნებთან, ლაზღანდარობენ, ყოველგვარ ურიგობას სწავლობენ, ასე გასინჯეთ არაყისა და ღვინის სმასაც კი. რაკი ჰნახავენ ფოსტის ცხენებს და მომავალ მგზავრს, გამოედევნებიან და მოსდევენ თითოსა და ორ ვერსზე ცეკვა-თამაშობით და ყვირილით: „პაჟალისტა, ადინ კაპეკ, პაჟალისტა!“ მგზავრმა არ იცის რა ამბავია, თითო-ოროლა გროშს უგდებს. ეს ყმაწვილები მირბიან დუქნებში და გროშებს ღორმუცლობას ანდომებენ. აბა რა კეთილი გამოვა ამგვარ ყმაწვილებისაგან: რასაკვირველია, თითონაც წახდებიან და სხვასაც წაახდენენ სოფელში“[1].

პეტრე უმიკაშვილი დაბეჯითებით მოუწოდებს სტეფანწმინდელებს, რომ ყოველი ღონე იხმარონ სოფელში სკოლის დაარსებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი სიტყვით, ეს სოფელი „უკან და უკან წავა და საძრახისად უნდა გახდეს საშვილიშვილოდ ის სოფელი და ის თემობა, რომელსაც ადრე სახელი ჰქონდა გავარდნილი“.

მაგრამ პ. უმიკაშვილს განსაკუთრებით ის აწუხებს, რომ წარტო სტეფანწმინდა კი არ არის დარჩენილი სკოლის გარეშე, არამედ საქართველოს პატარა სოფლების დიდი უმრავლესობა აგრეთვე მოკლებულია ახალგაზრდობის სწავლა-განათლების ამ უმნიშვნელოვანეს საშუალებას. იგი ღრმად უკვირდება აღნიშნულ მდგომარეობას და იმ დასკვნამდის მიდის, რომ ჯერჯერობით, ვიდრე პატარა სოფლებს არ შეუძლიათ მუდმივი სკოლების ღაარსება და შენახვა, მიზანშეწონილია ამ სოფლებში გაიხსნას ეგრეწოდებული მოძრავი სკოლები, რომლებშიც ახალგაზრდობა წერა-კითხვასა და ანგარიშს მაინც ისწავლის.

---

1 პეტრე უმიკაშვილი, სკოლა მოხევეებში, „ივერია“, 1888 წ., № 82.

1888 წელს პ. უმიკაშვილს ეს წინადადება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთ კრებაზე წამოუყენებია[1]. ამავე წელს „ივერიაში“ (№ 126) დაიბეჭდა მისი წერილი „სწავლა თუ არ სწავლა უმრავლეს ჩვენს სოფლებში“, სადაც ავტორი დამაჯერებლად ამტკიცებდა ჩვენი პატარა სოფლებისათვის მოძრავი სკოლების აუცილებელ საჭიროებას. მიუხედავად იმისა, რომ „ივერიის“ მომდევნო ნომერში რედაქცია მხარს უჭერდა პ. უმიკაშვილის მიერ წამოყენებულ წინადადებას, ერთი კვირის შემდეგ ამავე გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა გ. იოსელიანის წერილი „მოძრავი სკოლების გამო“ („ივერია“, № 133), რომელშიც ავტორი არ ეთანხმებოდა ზემოხსენებულ წინადადებას ჩვენში მოძრავი სკოლების დაარსების შესახებ. იგი პირდაპირ აცხადებდა, რომ „ჩვენ მოძრავ სკოლებს თავი უნდა დავანებოთ და ვეცადოთ მუდმივი სკოლები გავამრავლოთო“. საპასუხო წერილში — „ჭამა ქონებაზე ჰკიდია“ („ივერია“, 1888 წ., № 160), პ. უმიკაშვილი კიდევ უფრო ფართოდ განმარტავდა და ასაბუთებდა ჩვენი პატარა სოფლებისათვის მოძრავი სკოლების საჭიროებას. იგი წერდა: „მოძრავი სკოლების გამართვა და ჴოგზაური ოსტატების ყოლა თუ საჭიროებად აღვიარეთ, იმიტომ აღვიარეთ, რომ, როგორც პირველადა ვთქვით, სამუდამო სკოლის გამართვა ყველგან არ შეგვიძლია, თუმცა უპირატესობა იმას ეკუთვნის. მოძრავი სკოლების გამართვას იძულებულნი ვართ ყურადღება მივაქციოთ როგორც გაჭირებისა გამო, ისე წიგნის საჭიროების გამო, რომელსაც ჰგრძნობს ხალხი და სწყურია სწავლა. მოძრავი სკოლა სხვა არა არის რა, მხოლოდ წერა-კითხვის მასწავლებელი სკოლაა (Школа грамотности), რომელიც უფრო წესიერად ასრულებს თავის დანიშნულებას სამიოდ თვეში, ვიდრე ძველებური ოსტატები ორ-სამ წელსა. წერა-კითხვას ვაფასებთ როგორც პირველ ნაბიჯს განათლებისას და ამიტომ, რადგანაც ჯერჯერობით არც ნივთიერი და არც სულიერი ღონე არ მოიპოვება მეტის მო-

---

[1] ეს იდეა უფრო ადრე გაზეთ „დროების“ (1881 წ., № 256) ფურცლებზე წამოაყენა რ. ჯაჯანაშვილმა.

ხერხებით სწავლის გავრცელებისათვის ჩვენს სოფლებში, მოძრავი სკოლა უნდა შეიქნეს საფუძვლად მომავლის დროის უკეთესის მოწყობილის სწავლა-განათლებისა. აი, ეს არის ჩვენი აზრი".

„როდესაც ამ ნაბიჯს გადავდგამთ, — დაასკვნის პ. უმიკაშვილი, — ეს ნაბიჯი იქნება ჭეშმარიტად მკვიდრი ნაბიჯი სამუდამო სკოლების გამართვისათვის. დრო იმუშავებს, ხალხი ნივთიერად რამდენადმე წინ წაიწევს, წიგნის მცოდნე დედამამებს უმეტესად ეცოდინებათ სწავლის ფასი და თავის შვილებისთვის უმეტეს მარჯვე სწავლებას მოისურვებენ"[1].

პ. უმიკაშვილის ამ წერილს მოჰყვა გ. იოსელიანის მეორე საპასუხო წერილი — „კიდევ მოძრავი სკოლები და ბ-ნი პეტრე უმიკაშვილი" („ივერია", 1888 წ., № 168), რომელშიც ავტორი კვლავ ენერგიულად ილაშქრებდა მოძრავი სკოლების დაარსების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში ჩვენი მსჯელობის პირდაპირ საგანს არ წარმოადგენს იმის საბოლოო გარკვევა, თუ ვინ იყო მართალი ამ პოლემიკაში მოძრავი სკოლების დაარსების შესახებ. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის მაშინდელ ვითარებაში მოძრავი სკოლების დაარსება ნამდვილად ხელს შეუწყობდა სოფლად წერა-კითხვის გავრცელებას. მაგრამ პ. უმიკაშვილის ზემოხსენებული წინადადება, ისე როგორც მაშინდელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ბევრი სხვა სასარგებლო ჩანაფიქრი, განუხორციელებელი დარჩა.

მომავალი თაობის მეცნიერული აღზრდისა და სწავლა-განათლების საქმეში მშობლების მოვალეობის ამაღლების საგულისხმო საკითხს ეხება პ. უმიკაშვილის წერილი „საოჯახო წიგნსაცავი", რომელიც 1893 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „კვალში" (№ 5). წერილის დასაწყისში ავტორი უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ზოგიერთი მშობელი, რაკი შვილს სასწავლებელში მიაბარებს, სრულებით აღარ ზრუნავს მისი გონებრივი და სულიერი აღზრდისათვის, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ყმაწვილს „ყოველ გონებრივ და სულიერ

[1] პ. უმიკაშვილი, ჭამა ქონებაზე ჰკიდია, „ივერია", 1888 წ., № 160.

სიმდიდრეს მასწავლებლები მიანიჭებენ, ყოველ ზნეობრივ აღზრდასა და წვრთნას ისინი მოაპოვებინებენ". პ. უმიკაშვილის აზრით, ამიტომ არის, რომ ჩვენში მოსწავლეს „თუ წიგნებს უყიდიან, მარტო სკოლაში სასწავლებელს და შინ თავისუფალ დროს საკითხავ წიგნებისათვის დედ-მამა არ ზრუნავს, სანამ შემთხვევით მცნობი, ან ამხანაგი, ან მასწავლებელი არ წაახალისებს ყმაწვილს სასწავლო წიგნებს გარდა სხვა წიგნების კითხვას".

პ. უმიკაშვილს კარგად ესმის, რომ ახალგაზრდობის ნამდვილი აღზრდა-განათლება, მისი გონებრივი მომზადება მარტო სასკოლო სახელმძღვანელოებიდან შეძენილ ცოდნას კი არ უნდა ემყარებოდეს, არამედ საჭიროა ამ ცოდნის სისტემატური გამდიდრება კლასგარეშე ლიტერატურის ბეჯითი და გონიერული შესწავლის საფუძველზე. იგი წერს: „მარტო სასწავლებლისა და იქ ხმარებული წიგნების იმედით თავის დღეში დედ-მამა ნუ მოელის შვილების წინსვლას. რომელ დედ-მამასაც შვილი სასწავლებელზე მიუგდია და თვითონ არ ზრუნავს ამ მხრით დახმარებაზე, რასაკვირველია, ბევრ სიკეთეს არ უნდა მოელოდეს შვილისაგან"[1].

პ. უმიკაშვილი გარკვევით აღნიშნავს, რომ „ეფხისტყაოსნისა" და სხვა წარჩინებულ ქართველ მწერალთა ენა თუ არ იცის განათლებულმა ქართველმა, მისი დედ-მამაა დამნაშაეო". ავტორის სიტყვით, „რომელ დედ-მამასაც ნამდვილი სურვილი აქვს, რომ იმათმა შვილებმა მართლა იცოდნენ ქართული მწერლობა და საქართველოს ისტორია, უმართავენ შვილებს პატარა ბიბლიოთეკებს და ხელს უწყობენ სწავლაშიაც". „სამწუხაროდ, ცოტასა ვხედავთ ამგვარ მაგალითებს, — განაგრძობს პ. უმიკაშვილი, — მაგრამ ვისაც ბედნიერება ჰქონია და შეხვედრია ამგვარ ოჯახის შვილებს, გაუკვირდება ამ ყმაწვილ ვაჟების ან ქალების ცოდნა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა, რომელიც ბევრ ჩვენებურ მწერალსაც სახატრელად მიაჩნია"[2].

---

[1] პეტრე უმიკაშვილი, საოჯახო წიგნსაცავი, „კვალი", 1893 წ., № 5, გვ. 2.

[2] იქვე.

პ. უმიკაშვილი შემდეგ ყურადღებას ამახვილებს საოჯახო ბიბლიოთეკის მნიშვნელობაზე მომავალი თაობის ხასიათის აღზრდის საქმეში. მისი აზრით, როცა მშობლები თავიდანვე ასწავლიან შვილებს პატარა საოჯახო ბიბლიოთეკის მოვლა-შენახვას, წიგნების შერჩევას, ხმარებას, დალაგებას, თხოვებას, ეს აჩვევს ყმაწვილებს წესრიგსა და დისციპლინას, უღვივებს მათ „თვითმოქმედების, თვითგამჭრიახობის ძალას და ეხმარება, რომ ყმაწვილმა სასწავლებელშიაც უმეტესი მხნეობა, გარჯა და ხალისი გამოიჩინოს“. დაბოლოს, როგორც პ. უმიკაშვილი ამბობს, საოჯახო ბიბლიოთეკის „მნიშვნელობა ისიც არის, რომ ხშირად დაუბრუნდეს მოსწავლე ყმაწვილი ერთხელ წაკითხულს“, ხოლო „ეს მუდმივი ხელმეორედ გადაკითხვა, შემოწმება, გადასინჯვა ის ძალაა, რომელიც გვაჩვევს ყველაფერის აწონ-დაწონას, გაზომვას, სიფრთხილეს, მკვიდრად სიარულს, შეცდომის აცდენას, განათლებით გონების შეიარაღებას და სინდისის გაწმენდას“.

როგორც ვხედავთ, პ. უმიკაშვილს შესანიშნავად ესმოდა, რომ მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმის წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სკოლისა და ოჯახის ერთობლივ მოქმედებას, რისთვისაც, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო ამ საქმეში მშობლების პასუხისმგებლობის ამაღლება. მისი სიტყვით, „შვილის პატრონების ბეჯითობაზეა დამყარებული მათი ბედნიერებაც და საერთოდ ქვეყნის ბედნიერებაც, მათ მეცადინეობას დიდი საშმე შეუძლია“. გამომდინარე აქედან, იგი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ ყველა მშობელს გამოეჩინა შვილების გონივრული სწავლა-აღზრდისათვის დაუცხრომელი ზრუნვა და ოჯახში მოეწყო პატარა საყმაწვილო ბიბლიოთეკა.

პ. უმიკაშვილის ზემოგანხილულ წერილს დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ეს წერილი ფართოდ ეხმაურება დღევანდელი სკოლისა და ოჯახის ურთიერთობის არსებით საკითხებს, რადგან თანამედროვე პირობებშიც, როცა სახალხო განათლების კომუნისტურ სისტემას საფუძვლად უდევს ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდის პრინციპი, სკოლას არ შეუძლია წარმატებით გადაჭრას მომავალი თაობის სწავ-

ლა-აღზრდის ამოცანები ოჯახის დახმარებისა და ოჯახთან ერთობლივი მუშაობის გარეშე.

პ. უმიკაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქართველი სტუდენტების სწავლა-განათლების საკითხებს. 1884 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში იგი გარკვევით აღნიშნავდა, რომ ჩვენი საზოგადო საქმეები წინ ვერ წავა, თუ ქართველი სტუდენტობა მეცნიერების შესწავლად მარტო ლექციების გაზეპირებას ჩასთვლის და ამავე დროს თავისი დედაქვეყნის ცხოვრებისა და მწერლობის შესწავლაზე არ იშრომებს და თვალყურს არ ადევნებს, თუ „საზოგადო სწავლის შეთვისების დროს გონებას არ ამუშავებს. ჩვენი ცხოვრების ზრუნვისათვის და არ ჩაინერგავს ღრმად გულში, რომ სამშობლო კერაზე კისრად იღოს მისთვის მშრომელობაო". მისი სიტყვით, „სანამ ეს ქვეყნის განმაცხოველებელი სიყვარული და აზრი არ ექნება უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდობას, მათგან სვინდისიან, ბეჯით ჩინოვნიკებს, ბეჯით მამულის მებატონეს, ან სხვა ხელობის კაცებსა ვნახავთ, მაგრამ ამ ხელობასთან მათში საზოგადო საქმისათვის მზრუნველ-მშრომელები, მოთავეები არ გვეყოლება"[1]. ხოლო სხვა წერილში ამბობს: „მარტო ლექციების გაზეპირება თავის დღეში არავის აკმაყოფილებს და არც არასდროს სარგებლობა არ მოუტანია. თვით პროფესორებისაგან ამგვარ სტუდენტებს თავის დღეში პატივისცემა არ ექნებათ, რაც უნდა ლექციების მოზეპირენი იყვნენ. ამისთანა სტუდენტები სამუდამოდ გონებაგაუხსნელები რჩებიან ცხოვრებაში და არა თვითმოქმედი კაცები"[2].

როგორც ვხედავთ, პ. უმიკაშვილი სასტიკი მტერია ხალხის ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, ფორმალისტური სწავლა-განათლებისა. იგი მეცნიერული სწავლა-განათლების მიზნად აღიარებს ადამიანის მომზადებას გონივრული საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის. პ. უმიკაშვილის მიერ ცოდნისა და განათლების ეს კანონზომიერი დაკავშირება დედაქვეყნისა და

---

1 მ. პეტრიძე, წერილი მეგობართან, „მოამბე", 1884 წ., № I, გვ. 2.

2 პ., ფელეტონი (სტუდენტობა), „ივერია", 1889 წ., № 142.

ხალხისათვის სასარგებლო მოღვაწეობასთან მისი პროგრესულ-დემოკრატიული იდეებიდან გამომდინარეობს.

განსაკუთრებით საინტერესოა პ. უმიკაშვილის წერილი „სამეცნიერო მუშაობა", რომელიც 1900 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში" (№ 2). დასახელებულ წერილში პ. უმიკაშვილი უჩივის მეცნიერთა ქართველი კადრების უკიდურეს სიმცირეს, რაც, მისი აზრით, საგრძნობლად აფერხებს ხალხში მეცნიერული ცოდნის გავრცელებას, მაშასადამე, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლასა და წარმატებას. იგი ღრმად უკვირდება აღნიშნულ მდგომარეობას და ხედავს, რომ სტუდენტობის დროს თუმცა ბევრი ნიჭიერი და შრომისმოყვარე ქართველი ახალგაზრდა ოცნებობს სამეცნიერო მუშაობაზე, მაგრამ ისინი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ბრუნდებიან რა სამშობლოში, ვეღარ ახორციელებენ თავიანთ ოცნებას, რადგანაც საქართველოში არ არის უმაღლესი სასწავლებელი ან სხვა სამეცნიერო დაწესებულება, რომ იქ გააგრძელონ მუშაობა მეცნიერების ამა თუ იმ დარგში. ეს ახალგაზრდები ებმებიან ცხოვრების უღელში და მთელ თავიანთ სიცოცხლეს არსებობის საშუალებათა მოპოვებისათვის ჩვეულებრივ შრომაში ატარებენ. „იშვიათი მოვლენაა ჩვენში, — გულისტკივილით ამბობს პ. უმიკაშვილი, — რომ გარემოება ხელს უწყობდეს ვისმე სამეცნიერო მუშაობას კი არა, საზოგადო განათლებას თვალყურს ადევნებდეს და თავის გონების განვითარებას წინ სწევდეს".

პ. უმიკაშვილი ეძებს აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორების საშუალებას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ არსებულ ვითარებაში, როცა ჩვენში მეცნიერული მუშაობის არავითარი პირობები არ არის, ნიჭიერი ქართველი სტუდენტები რუსეთისა თუ საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იქვე უნდა დარჩნენ სამეცნიერო ასპარეზზე მუშაობისათვის. იგი დარწმუნებულია, რომ ეს ახალგაზრდები მთავარ ყურადღებას მიაქცევენ საქართველოს ბუნებისა და ხალხის ცხოვრების მეცნიერულ გამოკვლევას და ამით დიდ სამსახურს გაუწევენ დედაქვეყანას. ამიტომ პ. უმიკაშვილი დაბეჯითებით მოითხოვს ჩვენი მოწინავე ინტელი-

გენციის, განსაკუთრებით მშობლების ყურადღებისა და დახმარების გაძლიერებას იმ ქართველი სტუდენტების მიმართ, რომლებიც მხურვალე მისწრაფებას იჩენენ სამეცნიერო მუშაობისადმი. „დრო და გარემოება ჩაგვჩიჩინებს, — ვკითხულობთ ზემოხსენებულ წერილში, — რომ ჩვენისთანა ხალხის ყოფაში საზოგადო სურვილი უნდა იყოს მაღალ სასწავლებლებში სამეცნიერო მუშაობაზე მეტი მოღვაწე გვყავდეს. ამის გამო შრომისმოყვარე, შეგნებულ მოსწავლეთ ზნეობითი და, თუ შეიძლება, ნივთიერი დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ, რომ შეიძლონ თავისი სურვილი აასრულონ. ესე იგი მათ მეცადინეობას ხელი უნდა მოვუმართოთ, პროფესორებად მაღალ სასწავლებლებში მოემზადონ, დარჩნენ და სამეცნიერო შრომას დაადგნენ“[1].

ამასთანავე პ. უმიკაშვილს მტკიცედ სჯერა, რომ ქართველი სტუდენტები მოწინავე მეცნიერთა მაგალითით იხელმძღვანელებენ და, სადაც არ უნდა იყვნენ, მუდამ გამოიჩენენ შეუნელებელ ზრუნვას დედაქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისათვის. იგი წერს: „დიდი მეცნიერები დიდი მოქალაქეებიც იყვნენ თავისი ქვეყნისა, რომლის ინტერესიც არ ავიწყდებოდათ და საკუთარ, თავის მეცნიერების წარმატების მეცადინეობასთან შეერთებულად თავის ქვეყნის და ხალხის წარმატებისათვისაც ზრუნავდნენ. დღეს მეცნიერება შუა საუკუნეების მეცნიერებას აღარა-ჰგავს, ჯაჭვებით შებოჭვილსა. რაც უნდა შევიწროებაში იყოს დღეს მეცნიერება, ვერაფრით შეიკვრის მზის შუქსავით. მისი მადლიანი ძალა ნაყოფიერად ამუშავებს მის მსახურთა თავის ქვეყნისათვისაც, საიდანაც გამოსულან“[2].

პ. უმიკაშვილი ხალხში მეცნიერული ცოდნის გავრცელების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად თვლიდა საჯარო ლექციებს. როცა ივანე თარხნიშვილმა, 1871 წლის შემოდგომაზე, თბილისში წაიკითხა საჯარო ლექციების ციკლი ფიზიოლოგი-

---

[1] პეტრე უმიკაშვილი, სამეცნიერო მუშაობა, „მოამბე“, 1909 წ., № გვ. 39—40.

[2] იქვე, გვ. 40.

ის სხვადასხვა დარგიდან, პ. უმიკაშვილი ამ მოვლენას სპეციალური წერილით გამოეხმაურა „დროებაში“, სადაც ნათლად განმარტავდა ამგვარი ლექციების განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და საჭიროებას. იგი წერდა: „ევროპაში და რუსეთის დიდ ქალაქებში დიდი ყურადღებაა მიქცეული საპუბლიკო ლექციებზე. რამდენი ასობით კითხულობენ ამ ლექციებს ერთსა და იმავე ადგილს და სხვადასხვა ჯურა ხალხისთვის: ნასწავლ საზოგადოებისათვის, მუშა ხალხისათვის, დედაკაცებისათვის. რამდენი სამეცნიერო ცოდნა შეაქვს ამ საკითხავებს ხალხში. ჩვენს დროში ამ პირათ საუბარმა თითქმის ისეთივე მნიშვნელობა მიიღო, როგორც წიგნმა და სასწავლებელმა. რამდენათაც უფრო ნაკლები სწავლაა სადმე, იმდენათ ამ ლექციებს დიდი მნიშვნელობა აქვთ და ამიტომ კიდეცა ვთქვით, რომ, სამწუხაროდ, ჩვენში ამისთანა საკითხავები იშვიათია“[1].

პ. უმიკაშვილი იქვე დიდი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ „ბედნიერი წამები გამოვიარეთ თარხნიშვილის ლექციაზე“, რომელიც „ყველა აქამდის ქალაქში წაკითხულ ლექციებსა სჯობდა როგორც თავისი ამორჩეული საგნით, აგრეთვე კითხვის ღირსებითაც“.

პ. უმიკაშვილს კარგად ესმოდა, რომ ჩვენი ქვეყნის სახალხო განათლების წარმატების საქმეში ფრიად მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელიც 1879 წელს დაარსდა. ამ „საზოგადოებას“ ხელი უნდა შეეწყო არსებული სკოლებისათვის, ეზრუნა ახალი სკოლების გახსნის, ბიბლიოთეკების მოწყობისა და მშობლიურ ენაზე წიგნების გამოცემისათვის. მაგრამ „საზოგადოების“ წინაშე მდგარი ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებას, განსაკუთრებით პირველ ხანებში, სერიოზულად აფერხებდა სახსრების ნაკლებობა. ამიტომ პ. უმიკაშვილი დაუცხრომლად ზრუნავდა აღნიშნული „საზოგადოების“ მატერიალური მდგომარეობის განმტკიცებისათვის.

---

[1] პ.-ძე, დოქტორის ივ. თარხნიშვილის ლექციები, „დროება“, 1871 წ., № 42.

ამ საკითხს ეხება მისი წერილები — „წერა-კითხვის საზოგადოების დახმარება პროვინციებიდან“, „დახმარება და არა გაკიცხვა“ („დროება“, 1881 წ., №№ 268, 271), „ჩვენი გულგრილობა“ („ივერია“, 1886 წ., № 115).

დასახელებულ წერილებში პ. უმიკაშვილი საქართველოს ქალაქებისა და მოზრდილი სოფლების ინტელიგენციას ურჩევდა, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დასახმარებლად მოეწყოთ სპექტაკლები, ლიტერატურული საღამოები და საჯარო ლექციები. იგი მხურვალედ მოუწოდებდა ქართველ ინტელიგენციას: „გავიღვიძოთ გულში წმინდა ნაპერწკალი ქვეყნის სიყვარულისა, ჩვენის დაცემულის ხალხისა და შევიგნოთ დიდი მნიშვნელობა სკოლისა და წერა-კითხვისა ჩვენის ხალხისათვის. დავეხმაროთ წერა-კითხვის საზოგადოებას არა სამდურავითა და კიცხვითა, არამედ ცოცხალის შრომითა და გულიანის თანაგრძნობითა“[1].

1886 წელს პ. უმიკაშვილი კვლავ მოაგონებდა ქართველ ინტელიგენციას, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ თუმცა „იმდენი გაუკეთებია, რაც ჩვენში ერთი კაცის ღონეს აღემატება“, მაგრამ მას გაცილებით უფრო მეტის გაკეთება შეუძლია ჩვენი უკიდურესი გულგრილობა რომ არ აფერხებდესო. იგი წერდა: „ვნატრობდით ამხანაგობას, ძმობას, საზოგადოებას. დაგვებადა იგი, აღტაცებით გვიხაროდა. ამ ახალდაბადებულს ზრდა უნდოდა და მოვლა. ჩვენ დაუდევრობამ დაგვძლია და ყმაწვილს ფეხი ვერ ავადგმევინეთ, ლამის დაკუტდეს. არა ვფიქრობთ დროზე მიშველებასა, რომ კუტად არ დაგვრჩეს და სასიხარულოდ დაბადებული სატირლად არ დაგვირჩეს“[2].

პ. უმიკაშვილის შიში არ გამართლდა. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ არც „კუტად“ დარჩენილა და არც „სატირლად“ გამხდარა. მიუხედავად მძიმე მატერიალური მდგომარეობისა, ამ „საზოგადოებამ“ თავის დროზე დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის

---

[1] ანჩხატელი, დახმარება და არა გაკიცხვა, „დროება“, 1881 წ., № 271.
[2] პ., ჩვენი გულგრილობა, „ივერია“, 1886 წ., № 115.

დაცვისა და განვითარების, სკოლების დაარსებისა და წიგნების გამოცემის საქმეში.

პეტრე უმიკაშვილს კარგად ესმოდა, რომ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესული განვითარების ერთ-ერთ ძირითად პირობას შეადგენდა მომავალი თაობის სათანადო აღზრდა-მომზადება არა მარტო სკოლაში, არამედ ოჯახშიც. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ქალის მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლება და პ. უმიკაშვილიც ამ საკითხზე ამახვილებდა ყურადღებას. 1869 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ფელეტონში იგი კმაყოფილებით წერდა: „მე სოფელში ორი შესანიშნავი ქალი ვნახე. არ ვიცი ის სოფელი იყო ბედნიერი, თუ მე ვიყავი. რომ ესეთი შემთხვევა უნდა მენახა. ორივე არიან გამოჩენილი მებატონის რძლები, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც შევიტყე, რომ ერთი იმათგანი არის ინსტიტუტში გამოზრდილი, რვა წელიწადია გათხოვილია და მას აქეთ ქალაქის პირი არ უნახავს. ზის შინა, თავის წვრილფეხობას უვლის, დილით საღამომდინ დაპტრიალებს ოჯახსა ყმაწვილით ხელში. თვალყურს უჭირავს ყველაფერზე: საკუჭნაოს, მარანს, აჭბარს, საბზარეულოს უიმისოთ ვერავინ გააღებს და ბოლოს ჰოი საკვირველებავ: მოცლილ დროს კითხულობს რუსულ და ქართულ ჟურნალებს და წიგნებს. მაგრამ ის არათუ მარტო თავისთვის არის! თავისი სწავლით, ცოდნით სხვებსაც ეწევა. ასწავლის ავადმყოფების მოვლასა და წამლობას“[1].

როგორც ვხედავთ, პ. უმიკაშვილს ქალის მთავარ ღირსებად მიაჩნია ოჯახისადმი ერთგულება და შრომისმოყვარეობა. ამასთანავე იგი მეტად სანუგეშო მოვლენად თვლიდა ქართველი ქალების გამოფხიზლებას, მათ აქტივობას საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 70-იანი წლების დასაწყისში. „ბოლოს ჩვენი ქალებიცა ჰგრძნობენ, — ვკითხულობთ 1870 წელს გამოქვეყნებულ მის ერთ-ერთ წერილში, — რომ მუდამ ისეთი ამაოთ ცხოვრების ტრფიალება არ შეშვენის ქალსა, როგორც აქამ-

---

1 ანჩისხატისუბნელი, ფელეტონი, „დროება“, 1869 წ. № 40.

დისინ იყო. ბოლოს ისინიცა ჰგრძნობენ, რომ უფრო გონებაგახსნილ ცხოვრებაში უნდა ფეხი შესდგან. ისინი დადიან ქალების კურსების ლექციებზე, სწერენ ქართულად თხზულებებს, ასწავლიან ყმაწვილებს და ახალი ჩვეულებები შემოაქვთ ჩვენს ცხოვრებაში... ჩვენ ვესწრებით იმ დღეებს, როდესაც ჩვენ ქალებს თავი გამოუდვიათ სრულის ახოვანებით, მედგრათ და ღრმა სიყვარულით გაჰკვალონ უმეცრების გზა და საზოგადოებაში შესცვალონ პაპა-ბებიური ჩვეულებები"[1].

წერილის დასასრულს პ. უმიკაშვილი იმედიანი სიტყვებით ამხნევებდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსულ ქართველ ქალებს. „გზა წაგემართოსთ, — მიმართავდა იგი საზოგადო მოღვაწე ქალებს, — ვიდოდეთ მამაცურათ, ჩვენი, კაცების კურთხევა, ჩვენი სიმპატია თქვენს გდევსთ, თქვენი მოქმედება იქნება ჩვენი წამქეზებელი და გაჭირებაში განმამტკიცებელი! თქვენი სულის სიმამაცე და მხნეობა ჩვენც მხნეობას ჩაგვიდგამს. ჩვენ, კაცნი სუსტნი ვართ ამიტომ, რომ მხნე დები, მხნე დედები არა გვყავს. ეხლა კი იმედი გვეძლევა! მაშ წინ, წინ წადექით მოურიდებლად, მამაცურათ, როგორც ქართველ ქალს შეუძლია მამაცობა! ნუ მოგერიდებათ, თუ ცოტანი ხართ, ამხანაგებს ბევრს ი'შოვნით, ოღონც კი სიმტკიცე გქონდეთ!"[2]

სამაგიეროდ პ. უმიკაშვილი მკაცრად კიცხავდა იმ მშობლებს, რომლებიც სასწავლებლის კურსდასრულებულ თავიანთ ქალიშვილებს ოჯახური თუ საზოგადოებრივი მოვალეობის ნაცვლად უსაქმურობასა და ფუფუნებას აჩვევდნენ. 1880 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ფელეტონში იგი წერდა: „მშობლები საშინელს მწუხარებაშია არიან, როცა ზავედენიდამ და ინსტიტუტიდამ გამოჰყავთ ქალები. ანაზებენ, ანებივრებენ, ღმერთად იხდიან ქალებსა და პირველი გამრყვნელები შვილისა თითონვე ხდებიან. დღედაღამ იმას ეჩიჩინებიან, რომ საკვირველი გაზრდილები და ნასწავლები არიან, ოჯახობა იმათი საქმე არ არის, მდიდრულათ უნდა იცხოვრონ, მდიდარი

---

1 პ. უ-კაშვილი, ქართული შინაური თეატრი, „დროება", 1870 წ., № 34.

2 იქვე.

ქმარი შეირთონ. რაც სწავლა მიუღიათ, რაც კეთილი აზრი შეუთვისებიათ სასწავლებელში, სულ ავიწყებინებენ. ნამდვილ ოჯახის და დედის ვალდებულების ნაცვლად მშობელნი დედოფლობას და პრანჭიობას ასწავლიან"[1].

სწორედ ამიტომ იყო, რომ პ. უმიკაშვილი, სხვებთან ერთად, მეტად მტკივნეულად აყენებდა ქართველი ქალის მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლების პრობლემას.

პეტრე უმიკაშვილი ენერგიულად იბრძოდა ხალხში გავრცელებული მავნე ადათების წინააღმდეგ. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ მისი წერილი „უსამართლო საყვედური" („ივერია", 1901 წ., № 167), რომელშიც ავტორი მკაცრად აკრიტიკებს მიცვალებულზე ქელეხის გამართვის დროს მოჭმულ ჩვეულებას.

დასახელებული წერილი გამოუწვევია აკაკი წერეთელის სტატიას „მცირე რამ" („ივერია", 1901 წ., № 161), სადაც პოეტი მხარს უჭერდა ქელეხების გამართვისა და ზოგიერთი სხვა დრომოჭმული ჩვეულების შენარჩუნებას. პ. უმიკაშვილი არ მოერიდა აკაკის დიდ ავტორიტეტს და პირდაპირ უსაყვედურა მავნე „ჩვეულების გამოსარჩლება". პ. უმიკაშვილი სწორად აღნიშნავდა, რომ არსებული ჩვეულების მიხედვით ჭირისუფალმა „სოფლებიდან მოსული ხალხი ცხენიანად უნდა შეინახოს და ცხრა პურის მომტანი თხუთმეტი კაცი გააძღოს", მაშინ როცა „გლეხი სულს ძლივს იბრუნებს, საკუთარ საჭიროების დასაკმაყოფილებლადაც ცოტა აქვს, არამცთუ სხვების გასაძღომიო". „პატივისცემა სხვაგან ძეტი იციან, —

---

1 ანჩხატელი, საკვირაო საუბარი, „დროება", 1880 წ., № 110. პეტრე უმიკაშვილს აკუთვნებენ აგრეთვე 1905 წლის „საქართველოს კალენდარში" გამოქვეყნებულ სტატიას „ქალი და მისი განათლება", რომელიც ხელმოწერილია ინიციალით „პ" (იხ. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია", ნაკვ. III, 1944 წ., გვ. 370). ეს სტატია შეგნებულად არ განვიხილეთ, რადგანაც მიგვაჩნია, რომ იგი პ. უმიკაშვილს არ უნდა ეკუთვნოდეს. გარდა იმისა, რომ დასახელებული სტატია სტილის მიხედვით არსებითად განსხვავდება პ. უმიკაშვილის სხვა ნაწერებისაგან, ძნელი დასაჯერებელია, რომ გარდაცვლილი ავტორის სტატია მხოლოდ მისი ინიციალით ხელმოწერილი დაებეჭდათ რედაქციისაგან რაიმე განმარტების დაურთველად.

წერდა პ. უმიკაშვილი, — დიდძალი ხალხი შეიყრება მიცვალებულის გასვენებაზე და დასაფლავებაზე, მაგრამ არც სადილი იციან და არც ღვინის სმა"[1].

ხოლო რაც შეეხება ჭირისუფლებისადმი მატერიალურ დახმარებას, რაზედაც აკაკი წერეთელი ამახვილებდა ყურადღებას, პ. უმიკაშვილი ამისათვის საჭიროდ თვლიდა ეგრეთწოდებული „სამარხი სალაროების" დაარსებას. ამგვარ სალაროებს, მისი სიტყვით, ის ღირსება აქვთ, რომ „ფულის ანგარიშს თავისი ადგილი უჭირავს, მკვდარს პატივისცემა არ აკლდება და ჭირისუფლებს და მათ პატივისმცემლებს უფრო გონივრულ ერთმანეთის დახმარებას ასწავლით, ვიდრე უანგარიშო ქელეხები, ზარით ტირილი და აღაპები". „დახმარება იმას არა ჰქვიან, — ამბობს პ. უმიკაშვილი, — რომ ერთ დღეს დიდ სადილზე ღვინით გამოვიბრუჟოთ და ჭირისუფალი გავაღატაკოთ"[2].

პ. უმიკაშვილის ზემოხსენებული წერილის საპასუხოდ აკაკი წერეთელმა გამოაქვეყნა ვრცელი სტატია „ზოგიერთების ჩასაგონებლად" („ივერია", 1901 წ., № 257), რომელშიც პოეტი კვლავ მხარს უჭერდა ზოგიერთი დრომოჭმული ჩვეულების შენარჩუნებას. ამიტომ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ პოლემიკაში პ. უმიკაშვილის მოსაზრება უფრო პროგრესული და ხალხისათვის სასარგებლო იყო. ამასთანავე გარკვევით უნდა ითქვას, რომ პ. უმიკაშვილის ზემოთ განხილულ წერილს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

ახლა, როცა საქართველოს ზოგიერთ კუთხეში კვლავ იცავენ მიცვალებულზე ქელეხის გამართვის მავნე ჩვეულებას, ხოლო მშრომელთა დიდი უმრავლესობა სულ უფრო დაბეჯითებით მოითხოვს ამ მავნე ტრადიციის საბოლოო მოსპობას, შეუძლებელია პატივისცემით არ მოვიგონოთ მოწინავე პუბლიცისტი პ. უმიკაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში ენერგიულად იბრძოდა ქელეხებისა და ზოგიერთი სხვა დრომოჭმული ჩვეულების წინააღმდეგ.

---

1 პ. უმიკაშვილი, უსამართლო საყვედური, „ივერია", 1901 წ., № 167.
2 იქვე.

პეტრე უმიკაშვილი ზედმიწევნით უკვირდება ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებას და გარკვევით ამჩნევს, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ცხოვრების ერთ-ერთ მწვავე პრობლემად კვლავ დარჩა საზოგადოების ღრმა სოციალურ-პოლიტიკური უთანასწორობა. 1873 წელს იგი ჟურნალ „კრებულის“ ფურცლებზე წერდა: „არ მინდა მოვიგონო, რომ ქვეყანაზე უსიამოვნება არის სადმე. დაღვრემილი კაცი მოდის და იმის ერთი შემოხედვა სულსა და გულს გიშფოთებს. გაგონდება და ფიქრობ: ვინ იცის, რამდენი დღე ამის პირს ლუკმა პური არ უნახავს, ვინ იცის, ცოლშვილი რა ყოფაში ჰყავს შიმშილითა და მწყურვალებითა; ვინ იცის.. სათბილებელი არა აქვთ ყინვა-სიცივეში? ვინ იცის, ის კაცი როგორ გაუცარცვავთ, როგორ სამართალში ჩაუგდიათ? ვინ იცის, ვინ იცის...“[1]

მაგრამ პ. უმიკაშვილს, როგორც 60-იანი წლების განმანათლებელთა პროგრესულ-დემოკრატიული იდეების ერთგულ მიმდევარს, კარგად ესმის, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესისა და წარმატების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა ხალხის სოციალურ-პოლიტიკური თვითშეგნების გამოღვიძება და ამაღლება. 1868 წელს გამოქვეყნებულ მის ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში ამის შესახებ ვკითხულობთ: „ადამიანის სიცოცხლე ასეა. მიდის დამშვიდებულ ერთ გზაზე. მაგრამ ერთი დღე თენდება ისეთი, რომ სულ სხვა თვალითა ხედავს ყველაფერს, ყველა რამ სულ სხვაგვარათ ეჩვენება: რასაც აქამდის შავათა ხედავდა, ამ ერთ დღეში თეთრათა ხედავს და თვალი უოსტატდება. ამგვარ დღეს ერთი ადამიანიც და ერთობ მთელი ხალხიც თავის სურვილს, ნაღველს, იმედს და უიმედობას უფრო ცხადათა ჰგრძნობს და ჰხედავს. ნაბიჯის გადადგმის დღეც ეს არის, თუ წინ უნდა წასვლა და უკან დაწევის დღეც ეს არის, თუ დაბრკოლება მიეცა. მაინცდამაინც ამისთანა დღეებში ბევრ ჭეშმარიტებას და ცხოვრების სიკეთეს, ბევრ სიცრუეს და ცხოვრების საძაგლობას იცნობს და გონებაში ჩავარდება. ამისთანა დღეები

---

1 პ. პეტრიძე, ნობათი, „კრებული“, 1873 წ., № 10, გვ. 99—100.

რომ არ იყოს, კაცი თავის დღეში ფეხს წინ ვერ წასდგავდა და ახალ ცხოვრებას არა ნახავდა არამცთუ ნამდვილს პრაქტიკულს სიცოცხლეში, არამედ მხოლოდ გონების და ჰკუის წინმსვლელობაშიაც"[1].

პეტრე უმიკაშვილი იქვე მიუთითებს გონების, ცოდნის, განათლების უდიდეს მნიშვნელობაზე საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში. როგორც თვითონ ამბობს, „შეგნებით, ჰკუის თვალით რომ ხედავდეს ადამიანი თავის ნაკლოვანებას, ესეც ჩვენს ცხოვრებაში დიდი საქმე იქნებოდა და არათუ ჩვენს ცხოვრებაში, საზოგადოთ ყველა ადამიანის ცხოვრებაში, რადგანაც შეგნებით საქმის დანახვიდან ერთი ორიოდე ნაბიჯიღა არის საქმის ასრულებამდის"[2]. საგულისხმოა აგრეთვე მისი სიტყვები: „ნათელი გონება ძვირფასი რამ არის ყველასათვის, ვინც უნდა იყოს, სწავლული თუ უსწავლელი. ეს გამოიყვანს კაცს სიბნელეში სიარულისაგან და წაღმა-უკუღმა საქმის განმარტებისაგან"[3].

აღიარებს რა ხალხის სოციალურ-პოლიტიკური თვითშეგნების გამოფხიზლების უდიდეს მნიშვნელობას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, პ. უმიკაშვილი იმასაც ითვალისწინებს, რომ საზოგადოება, როგორც წესი, ბევრ ტანჯვა-წვალებას გამოივლის ხოლმე, ვიდრე არსებულ ცხოვრებაზე ხანგრძლივი კრიტიკული დაკვირვების შედეგად თავისი წინსვლის ახალ გზას გამონახავს. პ. უმიკაშვილი ამის შესახებ წერს: „როდესაც ჩემი თავის ამბავს გონებით ვაკვირდები და ჩემი ავისა და კარგის გაგება მინდა, ეს ახალი ხანაა, ახალი წამია ჩემი ცხოვრებისა და წინ ნაბიჯის გადადგმის იმედი მაშინ იწყება. შესაძლებელია ამ ახალი ნაბიჯის გადადგმამდე კარგა ხანი მრავალს განსჯას, მოფიქრებას, წვალებას, ტანჯვასა და ცრემლს მოვანდომო, მაგრამ ფეხის წინ გადასადგმელად ბუნებას თითქოს ეს წესი გაუჩენია. დეე ყველა მსჯელმა კაცმა მოიგონოს თავისი ჰაბუკობის ის დრო, როდესაც გონება უფ-

---

1 პ.-ძე, საზოგადო მიმოხილვა, „დროება", 1868 წ., №№ 24, 25.

2 იქვე.

3 იქვე.

ხიზლდებოდა და ცხოვრების აზრის გამორკვევაში იყო, რა სატანჯველი და გულის ტკივილი გამოუვლია, სანამ ცხოვრების საგანს გამოიკვლევდა, თავის თავს იცნობდა და თავის იდეალებს შეიმუშავებდა. ვისაც თავის სიცოცხლეში ერთხელ, ჭაბუკობის დროს მაინც, ეს მტანჯველი წამი არ გამოუვლია, ვერ ჩაითვლება მსჯელ კაცად. და ქვეყანაზე სანამ კაცთა შორის სიმართლესთან უსამართლობა ტრიალებს, სანამ კეთილთან ბოროტი იპოვება, სანამ ჭეშმარიტებასთან სიცრუესაც ადგილი უჭირავს. სიყვარულთან მტრობას, მკვიდრთან გაცვეთილსა, მცოდნიარობასთან — უმცოდნიარობასა, სანამ ასეა, თვითმცნობელობის მუშაობაში ყოველმა კაცმა ბევრი ამაო სატანჯველი უნდა გამოიაროს, რომ დაადგეს მკვიდრს გზასა და მაზედ მუშაობასა. ადამიანს ამისთანა წამი რამდენჯერმე შეხვდება და უმეტეს ნაწილს სიჭაბუკეში.

რაც აქ თითოეულს ადამიანზედა ვთქვით, საზოგადოებისა და მთელი ერის ცხოვრებაშიაც ხდება. ყოველ კაცთა საზოგადოებასა და ერსაც შეხვდება ისეთი წამი, როდესაც უნდა გამოიკვლიოს და გამოარკვიოს ავი და კარგი თავის ცხოვრების რომელისამე მხრისა და შემდეგ შეუდგეს გამორკვეულ გზაზე სიარულს"[1].

პეტრე უმიკაშვილი ნათლად გრძნობდა, რომ ჩვენი ერის ისტორიაში უკვე 60-იანი წლებიდან დაიწყო სოციალურ-პოლიტიკური თვითშეგნების გამოფხიზლებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ახალი გზის გამონახვის ღირსშესანიშნავი პერიოდი. ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, რომელიც ამ ახალმა ეპოქამ წამოაყენა გადასაწყვეტად, ეს იყო პრობლემა, თუ რომელი კლასი უნდა ჩასდგომოდა სათავეში ქართველი ერის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას. პ. უმიკაშვილი, როგორც თავისი ეპოქის მოწინავე პუბლიცისტი, აქტიურად ეხმაურებოდა აღნიშნულ პრობლემას და შეძლებისდაგვარად ცდილობდა მის გადაწყვეტას.

პ. უმიკაშვილს კარგად ესმოდა, რომ ახალ ეპოქაში საზოგადოებრივი ცხოვრების მეთაურად ვერ გამოდგებოდა ზნე-

---

1 პ., დასაწყისი განახლებისა, „ივერია", 1890 წ., № 224.

ობრივი დაცემისა და გადაგვარების გზაზე დამდგარი ქართველი თავადაზნაურობა. საგულისხმოა ამ მხრივ მისი პუბლიცისტური წერილი „რა აწუხებს იმერლებს“, სადაც ერთერთი მგზავრის პირით თავადაზნაურობის შესახებ ამბობს: „ღღეს აქ მოვლენ სადილად, საღამოს იქ მივლენ ვახშმად, დათვრებიან და შეუდგებიან მეორე-მესამე დღეს ქაცების გზაზე გაქუცვას, ბდღვნას. სახლში მოგიხდებიან, წაგაგლეჯენ, რაც გაბადია, დაგჩეხენ და წავლიან... ადრე ქალაქში ჩამოვიდოდნენ, მოსამსახურედ დადგებოდნენ მაინც. აწი ეთაკილებათ, აზნაურები ვართო. ერთი ქათმებს იპარავს, მეორე გოჭებსა და ხელობად ასეთი საქმე გაუხდიათ... გაგყიდის კიდეც, მოგკლავს კიდეც და შენი საზოგადო საქმე, უკაცრავად ამ სიტყვებზე, ფეხებზე ჰკიდია“[1].

პ. უმიკაშვილი გრძნობდა, რომ ქართველი ერისა და მისი საზოგადოებრივი ცხოვრების მესაძე ვერც საქართველოს მსხვილი ბურჟუაზია იქნებოდა, რადგანაც ეს კლასი უმთავრესად უცხო ტომის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა და სრულებით არ აინტერესებდა ქვეყნის ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლა. ერთადერთი სოციალური ძალა, რომელზეც პ. უმიკაშვილი დიდ იმედებს ამყარებდა და რომელიც, მისი აზრით, სათავეში უნდა ჩასდგომოდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას, ეს იყო განათლებული ინტელიგენცია. იგი წერდა: „მართლაცდა წინ ვინ უნდა წაუძღვეს ყოველგვარ საერო და საერთო საქმეს, თუ არ ინტელიგენცია, თუ არ განათლებული და ნასწავლი დასი, რომელიც გაუნათლებელ და უსწავლელისაგან იმით განსხვავდება, რომ ქვეყნის საერთო კეთილდღეობის მზრუნველი, მომვლელი, ხელის შემწყობი და მოღვაწე უნდა იყოს ყოველთვის და ყველგან, ყველა ხალხში. იმ განათლებულ კაცთ განათლებულის სახელი არ ეკუთვნით, თუ მზრუნველი და მოღვაწე — მშრომელი არ არის თავისი საზოგადოების, თავისი ერის წარმატებისათვის“[2].

---

1 პ., რა აწუხებს იმერლებს, „ივერია“, 1890 წ., № 230.

2 პ., ტფილისის ქართველთა ინტელიგენცია, „ივერია“, 1889 წ., № 114.

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის მაშინდელ პირობებში პ. უმიკაშვილი ვერ ხედავდა და, ნაწილობრივ, არც შეეძლო დაენახა სხვა სოციალური ძალა, გარდა განათლებული ინტელიგენციისა, რომელიც ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მეთაურად გამოდგებოდა. ამიტომ მისთვის ძალზე მტკივნეულად ისმებოდა საკითხი ქართველი ინტელიგენციის შესახებ. ინტელიგენციას, ისე როგორც საერთოდ ადამიანს, პ. უმიკაშვილი აფასებდა მისი მორალური და საზოგადოებრივი ღირებულების თვალსაზრისით. იგი წერდა: „კაცის ზნეობითი სიმაღლე ამშვენებს იმის გაკეთებულ საზოგადო საქმეს და საზოგადო საქმეც თავისი ღირსებით ამშვენებს თვითეულ მოქმედის კერძო კაცობასა. მე ვნახე პატარა ქალაქი და კეთილი გამზრახველი კაცები, საზოგადო საქმეზე მომუშავენი. ისინი სწავლითა და პატიოსნებით იმ ქალაქის საზოგადოებაში სხვებზე მაღლა იდგნენ. ეს უაღრესობა, მათი ყოფაქცევა, სიმართლე, გამრჯელობა, ოჯახობაში პატიოსნება, სიფაქიზე ზნეობისა ისეთი თვისებანი არიან, რომ ყველას გულს იზიდავს და საყვარელადა ხდის მთელ საზოგადოებაში“[1].

პ. უმიკაშვილი ინტელიგენციისაგან მოითხოვს სიტყვისა და საქმის, გონივრული მსჯელობისა და პრაქტიკული მოქმედების ერთიანობას. მას კარგად ესმის, რომ ინტელიგენციას არა მარტო საღი მსჯელობა, არამედ მიზანშეწონილი საქმეც ესაჭიროება. „საფუძვლიანი სჯა, საფუძვლიანი ლაპარაკი შორს ვერ წავა, — ამბობს პ. უმიკაშვილი, — თუ ამას ვარჯიშობა არ დაეტყო ცხოვრებაში, ესე იგი გონების მსჯელობა. გონების ვარჯიშობა წინ მაშინ მიდის, როდესაც განსჯილ საქმეს ადამიანი ხელსა ჰკიდებს და ამოქმედებს. ეს მეორე ნაბიჯია და უამისობა ცარიელ მსჯელობას ქარად აქცევს, აუძლურებს კაცის გონებას და მერე თვით მსჯელობის ღონესაც უკარგავს“[2].

პ. უმიკაშვილი კარგად ამჩნევს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ვითარებაში თანდათან ბოლო ეღება ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის უსაგნო პოლემიკას,

[1] ანჩისხატისუბნელი, სალხინოდ, „ივერია“, 1868 წ., № 172.

[2] იქვე.

ერთმანეთის უსაფუძვლო ძრახვას, შურსა და ქიშპობას. როგორც თვითონ ამბობს, წავიდა ის დრო, როდესაც „სხვისი კიცხვით თავის თავის გამოჩენა შეიძლებოდა“, როდესაც ზოგიერთები „ლანძღვით ვითომ მამაცობის სახელს შოულობდნენ. უსამართლო და უსაფუძვლო შებაასებით კრიტიკოსობის გვირგვინს იდგამდნენ და წარამარა ლაყბობით სახელს გაითქვამდნენ“. „წავიდა დრო კილვისა, — განაგრძობს პ. უმიკაშვილი, — წავიდა დრო ლაყბობისა, ჩვენდა საბედნიეროდ. ვგონებ ახლა დგებოდეს დრო მოსაზრებისა, მსჯელობისა, კრიტიკისა და მართალი სიტყვისა. ახლა ვეღარავის გაიტყუებს სხვის კილვა. ახლა გვეუბნებიან: მაგას თავი დავანებოთ, საქმე გავსინჯოთ, გამოვარკვიოთ, რა საშუალებით მოვეხმაროთ და მოვაგვაროთ კეთილი საქმე, რა თადარიგით დავიწყოთ იგი, რა გარჯა გვმართებს და ვინ რა მუშაობა გავიწიოთ ერთმანეთში“[1].

ასეთ ვითარებაში პ. უმიკაშვილს სრულიად არ აკმაყოფილებს თბილისის ქართველი ინტელიგენციის მოღვაწეობა. იგი მწვავედ განიცდის, რომ თბილისის განათლებული ქართველობის „მომეტებული ნაწილი კანცელარიებში და სამსახურშია, აკეთებს თავის სავალდებულო საქმეს, წერს ქაღალდებს, დადის კლუბებში, თეატრებში, ბულვარზე. მაგრამ ცალ-ცალკე, ჰარტოდმარტო, არაფერ საზოგადო საქმეში არ ერევა“[2] 1889 წელს გამოქვეყნებულ წერილში — „ტფილისის ქართველთა ინტელიგენცია“, პ. უმიკაშვილი გულისტკივილით აღნიშნავს: „სამწუხაროა ტფილისის ქართველი ინტელიგენციის ყოფა. მხოლოდ მცირედი ხაწილი ამ ინტელიგენციისა მუშაობს საზოგადო, საქვეყნო ასპარეზზე და უმეტესობა კი განმარტოებულია. ამიტომ შესამჩნევ ამბავსა ვხედავთ. გვყავს განათლებული კაცები, ინტელიგენტები და იმათი მოღვაწეობა არსადა ჩანს. ის ერთი მოღვაწე ნაწილიც, რომელიც ზემოთ მოვიხსენეთ, მხოლოდ ქართულ მწერლობას ახვევია ან თითო-ოროლა საზოგადო, ან საქველმოქმედო დაწესებულებაში სკუპია“[3].

---

1 ანჩისხატისუბნელი, სალხინოდ, „ივერია“, 1888 წ. № 172.

2 პ., ტფილისის ქართველობა, „ივერია“, 1889 წ., № 113.

3 პ., ტფილისის ქართველთა ინტელიგენცია, „ივერია“, 1889 წ., № 114.

1890 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში პ. უმიკაშვილი კიდევ უფრო მკაცრად აკრიტიკებს ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეროვნული გამოფხიზლებისა და განახლების ღირსშესანიშნავ დროს გულხელდაკრეფილი შორს გასდგომია საზოგადოებრივ მოძრაობას და არც ფიქრობს მასში მონაწილეობაზე. „საზოგადოების მოთავე ყველგან და ყოველთვის ინტელიგენციაა, — ამბობს პ. უმიკაშვილი, — და მისი უზრუნველობა, გულგრილობა, აპატია მიზეზი უნდა შეიქმნას საზოგადოების უსაქმურობისა და მაშასადამე უნდა შეიქმნას მთელი ერის მუშაობისა და წინმსვლელობის დამაბრკოლებელი“[1].

მიუხედავად ამისა, პ. უმიკაშვილი არასოდეს არ ეძლევა სასოწარკვეთილებას. იგი ყოველთვის ინარჩუნებს მტკიცე რწმენას უკეთესი მომავლისადმი. „ეს იმედი რომ არ ყოფილიყო, -- წერს იგი, — რა იქნებოდა კაცის ცხოვრება, თუ არ საბრალო ღოღიალი უმთვარეოსა და უვარსკვლავო სიბნელეში, რომელშიაც ერთადერთი მოსალოდნებელი სიკვდილია დარჩენია. დიაღ, კარგი რამ არის გამაცოცხლებელი და კაცის ამამაღლებელი იმედიანობა. სასიკვდილოა და დამღუპველი უიმედობა, სასოწარკვეთილება“[2]. ან კიდევ: „რა კარგი რამა ხარ გულის იმედიანობავ! მთელი ქვეყანა რომ მოაკლდეს ყოველსავე შვებასა, ყოველსავე სასოებასა, ყოველსავე სიცოცხლესა, თუ შენში დარჩენილია იმედი, ის გიხსნის თვით უდაბნოდან ტრამლად გარდაქცეულს ცასა და ქვეყანაში“[3].

ოპტიმიზმის ამ ჯანსაღი სულისკვეთებით არის გამსჭვალული პ. უმიკაშვილის მთელი პუბლიცისტური მემკვიდრეობა.

პ. უმიკაშვილი, როგორც 60-იანი წლების მოწინავე ახალთაობის ტიპიური წარმომადგენელი, ადამიანს იმის მიხედვით აფასებს, თუ რა ღვაწლი მიუძღვის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. მისი სიტყვით, „სიცოცხლე სავლელი

---

1 პ., დასაწყისი განახლებისა, „ივერია“, 1890 წ., № 224.

2 ანჩხატელი, საახალწლო საუბარი, „დროება“, 1883 № 1.

3 იქვე.

გზაა და ვინც ამ გზაზე არავითარ ბარგს არა ჰზიდავს საქვეყნო გონების სავაჭრო ნოედანზე, იმისი სიარული გაქრება". „გზა სიცოცხლისა ვინც ვანველო და არ აღბეჭდა ნავალი, —. ამბობს პ. უმიკაშვილი, — უხერხო მატანტალაა და იმისი სიცოცხლე უაზრო და პირუტყვისებურია"[1].

პეტრე უმიკაშვილი ცდილობს ქართველ საზოგადოებაში გაამახვილოს მოქალაქეობრივი გრძნობა და პასუხისმგებლობა, განამტკიცოს უკეთესი მომავლის იმედი და მისი მიღწევისათვის აქტიური მოქმედების სულისკვეთება. ამ მიზნით იგი მკითხველს მოაგონებს, რომ ადამიანის მიერ ცხოვრების განვითარების ისტორიული კანონზომიერებისა და თავისი საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება არის პროგრესისა და სიახლის სათავე, აქ იბადება წყარო ნამდვილი სიხარულისა. 1888 წელს გამოქვეყნებულ საახალწლო წერილში პ. უმიკაშვილი წერს: „აბა, მოსაქმე ადამიანო, გადაავლე თვალი შენს გავლილ გზას, თუ ათიოდე ან ოციოდე წელიწადი გარჯილხარ და გივლია იმ გზაზე, რომელსაც ცხოვრების გზა ჰქვიან. არ გეკითხები არც შენის საკუთარის საოჯახო საქმის ვითარებას, რა შეგიძენია ან რა ხელმოკლეობა გამოგივლია; რა სიხარული გინახავს ან რა ნაღველი; რამდენჯერ გიკვნესია და ჩაკეტილს გულში ცრემლის ზღვა შეგიგუბებია, არ გეკითხები, რა ტანჯვით, ზრუნვით, გარჯით და წელში მოკაკული გივლია ამ ცხოვრების გზაზედ. მარტო ერთი რამ მითხარი: გავლილ გზას რომ გადახედავ, კვალს ხედავ შენის ნავალისას თუ არა?

— დიაღაცაო, გვიპასუხებს. აი, ხედავ ამ გზას. პირველად ეკალნარით, ბალახბულახით ან ღორღით მოდებული იყო ეს გზა, კაცის სავალი არც კი ჩანდა, აქა-იქ ფეხის ნაკვალევს ძლივსა ნახავდი. დავიწყეთ თითო-ოროლამ აქეთ სიარული, ვგლიჯეთ ბალახბულახი, ხელები ზედ გვეფლითებოდა, გავწმინდეთ მიწა ხან ცალ-ცალკე და აი ახლა ამ გზას ხომ ხედავ. ფართო შარა კი არ არის, მაგრამ კვალი დაჩნეულია, ბილიკი სჩანს და გაგანიერების იმედიცა გვაქვს, თუ მუშაკნი არ იტყ-

---

[1] ანჩისხატისუბნელი, საახალწლო, „ივერია", 1888 წ., № 1.

ვიან უარს მუშაკობაზე. ზოგმა ამ გამოვლაზე თავისი ღონე მოლია, თავი შესწირა და ცხოვრების სალხინო სუფრაზე ერთხელაც ვერ მოუხდა მოეკეცნა; ზოგი შედგა ცხოვრების ლხინისათვის, მაგრამ მაინც ცოტათი გატკეპნა სავლელი და ეს შერჩა სასახელოდ. ერთის ნავალს, ნაფეხურს მეორისა მოემატა და ამას რომ გადახედავ, რომ დააკვირდები, იტყვი, — ჩემი ნაფეხური თანდათან განიერდებაო. ეს აზრი მთელი სიცოცხლის ყოველგვარ ლხინს მირჩევნიაო, რადგანაც ქვეყნიერობაში უაღრესი სიხარული სხვა არა არის რა, უმეტესი ლხინი არ იპოვება და უმკვიდრესი საუნჯე არ გაჩენილა“[1].

პეტრე უმიკაშვილი მკითხველს შთააგონებს, რომ „ვერაფერი იქნება ყოველგვარი ნაღვლისა და განწირულების ატანისათვის სხვა ღონისძიება, სხვა წამალი, სხვა ნუგეშისცემა, თუ არ მხოლოდ ეს რწმენა საქვეყნო საქმეზე და ურთიერთ სიკეთისათვის შრომა და გარჯა, მხსნელი ყოველგვარი დაცემისაგან, გახრწნისა და დაძველებისაგანო“. მისი სიტყვით, თვით მხცოვანი ადამიანი „ამ საერთო შრომის სიყვარულის ძალით ახლდება, ყმაწვილდება“, ამგვარი გრძნობით გამსჭვალული კაცისათვის ქვეყნიერება კი არა ძველდება და იღუპება, არამედ წინ მიდის, რადგანაც „დარწმუნებულია, რომ ქვეყანაზე კეთილი მუშაკი არ შეწყდება, იმისაგან თელვილს, წინად შეკრულ კვალს სხვა მუშაკი მოემატა და კეთილ გზას აგანიერებს მომავალთათვის“.

„ნამდვილი ლხინი ლოდინისა იქ არის, იმ კაცშია, — დაასკვნის პ. უმიკაშვილი, — ვისაც გარჯისა და ზრუნვის მადლი უნათებს გულსა და მოლოდინი კეთილისა, სიხარულისა, ბედნიერებისა იმას შეუძლიან, მისალოცავი იმასა აქვს“[2].

დასასრულ საინტერესოა, როგორ ესახებოდა პ. უმიკაშვილს საქართველოს მომავალი. ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს იძლევა მისი ფელეტონი „სააღდგომო საუბარი“ („დროება“, 1880 წ., № 85). ოცნებაში წასული პუბლიცისტი ხე-

---

1 ანჩისხატისუბნელი, საახალწლო, „ივერია“, 1888 წ., № 1.

2 იქვე.

დავს, რომ თბილისში ყველას „რაღაც მსუბუქი, ლამაზი ტანსაცმელი აცვია“, ყოფილ „სალაყბოს“ ადგილას აუგიათ მშვენიერი, მარმარილოს სვეტებიანი შენობა, სადაც ხალხი იკრიბება და „დიდი მუსაიფი აქვთ სამეცნიერო და სამოქალაქო საქმეებზე“, აქეთ მუზეუმი გაუხსნიათ ჩვენი ისტორიული ცხოვრების უძვირფასესი საუნჯის დასაცავად, იქით ბიბლიოთეკა და უნივერსიტეტი, დრამატული, ოპერის და კომედიის ეროვნული თეატრები დაუარსებიათ. „ამრვიარე შუა ბაზარში, — წერს პ. უმიკაშვილი, — მაგრამ რა შუა ბაზარი, სად შუა ბაზარი, მარტო სახელი შერჩენოდა. ასეთი გაგანიერებული და გასწორებული იყო, რომ შუაში ორი პირი რელსები ეწყო და ნაპირებში ცხენოსნები და ქვეითა ხალხი დადიოდა, რაღაცა ეფინა ქვის ნაცვლად, რაკრაკი გაჰქონდა“[1].

ფელეტონის ავტორი იმასაც წარმოიდგენს, რომ სავსებით მოსპობილა სოციალური უთანასწორობა და სიღატაკე, „ყველა შეძლებულია, ყველას საცხოვრებელი აქვს“, კაცის მტრად მხოლოდ ბუნების კანონების, ბუნების ძალის მაქსიმალური გამოყენების უცოდინრობა დარჩენილა; სოფლის მეურნეობაში ფართოდ შეჭრილა მექანიზაცია, გამქრალა ქალაქსა და სოფელს შორის დაპირისპირებულობა. იგი წერს: „სახლები გლეხებისა ქალაქელებისას არ ჩამოუვიდოდა. სულ ხალხი თეთრ-წითლად ღაჟღაჟებდა, ტანისამოსი ქალაქელებსავით ეცვათ, შკოლები და თეატრი ჰქონდათ, რომელშიაც თვითონ თამაშობდნენ, თვითონვე ასწავლიდნენ და სწავლითაც ქალაქელებს არ ჩამოუვიდოდნენ. ეს რო ვნახე, ვკითხე ერთ გლეხკაცსა: ბედნიერები ხართ მეთქი, ღარიბი არავინ არის თქვენში-მეთქი?

— ღარიბი რას მიქვიანო. მომწონს და სოფელში იმიტომ ვცხოვრობო. თურმე ესენიც ქალაქელებსავითა ცხოვრობდნენ... ენა მეყურებოდა, მთა და მინდორი ისევ ის იყო, მაგრამ შიშველ მთებზე ტყეები მოეშენებინათ, მინდვრები საკვირველად შეემუშავებინათ და წყლებზე ნავები დაცურავდა“[2].

---

[1] ანჩხატელი, სააღდგომო საუბარი, „დროება“, 1880 წ., № 85.

[2] იქვე.

ასრულდა პ. უმიკაშვილის ოცნება და წინათგრძნობა. ქართველმა ხალხმა ბოლოს და ბოლოს მაინც მოიპოვა თავისუფლება და ბედნიერი ცხოვრება. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სავსებით მოისპო სიღატაკე და გაჭირვება, გაქრა ქალაქსა და სოფელს შორის დაპირისპირებულობა, შეიქმნა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მრეწველობა და მექანიზებული სოფლის მეურნეობა, აყვავდა ჩვენი ეროვნული კულტურა, საქართველო დაიფარა სამუალო და უმაღლესი სასწავლებლების, მუზეუმების, ბიბლიოთეკებისა და თეატრების ფართო ქსელით, მთლიანად გარდაიქმნა არა მარტო თბილისი, არამედ საქართველოს ყველა ქალაქი და სოფელი.

ამით შეიძლება დავამთავროთ პ. უმიკაშვილის პუბლიცისტური წერილების მიმოხილვა. ჩვენ შევეცადეთ გაგვეშუქებინა პ. უმიკაშვილის პუბლიცისტური მოღვაწეობის უმთავრესი მომენტები. როგორც ვნახეთ, იგი მეტად ნაყოფიერი და მრავალფეროვანი პუბლიცისტი იყო. თავის პუბლიცისტურ მოღვაწეობაში მას მხედველობიდან არ გამორჩენია თითქმის არც ერთი ღირსშესანიშნავი საკითხი, რომელიც საქართველოს მაშინდელმა ცხოვრებამ წამოაყენა გადასაწყვეტად. თუმცა პ. უმიკაშვილის პუბლიცისტურ წერილებში ბევრია უტოპიური შეხედულებები, მაგრამ ამ წერილებმა თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს პროგრესულ-დემოკრატიული იდეების გავრცელებისა და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატების საქმეში.

პ. უმიკაშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები

პ. უმიკაშვილის მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს. მის კალამს ეკუთვნის ოცზე მეტი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი, რომლებიც ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხებიან. ამ წერილების უმრავლესობა გამოქვეყნებულია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პრესაში, ხოლო ერთი ნაწილი დართული აქვს ქართველ მწერალთა ნაწერების უმიკაშვილისეულ გამოცემებს. აღნიშნული წერილებისათვის დღემდე შესაფერი ყურადღება არ მიუქცევიათ ქართული ლიტერატურის ისტორიკოსებს, მაშინ როდესაც ყველა მათ შესწავლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პ. უმიკაშვილის მოღვაწეობისა და ქართული კულტურის ისტორიაში მისი ადგილის გარკვევა-შეფასებისათვის.

ვიდრე უშუალოდ შევეხებოდეთ პ. უმიკაშვილის ყველაზე მნიშვნელოვან ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, პირველ ყოვლისა, საჭიროა გავარკვიოთ, როგორი შეხედულებისაა მათი ავტორი მხატვრული ლიტერატურის ზოგად საკითხებზე, როგორ ესმის მას ლიტერატურის საგანი და მისი დანიშნულება საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

როგორც ცნობილია, რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილმა ახალმა თაობამ, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, ქართულ ლიტერატურასა და აზროვნებაში მოიტანა არა მარტო პროგრესულ-დემოკრატიული იდეები, არამედ ახალი ესთეტიკური თეორიაც. ეს იყო მატერიალისტური ესთეტიკის თეორია, რომელიც ლიტერატურას განიხილავდა,

როგორც სინამდვილის შეცნობის სპეციფიკურ ფორმას. ახალი თაობის წარმომადგენლებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს დრომოჭმული სენტიმენტალიზმისა და დეკადენტური რომანტიზმის თაყვანისმცემლებს ქართულ მწერლობაში და მტკიცედ დაამკვიდრეს რეალიზმი, როგორც მხატერული შემოქმედების მეთოდი და ლიტერატურული მიმართულება.

პ. უმიკაშვილი, როგორც ახალი თაობის ერთ-ერთი აქტიური თანამებრძოლი, სავსებით იზიარებს მათ ესთეტიკურ პრინციპებს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მისი ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები წარმოადგენს რეალიზმის ძირითადი პრინციპების დასაბუთებასა და პროპაგანდას.

პ. უმიკაშვილს კარგად ესმის მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაში. „პოეზია, — მისი გაგებით, — გაუქრობელი ლამპარია ყოველი ერისათვის. მისი შუქი — გულთა გამანათლებელი და სიცოცხლის მომნიჭებელი, იქნება ზოგჯერ ნელის მშვიდის სხივით გვეჩვენოს, ზოგჯერ მოკაშკაშე-მოჭახჭახებ, ზოგჯერ მღიმარედ და ზოგჯერ დაღვრემილად, მაგრამ სხივი ამ ლამპისა ისევ სხივია, გულის სიბნელის განმანათლებელი და სულის განმამხნევებელი“[1].

პ. უმიკაშვილის განსაზღვრით. „მწერლობა სარკეა ერის ცხოვრებისა“[2], „ერის სულის და პიროვნების გამომსახველი“[3]. „მწერლობა და მწერლები ისეთივე რამ არის, — წერს იგი, — როგორც მცენარე, რომელსაც აღმოაცენს თესლი და წინა მშობელნი; მიწა, ნიადაგი აქვს აღმომცენებელი, აღმზრდელი, გამხარებელი და ამაღორძინებელი. ერთს დღეს, ერთის ძლიერთ უძლიერესის ნებით და სურვილით ვერა კაცს ვერ შეუძლია თავისის გულისთქმის მიხედვით რისამე შექმნა, თუ

---

1 პ., სამოცდათხუთმეტი წელი უხუცესის პოეტისა, „ივერია“, 1887 წ., № 70.

2 პ., დასაწყისი განახლებისა, „ივერია“, 1890 წ., № 224.

3 პ. უ., ქართული მწერლობა, „საქართველოს კალენდარი“, 1904 წ., გვ. 488.

იმას წინა დროს მსვლელობა არ შესწევს და მასალას არ აძლევს"[1].

ამრიგად, პ. უმიკაშვილი თვლის, რომ ლიტერატურა იბადება ცხოვრებისაგან, ცხოვრების ასახვას წარმოადგენს და ცხოვრება განსაზღვრავს მის განვითარებას. მაგრამ ლიტერატურა, ისევე როგორც ხელოვნება, არ ხასიათდება ცხოვრების პასიური, ნეიტრალური ასახვით, მისთვის უცხოა სინამდვილის მექანიკური განმეორება. პ. უმიკაშვილი უცვლელად იმეორებს ი. ჭავჭავაძის ესთეტიკურ კონცეფციას, რომ „ხელოვნება არის სახეში გამოხატვა-განხორციელება აზრისა, იდეისა"[2]. მას კარგად ესმის ლიტერატურის აქტიური როლი ცხოვრების განვითარებაში, მის გაუმჯობესებასა და გარდაქმნაში. პ. უმიკაშვილის თქმით, „ლიტერატურა, მწერლობაც ცხოვრების ერთი წინწამყუნებელი ძალაა, ერთი საუნჯეა"[3], „თუ მუშაობა აზრისა და წერისა შეჩერდა, — ამბობს ის, — ეს ხომ ჩვენი ცხოვრების წარმატების შეჩერებაა, უკან დარჩენაა, დაცემაა"[4].

პ. უმიკაშვილი მწერლობის მთავარ დანიშნულებას ხედავს თანამედროვეობის საარსებო საკითხების გამოხატვაში. მწერალი თავისი ეპოქისა და ხალხის შვილია, ამიტომ იგი კარგად უნდა გრძნობდეს ეპოქის მაჯისცემას და აქტიურად ეხმაურებოდეს საზოგადოებრივი ცხოვრების მომწიფებულ პრობლემებს, მისი პროგრესული განვითარების ტენდენციებს. „მწერლობის მოვალეობაა, — წერს პ. უმიკაშვილი, — გამოარკვიოს, რომელი საგანია მომწიფებული და უეჭველად საჭირო თანამედროვე წამში. მას მაგრად და მაღლა უნდა ეპიროს კამერტონი, მფლობელი შეიქმნეს შეგნებით ამორჩეულს წამისა აღნიშნულ დროს. პუბლიცისტიკის ძალა იმაშია. თუ

---

[1] პ. უმიკაშვილი, დავით გურამიშვილი და იმისი დავითიანი, დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისაგან, ტფილისი, 1881 წ., გვ. 111.

[2] პ. უმიკაშვილი, გამოუქვეყნებელი წერილი, „მნათობი", 1956 წ., № 12, გვ. 175.

[3] მ. პეტრიძე, არსენა, „კრებული", 1872 წ., № 7, გვ. 64.

[4] პ., ჩვენს მწერლობაზე, „იერია", 1891 წ., № 225.

მარჯვედ შეურჩევია დროცა და საგანიც, მწერლობის ხმას აჰყვება საზოგადოებაც და ხალხიც. თუ არა და მწერლობის მუშაობას სუსტი გავლენა ექმნება თანამედროვე საზოგადოებაზე"[1]. „როდესაც ჩვენ გარს ყველაფერი და ყველანი წინ იწევენ და ჩვენ შევდექით, რა ღონით მოვეწევით, თუ ჩვენი აზროვნება, ლიტერატურა გაჩუმებული იქნება?"[2] — კითხულობს იგი.

იცავს რა ლიტერატურის ორგანულ კავშირს ცხოვრებასთან, პ. უმიკაშვილი კიდევ და კიდევ იმეორებს, რომ მწერლობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს თანამედროვეობის ცოცხალი გამოძახილი, იგი ჯერ კიდევ ჩასახვის პროცესში უნდა ამჩნევდეს და მხარს უჭერდეს ეპოქის პროგრესულ მოთხოვნებს. პ. უმიკაშვილის აზრით, მწერლობამ საზოგადოებას უნდა „აუხსნას მომწიფებული მოთხოვნილება, აღნიშნოს ჩასახული რაიმე, რაც უმრავლესობისათვის ჯერ შეუნიშვნელია, მაგრამ მომავალში დიდმნიშვნელოვანია, დაეხმაროს მის მომწიფებას. მწერლობა და პუბლიცისტიკა, თუ მიხვდა დროსა და ადგილის საწადელს, თუ დაეხმარა მის ასრულებას, ერთი სიტყვით, თუ შეიტყო და ემსახურა თავის დროის მოთხოვნილებას, ეს მისი მთავარი დანიშნულების შეგნება იქნება"[3]. პ. უმიკაშვილს კარგად ესმის, რომ „ყოველ დღეს თავისი სამუშაო აქვს, რაც უნდა მდორე, ნელი მდინარება ჰქონდეს ცხოვრებასა. ყოველივე სიჩუმე დღევანდელის დღისა დიდი დანაკარგია ხვალინდელის დღისათვის. დღეს წელიწადები მისდევს და წელიწადები ზრდიან საზოგადოებას, ხალხს, თაობათა"[4].

ამრიგად, პ. უმიკაშვილის შეხედულებით, მწერლობა ასახავს საზოგადოებრივ ცხოვრებას და მის წინსვლას ემსახურება. მაგრამ საინტერესოა, როგორ ესმის მას საზოგადოებრივი

---

1 პ. უმიკაშვილი, აზრები ლიტერატურაზე, „ივერია", 1902 წ., № 125.
2 პ., ჩვენს მწერლობაზე, „ივერია", 1891 წ., № 225.
3 პ. უმიკაშვილი, აზრები ლიტერატურაზე, „ივერია", 1902 წ., № 125.
4 პ., ჩვენს მწერლობაზე, „ივერია", 1891 წ., № 225.

ცხოვრების განვითარების შინაარსი და მწერლობის როლი ამ ისტორიულ პროცესში?

პ. უმიკაშვილის აზრით, ადამიანი ყოველთვის მიისწრაფის თავის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ და „ამაში მდგომარეობს ისტორია კაცობრიობისა“. „ყოველს ხალხში და ყოველს დროს, — წერს იგი, — ყოველს კაცობრივს საქმეში ეს საჭიროების დაკმაყოფილება, ეს საწადელი უკვდავი იყო. ყველგან, ყველა ხალხში იმისთანა კაცები აღმოჩენილან ხოლმე, რომ ეს საჭიროების დაკმაყოფილება იმათ ძლიერა სწყურებიათ და ჰშიებიათ, როგორც წყალი და პური. ბევრს უშვერს და კაცის ბუნების დამთრგუნველს გარემოებაში ისინი ისე ძლიერის ბუნებისანი ყოფილან, რომ არ წამხდარან სხვებსავით და ვერც წახდებოდნენ. სწავლაში და ხელოვნებაში გონებითი საუნჯე შეუტანიათ, აღმოუჩენიათ ახალი აზრები, ცხოვრებაში უჩვენებიათ ახალი გზა, ახალი გამოჩენა, ერთის სიტყვით, ყოველივე, რაც კი ამშვენებს, ამდიდრებს და სიკეთეში აგდებს ჩვენს სიცოცხლესა. ისინი ჰგვანან ბნელს ღამეში მოკაშკაშე გზის მაჩვენებელს ვარსკვლავსა. თუ კაცობრიობა წინ მიდის, იმათის შემწეობით მიდის. ისინი გვინათებენ დაბნელებულს გულსა, იმედს გვიწვეთებენ გულში და ფრთას შეგვასხამენ ახალის მოქმედებისათვის, ახალის საქმისათვის, ახალის ცხოვრებისათვის. ისინი არიან წინამძღვარნი გზადაბნეულ, თვალებაბმულ კაცობრიობისა. გზადაბნეულნი იმის მოძმენი იმასვე ჰგრძნობენ, რასაც იმათი წინამძღვარი, იგივე მწუხარება აწუხებს და იგივე იმედი აიმედოვნებს ორთავე; მაგრამ წინამძღვარი მეტათა ჰგრძნობს, ბუნება ისეთი აქვს, რომ ან თავისი სურვილი უნდა დაიკმაყოფილოს ან თავი შეაკლას. ამგვარი თავგადადებული კაცი, რასაკვირველია, მიიმხრობს და გაიყოლიებს ვისაც იგივე სურვილი აქვს. ამ მიმხრობით თანდათან ძლიერდება ხალხში საჭიროების დაკმაყოფილების სურვილი და ბოლოს თვით დაკმაყოფილებაც ძალაუნებურად უნდა მიეცეს იმის მსურველთა“[1].

---

[1] მ. პეტრიძე, არსენა, „კრებული“, 1872 წ., № 7, გვ. 62—63.

როგორც ვხედავთ, დიდი ადამიანების, მათ შორის გამოჩენილი მწერლების როლი ისტორიაში პ. უმიკაშვილს მატერიალისტურად აქვს გადაწყვეტილი. გამოჩენილი პიროვნება მას ყოვლისშემძლე ღვთიურ არსებად კი არ მიაჩნია, არამედ ძლიერი ბუნების ადამიანად, რომელიც იმასვე გრძნობს, რასაც სხვები, ოღონდ გონების თვალით სხვებზე უფრო შორს იხედება და წინ მიუძღვის ხალხს. ამასთანავე დიდი ადამიანის მოღვაწეობისათვის მთელი წინა თაობის შრომა ამზადებს ნიადაგს. იგი წერს: „მართლა რა არის გენიოსობა, თუ არ წარმომადგენლობა მრთელის ხანგრძლივის წარმატებისათვის, პროფესიისათვის შრომისა და მოღვაწეობისა. გენიოსობა გამომთქმელია, შემკრებია წინათ ნაშრომ-ნაღვაწევისა. მაშასადამე ყოველი გულწრფელი და ერთგული მუშაკი ნაწილია მომავლის ბრწყინვალე გენიოსობისა. დიდი დიდება და სახელი გენიოსისა, დიდება და სახელია მისი წინა მუშაკისა. საცა არ იქნება მუშაკი, იქ არც გენიოსი დაიბადება“[1].

პ. უმიკაშვილი შესანიშნავად გრძნობდა, რომ საქართველოს მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის თავისებურება ახალ, უფრო მაღალ მოვალეობას აკისრებდა ქართულ მწერლობას. მას კარგად ესმოდა, რომ ცარიზმის მიერ განხორციელებული ულმობელი ეროვნული ჩაგვრისა და თვითმპყრობელობის სასტიკი სოციალურ-პოლიტიკური უსამართლობის პირობებში ლიტერატურა გახდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, ერის გონებრივი და სულიერი განვითარების ერთადერთი ასპარეზი. იგი წერდა: „დღეს ქართველების ცხოვრებაში მარტო ერთი საერთო ასპარეზი ყველასათვის მისაწვდომი მხოლოდ ლიტერატურა შეგვრჩენია. მართლაც, ვერსად ჩვენი ხმა ვერ მისწვდება, ვერსად ჩვენი მსჯელობა ვერ მივა, ვერსად ჩვენი სურვილი ვერ გამოცხადდება და ჩვენი მოქმედება ისე ვერ ივარჯიშებს, როგორც სალიტერატურო ასპარეზზე. თუ ჩვენი აზროვნების, ჩვენი მსჯელობის იარაღად სიტყვა დარჩენილა და მის გამომთქმელად ლიტერატურა, ჩვენი მწერლობა, მისი ყოფა დღეს ჩვენთვის

---

[1] უ., სერგეი მესხი, „ივერია“, 1883 წ., № 7—8, გვ. 179—180.

ძვირფასი ყოფილა და იქნება ყოველთვის"[1]. გ. წერეთლის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში პ. უმიკაშვილი გარკვევით აღნიშნავდა: „გავლილ ნახევარ საუკუნეში საერთო ქვეყნის ზრუნვის გამომთქმელი, აღმზრდელი და მწვრთნელი შეიქმნა ჩვენი მწერლობა. ვისაც გული ერჯის, ამ საერთო საქვეყნო ზრუნვით თუ არის შეპყრობილი, ის არის დღეს ქვეყნისაგან მოღვაწედ ცნობილი, მისი გაკეთებული საქმეა ნაყოფიერი, აღმზრდელი და დამხმარე ქვეყნისა"[2]. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგანაც, მისი თქმით, „როდესაც სწავლა და განათლება შევიწროებულს მდგომარეობაშია და ადამიანის გონების საჭიროებას არ აკმაყოფილებს, ამისთანა მდგომარეობაში ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები სასწავლებლის და აღზრდის ადგილს იჭერს"[3].

პ. უმიკაშვილის თვალსაზრისით, მწერლობა არ შეიძლება იყოს ერის ცხოვრების გულგრილი მემატიანე. ეს სავსებით კანონზომიერია, რადგანაც მწერლობა ყოველთვის ვითარდება განსაზღვრულ საზოგადოებრივ პირობებში და აუცილებლად გამოხატავს მთელი ერის ან მისი ერთი ნაწილის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს. ამიტომ მწერლობა ყოველთვის გარკვეულ როლს ასრულებს ცხოვრებაში და იმის მიხედვით, თუ ვის ინტერესებს ემსახურება, ხელს უწყობს ან აბრკოლებს ერის წინსვლასა და კეთილდღეობას. ამ ამოცანის შესრულებაში მწერლობას ეხმარება მეცნიერება. პ. უმიკაშვილი წერს: „მწერლობა და ყოველივე საუნჯე ხალხის კეთილდღეობის, სიკეთის ჩამოგდებაში ორგვარათ უნდა გავსინჯოთ: ან უნდა იყოს ერის წინ წასვლის მუშა, ესე იგი ემსახურებოდეს ერში სიკეთის ჩამოგდებასა; ან უნდა ეწინააღმდეგებოდეს; ან არც ერთისაკენ იყოს, არც მეორესაკენ. არც აქეთა და არც იქითა მხრის დაუჭერლობაც ისეთივე საქმეა.

---

1 პ. უმიკაშვილი, გასამრჯელო სალიტერატურო შრომისათვის, „მოამბე", 1893 წ., № 2, გვ. 79.

2 გ. წერეთლის გვამის დასაფლავების დროს წარმოთქმული სიტყვანი, „ივერია", 1900 წ., № 13.

3 ვ. პეტრიძე, იოსებ მაძინი, „კრებული", 1872 წ., № 8—9, გვ. 43.

როგორც წინააღმდეგობა. ვინც მე ხელს არ მომაწოდებს წყლიდგან თავის გადარჩენისათვის, იმისთანა კაცის ამხანაგია, ვისაც ჩემი დახრჩობა უნდა; მაშასადამე, ორგვარია მწერლობაც — ერთი არის სიკეთის ნამდვილი, და არა ცრუ, მშველელი, მეორეა დამაბრკოლებელი. მწერლობა იმგვარად ემსახურება ერის ცხოვრებასა, რომ ან მეცნიერების საფუძველით გვაჩვენებს, რა უნდა ვქმნათ; ანუ გვაჩვენებს რასაც ვაკეთებთ, რა გვიკეთებია, რა ყოფილა და რაც არის"[1].

აქედან გამომდინარე, მწერლის ღირსებას პ. უმიკაშვილი უმთავრესად იმის მიხედვით აფასებს, თუ რამდენად შეგნებული აქვს მას თავისი ერის სასიცოცხლო ინტერესები, მშობლიური ხალხის სულიერი ტკივილები და სიხარული და რამდენად სწორად გამოხატავს იგი ცხოვრების სიმართლეს. „რამდენადაც მწერალი ერის ნამდვილს ბუნებითს საწადელს მტკიცეთ შეიგნებს, — წერს პ. უმიკაშვილი, — იმდენათ ის იქნება მართალი, ჰეშმარიტი მწერალი, ჰეშმარიტი ნიჭი. თუ ეს სიმართლე და ჰეშმარიტება არა აქვს მწერალს, მაშასადამე, ცრუ მწერალია, რადგანაც არ ესმის ხალხის ნამდვილი საწადელი. მწერლის ღირსებას ვაფასებთ იმით, როგორი ვრცელი მხედველობა აქვს, როგორი სინამდვილით ესმის და ცხოვლად გვიხატავს ცხოვრების მოვლენათა"[2].

მაგრამ ცხოვრების ასახვაში მწერალი არ უნდა იჩენდეს ცალმხრივობას, იგი არ უნდა ერიდებოდეს იმის ჩვენებას, რაც დრომოჭმულია და ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას. პ. უმიკაშვილს მიაჩნია, რომ სინამდვილისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, დადებითთან ერთად უარყოფითის ჩვენება, საჭირო და სასარგებლოა უკეთესი მომავლის მიღწევისათვის. „თუ მართლა ჰეშმარიტნი მზრუნველნი ვართ, — წერს იგი, — ყველას, ვინც კი დაგვანახვებს ჩვენს ნაკლულოვანებას, შეცთომას თუ სიბოროტეს, უნდა პატივი ვცეთ და კეთილი რჩევა მადლობით მივიღოთ"[3]. „თუ კაცს საზოგადოე-

1 მ. პეტრიძე, არსენა, „კრებული", 1872 წ., № 7, გვ. 64—65.

2 იქვე.

3 პ. უმიკაშვილი, გამოუქვეყნებელი წერილი, „მნათობი", 1956 წ., № 12, გვ. 171.

ბისათვის კეთილი სურს, — განაგრძობს პ. უმიკაშვილი, — ყველა ნაკლულოვანებას უნდა ერიდებოდეს. რასაკვირველია, უფრო უკეთესია, თუ ერთმანეთს აჩვენებენ ნაკლულოვანებას. ამ სახით უფრო მალე აღმოიფხვრება შეცთომა"[1].

პ. უმიკაშვილის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებში დიდი ადგილი უჭირავს ხალხურობის პრობლემას. მისი აზრით, ყოველი მოწინავე მწერლის აუცილებელ თვისებას შეადგენს ხალხურობა. მაგრამ ხალხურობა მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ მწერალი თავის ნაწარმოებში ხალხის ინტერესებს გამოხატავდეს, არამედ, ამასთან ერთად, მისი შემოქმედება გასაგები და მისაწვდომი უნდა იყოს მკითხველთა ფართო მასებისათვის. „ერთი უპირველესი პირობა მწერლისა ის არის, — წერს პ. უმიკაშვილი, — რომ მკითხველისათვის გასაგები იყოს იმის ნაწერი. ეს რო არ ესმოდეს მწერალს, იმასა ნიშნავს, რომ მწერალს თავისი მნიშვნელობა არ გამოურკვევია. თუ გვეტყვის ამგვარი მწერალი, რომ ქვეყნისათვის ვწერო, ნუ გჯერათ, ის თავის თავის შექცევისათვის სწერს და არა სხვებისთვის"[2].

ხალხურობის პრობლემა პ. უმიკაშვილის შეხედულებებში ორგანულად არის დაკავშირებული ახალი ქართული სალიტერატურო ენის საკითხებთან. ეს არ არის შემთხვევითი, რადგანაც მხატვრული ნაწარმოების ხალხურობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო შინაარსს, არამედ ფორმასაც. ამიტომ იყო, რომ ახალმა თაობამ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე პირველი იერიში სწორედ არქაულ-საეკლესიო ენის თაყვანისმცემელთა წინააღმდეგ მიიტანა და გადაჭრით დააყენა ქართული სამწერლო ენის დემოკრატიზაციის, მისი ხალხის სასაუბრო ენასთან დაახლოების საკითხი.

ენის საკითხებში პ. უმიკაშვილი მტკიცედ იცავს იმ თვალსაზრისს, რომელიც ახალი ქართული სალიტერატურო ენის დიდმა რეფორმატორმა ი. ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა. მას კარ-

[1] პ. უმიკაშვილი, გამოუქვეყნებელი წერილი, „მნათობი", 1956 წ. № 12, გვ. 172.

[2] მ. პეტრიძე, შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის, „კრებული", 1872 წ., № 8—9, გვ. 227.

ბად ესმის, რომ ენა საზოგადოებრივი მოვლენაა და დროთა ვითარებაში საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება და ვითარდება. „ცხადი საქმეა, — წერს პ. უმიკაშვილი, — რომ ენა ხალხში დაბადებულა, გაჩენილა. ხალხის ცხოვრებასთან ენაც იცვლება, ხალხის გამოცდილებასთან ენაც პირველად შემუშავებული ვითარდება. ათას წლის განმავლობაში პირველ ძველ ენას რომ შევადაროთ უკანასკნელი ახალი, რასაკვირველია, რომ დიდ ცვლილებასა ვნახავთ. ძველი ენა ახალ ხალხში აღარ იხმარება, ამიტომ, რომ ის ძველი ენა ძველ ხალხთანვე მომკვდარა და პირველი ეს არის, რომ ენა უფრო და უფრო, როგორც ხალხი უფრო და უფრო, სისრულეში შესულა"[1].

პ. უმიკაშვილი გადაჭრით უარყოფს ანტონ კათალიკოსის რიტორიკისა და მის მიმდევართა მოთხოვნილებას სამი სტილის თაობაზე. იგი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ხალხის ენაზე აიგოს სალიტერატურო ენა. იგი წერს: „როგორცა ვხედავთ ეხლანდელი ენა ძველ ენას არა ჰგავს. ენაში ცვლილება მომხდარა. მაგრამ აი საკვირველი ჩვენი ზოგიერთი მწერლები დღეის აქამომდე ისე წერასა ცდილობენ, როგორც ამ რამდენიმე ასის წლის წინათ უწერიათ. ეს შეუძლებელია ისე, როგორც ასი წლის უკან წასვლა და მამაპაპებში ჩადგომა. მიზეზი კი ის არის, რომ ძველ მწერლების მიბაძვა სურთ. ეს კი ავიწყდებათ, რომ იმათ იმ ენით უწერიათ, როგორც ხალხი ლაპარაკობდა, ფიქრობდა. ეს ავიწყდებათ ჩვენ ზოგიერთ მწერლებს, რომ საზოგადოებისთვისა სწერენ და არა ორიოდე მწერლებისთვისა. თუ საზოგადოებისთვისა სწერენ, ხალხის გასაგონათ უნდა სწერონ. საუბედუროთ, ჩვენში კიდევ დარჩნენ ორიოდე მწერალნი ამ ჰაზრებითა. მრთელ განათლებულ ხალხში იმასა ცდილობენ, რაც შეუძლიათ, რომ სახალხოთა სწერონ. ჩვენ კი გამოვდგომიავართ მაღალ ფრასულ და დაბალ ფრასულ და რაღაებსაცა. თუ იმ ენით არა ვსწერეთ, როგორცა ვლაპარაკობთ, ვსჯით, ვფიქრობთ, სარგებლობას ვერარას

---

[1] პ. უმიკაშვილი, გამოუქვეყნებელი წერილი, „მნათობი", 1956 წ., № 12, გვ. 173.

მოუტანთ საზოგადოებასა, ჩვენი დაწერილი წიგნები და შრომა ორ დღეზე გაგვიწყალდება“[1].

პ. უმიკაშვილის თქმით, „ენას კაცი ვერც ღრამატიკით ისწავლის, ვერც არა თეორეთიკითა. ენას კაცი ენითვე ისწავლის ცხოვრებაში“[2]. მას მტკიცედ სჯერა, რომ მწერლობაში საბოლოოდ დამკვიდრდება ხალხის სასაუბრო ენა. „ეხლა კი იმედია, — წერს იგი, — რომ ერთი-ორი თუ დარჩებიან მაღალ ფრასულის ენის მოდარაჯეთ, თორემ ყველა სასაუბრო ენით წერას ირჩევენ. ამას ბაასი არ უნდა“[3].

ის მოთხოვნა და დანიშნულება, რასაც პ. უმიკაშვილი უყენებდა ქართულ მწერლობას, მთლიანად ეხებოდა აგრეთვე ლიტერატურულ კრიტიკას. „რით ვაფასებთ, როგორ ვაფასებთ ყველაფერს და მათ შორის სიტყვიერების ნაწარმოებსა“, — კითხულობს იგი და იქვე პასუხობს: „ყველა მწერლის და თხზულების გასაშინჯავი სასწორ-საზომი ის არის, რამდენათ ჰხატავს და გამოსთქვამს მწერალი ანუ თხზულება როშელისამე დროს და ხალხის ბუნებითს წადილს და სურვილს, ბუნებითს ლტოლვილებას“[4].

როგორც ვხედავთ, პ. უმიკაშვილი მოითხოვს, რომ ლიტერატურული კრიტიკა ცალკეული ნაწარმოებისა თუ მწერლის მთელი შემოქმედების განხილვა-შეფასებას იძლეოდეს ხალხის ცხოვრებასთან ურთიერთობაში. გ. წერეთლის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში იგი გარკვევით აღნიშნავდა, რომ „მეცნიერება და ხელოვნება, პოეზია და სცენა, ყოველგვარი ხელობა და ადამიანის მოქმედება მაშინ არის მაღლიანი და სიკეთით შემკობილი, თუ ამ საზოგადო ზრუნვის ცეცხლშია გატარებული. უამისოდ არც განათლებას, არც ხელოვნებას და მწერლობას, არც არავითარ ადამიანის საქმეს არაფერი ფასი არა აქვს, — ის მკვდარიაო“[5]. ამასთანავე კრიტიკა

[1] პ. უმიკაშვილი, გამოუქვეყნებელი წერილი, „მნათობი“, 1956 წ., № 12, გვ. 173.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 174.

[4] მ. პეტრიძე, არსენა, „კრებული“, 1872 წ., № 7, გვ. 59.

[5] გ. წერეთლის გვამის დასაფლავების დროს წარმოთქმული სიტყვანი, „ივერია“, 1900 წ., № 13.

უნდა აჩვენებდეს, თუ რამდენად ღრმად ჩასწვდა მწერალი საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსს და სწორად მონახა შესატყვისი მხატვრული ფორმა ამ შინაარსის გადმოსაცემად. „კრიტიკის საქმე ეს არის, — წერს პ. უმიკაშვილი, — მწერალმა გაიგო თუ არა ერის საწადელი, რომელიც ან უკვე გაღვიძებულია, ანუ მალე გაიღვიძებს ჟამთა ვითარების ძალით? მასუკან, რამდენათ გაიგო და გამოხატა? ძირიდგან აუღია საგანი, თუ მარტო გარეგანი შეხედულება? გარეგანი გამოხატვა და წარმოდგენა საგნისა როგორ ეთანხმება მწერლის მხედველობას და გრძნობის ძალას? აი ჩვენი ზომა და სასწორი ყოველის თხზულების და მწერლის დაფასებისათვის“[1].

მაგრამ იმ დროს ყველას როდი ესმოდა კრიტიკის ნამდვილი მნიშვნელობა. პ. უმიკაშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა: „დაიწყო მწერალმა, ვთქვათ, რისამე გარჩევა, გარკვევა, აწონ-დაწონა, ერთი სიტყვით, კრიტიკა. უეჭველათ მაშინვე აყაყანდება მკითხველი: რა საკადრისია ლანძღვაო. საქმის გარჩევას და დაფასებას ჩვენში ლანძღვას ეძახიან“[2]. სწორედ ამათ შესახებ ამბობდა პ. უმიკაშვილი: „თუ პირდაპირ თქმას ლანძღვას ეტყვით, ჩანს თქვენი შეცთომის გასწორება არა გსურვებიათო“[3].

პ. უმიკაშვილის შეხედულებით, როგორც მწერლობა, ასევე ლიტერატურული კრიტიკაც ფეხდაფეხ უნდა მიჰყვებოდეს ცხოვრების განვითარებას. კრიტიკოსი აუცილებლად უნდა იდგეს თავისი დროის ეანათლებისა და აზროვნების სიმაღლეზე, მას ზედმიწევნით უნდა ესმოდეს ხალხის სულიერი მოთხოვნილება და მისწრაფება.

პ. უმიკაშვილი მკაცრად დასცინის იმ კრიტიკოსებს, რომლებიც თავიანთ მსჯელობაში ანტონ კათალიკოსის რიტორიკას ვერ გასცილებიან. იგი წერს: „თუ საკუთრად სალიტერატურო ნაწარმოებზეა ლაპარაკი, მაშინ ხომ აღა-მამადხანის დრო-

---

1 მ. პეტრიძე, არსენა, „კრებული“, 1872 წ., გვ. 66.

2 მ. პეტრიძე, პეტერბურგიდამ, „დროება“, 1866 წ., № 2.

3 პ. უმიკაშვილი, გამოუქვეყნებელი წერილი, „მნათობი“, 1956 წ., № 12, გვ. 172.

ინდელ მჭერმეტყველობის თეორიას მოსძებნიან და იმითი ჰზომავენ თხზულებასა. პირველი და უკანასკნელი სალაპარაკო იქნება უნბრჯგუ, ესე იგი ასოებისა და სიტყვების ქექა და აზრების სრულიადი დაუდევნელობა"[1]. პ. უმიკაშვილის სიტყვით, ისინი ანგარიშს არ უწევენ, რომ ხალხი „არას დასდევს არც ანტონ კათოლიკოზის რიტორიკას, არც უნბრჯგუს, ოღონდ კი საგულებელი რამ მოიპოვებოდეს ნაწერში, ოღონდ იმის მარტივს გულს და სულს ემოყვრებოდეს, იმისი შესათვისებელი და გასაგონი სიხარული ან მწუხარება და ან იმედი რამ იყოს, თორემ სხვა წყალს უზიდნია"[2].

ზემოთქმულიდან ცხადად ჩანს, თუ რა შეხედულებისაა პ. უმიკაშვილი მწერლობასა და ლიტერატურულ კრიტიკაზე და რა ამოცანებს უყენებს მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მოთხოვნილებებს, რომლებსაც იგი უყენებდა ქართულ მწერლობასა და ლიტერატურულ კრიტიკას, უპირველეს ყოვლისა, თვითონ იცავდა და თანმიმდევრულად ანხორციელებდა თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში. ამას ნათლად დაგვანახვებს აღნიშნული წერილების განხილვა.

1866 წელს გაზეთ „დროებაში" მიქელა პეტრიძის ფსევდონიმით დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის წერილი „პეტერბურგიდამ". ეს იყო მისი პირველი ლიტერატურული წერილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძველი თაობის წინააღმდეგ მიმართულ ერთ წერილს, რომელიც იმ დროს არ დაბეჭდილა, და რუსულიდან თარგმნილ ორ სტატიას, რომლებიც უფრო ადრე „ცისკარში" გამოქვეყნდა.

პ. უმიკაშვილის აღნიშნული წერილი ეხება იმ საზოგადოებრივ დანიშნულებასა და ამოცანებს, რომლებიც ახალდაარსებულ გაზეთ „დროებას" ეკისრებოდა თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. გაზეთის უმთავრესი მოვალეობა, ავტორის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ „იცოდეს, თუ რიგიანათ არა, როგორც სამართალია. მსუბუქათ მაინც ისტორია, გეოგრაფია, ხალხის ზნეობითი ღონე, იმისი სურვილი და მოწადინეობა, იმისი ლიტერატურა. ამასთანავე ჩვენი ხალხის ვითა-

[1] პ. პეტრიძე, არსენა, „კრებული", 1872 წ., № 7, გვ. 56.

[2] იქვე, გვ. 57.

რება და გარემოება, ჩვენი ყოფა-ცხოვრება უნდა ისე იცოდეს, როგორც კი შესაძლებელია, როგორც ჩვენის დროების სწავლას ეს შეჰფერის. რადგანაც ქართულს ენაზედ არაფერი ამგვარი არა გვაქვს რა, ყოველივე ეს „დროებამ“ უნდა აცნობოს, აუხსნას, გაურკვიოს. ეს უნდა ყოველთვის მხედველობაში გვქონდეს, თუ გვსურს, რომ ჭეშმარიტი სარგებლობა უჩვენოთ საზოგადოებას, მეტადრე სალიტერატურო ასპარეზზედ. ამისი აღსრულება დიდი და ძნელი საქმეა. საშძიმოა ამაების გამოთქმა, გულის სანაღელოა, მაგრამ მართალი კი არის. მართალის თქმა ყოველთვის სასარგებლო არის. თუ „დროებას“ ესმის ესა, თავის საქმეს კარგათაც წაიყვანს, თუ არა, ძალიან ცუდი საქმე იქნება“[1].

პ. უმიკაშვილს მიაჩნია, რომ „ჩვენს მკითხველებს გაზეთმა უნდა აუხილოს თვალი, აჩვენოს და ჩააგონოს კაცობრივი, მღვიძარე, ნათელი აზრი, დაანახოს ის უმეცრება, რომელშიაც სულით და ხორცით ჩაფლულან“[2]. „გაზეთის ვალია, — განაგრძობს ავტორი, — ჩააგონოს მკითხველს, რომ კაცს ალალ-მართალი, კაცური ცხოვრება, ყოფა-ქცევა ჰქონდეს, თვითონ კაციც ალალ-მართალი იყოს და სხვასაც არ დაუშალოს ალალ-მართლობა, სხვის არმობის, უსამართლობის მიზეზი არ გახდეს. ყოველი კაცი თავის ბედნიერებას, თავის სიკეთეს ეძებს. თავის ბედნიერების და სიკეთის გულისთვის სხვა არ უნდა გააუბედუროს არც პირდაპირ საქმით და არც შორიდამ. თავისი თავის ბედნიერება ისე უნდა იშოვნოს კაცმა, რომ სხვის არც ერთი წვეთი სისხლისა და ცრემლის დაღვრის მიზეზი არ გახდეს. სიმდიდრეს ბევრნი შოულობენ, მაგრამ ალალ-მართლობით შოვნა მეტათ ძნელია. ყველამ იცის, ალალ-მართლობით ცხოვრება კარგი რამ არის, მაგრამ რჩენისთვის ეს ხელს არ მაძცემსო. ადამიანებმა არ იციან ამ მრუდე გზიდან სწორე გზაზედ როგორ გადავიდნენ, ამ სიცრუიდან რანაირათ გამოვიდნენ და სიმართლეში შევიდნენ, ამ კაცის მჭამელობას როგორ მორჩნენ, რომ ძმური, მოყვარული,

---

[1] მ. პეტრიძე, პეტერბურგიდამ, „დროება“, 1866 წ., № 3.

[2] იქვე.

ბედნიერი ცხოვრება მოიპოვონ. აი ამ უბედურის მდგომარეობისაგან გამოყვანის ღონისძიება უნდა შეატყობინოს გაზეთმა, უნდა ჩააგონოს, რომ ყველას ერთგვარათ, დიდსაც და პატარასაც, ბედნიერებაში სამართლიანი წილი უძევს, ბედნიერება ყველასი შეიძლება, თუ ადამიანებმა მოინდომეს. ბოლოს უნდა შეატყობინოს, თუ როგორ, რა ღონისძიებით უნდა იშოვოს ეს ბედნიერება“[1].

ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ აქ გადმოცემული მსჯელობა ზედმიწევნით ახასიათებს პ. უმიკაშვილის თვალსაზრისს არა მარტო გაზეთის დანიშნულებაზე, არამედ სოციალურ საკითხებზეც. აღნიშნული მსჯელობიდან ნათლად ჩანს ავტორის მისწრაფება იმ საყოველთაო კეთილდღეობისაკენ, რომელიც მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ყველა რუსი განმანათლებლის ერთ-ერთ არსებით თვისებას შეადგენდა[2].

პ. უმიკაშვილის აზრით, გაზეთ „დროების“ ერთ-ერთი მთავარი საგანი უნდა იყოს გლეხობის ცხოვრება. გაზეთმა უნდა აჩვენოს საზოგადოებას, რომ გლეხები „ალალ-მართლები და სვინდისიანები არიან; ღარიბნი არიან, მაგრამ შრომისმოყვარენი არიან, თითო ლუკმა პური ათის იმის წონა ოფლათ, სისხლათ და ცრემლათ უზით. უბედური ყოფა-ცხოვრება აქვთ, მაგრამ გულით წმინდანი არიან“[3]. ამიტომ გაზეთის მოვალეობაა მკითხველებს ჩააგონოს, რომ „ყველა კაცი ვლეხს, მუშა კაცს კაცურათ, ძმურათ ეპყრობოდეს“, „გზა არ შეუკრას, არ დაუშალოს ბედნიერი ცხოვრება“, „გლეხსავით ალალ-მართლობა და სვინდისიანობა ისწავლოს, გლეხსავით შრომა შეიყვაროს, რომ სხვის შრომით არ გამოდიოდეს“[4].

პ. უმიკაშვილი მოაგონებს „დროების“ რედაქციას, რომ გაზეთმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქალების მდგომარეობას და აუხსნას მათ თავიანთი საზოგადოებრივი

---

[1] მ. პეტრიძე, პეტერბურგიდამ, „დროება“, 1866 წ., № 3.

[2] ვ. ი. ლენინი, რა მემკვიდრეობაზე კამბობთ უარს? თხზულებანი, ტ. 2, 1948 წ., გვ. 609—668.

[3] მ. პეტრიძე, პეტერბურგიდამ, „დროება“, 1866 წ., № 3.

[4] იქვე.

მოვალეობა. „საკუთრათ ქალებს ის უნდა შეატყობინოს გაზეთმა, — წერს იგი, — რომ თავიანთი ვალი შეიტყონ, რა ვალი ადევთ მშობლებს ჩვენს დროში. ჩააგონოს, რა ადგილი უნდა ეჭიროთ საზოგადოებაში და კაცობრიობაში, უნდა ჩააგონოს, რომ გულხელდაკრეფილი ჯდომა და უსაქმობა ადამიანის ღირსებას ამცირებს, აშფაბლებს“[1].

„დროების“ წარმატებისა და საერთოდ სწავლა-განათლების გავრცელებისათვის, პ. უმიკაშვილის შესედულებით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ხალისიანი და მიმზიდველი იქნება გაზეთის საუბარი მკითხველებთან. იგი წერს: „გაზეთმა უნდა იცოდეს ოსტატობა, როგორ დაელაპარაკოს, რომ შეაყვაროს კითხვა, როგორ შეახალისიანოს, მოაწყუროს სწავლა, გონების გაჭდიდრება და კაცური აზრის შემატება, ერთის სიტყვით, დაინტერესებული ჰყოს კითხვაში, რასაკვირველია, არა თუ მარტო გაზეთისა, სხვა წიგნებისაც“[2].

ასეთი ვრცელი სამოქმედო პროგრამა დაუსახა პ. უმიკაშვილმა გაზეთ „დროებას“. ეს პროგრამა სავსებით ეთანხმებოდა იმ ამოცანებს, რომლებიც პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების თაობამ დააყენა ქართული ლიტერატურისა და ჟურნალ-გაზეთების წინაშე. „ისე უნდა აღზარდოთ თქვენი მკითხველის სული, — მიმართავდა პ. უმიკაშვილი „დროების“ რედაქციას, — რომ წინა ჰქონდეს ჭეშმარიტება და უკან კვალი განათლებული“. აქვე უნდა ითქვას, რომ პ. უმიკაშვილი, როგორც „დროების“ ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი, დაუღალავად ემსახურებოდა აღნიშნული პროგრამის განხორციელებას.

ნაშრომის პირველ თავში მითითებული გვაქვს, თუ რა გულმოდგინედ, თავდადებითა და გატაცებით ეწეოდა პ. უმიკაშვილი ფოლკლორისტულ მოღვაწეობას. ხალხური სიტყვიერების დაუღალავი მოამაგე ყოველთვის დამაჯერებლად განმარტავდა ერის პოეზიის მეცნიერული შესწავლის უდიდეს მნიშვნელობას. იგი ხშირად მოაგონებდა საზოგადოებას, რომ

---

[1] მ. პეტრიძე, პეტერბურგიდამ, „დროება“, 1866 წ., № 3.

[2] იქვე.

„ერის სიტყვიერება, ერის პოეზია უშრეტელი წყაროა, უწყვეტლად მომდინარე იქიდამ, სადაც გაჩნდა ერის სიცოცხლე, სული და გონება, ნიჭი და გენიოსობა. პოეზია წაუშლელი ძეგლია, რომელზედაც სწერია ერის სულიერი ცხოვრების სურათი და არა მოლანდებული, სიცრუით დაფერილი ჩრდახვა... ეს წყარო პოეზიისა უშრეტელი რამ არის, იმის ნაკადულით მოტანილი ნაწარმოები მოდამ ძვირფასი იქნება მეცნიერებისთვისაც და მწერლობისთვისაც“[1].

1872 წელს ჟურნალ „კრებულის“ მეშვიდე ნომერში დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის ვრცელი წერილი „არსენა“. წერილის დასაწყისში იგი მკაცრად დასცინის კონსერვატულ-ლიბერალური ბანაკის წარმომადგენლებს, რომლებიც ხალხური სიტყვიერების ნაწარმოებში ვერ ხედავდნენ ვერავითარ ღირსებას. პ. უმიკაშვილი მათ ქირომანტიისა და უნბრჯგუს დაცველებს უწოდებს, რადგანაც ისინი მხოლოდ ამ საზომით აფასებენ არა მარტო მწერლობის, არამედ კაცისა და ხალხის ღირსებასაც.

როგორც ცნობილია, „არსენას ლექსმა“ თავიდანვე უდიდესი პოპულარობა მოიპოვა ხალხის ფართო მასებში. გარდა იმისა, რომ „არსენას ლექსს“ ჰესტვირეები ზეპირად ავრცელებდნენ, ათასობით იყიდებოდა მისი ბეჭდური გამოცემები. პ. უმიკაშვილის შეხედულებით, აღნიშნული გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ „ამ ლექსში არის რამე ისეთი, რომ ხალხის გონებას და გულს ეუბნება გასაგონს საგანსა: სჩანს ერის შეგონება და შემეცნება ჰპოულობს არსენაში თავის მოძმე აზრსა“. არსენა „არის წარმომადგენელი ჩვენის ხალხის გრძნობისა და გონებისა. მასში იხატება გარკვევით და ცხადათ, რა მწუხარება აწუხებს ჩვენ გლეხსა და რა იმედი აიმედოვნებს“. ამიტომ „ხალხს შორეულ უცხო სიცოცხლეთ არ მიაჩნია არსენას სიცოცხლე და იმისი აზრები ძალიან არა ჰშორდება არსენას აზრებსა“, რასაც „თავისი საფუძველი ჩვენს ძველსა და ახალს ისტორიულ ცხოვრებაში აქვს“[2].

პ. უმიკაშვილს მიაჩნია, რომ „ამ სახალხო ლექსში გამო-

[1] პ., უსაფუძვლო დაფოლება, „ივერია“, 1888 წ., № 29.

[2] მ. პეტრიძე, არსენა, „კრებული“, 1872 წ., № 7, გვ. 93—94.

ხატულია არა ერთი და ორი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, არამედ მრავალი სხვადასხვა მხარე. აქ ყოველივე ერთათ შეერთდა, შეკავშირდა და ერთ ვრცელ ეალხის ცხოვრების სურათად წარმოგვიდგა. არსენაში გამოითქვა ბუნებითი, ღრმა სიყვარული სიკეთისა და ამ სიკეთის ცხოვის თავის აღება და ბრძოლა კაცის დამჩაგვრელ ძალასთან, როგორიც უნდა იყოს ეს ძალა"[1].

პ. უმიკაშვილს კარგად ესმის, რომ არსენა ჩვენი ხალხის ღვიძლი შვილი, მისი ეროვნული გმირია. არსენა ცოცხალი განსახიერებაა იმ შეუდრეკელი, გმირული ხასიათისა, რომელიც ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე გამოიმუშავა მრავალრიცხოვან მტრებთან უთანასწორო და გაუთავებელ ბრძოლებში. „თითო მტკაველ მიწისათვის, — წერს პ. უმიკაშვილი, —ზღვა სისხლსა ღვრიდა ჩვენი ერი. არც ერთ ხალხს დედამიწის ზურგზე, არც ერთს, არც ერთს ესე ძვირათ არ დაუფასებია თავისი სამკვიდრებელი და არც ერთს ესე ძვირათ არ დასჯდომია! ეს ძალიან კარგათ ესმის ჩვენს ერს და ჰგრძნობს თავის თავს გამარჯვებულათ. ეს ისტორიით აღზრდილი და განმტკიცებული გრძნობა ღრმათ ამკვიდრებს ხალხში იმის უფლებას, იმის პიროვანს და საზოგადო, სათემო უფლებას. ამ ერში განმტკიცდა ის აზრი, რომ ბრძოლითა და მეცადინეობით ყოველისავე ბოროტების და ავის მოსპობა შეიძლება. რაკი სადმე ჰგრძნობს თავის ბუნებითის სურვილის დაკმაყოფილების წინააღმდეგსა, მაშინვე უპირდაპირდება, არ ემონება და არც შეუძლია დამონება და ეძებს თავის საწადელსა"[2].

მიუხედავად ამისა, არსენას ტიპი მაინც კონკრეტულ სოციალურ პირობებში წარმოიშვა, კერძოდ, ადამიანის იმ აუტანელი ბატონყმური ჩაგვრისა და დამონების პირობებში. როცა, პ. უმიკაშვილის დახასიათებით, „ბატონს რაც უნდოდა, ერთის სიტყვით, იმას სჩადიოდა და ყმას ნება არ ჰქონდა ბატონზე საჩივარი შეეტანა. ამგვარათ, ყმა ბატონს ისეთსავე საგნათ მიაჩნდა, როგორც სამუშაო საქონელი, ცხენი, ხარი და

---

[1] მ. პეტრიძე, არსენა, „კრებული", 1872 წ., № 7, გვ. 67.

[2] იქვე, გვ. 68—69.

სხვა სულდგმული და უსულო ნივთი, რომელიც იმას უყიდნია და დაუსაკუთრებია. როგორც ხარ-კამეჩს ახვნევინებენ, ალეწვინებენ, ქვას აზიდვინებენ, ყმასაც ხშირად შეხვედრია ეს ხვედრი“[1].

პ. უმიკაშვილი სწორად მიუთითებს, რომ მარტო საქართველოში კი არ იყო გლეხობა უფლებააყრილი და დაჩაგრული, არამედ მაშინდელი რუსეთის მთელ იმპერიაში. ამის დასამტკიცებლად მას მოჰყავს ნ. ა. ნეკრასოვის ლექსი „ფიქრები საპარადო შესასვლელთან“, რომელიც კარგად ახასიათებს ბატონყმობითა და ბიუროკრატიზმით დაჩაგრულ გლეხთა მძიმე მდგომარეობას.

პ. უმიკაშვილი დაწვრილებით აღწერს არსენას თავგადასავალს. მას კარგად ესმის, რომ არსენა ყაჩაღი არ არის ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, იგი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული სახალხო გმირია, რომელსაც მხოლოდ პირადი ცხოვრების ინტერესები კი არ ამოძრავებს, არამედ მშრომელი ხალხის ბედუკუღმართი მდგომარეობა. აი როგორ ახასიათებს პ. უმიკაშვილი იმ სოციალურ უსამართლობას, რომელსაც გლეხობა განიცდიდა: „სიღარიბე, სულის ამამხდელი სიღარიბე გლეხკაცს თითქოს ბედათ შეხვედრია ამ ქვეყნიერებაში. შრომითა შრომობს მრთელს თავის სიცოცხლეში, მაგრამ ნაყოფი კი არა გამოდის რა! ვინა შრომობს გლეხკაცზე მეტსა, ვის აწევს იმოდენა მძიმე ტვირთი, როგორც გლეხკაცსა?.. მაგრამ ეს ნამუშევარი თითქმის სრულებით ვაჭრებსა ხვდებათ ხელში. რათა, რა საფუძველით და რა სიმართლით? სიმართლეზე. თუ მივარდა საქმე, ასე არ იქნებოდა. ეს სულ ტყუების და გაქნილობისაგან არის, ვაჭრების და სხვა ამისთანა კაცების და გარემოების ბრალია“[2].

პ. უმიკაშვილის აზრით, არსენამ „ძალიან კარგად იცის, რომ თუ ვისმე სიმდიდრე უშოვნია, სხვის შრომით უშოვნია“. „არსენას უნდა ამისთანა უსამართლობის ამოგდება. იმას არ

---

[1] მ. პეტრიძე, არსენა, „კრებული“, 1872 წ., № 7, გვ. 71.

[2] იქვე, გვ. 86.

შეუძლია გულგრილათ ყურება, როდესაც გლეხკაცს ვინმე სჩაგრავს". ამიტომ „მაშინვე არომევს იმ სიმდიდრეს, გლეხის ნაშრომით რომ მოუპოვებია და შიკ რომ ჩამჯდარა". „არსენა კაცს კი არა სდევნიდა, — წერს პ. უმიკაშვილი, — სდევნიდა იმ უსამართლობას, რომელსაც კაცი დაუჩაგრავს და იმისთანა კაცებსა სდევნის, რომელთაც ამ უსამართლობის მხარე დაუჭერიათ... ამ ღონისძიებით არსენას უნდა ხალხს შეღავათი მისცეს, შეუმსუბუქოს მძიმე ტვირთი და მოსპოს ის მიზეზები, რაც კი ჰბადებს ხალხში სიღარიბესა"[1].

პ. უმიკაშვილს შეუმჩნეველი არ რჩება აგრეთვე არსენას კაცთმოყვარება და დიდსულოვნება, რაც კიდევ უფრო მიმზიდველსა და საყვარელს ხდიდა მის გმირულ ხასიათსა და თავგადასავალს.

ამრიგად, პ. უმიკაშვილმა საესებით სწორად ახსნა „არსენას ლექსის" ღირსება და ის სოციალური პირობები, რომლებიც არსენასა და არსენობას წარმოშობდნენ. აღნიშნული სტატიით მან ღირსეული წვლილი შეიტანა ქართული ზეპირსიტყვიერების ამ შესანიშნავი ნაწარმოების მეცნიერულად შესწავლის საქმეში და ამასთანავე მკაცრად გაილაშქრა კონსერვატულ-ლიბერალური ბანაკის წარმომადგენელთა დრომოჭმული იდეურ-ლიტერატურული შეხედულებების წინააღმდეგ.

განსაკუთრებით საინტერესოა პ. უმიკაშვილის სტატია „შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის", რომელიც 1872 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში". ავტორის აზრით, ლიტერატურის წარმატებას, მის გავლენას საზოგადოებაზე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემა და გავრცელება. სტატიის დასაწყისში იგი მკაცრად აკრიტიკებს ამ საქმისადმი საზოგადოების ერთი ნაწილის გულგრილ დამოკიდებულებას.

პ. უმიკაშვილი სწორად აღნიშნავს, რომ ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემა მოითხოვს შეერთებულ შრომას, მწერლებისა და საზოგადოების სხვა მოწინავე ძალების გაერთიანებას. „არც ერთი ჟურნალი და გაზეთი არ გამოდის გა-

---

[1] მ. პეტრიძე, არსენა, „კრებული", 1872 წ., № 7, გვ. 88, 91—92.

ხათლებულ ქვეყნებში, — წერს იგი, — რომ რამდენიმე ათიოდე, ოციოდე და ასიოდე კაცი არ ეხვიოს გარსა შუდაჰ დღე შრომისათვის. უბრალო წიგნის გამოცემისათვისაც კი რამდენიმე კაცი იყრება ერთად და ისე ჰბეჭდავს წიგნსა“[1].

ანალოგიურ გარემოებას პ. უმიკაშვილი ამჩნევს მე-18 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, როცა ვახტანგ მეექვსემ და ანტონ კათალიკოსმა თავიანთ გარშემო შემოიკრიბეს მწერლები, პოეტები, მეცნიერები და მათი უშუალო მონაწილეობითა და დახმარებით ფართოდ გააჩაღეს ლიტერატურულ-კულტურული საქმიანობა. ამ პერიოდის მწერლებს კარგად ესმოდათ ერთმანეთის შემწეობისა და ერთად შრომის ძალა. ავტორის თქმით, ისინი „სრულიად უანგაროდ ერთმანეთს მასალას აძლევდნენ, რჩევას აძლევდნენ და ერთმანეთს უადვილებდნენ შრომას“. პ. უმიკაშვილი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ სწორედ ამ ერთობლივ შრომას მიჰყავდა წინ ქართული მწერლობა.

მაგრამ ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ასპარეზზე „ერთად შრომის“ ეს ჯანსაღი ტრადიცია, პ. უმიკაშვილის აზრით, შეწყდა იმ დროიდან, როდესაც აღამაჰმად-ხანმა თბილისი ააოხრა. როგორც თვითონ აღნიშნავს, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქართულ ლიტერატურას ჰყავდა ნიჭიერი მწერლები, იყო ცდა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემისა, მაგრამ აღნიშნული ტრადიციის აღდგენა მაინც ვერ მოხერხდა. მისი თქმით, „ამ საუკუნის დასაწყისს მოღვაწეთ რომ კარგა შემეცნებული ჰქონოდათ ლიტერატურის მნიშვნელობა, ისინი შეაერთებდნენ თავის შრომასა, მისცემდნენ ხელს ერთმანეთსა, გამართავდნენ სტამბასა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მომხდარა“. „ამ ერთმანეთისაგან დაშორებამ ის მოიტანა, — განაგრძობს ავტორი, — რომ 1850 წლამდის ბეჭდვის ჰაჭანება არსად არ იყო, ორიოდ წიგნის გამოცემის გარდა... იმ დროს კაცებში ერთი არავინ გამოჩნდა,

---

1 მ. პეტრიძე, შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის, „კრებული“, 1872 წ., № 8—9, გვ. 245.

რომ მიბაძვით მაინც მიებაძნა სოლომონ დოდაევისთვის, ან იმ გარემოებისთვის, რომლის შემწეობითაც ლიტერატურას წარმატება ეძლევა ხოლმე, ესე იგი გამოცემა ჟურნალისა, ალმანახისა, ანუ გაზეთისა ეკისრნა და ერთ წიგნში შეეერთებინა სხვადასხვა მწერლების ნაწერი"[1].

აქ გადმოცემულ შეხედულებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ პ. უმიკაშვილი ძირითადად სწორად ახასიათებს ქართული ლიტერატურის, კერძოდ. ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემის მდგომარეობას მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. მაგრამ იგი არ ითვალისწინებს მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თავისებურ ვითარებას და იმაზე მეტ მოთხოვნას უყენებს იმდროინდელ მოღვაწეებს, ვიდრე არსებული გარემოება ამის შესაძლებლობას იძლეოდა. თავადაზნაურთა უმრავლესობა თუ ნამდვილად გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდა ქართული ლიტერატურისა და კულტურისადმი, სამაგიეროდ ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ ჟურნალ-გაზეთების დაარსებასა და წიგნების გამოცემას, მაგრამ ცარიზმის თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული ძალაუფლების ბატონობის პირობებში ამ საქმის განხორციელება მარტო მათ სურვილსა და მონდომებაზე როდი იყო დამოკიდებული.

შემდეგ პ. უმიკაშვილი „ერთად შრომის" ზემოხსენებული თვალსაზრისით აფასებს ქართული ლიტერატურის განვითარებას უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე და გამოთქვამს მეტად საყურადღებო მოსაზრებას მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიების შესახებ. ამ პერიოდში, პ. უმიკაშვილის აზრით, ქართველ მწერალთა გაერთიანებისა და მათი მკითხველ საზოგადოებასთან დაახლოებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გ. ერისთავის მიერ პირველი ქართული წარმოდგენის გამართვას და ჟურნალ „ცისკრის" დაარსებას. როგორც თვითონ ამბობს, პირველი წარმოდგენის გამართვით „წარმომადგენელნი და მაყურებელნი შეერთდნენ რამდენისამე საათით

---

[1] მ. პეტრიძე, შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის, „კრებული", 1872 წ., № 8—9, გვ. 255.

სრულიად, ერთის გულით, ერთის სულით, ფიქრით, გრძნობით, თვალითა და ყოვლის მხრითაც", ხოლო „ცისკრის" დაარსებით „მოხდა ბეჭდვითი დაახლოება მწერლებისა, რომელნიც გაფანტულნი იყვნენ. ამავე ბეჭდვის მადლით მკითხველიც მწერლებს დაუახლოვდა"[1].

მაგრამ, პ. უმიკაშვილის შეხედულებით, „ეს მხოლოდ გარეგანი ერთობა იყო", რადგანაც „მწერლებს თავისი თხზულებით სრულიად არ ეტყობათ, რომ ისინი შეერთებულიყვნენ წერისათვის ანუ ჟურნალის გამოცემისათვის". „გიორგი ერისთავი და შემდეგ ივანე კერესელიძე ერთად ერთნი ადგნენ ჟურნალსა, — განაგრძობს ავტორი, — ყოველივე შრომა იმათ აწვათ კისერზე და მწერლების მონაწილეობა მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ როდესაც მოისურვებდნენ და რასაც მოისურვებდნენ, მაშინვე პირდაპირ მიუტანდნენ რედაქტორსა დასაბეჭდათ. მწერლებში სრულიად არავის არა ჰქონდა მუდამი თანამშრომლობა არა თუ მარტო სტატიების ბეჭდვით, არამედ უბრალო რჩევით და რედაქტორის შრომაში რომლისამე მონაწილეობის მიღებით. რაკი რედაქტორი ერთი იყო და ყოველი შრომა იმას აწვა, რასაკვირველია, რომ ჟურნალს ის ძალა არ ექნებოდა, რაც უნდა ჰქონდეს ყოველ ჟურნალსა"[2].

როგორც ვხედავთ, პ. უმიკაშვილი სავსებით სწორად ახასიათებს ჟურნალ „ცისკრის" მდგომარეობას და ასევე სწორად ამჩნევს მისი ჩამორჩენის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს. შემდეგში ზოგიერთმა მწერალმა სცადა „ცისკრის" გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა, მაგრამ, ავტორის სიტყვით, „ეს ერთად შრომა მალე იშლებოდა და ისევ ისე ძველებურად ერთი კაცის შრომით გამოდიოდა ჟურნალი".

პ. უმიკაშვილს კარგად ესმის, რომ ყველაზე მეტად ი. ჭავჭავაძე გრძნობდა „შეერთებული შრომის" უდიდეს მნიშვნელობას და ყოველი ღონისძიებით ცდილობდა ქართული ლიტე-

---

1 მ. პეტრიძე, შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის, „კრებული", 1872 წ., № 8—9, გვ. 257, 263.

2იქვე, გვ. 264—265.

რატურის მოწინავე ძალების გაერთიანებას. როგორც თვითონ აღნიშნავს, „შეერთებული შრომის“ ეს ჯანსაღი პრინციპი დაედო საფუძვლად ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემას. მისი თქმით, ამ „ჟურნალს გარს უნდა მოხვევოდნენ ლიტერატურის კეთილმოღვაწენი და ერთმანეთის შემწეობით და თანამშრომლობით ლიტერატურა დაეყენებინათ ღირსეულ ხარისხზე“[1].

პ. უმიკაშვილის შეხედულებით, ვინც კარგად იცის, რა დიდი როლი შეასრულა სტანკევიჩის წრემ რუსული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში. ჰისთვის ცხადი უნდა იყოს, რა მნიშვნელობა ექნებოდა ქართული ლიტერატურისათვის ი. ჭავჭავაძის მიერ აღნიშნული იდეის განხორციელებას. „მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, იმისი აზრი დღევანდლამდე აზრათ დარჩა და ასრულება არ მიეცაო“, — გულისტკივილით დასძენს სტატიის ავტორი.

სწორედ აღნიშნული გარემოება მიაჩნია პ. უმიკაშვილს „საქართველოს მოამბის“ დახურვის მთავარ მიზეზად. მისი აზრით, ი. ჭავჭავაძემ პირველ ხანებში შესძლო ახალგაზრდობის ერთი ნაწილის შეკავშირება და საზოგადო საქმეში ჩაბმა. მაგრამ ბევრი მათგანი მალე ჩამოსცილდა საერთო საქმეს და წრეც დაიშალა[2]. იგი წერს: „თვით „საქართველოს მოამბე“ ამ აზრის აუსრულებლობის გამო მოისპო. წრე ვერ შესდგა. ის

---

1 მ. პეტრიძე, შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის, „კრებული“, 1872 წ., № 8—9, გვ. 273.

2 ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი გ. წერეთელი ამის შესახებ წერს: „ილ. ჭავჭავაძემ ახალი ლიტერატურული მოძრაობა ატეხა ჯერ კიდევ „ცისკარში“ და გარშემოიკრიბა თავისი საკუთარი წრე... ამათ შეიოიღეს კერძო კრებები, საცა კითხულობდნენ რეფერატებს და სადაც აღტაცებული ჰაბუკი ილ. ჭავჭავაძე თავისი ახალდაწერილი ლექსების და „გლახის ნაამბობის“ კითხვით ამხნევებდა, ასულდგმულებდა თავის საკუთარ წრეს და წრეს გარეშე არაჩვეულებრივ თანაგრძნობას იძენდა საზოგადოებაში. აი, ამ წრემ ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით გამოსცა „საქართველოს მოამბე“ 1863 წელს... სამწუხაროთ, ამ ცოცხალმა მოძრაობამ მხოლოთ ერთი წელიწადი გაატანა. „საქართველოს მოამბე“, როგორც მაშინდელი ახალი თაობის ჟურნალი, გამოდგა დღენაკლული. ერთ წელს შემდეგ მასთან ერთით ხალია სული თვით ილ. ჭავჭავაძის ახალთაობის

მწერლები, რომელნიც აღტაცებულის გრძნობით გარს ეხვივნენ პირველს დროში ჟურნალსა, ნელ-ნელა გაიფანტნენ, გავიდნენ ზოგი ადრე, ზოგი გვიან იმის დაგვარათ, აღტაცების ცეცხლი ვის როდის უქრებოდა"[1].

ამრიგად, პ. უმიკაშვილის შეხედულებით, ქართული ლიტერატურა უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, ე. ი. ჟურნალ „ცისკრის" დაარსების შემდეგ, თავისი შინაგანი ღირსებით წინ წავიდა. მაგრამ, მეორე მხრივ, მან ვერ შექმნა საკუთარი წრე, ვერ შესძლო მწერალთა მთელი პროგრესული ძალების გაერთიანება ერთი ჟურნალის გარშემო. ავტორის აზრით, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ ქართულმა ლიტერატურამ, ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემის საქმემ ვერ მოიპოვა ფართო გავლენა და მხარდაჭერა საზოგადოებაში. ამიტომ იგი დაბეჯითებით მოითხოვდა ლიტერატურის მთელი მოწინავე ძალების შეკავშირებას. „ჩვენი ლიტერატურის წინ წაყვანისათვის შეერთებული შრომაა საჭირო წრისა, ანუ წრეების შედგენითა", — დაასკვნის სტატიის ავტორი.

პ. უმიკაშვილის აღნიშნული სტატიის დანიშნულება კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოძრაობის მეთაური ი. ჭავჭავაძე „საქართველოს მოამბის" დახურვის შემდეგ სახელმწიფო სამსახურში შევიდა და თბილისიდან პროვინციაში გადავიდა სამუშაოდ. მიუხედავად იმისა, რომ თბილისს მოცილებული ი. ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა და ტონს აძლევდა ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებას, ჩვენი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები მაინც დიდი მონდომებით ცდილობდნენ, რომ ახალი თაობის ნაცადი ხელმძღვანელი ისევ თბილისში დაებრუნებინათ, რადგანაც მხოლოდ მას შეეძლო ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების მთელი მოწინავე ძალების შეკავშირება და პროგრე-

წრემაც. ჟურნალის მოსპობასთან ერთად ი. ჭავჭავაძის წრეც უცბათ დაიშალა" (იხ. გ. წერეთელი, კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა, „ქვალი", 1897 წ., № 46, გვ. 815).

[1] მ. პეტრიძე, შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის, „კრებული", 1872 წ., № 8—9, გვ. 276.

სული გზით წარმართვა[1]. პ. უმიკაშვილი განსაკუთრებით აქტიურ როლს ასრულებდა ამ საქმეში. იგი ი. ჭავჭავაძეს უგზავნის სპეციალურ წერილს, რომლითაც აცნობს თავისი სტატიის ძირითად შინაარსს და ამასთანავე სთხოვს, რომ დაბრუნდეს თბილისში და სათავეში ჩაუდგეს ქართულ მწერლობას. საპასუხო წერილში ი. ჭავჭავაძე სავსებით ეთანხმება პ. უმიკაშვილის შეხედულებებს ქართული ლიტერატურის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიების შესახებ. იგი წერს: „იქნებ მაგ კრებულის საქმე რიგიანად წასულიყო, რომ მწერლებს ჟურნალის გარდა სხვა კავშირიც ერთმანეთთან ჰქონოდათ, მაგალ. რომ ქალაქში ერთი იმისთანა სახლი მოხერხებულიყო, საცა შესაძლო ყოფილიყო მწერლებისა და სხვათა თანამგრძნობელთა ერთად თავის მოყრა თვითეულის გონების საუნჯის აღებ-მიცემობისათვის. ჩვენდა საუბედუროდ, არც ესა ხერხდება. მართალი ხარ შენ: გაფანტულობა და დაქსაქსულობა გვღუპავს ჩვენ“[2].

ამრიგად, პ. უმიკაშვილი მოითხოვდა ქართული ლიტერატურის მთელი მოწინავე ძალების შეკავშირებას და ილია ჭავჭავაძეს იწვევდა ამ საქმის მეთაურად.

1895 წელს ჟურნალ „მოამბეში“ დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის ვრცელი სტატია „გასამრჯელო სალიტერატურო შრომისათვის“. სტატიაში მოცემულია ქართველ მწერალთა მაშინდელი მძიმე ეკონომიური მდგომარეობის ობიექტური შეფასება. ავტორის დახასიათებით, ქართველი მწერალი „უქონელი, ღარიბი და ყოველ ნივთიერ კმაყოფილებას მოკლებული“. მას „მუდამ დღე თავში სცემს წვრილშვილის სიშიშ-

---

[1] ცნობილი პუბლიცისტი და კრიტიკოსი ნ. ნიკოლაძე ამის შესახებ გადმოგვცემს: „ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყველა მაშინდელი ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯერე, დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871—1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს „გროვად“ ქართული მწერლობის და აღორძინების მოტრფიალენი...“ (იხ. ჟურ. „განთიადი“, 1915 წ., № 8, გვ. 21).

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961 წ., გვ. 37.

ვილე, უსწავლელად ყოფნა მისი, ან ნათესავისა და მეგობრების გაჭირება ხომ ცხვირიდან ძმარს ადენს“[1].

პ. უმიკაშვილის შეხედულებით, ქართულმა ლიტერატურამ ჯერ ვერ მოამზადა საიმისო ნიადაგი, რომ მწერლისათვის წერა ყოფილიყო „ერთადერთი სახსარი ცხოვრებისა“. მას კარგად ესმოდა, რომ არსებულ პირობებში ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციები არათუ გასამრჯელოს ვერ აძლევდნენ და მატერიალურად ვერ უზრუნველყოფდნენ მწერლებს, არამედ საკუთარ ხარჯებსაც ძლივს ანაზღაურებდნენ. ეს კი, ავტორის აზრით, ხელს უშლიდა ლიტერატურის ნორმალურ განვითარებას, რადგანაც „წერას ვარჯიში უნდა წიგნებში და საზოგადოებაში“.

სტატიის ავტორი არ ეთანხმება იმ შეხედულებას, რომელიც აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორების მთავარ საშუალებად თვლიდა სალიტერატურო ფონდის დაარსებას. იგი სწორად შენიშნავს, რომ „ჩვენს ყოფაში, ჩვენი ჯიბის პატრონი განა ამ ფონდს ორიოდ დღეში ისე გაზრდის, რომ მწერალი აცხოვროს და მუდამდღიურის საცხოვრებლის ზრუნვისაგან გამოიხსნას? ფონდი ხომ შესაწევარია ავადმყოფობაში, გაჭირვებაში და არა მუდამდღიური წყარო ცხოვრებისაო“[2].

პ. უმიკაშვილი მშვენივრად ამჩნევდა, რომ ქართველ მწერალთა ეკონომიურ სივიწროვეს განაპირობებდა ცხოვრების საერთო ჩამორჩენილობა და მასში დამკვიდრებული უსწორმასწორობა. ამის უარყოფა ან დაფარვა, მისი აზრით, მავნე გავლენას მოახდენს იმ ახალგაზრდა თაობაზე, რომელიც ლიტერატურული მოღვაწეობისათვის ემზადება. „თუ ძვირფასია მწერლობის მომავალი ბედი და მომავალი თაობის საკეთილო მოღვაწეობა, — წერს იგი, — უნდა დავანახვოთ ყველას ნამდვილი სურათი ჩვენის ცხოვრებისა და მწერლობის მდგომარეობისა, მისი ნაკლულევანებაც, ნაკლებობაც და ნატვრაც. ახალგაზრდა, სიყვარულით სავსე გულს გადაეუშალოთ მისი შეჰირვებული ყოფა, რომ ავაცილოთ განწირულების სიმწარე

[1] პ. უმიკაშვილი, გასამრჯელო სალიტერატურო შრომისათვის, „მოამბე“, 1895 წ., № 2, გვ. 72.

[2] იქვე, გვ. 77.

მოტყუებულის იმედოვნებისა. სინამდვილე ჩვენის ყოფა-ცხოვრების სურაოისა იქნება იმათთვის გამამხნევებელ და გამაფხიზლებელ ღონედ. ნუ შეგვაშინებს მართლის თქმა, ნუ შეგვაშინებს ის აზრი, რომ დაგვეფრთხობიან მოყვარენი, რომელთაც ვითომ მოსწონებოდეთ იმედიანი შიმშილიცა"[1].

გამომდინარე აქედან, პ. უმიკაშვილი იმ აზრს ავითარებს, რომ ქართველმა მწერლებმა, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის წარმომადგინლებმა, თუ მათ სურთ ხელი შეუწყონ ცხოვრების წინსვლასა და გაუმჯობესებას, თავიანთ ბოღვაწეობაში სახელმძღვანელო პრინციპად უნდა გაიხადონ სამშობლო ქვეყნისა და ხალხის უანგარო, თავდადებული სამსახური. იგი წერს: „კაცობრიობის ან თვითეული ხალხის ცხოვრება უეცრად არ ბიდის წინ. ეს შეკნებულმა, ნამდვილმა მოღვაწემ, სამწერლო ასპარეზზეა თუ საზოგადო ასპარეზზე, სულ ერთია, იცის, რომ საუკუნეობით შეთვისებული და ხასიათთან შედუღებული უსწორძასწორობა ცხოვრებისა მცირე ხნის განმავლობაში არ გასწორდება, მის გასწორებას უნდება რამდენიმე თაობა და ასიოდ წელიწადი. ნამდვილი მოღვაწე გამოდის ძვალში და რბილში გამჯდარის აზრით შესძრას, შეარყიოს სიბნელის ნიადაგი და მოაქვს ყოველივე თავის ღონე, ნიჭი, შეძლება და საცხოვრებელი, თავსა სდებს მსხვერპლად, ოღონდ კი მისი საყვარელი წადილი ხალხის საკეთილდღეოდ ასრულებულ იყოს. მრთელის რაზმებით ჩამოითვლება ამისთანა მოწინავე კაცების სახელები... კარგა იცოდნენ, რომ ქვეყანა მალე არ შეიწყნარებდა მათ მოძღვრებას, მალე არ შეითვისებდა მათ შრომას. იცოდნენ, რომ მათი ნაშოქმედარი მათ ნაყოფს ვერ აჭმევდა, მაგრამ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კეთილი და მართალი ნამოქმედარი საშვილიშვილოდ ასიოდე წლის შემდეგ მაინც ნაყოფს გამოიღებდა და შვებას მისცემდა საყვარელ დედა ქვეყანასა. ამისთვის ითმენდნენ შეჭირვებას, შეურაცხყოფას, დამცირებას, სიღარიბეს, თუ ყველა ამას დევნულებაც არ დაერთობოდა"[2].

[1] პ. უმიკაშვილი, გასამრჯელო სალიტერატურო შრომისათვის, „მოამბე", 1895 წ., № 2, გვ. 78.

[2] იქვე, გვ. 83.

როგორც ვხედავთ, პ. უმიკაშვილს საზოგადოების განვითარების ერთადერთ კანონზომიერებად მიაჩნია ევოლუციური გზა, რომელიც გულისხმობს ცხოვრების თანდათანობით გაუმჯობესებას. მისი აზრით, „ეს საზოგადო კანონია ყოველ ხალხის წინსვლაში და ამას ვერ ასცილდება ვერც ქართველობის ყოფა-ცხოვრება". განვითარების სწორედ ამ ევოლუციურ გზას გამოხატავს 90-იანი წლების ქართული ლიტერატურის ის დახასიათება, რომელსაც სტატიის ავტორი იძლევა. იგი წერს: „სალიტერატურო შრომა ჩვენს საუკუნეში ისე ნელა მსვლელობდა, ისე ნელა მიდის, რომ დღეს ხუთიოდ-ექვსიოდ ჟურნალ-გაზეთი გვაბადია, ისიც ვაივაგლახით მსუნთქავი. ათი-თორმეტი ჟურნალი თუ გაზეთი მოისპო შეუძლებლობის გამო. წიგნების ბეჭდვა ჩვენში პაწია-პაწია ბროშურებს არ გასცილებია, ესეც შინაარსით სულ საყმაწვილო საკითხავსაც არა ჰგავს. ქართული ენის უცოდინარი პირველდაწყებითი სწავლის შეძენის მსურველი მოკლებულია ქართულის წიგნებით გონებითი შიმშილი დაიკმაყოფილოს. მხატვრობითი მწერლობის მოყვარეს ღრნისძიება არა აქვს ქართულად გადმოთარგმნილი წაიკითხოს ევროპელთა ნაწარმოები. ერთის სიტყვით, რომელი ნაწილიც გინდათ აიღეთ, სრულიადი არარაობა და სიგლახაკეა"[1].

მაგრამ პ. უმიკაშვილი შესანიშნავად გრძნობდა, რომ ქართული მწერლობის ნამდვილ აღმავლობას ზღუდავდა არა მარტო განვითარების ევოლუციური გზის საერთო კანონზომიერება, არამედ საქართველოს მაშინდელი ვითარების თავისებურებაც. იგი ნათლად ხედავდა, რომ ეროვნული ცხოვრების ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ქართული მწერლობის მდგომარეობა არ ჰგავდა მწერლობის მდგომარეობას „იმ ერთა, რომელთაც აქვთ თავის ენაზე მოვარჯიში აკადემიები, უნივერსიტეტები, გიმნაზიები და სემინარიები, რომელთა ენა ვარჯიშობს სასამართლოებში და ადმინისტრაციებში, ჰყავთ ორატორები და მქადაგებლები შინ, ქუჩაში, კრებაზედ და სა-

---

1 პ. უმიკაშვილი, გასამრჯელო სალიტერატურო შრომისათვის, „მოამბე", 1895 წ., № 2, გვ. 84—85.

ზოგადოებაში, გაჩაღებულია სტაძბები, მუშაობენ აკადემიკოსები, პროფესორები და მასწავლებლები სამეცნიერო საგნების გამოკვლევისათვის, პუბლიცისტები და პოპულარიზატორები"[1].

ცხადია, პ. უმიკაშვილი ცდება, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ევოლუციურ გზასთან ერთად ვერ ამჩნევს რევოლუციურ გზას, რომელსაც კაცობრიობა უფრო სწრაფად და ტანჯვა-წვალების გარეშე მიჰყავს პროგრესისაკენ. ამასთანავე იგი უფრო მუქ ფერებში ხატავს ქართული ლიტერატურის მაშინდელ მდგომარეობას, ვიდრე ამას ფაქტიური ვითარება იმსახურებდა. მაგრამ აღნიშნულ სტატიაში მთავარი ეს კი არ არის, არამედ ცხოვრების იმ მანკიერებისა და უკუღმართობის მკაცრი კრიტიკა, რომელიც ხელს უშლიდა, გზას უღობავდა ქართული ლიტერატურის მკვეთრ აღმავლობას და ქართველ მწერლებს არ აძლევდა ნორმალური შემოქმედებითი მუშაობის, თავიანთი ნიჭისა და შესაძლებლობის მაქსიმალური გამოვლენის საშუალებას. სტატიის ავტორი ამჩნევს საზოგადოების ერთი ნაწილის გულგრილ დამოკიდებულებას ეროვნული ლიტერატურისადმი, მაგრამ მას მტკიცედ სჯერა, რომ ეს ვერ შეაფერხებს ქართული მწერლობის წინსვლას. „როგორიც უნდა იყოს ჩვენი დღევანდელი მწერლობა, — ამბობს პ. უმიკაშვილი, — მას სიცოცხლის ნიშანი ატყვია და მომავალი მისი დამკვიდრება და განმტკიცება, რომელიც ჩვენი ხალხის პიროვნების არსების დაცვაა, მოსალოდნელია, თუ ჩვენი გონებითი მუშაობა და მხნეობა, ნივთიერი წინსვლა არ შეჩერდა და უკან არ დაიწია. სხვა ერთა და ჩვენი მწერლობის წარსული, გავლილი დრო იმედს გვაძლევს, რომ იგი უნდა წინ წავიდეს"[2].

ქართული ლიტერატურის განვითარების საყურადღებო საკითხებს ეხება პ. უმიკაშვილის წერილი „აზრები ლიტერატურაზე", რომელიც გაზეთ „ივერიის" 1902 წლის 16 ივნისის ნომერში დაიბეჭდა ამავე გაზეთის არსებობის 25 წლისთავთან

---

[1] პ. უმიკაშვილი, გასამრჯელო სალიტერატურო შრომისათვის, „მოამბე", 1895 წ., № 2, გვ. 87.

[2] იქვე, გვ. 88.

დაკავშირებით. წერილის ავტორი ობიექტურად აფასებს „ივერიის“ დამსახურებას ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში. მისი აზრით, მართალია, ქართული ლიტერატურის განვითარებას „ბევრი შინაგანი და გარეგანი დაბრკოლება ეღობება, აქრობს, აქარწყლებს და ბურუსში აგდებს მის ნორმალურ მსვლელობას“, მაგრამ „ივერიის“ მოღვაწეობას მაინც უნაყოფოდ არ ჩაუვლია. პ. უმიკაშვილის შესედულებით, „ივერიის“, ისევე როგორც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობის, ერთი მთავარი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან თავისი მოღვაწეობით ხელი შეუწყო ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებასა და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების წინსვლას. იგი წერს: „ივერიის“ დაფუძნებიდამ მას მიუძღვის ერთი ფრიად მთავარი საქმის დახმარება, რომელიც პირველ საფეხურად ითვლება ყოველის ადამიანისა და ხალხის ისტორიაში. ეს არის ნაციონალური თვითცნობიერება, თავის თავის ცნობა, პატივისცემა, შეგნება კავშირის თავის ტომთან, აზრი, რომ მეც წევრი ვარ დიდის ოჯახის, დიდის საზოგადოებისა. რომ ამ საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესებით საკუთარი ცხოვრების მოწყობაც გაადვილდება, რომ ამის დახმარება შეუძლიან მწერლობას, ენას, სკოლას, სამკითხველოს, საკრედიტო და სამრეწველო საზოგადოებას და ამხანაგობას და სხვა. ამ აზრისათვის იმუშავა გავლილ დროის მწერლობამ“[1]. „ქართულმა მწერლობამ შეიგნო დროის მოთხოვნილება და ვგონებ, მისი წარსული ღვაწლიც ამით დაიფასებაო“[2], — დასძენს ავტორი.

პ. უმიკაშვილი არ ეთანხმება გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი „დღიურის“ ავტორს[3], რომელიც „ივერიას“ ბრა-

---

1 პ. უმიკაშვილი, აზრები ლიტერატურაზე, „ივერია“, 1902 წ., № 125.

2 იქვე.

3 პ. უმიკაშვილი აღნიშნული „დღიურის“ ავტორად თვლის „კალამს“, გაზეთში კი „დღიურს“ ხელს აწერს „სიტყვა“. გ. ლასხიშვილის გადმოცემით, ორივე ფსევდონიმი ეკუთვნოდა პუბლიცისტ სამსონ ფირცხალავას (იხ. გ. ლასხიშვილის „მემუარები“, გვ. 303).

ლად სდებდა უმოქმედობას, წარსულით გატაცებას, ეროვნული საკითხის გაზვიადებას, ფეოდალური აზრების პროპაგანდას და ევროპის პროგრესული იდეების მნიშვნელობის უგულებელყოფას[1].

„სრულიად სიმართლეს უნდა მოკლებული იყოს კაცი, — წერს იგი, — რომ „ივერიას“ დასწამოს ძველის თაყვანისმცემლობა და ყველაფერის ძველის მოწონება. საიდამ გამოჰყავთ ეს აზრი? განა „ივერიას“ უქადაგნია როდისმე ბატონყმობის, ფეოდალობის აღდგენა, გლეხების და ყმების უმამულოდ განთავისუფლება და დატოვება? რომელი ძველებური, მეფობის დროინდელი, დროსგადასული წესწყობილების მომხრეობა გაუწევია? აბა ჩამოსთვალეთ... სრულებით ჩვენის მწერლობის უცოდინარი უნდა იყოს კაცი, რომ ძველის თაყვანისმცემლად აღიაროს „ივერია“ და მის წინა „დროების“ მიმართულება. რატომ არ უნდა იცოდეთ, რომ „დროების“ და „ივერიის“ მთავარი მწერლები მესამოცე წლების რუსული ლიტერატურის გავლენის ქვეშ აღიზარდნენ. იმათ იცოდნენ, რომ ეროვნების თვითცნობიერების გამოღვიძების დროს არის ბევრი საგანი, რომელიც უშლის, აბრკოლებს უმეტესის სისწრაფით წინსვლას. ეს დაბრკოლება, შინაგანი და გარეგანი, მწერლებს გაზომილი ჰქონდათ, ამასთან იცოდნენ თავის დროის საჭიროება“[2].

პ. უმიკაშვილს მიაჩნია, რომ მე-19 საუკუნის ბოლო წლებში „ივერია“ სუსტად ეხმაურებოდა იმ ამოცანებს, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ახალმა ტენდენციებმა დაუსახეს ქართულ მწერლობასა და ჟურნალ-გაზეთებს. მაგრამ მე-20 საუკუნის დასაწყისში, როგორც თვითონ აღნიშნავს, ახალი თაობა გამოვიდა მწერლობის ასპარეზზე და „ივერიის“ მოდუნებული ხმა რამდენადმე გამოცოცხლდა. ავტორი დარწმუნებულია, რომ ეს ხმა თანდათან გაძლიერდება და უფრო მეტ ნაყოფს მოუტანს ქართულ მწერლობას.

პ. უმიკაშვილს კარგად ესმის, რომ ახალ ვითარებაში ქარ-

[1] სიტყვა, დღიური, „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. ,№ 1803.

[2] პ. უმიკაშვილი, აზრები ლიტერატურაზე, „ივერია“, 1902 წ., № 125.

თული მწერლობის და ჟურნალ-გაზეთების მთავარ დანიშნულებად კვლავ რჩება ხალხის სამსახური. „დიდებული აზრი მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, — წერს იგი, — იღწვოდა და ამისთვისვე იღწვიან საზოგადოებანი, სახელმწიფონი, მწერლობა და თვით ხალხი. ამ მოძრაობას ვერც ერთი განათლებული საზოგადოება და ადამიანი გზას ვერ აუქცევს, თუ ძალად თვალის დაბრმავება არ უნდა“[1]. მას მტკიცედ სჯერა, რომ ქართული ლიტერატურა, ეროვნული ბეჭდვითი სიტყვა არ გადაუხვევს არჩეული გზიდან, არ უღალატებს სამშობლო ქვეყნისა და ხალხის ერთგული სამსახურის ჯანსაღ ტრადიციას. „მას შემდეგ, რაც ქართული ასოები ხმარებაში შემოსულა, — ამბობს პ. უმიკაშვილი, — იმისი შრომა უმეცრებისა და ბნელეთის მოსამსახურედ არ გამხდარა. ჩვენს დროში მას არ შეუძლია ამ გზას დაადგეს, თუ განზრახ ხალხის მტერი ხელთ არ ჩაიგდებს თავის სასარგებლოდ იარაღად. რომელს ხალხშიაც თვით ხალხისგანვე შექმნილ და ნაღვაწევ ასპარეზზედ მომუშავენი გამოსულან, მათი შრომა მიმართული ყოფილა ქვეყნის წინსვლისაკენ. ამ იმედით უნდა დაუხვდეს საზოგადოდ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა ყოველ ახალ აზრს, ახალ თაობას, რომელიც თავს იჩენს მწერლობაში და რომლის საგანიც უეშმარიტი სამსახურია ხალხის სულიერის და ნივთიერის კეთილდღეობისათვის“[2].

პ. უმიკაშვილის ლიტერატურული წერილებიდან ცალკე უნდა განვიხილოთ ის წერილები, რომლებიც ეხებიან ქართული ლიტერატურის ისტორიას. მაგრამ მანამდე საჭიროა მოკლედ გავეცნოთ მათი ავტორის ისტორიულ-ლიტერატურულ კონცეფციას.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ პ. უმიკაშვილის ისტორიულ-ლიტერატურულ კონცეფციას, მის დამოკიდებულებას ქართული ლიტერატურის ისტორიისადმი, უპირველეს ყოვლისა, თავისი დროის ინტერესები, მოწინავე პატრიოტული და დემოკრატიული იდეები განსაზღვრავდნენ. პ. უმიკა-

---

[1] პ. უმიკაშვილი, აზრები ლიტერატურაზე, „ივერია“, 1902 წ., № 125.
[2] იქვე.

შვილს კარგად ესმოდა, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლა თვითმიზანს კი არ შეადგენდა, არამედ თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების ახსნისა და გაუმჯობესების ერთ-ერთ საშუალებას. მისი თქმით, „ყოველმა ხალხმა წარსული დროის შრომა თუ არ იცის და ამ შრომის პატივი თუ არა აქვს, უხეირო, უსაფუძვლო. ქარაფშუტა რამ უნდა გამოვიდეს“, რადგანაც „ნაძღვილ განათლებულ ქვეყნებში ასეა, რომ ჯერ თუ წარსული არ იცის კაცმა, ეხლანდელის ცოდნა შეუძლებელ საქმედ მიაჩნიათ“[1].

ცხადია, წარსულისა და აწმყოს ურთიერთობის ეს ზოგადი დახასიათება მთლიანად ეხება ლიტერატურასაც. „ყოველთვის, როდესაც ერთი მწერლის დაფასება გვინდა, — წერს პ. უმიკაშვილი, — უიმისოდ შესაძლებელი არ არის, თუ არ ვიცით, — მის წინად და შემდეგ მწერლების ნაშრომი რა იყო, რა აზრსა ან რა გრძნობას გვისახავდნენ, როგორის ხელოვნებით გამოსთქვამდნენ ნაგრძნობსა და ნააზრს, რამდენად ეკავშირებოდა ერთმანეთს მათი შრომა და ბოლოს ცხოვრებაში რა წარმატება შემოიტანეს. თუ ესენი არ ვიცით, უსაცილოდ ნაკლული იქნება ჩვენი დასკვნილი სჯა და, მაშასადამე, დაფასებაცა“[2].

ამ სწორი მეცნიერული დებულებიდან გამომდინარე, პ. უმიკაშვილი გარკვევით აღნიშნავდა: „სხვათა შორის ხანდისხან რომ წარსულის დროს ლიტერატურისთვის თვალი გადაგვევლო და გაგვერჩია, რაც შესანიშნავი ყოფილა, ავი ან კარგი, სასარგებლოდ დარჩებოდა ჩვენთვისა. ჩვენ თუ ავს ვიპოვნიდით, იმისი გამოჩენა დაგვასწავლიდა იმ ავის გასწორებას, თუ კარგს ვიპოვნიდით ჰკუის სასწავლებლად გამოგვადგებოდა ეხლანდელს მდგომარეობაშიო“[3]. ქართული ლიტერატურის დიდი მოამაგე პირდაპირ მიუთითებდა, რომ „სანამ

---

1 პ. უ., გარდამწერელი ქართულის წიგნებისა დავით რექტორი, „ივერია“, 1877 წ., № 39, გვ. 9.

2 პ. უმიკაშვილი, დავით გურამიშვილი და იმისი დავითიანი, დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისაგან, ტფილისი, 1881 წ., გვ. 11.

3 მ. პეტრიძე, შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის, „კრებული“, 1872 წ., № 8—9, გვ. 243.

ჩვენს ახალ მწერლობაში და საზოგადოებაში ძველი მწერლობის პატივისცემა არ იქნება, მანამდის საერთოთ ჩვენს საზოგადოებაში არ იქნება გულდამყარებული, მკვიდრი სიყვარული არც სწავლისა, არც განათლებისა და არც სამშობლო ქვეყნისა", „ძველი მწერლობის უცოდნელად ხომ ვერ შევიტყობთ, ვერ გავიგებთ და ვერ შეეიყვარებთ, რაც საცოდნელი და შესაყვარებელია ან მოსაძულებელი, ერთის სიტყვით, რაც მკვიდრის, საფუძვლიანის განათლებისათვის საჭიროაო"[1].

მაგრამ პ. უმიკაშვილი მარტო ამაში არ ხედავდა ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესწავლის მნიშვნელობას. იგი შესანიშნავად გრძნობდა, რომ ამ ისტორიის მეცნიერულ შესწავლას და მართებულ გაშუქებას უნდა ეჩვენებინა ქართველი ხალხის კულტურული მოწიფულობა და მისი ადგილი მაღალი კულტურის მქონე ხალხების ოჯახში. პ. უმიკაშვილი მწვავედ განიცდიდა ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეში არსებულ იმ უკიდურეს ჩამორჩენილობას, რომელიც აბრკოლებდა აღნიშნული მიზნის განხორციელებას. „ივერიის" 1888 წლის 61-ე და 62-ე ნომრებში დაიბეჭდა მისი წერილი „მეშვიდე კრება ორიენტალისტებისა ვენაში", სადაც გულისტკივილით აღნიშნავდა: „როდესაც თვალს გადაავლებთ ამ კრების ანგარიშს, ქართველ კაცს გული უნდა ეტკინოს, რომ ქართული ენის, ან მწერლობის და ან ისტორიის შესახებ არაფერი გესმის და ეკითხები შენს თავს: ნუთუ ქართველობაში ერთი მეცნიერი არ იპოვებოდა, რომ მეშვიდე კრებისათვის რაიმე მოემზადებინა და თუ თითონ ვერ მოახერხებდა წასვლას, დაწერილი გაეგზავნა ჩვენის მწერლობისა და ან ისტორიის რაიმე საგანზე?.. რამდენი საგანია, რომელსაც. უეჭველია, შეეძლო ღირსი გამხდარიყო სამეცნიერო საუბრისა. მარტო ერთადერთის ვისრამიანის შედარება სპარსულ ორიგინალთან ვგონებთ ისეთს ადგილს დაიჭერდა კრების საგნებში, რომ ქართულის ენის შესწავლას შეუდგებოდნენ ერთი და ორი კი არა, რამდენიმე მეცნიერი, იმ

---

[1] პ. უ., გარდამწერელი ქართულის წიგნებისა დაჟით რეჭტორი, „ივერია", 1877 წ., № 39, გვ. 9.

განზრახვით, რომ ვისრამიანი წავიკითხოთ და ჩვენ თვითონ შევადაროთ სპარსულსო. ის ამბავი, რომ ვისრამიანი მეთორმეტე საუკუნის ნათარგმნია და დარჩენილია დღევანდლამდე შეუცვლელად, ბევრს მიიზიდავდა გამოკვლევისათვისო"[1].

პ. უმიკაშვილი დაბეჯითებით მოითხოვდა ამ საქმისათვის ხელშეწყობას. იგი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ თვლიდა ევროპის ცენტრალური ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისათვის ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გაგზავნას. ზემოხსენებულ წერილში ამის შესახებ ვკითხულობთ: „დღეს ევროპის უმთავრეს ქალაქებში არის სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოება, ან მუზეუმი და ან ბიბლიოთეკა. განა არ შეიძლება, რომ თითო-ოროლა წივნი გამოიმეტოს ჩვენმა გამომცემელმა ქართველმა და გაგზავნოს იქა; გაგზავნოს იმისთვის კი არა, ვითომ „მეც ნახირ-ნახირო", არამედ იმისთვის, რომ სამეცნიერო წარმატებას თავის მხრით შემწეობა მისცეს... აჭგვარადვე ჩვენის ჟურნალ-გაზეთების გაგზავნა ამ ორიენტალისტთა საერთაშორისო კრებაზედაც, ევროპის უმთავრეს აზიურ მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში, კარგი საქმე იქნებოდა და ყოველთვისაც საჭიროა"[2].

ნაშრომის პირველ თავში მითითებული გვაქვს, რომ პ. უმიკაშვილმა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" საშუალებით მიაღწია აღნიშნული საქმის მოგვარებას.

პ. უმიკაშვილი ნათლად ხედავდა, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპის ზოგიერთი მეცნიერი ვარკვეულ ინტერესს იჩენდა ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიის შესწავლისადმი. გაზეთ „ცნობის ფურცლის" 1903 წლის 19 სექტემბრის ნომერში იგი სიამოვნებით აცნობებდა საზოგადოებას, რომ გამოჩენილი გერმანელი პროფესორი ჰარნაკი გასცნობია ნ. მარის ანგარიშს, ივ. ჯავახიშვილთან ერთად, სინას მთასა და იერუსალიმში მოგზაურობის შესახებ და ბერლინის აკადემიის ორგანოში დაბეჭდილ თავის

---

[1] პ., მეშვიდე კრება ორიენტალისტებისა ვენაში, „ივერია", 1888 წ., № 62.

[2] იქვე.

მოხსენებაში ქართველებს დიდ ბერძნულ ქრისტიანული ხალხების ოჯახს აკუთვნებსო. პ. უმიკაშვილს იქვე მოჰყავდა ჰარნაკის შემდეგი სიტყვები: „მოიპოვებიან თუ არა გერმანიის მეცნიერებაში მოხალისენი, რომ შეისწავლონ ენა, ლიტერატურა და ისტორია ამ ხალხისა, რომელიც ძველის კულტურით ჩვენთან მონათესავეა, და გაგვაცნონ იმათ მიერ შენახული საუნჯეო"[1].

თავის წერილში, „ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდამ ჩვენ დრომდე)", რომელიც 1904 წელს დაიბეჭდა „საქართველოს კალენდარში", პ. უმიკაშვილი იძლევა ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთგვარ კონსპექტურ განხილვას. წერილის პირველი ნახევარი ეხება ძველი ქართული მწერლობის ისტორიას და შეიცავს ამ ისტორიის ცალკეული პერიოდებისა და მხატვრული ძეგლების საყურადღებო დახასიათებას. ავტორის სიტყვით, მას შემდეგ, რაც „ქართველობის სახელი იხსენიება ქვეყნიერების ისტორიაში და მწერლობაში", „ბევრი აყვავებული ხალხი და სახელმწიფო სრულებით დაცემულა და გამქრალა". თავიანთი ძლიერების დროს ამ სახელმწიფოებმა საქართველოც ბევრჯერ „დაიპყრეს, წალეკეს და გაანადგურეს მრავალი მისი ნამუშევარი, მაგრამ ვერ წაართვეს საქართველოს ხალხს მიწა-წყალი, მის მთა-ბარს მშვენიერება ლაჟვარდის ცითა და ბრწყინვალეს მზითა, მის წყალთა მდინარების ძალა. ამ მიწა-წყალში არ მოუკლა ხალხს სიცოცხლის ღონე, მხნეობა, გულადობა, მოლხინე გული, შრომის ხალისი, აზრი გონებისა და ენაწყლიანობა"[2].

პ. უმიკაშვილის შეხედულებით, ქართული მწერლობა თავიდანვე ემსახურებოდა ხალხის ზნეობრივ აღზრდას. იგი წერს: „საქართველოს ნაწილები თუმცა შეერთებული იყო ერთ სამეფოდ, უცხო ხალხების შემოსევისაგან თავის მიწა-წყლის დასაცავათ მას ეჭირებოდა სულიერი ერთობა, რო-

---

1 პ. უ., მოხსენება ქართულ მწერლობაზე ბერლინის აკადემიაში, „ცნობის ფურცელი", 1903 წ., № 2268.

2 პ. უმიკაშვილი, ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდამ ჩვენ დრომდე), „საქართველოს კალენდარი", 1904 წ., გვ. 474.

მელსაც ხალხისათვის ზნეობითი ძლიერება მიეცა. ამ ძალად შეიქნა ქრისტიანობა და ენა, რომელმაც შეაკავშირა ერთმანეთს კახეთი, ქართლი, ჰესხეთი, იბერეთი, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი. ეს ძალა გამოჩნდა მწერლობაში"[1].

ქართული საეკლესიო მწერლობის ისტორიაში პ. უმიკაშვილი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს ათონის ივერიის მონასტრის, კერძოდ, ამ მონასტრის ქართველი წინამძღვრების —ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების მოღვაწეობას. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ამ მამათა შრომამ გაამდიდრა, შეამუშავა ქართული მწერლობა და ამ საშუალებით საქართველო დაუკავშირა ევროპის განათლებულ ხალხებს, მოზიარე გახადა მათს წარმატების გზას და დაუდვა მყარი საფუძველი ქართულ სიტყვიერებასა და მწერლობას"[2].

ეს სიტყვები ზედმიწევნით ახასიათებს ათონის ივერიის მონასტრისა და მის ქართველ წინამძღვართა მოღვაწეობის მნიშვნელობას ქართული მწერლობის განვითარებისათვის. როგორც განსვენებული პროფესორი კ. კეკელიძე აღნიშნავს, „არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორიც ათონის ივერიის მონასტერს, უმთავრესად ჩვენი კულტურის ისტორიას შეიძლება სხვა სახე და ხასიათი მიეცეს"[3].

პ. უმიკაშვილის შეხედულებით, ქართულმა მწერლობამ ნამდვილ აყვავებას მიაღწია დავით აღმაშენებლისა და განსაკუთრებით თამარის მეფობის პერიოდში, რასაც შესანიშნავად ადასტურებს სპარსულიდან თარგმნილი „ვისრამიანი" და უკვდავი „ვეფხისტყაოსანი". „ვისრამიანის" შესახებ იგი წერს: „ამ ხნის ნაწარმოებთაგან მოაღწია ჩვენამდე მშვენიერად ნათარგმნმა ვისრამიანმა, რომელიც მეთერთმეტე საუკუნის თხზულებაა და ნათარგმნია ვეფხისტყაოსნის დაწერის წინა

---

[1] პ. უმიკაშვილი, ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდამ ჩვენ დრომდე), „საქართველოს კალენდარი", 1904 წ., გვ. 476—477.

[2] იქვე, გვ. 478.

[3] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951 წ., გვ. 89.

დროს. თუმცა თხზულება პროზად არის, მაგრამ შესანიშნავია პოეტურის ენით. თვით თხზულების შინაარსი რომანია, საკმაოდ მდიდარი, ლამაზის აგებულების ფორმით. ეს გარემოება გვაჩვენებს, რომ ქართველ მწერლებს აღარ აკმაყოფილებდა ბიზანტიის მწერლობის ხასიათი და გამოსძებნეს სპარსულ მწერლობაში მხატვრობითი ფორმა თავის პოეტურის ბუნების შესაფერი"[1].

როგორც ვხედავთ, პ. უმიკაშვილმა შეცვალა თავისი ადრინდელი მცდარი შეხედულება ქართული „ვისრამიანის" ნახევრად ორიგინალური წარმოშობის შესახებ. რომელიც ალ. სარაჯიშვილთან ერთად განავითარა ამ ნაწარმოების პირველი გამოცემის (1884 წ.) წინასიტყვაობაში, და პირდაპირ მიუთითა, რომ ქართული „ვისრამიანი" თარგმნილია სპარსულიდან „ვეფხისტყაოსნის" დაწერამდეო.

განსაკუთრებით საინტერესოა პ. უმიკაშვილის შეხედულება შ. რუსთაველსა და მის უკვდავ „ვეფხისტყაოსანზე". როგორც თვითონ ამბობს, „გენიოსის იდეა, მოთხრობის აგება, ჰკუა და ენა შეერთდა შოთა რუსთაველში საკვირველ ჰარმონიითა. პოეტური გამოსახვა, მშვენიერება ცოცხალის ენისა უმწვერვალეს სიმაღლემდე ავიდა იმ ლექსთ თხზულებაში. მოთხრობის არაკს მიეცა თავისუფალი სახე, იდეას, აზრს მშვენიერი ხორცშესხმულება"[2].

პ. უმიკაშვილის აზრით, „ვეფხისტყაოსანი" თამარ მეფის ცხოვრების უბრალო მატიანე კი არ არის, არამედ იგი გამოხატავს „საუკუნოდ უკვდავ აზრს ადამიანის ცხოვრებისას". ხოლო ადამიანისა და მთელი კაცობრიობის ცხოვრების ამ უკვდავ აზრს, შინაარსს შეადგენს მუდმივი სწრაფვა სასურველი კეთილდღეობის, ბედნიერების, სიმართლისა და ჭეშმარიტებისაკენ, ანუ, მისი თქმით, „ძიება და ძებნა სასურველის წადილისა, ბრძოლა ამ წადილის მისაღწევად, უკუგდება ყოველისფერისა, რაც ამ წადილის ძებნას აბრკოლებს. წადილის

---

1 პ. უმიკაშვილი, ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდამ ჩვენ დრომდე), „საქართველოს კალენდარი", 1904 წ., გვ. 480.

2 იქვე, გვ. 481.

მიღწევის შემდეგაც ახალის წადილის გაღვიძება, კიდევ ძებნა, კიდევ ძიება, მარად ძიება"[1].

„რუსთაველის ამ პოემაში გამოითქვა ქართველობის ისტორიის ცხოვრება, სულის განწირულება მრავალ მტერთა შემოსევის დროს და იმავე წამში სიცოცხლის წყურვილით აღძრული მოქმედება, თავის გამოდება უკეთესის ბედის ძიებისათვის. აი რატომ შეიქნა ეს პოემა საყვარელ საკითხად წიგნად შვიდასის წლის განმავლობაში და აი რატომ არის ქართველობაში საუკუნო პოეზიის საუნჯედ დარჩენილიო", — დაასკვნის პ. უმიკაშვილი.

ეს შეხედულება სავსებით მისაღებია, რადგანაც რუსთაველის პოემაში, პროფესორ კ. კეკელიძის სიტყვებით რომ გადმოვცეთ, „პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ქადაგება შეუნელებელი, თავდადებული ბრძოლისა, ბედნიერებისა და კეთილდღეობის მოპოვების მიზნით"[2].

თამარის მეფობის მომდევნო პერიოდში საქართველოს თავს დაატყდა დიდი უბედურება, მას განუწყვეტლივ აოხრებენ ჯერ მონგოლები და შემდეგ ოსმალები. ამიტომ ქართული მწერლობის განვითარება, პ. უმიკაშვილის შეხედულებით, რუსთაველის შემდეგ „რამდენიმე საუკუნეს დიდად შეჩერდა. ვეღარ წავიდა წინ". იგი სწორად შენიშნავს, რომ ქვეყნის დაცემის „იმ შავ დროებში სპარსული პოეზიის გავლენით იწერებოდა ან ითარგმნებოდა ზღაპრის მსგავსი ამბები ყარამანიანისავით", რითაც „მწერლებს უნდოდათ გული მიეცათ მკითხველისათვის და მამაცობის სული შთაებერათო"[3].

მაგრამ პ. უმიკაშვილს შეუმჩნეველი არ დარჩა ის გარემოება, რომ ამ ზღაპრულ-ფანტასტიკური ამბების რომანტიკას მე-17 საუკუნიდან მკვეთრად დაუპირისპირდა ისტორიულ-ნაციონალური მიმართულება. თავის წერილში „დავით

---

1 პ. უმიკაშვილი, ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდამ ჩვენ დრომდე), „საქართველოს კალენდარი", 1904 წ., გვ. 481.

2 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952 წ., გვ. 126.

3 პ. უმიკაშვილი, ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდამ ჩვენ დრომდე), „საქართველოს კალენდარი", 1904 წ., გვ. 483.

გურამიშვილი და იმისი დავითიანი“, რომელიც გურამიშვილის ნაწერების მეორე გამოცემას (1881 წ.) დაურთო, ამის შესახებ წერდა: „ქართულ ენაზე ჩნდება ერთგვარი მწერლობა და ლექსებით თხზვა, რომელშიაც გამოხატულნი არიან საქართველოს ხალხის გამოჩენილი კაცები, მეფეები, იმათი მოქმედება, თავგადასავალი, ბრძოლა დაუნდობელ ბედთან და მწუხარება უბედურებისაგან. ამ ლექსებში დიდის სინამდვილით გამოყვანილია თვითეულის კაცის ამბავი ისე, რომ ისტორიულს მოთხრობას ან ბიოგრაფიას ემსგავსება“[1].

როგორც ვხედავთ, აღნიშნული მიმართულების მთავარ ღირსებად პ. უმიკაშვილს მიაჩნია კონკრეტულ-ისტორიული მოვლენების დამაჯერებელი, რეალისტური გამოხატვა. იგი სამართლიანად მიუთითებდა, რომ „ეს საკმაოდ დიდი წაბიჯი იყო ქართულ ლექსთ თხზულებაში იმით, რომ გამოვიდა ძველის ზღაპრულის ლანდებისაგან და დაადგა ცოცხალის, მარტივის კაცის გამოყვანას თვისის ენებითა და გრძნობითაო“[2]. ცხადია, ავტორი აქ გულისხმობს აღორძინების პერიოდის მწერლობის იმ ახალ თვისებას, რომელიც ქართულ ლიტერატურაში ადრეული რეალიზმის სახელწოდებით არის ცნობილი[3].

ისტორიულ-ნაციონალური მიმართულებისა და ადრეული რეალიზმის მწერლებიდან პ. უმიკაშვილის მოწონებას ყველაზე მეტად იმსახურებს დ. გურამიშვილი. მისი შეხედულებით, დ. გურამიშვილი „ერთი იმგვარ მწერალთაგანია, რომელნიც ცოცხლათ ჰხატავენ თავის დროსა, აზრებსა და ცხოვრებასა. ის არის ხელოვანი და მართალი გამომსახველი მრთელის მეთვრამეტე საუკუნის საქართველოსი და ამიტომ მასაით ნათ-

---

[1] პ. უმიკაშვილი, დავით გურამიშვილი და იმისი დავითიანი, დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისაგან, ტფილისი, 1881 წ., გვ. IX—X.

[2] იქვე, გვ. X.

[3] იხ. პროფ. ა. ბარამიძე, რეალისტური ნაკადის შესახებ XVII—XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, 1964 წ., გვ. 169—187.

ლად და სიმართლით არც ერთ მწერალს არ გადმოუცია ჩვენთვის საქართველოს ხალხის მწუხარება და წადილი". „ის დასტირის საქართველოს ბედს და თუმცა გარეგან მტრებს აბრალებს საქართველოს დაცემას, მაგრამ უფრო უმეტესად ქვეყნის დაქცევის მიზეზსა შინაურებს სდებს". გურამიშვილი „საქართველოს აღდგენის და ვანახლების მქადაგებელია ხალხის გასაგონარის ენითა". „მართალია, სულიერობის, ღვთისნიერობის კილო მოჩანს ლექსებში, — აღნიშნავს პ. უმიკაშვილი. მაგრამ ეს ის ბერული, ქვეყნისაგან განდეგილის კილო არ არის, რომელიც ამ ქვეყნის ცხოვრებას უარს ჰყოფს. მოლექსეს სურს მკითხველს დაუნერგოს მაღალი სიყვარული ჭეშმარიტებისა. სიმართლისა, კაცთმოყვარეობისა, გახადოს თაკის თავის სასტიკი მსაჯული და გამჩხრეკი თვისის მოქმედებისა. კაცს უნერგავს იმ აზრს, რომ უსიყვარულოდ ჭეშმარიტებისა და სიმართლისა ის არის საძაგელი ამაო ჩალა, რომელსაც მცირეოდენი ქარის შებერვა არარად აქცევს"[1].

დ. გურამიშვილის შემოქმედებიდან პ. უმიკაშვილს განსაკუთრებით იტაცებს „ქაცვია მწყემსი", რომელიც თავისი მხატვრული ღირსებით ქართული მწერლობის ერთ ძვირფას მარგალიტად მიაჩნია.

პ. უმიკაშვილის აზრით, დ. გურამიშვილმა მოახდინა სამწერლო ენის გარკვეული დემოკრატიზაცია, „დაუმკვიდრა უფლება სახალხო სასაუბრო ენას", ამასთანავე ქართული პოეზია გაამდიდრა ვერსიფიკაციის ახალი ფორმებით. როგორც თვითონ ამბობს, „ძლიერი გამოთქმა, მოსწრებული სიტყვა, მწარე დაცინვა, სასაცილოდ გამომხატველობა, ოხუნჯობა, სიმარტივე ენისა და, ცოტაოდენს გარდა, მართებულება: ყველა ეს თვისება გურამიშვილს ლექსისა და ენის შესახებ უწარჩინებულეს მწერლებში აყენებს"[2]. ამასთან ერთად პ. უმიკაშვილი სამართლიანად მიუთითებს მამუკა ბარათაშვი-

[1] პ. უმიკაშვილი, დავით გურამიშვილი და იმისი დავითიანი, დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისაგან, ტფილისი, 1881 წ., გვ. XVI.

[2] იქვე, გვ. XXV.

ლის „ჭაშნიკის“ გავლენის შესახებ დ. გურამიშვილის შემოქმედებაზე.

აღორძინების პერიოდის ქართველი მწერლებიდან პ. უმიკაშვილი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა სულხან-საბა ორბელიანს. თავის წერილში „სულხან-საბა ორბელიანი და იმისი სიბრძნე სიცრუის წიგნი“, რომელიც ამ წიგნის უმიკაშვილისაეე გამოცემას (1871 წ.) ჰქონდა დართული, იგი ქართველი ხალხის საყვარელ მოიგავარაკეს გვერდში უყენებს მსოფლიოს ისეთ გამოჩენილ მწერლებს, როგორიც იყვნენ ეზოპე, ლაფონტენი და კრილოვი. მისი აზრით, ამ მწერლებისაგან განსხვავებით, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები მოქცეულია ერთ სიუეეტურ ჩარჩოში და გაშლილია ერთი ფაბულური მოთხრობის ფონზე, რაც „სიბრძნე სიცრუის“ წიგნის თავისებურ ღირსებას შეადგენს.

მართალია, პ. უმიკაშვილმა სწორად ვერ გაიგო, რას ნიშნავდა სულხან-საბა ორბელიანის წიგნის სათაური „სიბრძნე სიცრუისა“[1], მაგრამ სამაგიეროდ მას შეუმჩნეველი არ დარჩა ამ წიგნის დიდი ენობრივი ღირსება. მისი მართებული დახასიათებით, „ძალიან ხშირად საბა მარტივი ჩვენი სასაუბრო ენითა სწერს და ამიტომ ძალიან უახლოვდება სახალხო ენას“. „მრავალსიტყვაობა და გაჭიანურება საბას არ უყვარს. აზრი მოკლეთა და ძლიერათა აქვს გამოხატული“[2]. აქედან გამომდინარე, იგი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „სიბრძნე-სიცრუის წიგნის ენა შეიძლება ბევრჯერ ქართული ენის ნიმუშათ მოიტანოს კაცმა და ქართული ენის სწავლებაში საბას წიგნს

---

1 თუმცა ამ საკითხზე დღემდე ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას (იხ. ა. ბარამიძის ნაშრომი — „რა ეწოდება სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულს და როგორ უნდა გავიგოთ მისი შინაარსი“, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, 1964 წ., გვ. 119 — 130; გ. იმედაშვილი, „წიგნი სიბრძნე-სიცრუისას სათაურის გაგებისათვის“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 5, 1954 წ., გვ. 303—309).

2 პ. უმიკაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი და იმისი სიბრძნე სიცრუის წიგნი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, თქმული სულხან-საბა ორბელიანისაგან, ტფილისი, 1871 წ., გვ. XIV.

იმისთანა ადგილი უნდა ეჭიროს, როგორც რუსულის სწავლებაში კრილოვს უჭირავსო"[1].

ეს სიტყვები ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა პ. უმიკაშვილი სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას" ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში.

ყოველი მწერლის მოღვაწეობისა და დამსახურების შეფასებას პ. უმიკაშვილი ისტორიული თვალსაზრისით უდგებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ იგი, ერთი მხრივ, სასტიკად დასცინოდა ანტონ კათალიკოსის რიტორიკისა და გრამატიკის ნორმების დამცველებს, როგორც სქოლასტიკოსებსა და კონსერვატორებს, რომლებსაც არ ესმოდათ, რომ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ეს დრომოჭმული ნორმები უკვე აშკარად აფერხებდნენ ახალი ქართული ენისა და ლიტერატურის ნორმალურ განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, დიდად აფასებდა ანტონ კათალიკოსის ისტორიულ დამსახურებას თავის დროისათვის. პ. უმიკაშვილის დახასიათებით, ანტონ კათალიკოსის „შრომა სულის ჩამდგმელი იყო მრავალ სასულიერო და საერო კაცებისათვის, რომელთაც მასთან ერთად გააფართოვეს მწერლობის ასპარეზი, ახალი გზა აჩვენეს, პირი აბრუნებინეს ევროპულის სწავლა-მეცნიერებისაკენ და დაატოვებინეს სპარსულის თაყვანისცემა"[2]. ამასთან ერთად იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ „მისი ნაწერები ენის მხრით ძალიან მძიმეა და ენის კანონების წინააღმდეგიო"[3].

ცხადია, პ. უმიკაშვილი განსაკუთრებული სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით ეკიდებოდა ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკოსების მოღვაწეობასა და მემკვიდრეობას, მაგრამ არც რიგითი მწერლებისა და ლიტერატურის უჩინარი მუშაკების დამსახურებას ივიწყებდა. „ივერიის" 1877 წლის

---

1 პ. უმიკაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი და იმისი სიბრძნე სიცრუის წიგნი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, თქმული სულხან-საბა ორბელიანისაგან, ტფილისი, 1871 წ., გვ. XIV.

2 პ. უმიკაშვილი, ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდამ ჩვენ დრომდე), „საქართველოს კალენდარი", 1904 წ., გვ. 487.

3 იქვე.

№ 39-ში მან გამოაქვეყნა მოზრდილი წერილი „გარდამწერელი ქართული წიგნებისა დავით რექტორი“, რომელშიც სწორად შეაფასა არა მარტო დავით რექტორის (ალექსი-მესხიშვილის), არამედ საერთოდ კალიგრაფების ღვაწლი ძველი ქართული ლიტერატურის გამდიდრებისა და სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში. „ჩვენში გადამწერლებს პატივცემული ადგილი უჭირავთ მწერლობაში იმით, — ამბობს წერილის ავტორი, — რომ იმისთანა უსტამბობის დროს ერთადერთნი გამავრცელებელნი იყვნენ მწიგნობრობისა. თუმცა მრავალი აოხრება მოხდა საქართველოში, ქვა ქვაზედ აღარ დარჩა, მაგრამ მთელის ათასხუთასის წლის განმავლობაში მწიგნობრობა საკვირველის მედგრობით დარჩა. რასაკვირველია, მრავალი უძვირფასესი მარგალიტი შთანთქა მტრის აოხრებამა, მაგრამ მაინცდამაინც მრავალი გადარჩა. ამის გადამრჩენელნი იყვნენ გადამწერელნი“[1].

პ. უმიკაშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე წერილები და რეცენზიები — „თეიმურაზ მეფის თხზულებათა დაბეჭდვის გამო“, „დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა“, „დაბადების ბეჭდვა“, „ბეჟანიანი“, „ქართული მწიგნობრობა“ და სხვ., მაგრამ ამ წერილების განხილვას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს მათი ავტორის ისტორიულ-ლიტერატურული შეხედულებების გარკვევისათვის.

ძველი ქართული მწერლობის ისტორიის ზემოხსენებულ კონსპექტურ განხილვას პ. უმიკაშვილი ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „გაბედვით უნდა ვთქვათ, რომ მეთვრამეტე საუკუნემ მეცხრამეტეს გადმოსცა უმეტესი ნაღვაწი, ვიდრე მას მიეღო წინა საუკუნისაგან. თუ მწერლობა არის ერის სულის და პიროვნების გამომხატველი, რამდენადაც შავ დროთა ბრუნვა ხელს არ უშლიდა, ამ მწერლობამ განამტკიცა თავისებურობა ქართველობისა და გადასცა წარსამატებლად მომავალ თაობასა“[2].

---

[1] პ. უ., გარდამწერელი ქართულის წიგნებისა დავით რექტორი, „ივერია“, 1877 წ., № 39, გვ. 8.

[2] პ. უმიკაშვილი, ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდამ ჩვენ დრომდე), „საქართველოს კალენდარი“, 1904 წ., გვ. 488.

მართალია, პ. უმიკაშვილის წერილები მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაზე უმთავრესად ლიტერატურულ კრიტიკას ეკუთვნის და მათი დიდი ნაწილი ზემოთ განვიხილეთ, მაგრამ ჩვენი მსჯელობა სრული არ იქნება, თუ არ გავითვალისწინეთ ის წერილები, რომლებშიც აღნიშნული პერიოდის ლიტერატურული ცხოვრება გაშუქებულია ისტორიული მიდგომით. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მეორე ნახევარი წერილისა „ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდან ჩვენ დრომდე)“, „ქართული თეატრი და ლიტერატურა (50 წლის დღესასწაულის გამო)“. „სერგეი მესხი“, „სამოცდათხუთმეტი წელი უხუცესის პოეტისა“ და ზოგიერთი სხვა წერილის ცალკეული ადგილები.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან, როცა რადიკალურად შეიცვალა საქართველოს პოლიტიკური ვითარება და ახალი გზით წარიმართა მისი ცხოვრება, პ. უმიკაშვილის დახასიათებით, „მთელ ნახევარ საუკუნეს ჩვენი მწერლობა თუ იყო გაგრძელება წარსულ საუკუნეთა, ისე იყო მოდუნებული, თავჩაკრული და ენადაბმული, რომ არარაობას ემსგავსებოდა“[1].

იმის გამო, რომ ქართული ჟურნალ-გაზეთები არ არსებობდნენ და ცალკე წიგნების გამოცემაც არ ხერხდებოდა, ამ პერიოდის ქართველ მწერალთა ნაწერები „საზოგადოებამღის ძლივს აღწევდა. მკითხველები ცოტა ჰყავდათ და ათასში თუ ერთი ახერხებდა იმათ ნაწერის გადაწერასა. თორემ სხვაფრივ იმათი შრომა ძალიან ძნელად ვრცელდებოდა“[2]. როგორც თვითონ ამბობს, „ჩვენი საზოგადოება იმ მშვიდობიანს ახალს დროებაში სრულიად მოკლებული იყო ბეჭდვის ნაყოფსა და ისევ ისე, როგორც ვახტანგის გამართულ სტამბის წინათ ყოფილა. როდესაც ყოველი უბრალო წიგნები უნდა გადაეწერათ, იმავ გარემოებაში დარჩა. თვით ანბანიც კი რა არის,

---

1 პ. უმიკაშვილი, ქართული თეატრი და ლიტერატურა (50 წლის დღესასწაულის გამო), „მოამბე“, 1900 წ., № 1, გვ. 14—15.

2 მ. პეტრიძე, შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის, „კრებული“, 1872 წ., № 8—9, გვ. 251.

ისიც კი თითქმის ყმაწვილს ხელნაწერზე უნდა ესწავლა. ამისთანა მდგომარეობაში იმყოფებოდა ჩვენი მწერლობა, სტამბა და წიგნის საქმე"[1].

მიუხედავად ამ მძიმე საზოგადოებრივი პირობებისა, პ. უმიკაშვილის შეხედულებით, აღნიშნულ პერიოდში არ ჩამკვდარა ჩვენი ქვეყნის ლიტერატურული ცხოვრება. მისი თქმით, ქართული „მწერლობის სული არ გაუქმდა", „სხვა და სხვა ადგილას გაფანტული მწერლობის მუშაკნი დაუცხრომელის შრომით მუშაობენ და ხელნაწერებს ავრცელებენ"[2]. „რაც კი რამ არის დაწერილი 1850 წლამდის, — ამბობს პ. უმიკაშვილი, მცირე არ არის და შეადგენს ვრცელს პერიოდს ჩვენის ლიტერატურისას, რომლის გამოკვლევა და განხილვა ძლიერ საინტერესო საგანს უნდა შეადგენდეს ლიტერატურის ისტორიის ცოდნის მოსურნეთათვის"[3].

ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებას პ. უმიკაშვილი უპირველეს ყოვლისა, იმის მიხედვით ახასიათებს, თუ რამდენად აისახა მასში იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსი, ხალხის სულიერი ტკივილები და მისწრაფება. ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების განხილვისას იგი გადაჭრით უარყოფს იმ კრიტიკოსთა შეხედულებას, რომლებიც ამ ნიჭიერ პოეტს მხოლოდ ღვინისა და სიყვარულის მომღერლად თვლიდნენ. პ. უმიკაშვილის სიტყვით, ალ. ჭავჭავაძის ლექსებს „მღეროდა მთელი საქართველოს საზოგადოება" და მას „სხვა ლირიკული ლექსები სიმღერისავე სახით იმ დროის ჰირვარამზე აქვს გამოთქმული"[4].

ნ. ბარათაშვილის მთავარ ღირსებას პ. უმიკაშვილი იმაში ხედავდა, რომ იგი „ღრმა გრძნობის და აზრების გამომთქმელია მშვენიერის ლექსებითა. მის პოეზიას ატყვია ბაირონისე-

1 მ. პეტრიძე. შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის, „კრებული", 1872 წ., № 8—9, გვ. 255—256.

2 პ. უმიკაშვილი, ქართული მწერლობა (თვალის გადაველება დასაწყისიდამ ჩვენ დრომდე), „საქართველოს კალენდარი", 1904 წ., გვ. 488.

3 მ. პეტრიძე, შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის, „კრებული", 1872 წ., № 8—9, გვ. 253.

4 პ. უმიკაშვილი, ქართული მწერლობა (თვალის გადაველება დასაწყისიდამ ჩვენ დრომდე), „საქართველოს კალენდარი", 1904 წ., გვ. 489.

ბური გავლენა, თუმცა კი ლექსს იმედიანი მხურვალე გრძნობაც თანა სდევს"[1]. სწორედ ამიტომ გახდა ნ. ბარათაშვილი, მისი შეფასებით, „საყვარელი პოეტი საქართველოსი. აღმზრდელი რამდენისამე ქართველ თაობისა, მშვენიერება ქართული სიტყვიერებისა და ქართველთა აზროვნებისა"[2].

გრ. ორბელიანის შემოქმედებიდან პ. უმიკაშვილის მოწონებას ყველაზე მეტად იმსახურებდა ლექსები— „გამოსალმება", მუხამბაზი „გინდ მეძინოს...", „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები", „იარალის", „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში" და პოემა „სადღეგრძელო"[3]. ცხადია, პ. უმიკაშვილს გრ. ორბელიანის მუხამბაზები, უპირველეს ყოვლისა, იტაცებდა მდაბიო ხალხის ცხოვრების რეალისტური ასახვის გამო, ხოლო პატრიოტული ლექსები — ეროვნული გრძნობის წინ წამოწევისა და გაძლიერებისათვის. როგორც ვიცით, ანალოგიურ შეფასებას აძლევდა გრ. ორბელიანის შემოქმედებას ი. ჭავჭავაძე[4].

პ. უმიკაშვილი უყურადღებოდ არ სტოვებს ვ. ორბელიანის პოეზიას. „ივერიის" 1887 წლის № 70-ში დაიბეჭდა მისი წერილი „სამოცდათხუთმეტი წელი უხუცესის პოეტისა", სადაც გარკვეცით აღნიშნავს ვ. ორბელიანის ლექსების მხატვრულ ღირსებას. იგი წერს: „როგორც ხელოვანი მხატვარი გადასწევს ფარდას და თვალწინ გიხატავთ სურათს, რომლის მსგავსი იქნება ბევრი გენახოთ, მაგრამ თვალაბმულსავით ვერ გაგერჩიოთ; ახლა კი ამ სურათს ისეთის სიცხოველით, ისეთის დიდებულის სხივით გაგინათებთ, რომ უსულო ქვაშენობაც კი ხმას იღებს და გელაპარაკება გასაგების ენითა, ვარსკვლავები გეღიმებიან, მთა ჰკვნესის, ტყე და წყლები გეჩიკჩიკებიან, ჰაერი ფშვინავს; სურათი დაგეხატათ თვალ-

---

1 პ. უმიკაშვილი, ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდამ ჩვენ დრომდე), „საქართველოს კალენდარი", 1904 წ., გვ. 489.

2 პ. უმიკაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის გვამის გადმოსვენება, „ივერია", 1891 წ., № 114.

3 პ. უმიკაშვილი, ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდამ ჩვენ დრომდე), „საქართველოს კალენდარი", 1904 წ., გვ. 495.

4 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 21—22, 209—210.

წინ, მაგრამ მას ერთობა პოეტის გულის სიმების ხმაცა, რომელიც ხან მწუხარეა, ხან მხიარული, ხან უიმედო, ხან იმედიანი და დიდებით სადღესასწაულო"[1].

მართალია, პ. უმიკაშვილი ძალზე აზვიადებს ვ. ორბელიანის პოეზიის მხატვრულ ღირსებას, მაგრამ საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ამ რომანტიკოსი პოეტის შემოქმედებაში მას, უპირველეს ყოვლისა, მოსწონს ბუნების გამოხატვა, სადაც პოეტი უფრო მეტად რეალიზმისაკენ იხრება.

პ. უმიკაშვილის შეხედულებით, ვ. ორბელიანის „პოეზიაზე ზემოქმედება იქონია მისმა კერძო ცხოვრებამ, რომელიც ვარდითა და ყვავილებით არა ყოფილა მოფენილი". „იგი იყო მოწამე იმ გულისტკივილისა, რომელიც გამოიარეს მისთა ახლო მყოფთა და მთელმა ჩვენმა ერმა ქვეყნის დარღვევის და დაქცევის დროს აღამაჰმადხანისაგან, იგივე მოესწრო ჩვენს დროს"[2]. სწორედ ამან განსაზღვრა ხასიათი და შინაარსი ვ. ორბელიანის შემოქმედებისა, რომელიც პ. უმიკაშვილის სიტყვით, არის „შემაერთებელი ძველისა და ახლის პოეზიისა და დროებისა". იგი სწორად მიუთითებს, რომ „თუ წარსულის დროის დიდებულ სურათს პოეტი გვისახავს მწუხარების ფერადითა, ეს იმას არა ნიშნავს, რომ მომავლის იმედიანი სიხარული არა სწამდესო"[3].

პ. უმიკაშვილის შეხედულებით, ახალი ქართული ლიტერატურის განვითარებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა დაიწყო 50-იანი წლებიდან, რაც დაკავშირებულია გ. ერისთავის მიერ ჟურნალ „ცისკრის" დაარსებასთან. მართალია, გ. ერისთავის „ცისკარმა" მხოლოდ ორ წელს (1852—1853 წ წ.) იარსება, მაგრამ 1857 წლიდან მისი გამოცემა განაახლა ივანე კერესელიძემ. პ. უმიკაშვილს კარგად ესმის ამ ჟურნალის მნიშვნელობა 50-იანი წლების ქართული ლიტერატურისათვის. იგი წერს: „ცისკრის" გამოსვლა ჩვენის ლიტერატურის ბნელს ცაზე მართლა დილის წინამორბედს ცისკრის ვარსკვლავსა

---

1 პ. სამოცდათხუთმეტი წელი უხუცესის პოეტისა, „ივერია", 1887 წ., № 70.

2 იქვე.

3 იქვე.

ჰგავდა. მუდამ თვე თითო დაბეჭდილის წიგნის გამოსვლა ესეთს იშვიათს საქმეს შეადგენდა, რომ აქამდის არავის ენახა. ყველა, მოხუცებული და ყმაწვილი, კაცი და დედაკაცი, ამ გარემოებით აღტაცებული, უგზავნიდა ერისთავს და კერესელიძეს ლექსად და პროზად ნაწერს შესხმასა და ქებასა... აქამდისინ დაფანტული თხზულებები მწერლებისა მკითხველს დაბეჭდილი წარმოუდგა თვალწინა, ერთად შეგროვილი თითო წიგნში. ძველს საყვარელს თხზულებებს აქ ხედავდნენ დაბეჭდილს და აღტაცებით უყურებდნენ, რომ უკუნეთი უკნისამდე ბეჭდვის წყალობით დარჩებოდა უკვდავად და ისე არ დაიკარგებოდა და აღიხოცებოდა, როგორც ბევრს მწერლის თხზულებას მოსვლია. მწერლები ამ ბეჭდვით იმედმოცემულნი იყვნენ, რომ მათი შრომა ტყვილად არ ჩაივლის და ჟამთა ვითარება იმათს ნაწერს არ წაშლის. ახალს მწერლებსაც მოჰქონდათ თავისი ნაწერი და დგებოდნენ ძმურათ იმავ რაზმში, სადაც იდგნენ ჩვენი გათქმულნი მწერალნი“[1].

მაგრამ ქართული ლიტერატურის განვლილი გზის შეფასებისას პ. უმიკაშვილს არ ახასიათებს მხოლოდ დადებითი მომენტების დანახვა და წინ წამოწევა. მისთვის სრულიად უცხო და მიუღებელია ლიტერატურის განვითარების ისტორიული პროცესის ცალმხრივი განხილვა-შეფასება. აღნიშნავს რა „ცისკრის“ გარკვეულ დამსახურებას ქართული ლიტერატურის განვითარებაში, იგი იქვე მიუთითებს იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე. რომლებიც ამ ჟურნალს ახასიათებდა. როგორც თვითონ ამბობს, ივ. კერესელიძემ „შეკრიბა ჯგუფი ყოველგვარის აზრისა, მიმართულებისა და ცოდნა-უცოდნელობისა. ეს ჰგვანდა ენათა აღრევას ბაბილონის გოდოლისებურს“[2]. პ. უმიკაშვილის ცნობილ წერილში „შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის“ ვკითხულობთ: „ცისკარში“ იბეჭდებოდა ყოველგვარი თხზულება, რომელთაგან მრავალი სრულიად ყოველსავე ლიტერატურულ ღირსებას იყო

1 მ. პეტრიძე, შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის, „კრებული“, 1872 წ., № 8—9, გვ. 260—262.

2 პ. უმიკაშვილი, ქართული თეატრი და ლიტერატურა (50 წლის დღესასწაულის გამო), „მოამბე“, 1900 წ., № 1, გვ. 15.

მოკლებული... აი კიდეც ამიტომ ისე მდორეთ მიდიოდა ჩვენი ლიტერატურის მღვრიე ნაკადული და ჩალაბულას მიაქანებდა მკითხველისადმი. მართალია, ამ მოტანილ ნარკვევში მარგალიტის მარცვლებიც კარგათ განირჩეოდა, მაგრამ ნარკვევი ბევრი იყო. მკითხველს დაწაფებაზედვე ეძინებოდა ამ ნაკადულია წყლის სმისაგან. რა არ იბეჭდებოდა მაშინ, ღმერთო ჩემო! ცრუპენტელა გონების დამაძინებელი ზღაპრები, მოთხრობები, ლექსები, ყოველგვარი და ყოველფერი. წერილები ერთშანეთის ქებისა ხომ რაღა. ამასობაში კრიტიკული არავითარი მხედველობა არა სჩანდა და კრიტიკა ლანძღვად მიაჩნდათ იქამდინ, რომ წარსულის საუკუნის მწერლებს სრულიადაც ვერ დაედრებოდნენ ჩვენი მწერლები"[1]. „უგემურობამ იქამდინ მიაღწია, — განაგრძობს ავტორი, — რომ ვეღარ შეიძლებოდა იმაზე უაზრო წერა, როგორც აქამდინ იყო. მკითხველებს მობეზრდათ სულელური სტატიების და ლექსების კითხვა. ახალგაზრდა მწერლები, რუსულის ლიტერატურით და სწავლით გახსნილნი, ჟურნალისაგან მეტს ითხოვდნენ. იმათ უნდოდათ, რომ თხზულებები უფრო არჩევით ებეჭდათ. ეს იყო ახალი მიმართულების მოძრაობა ჩვენის ლიტერატურისა"[2].

პ. უმიკაშვილის შეხედულებით, 60-იანი წლებიდან ახალი ხანა იწყება ქართული ლიტერატურის განვითარებაში.. როგორც თვითონ აღნიშნავს, „ცხოვრებას მოჰბერა ახალმა ქროლვამ, ბატონყმობის გადავარდნის დრო დადგა", რამაც საზოგადოებრივი აზრი დიდ მოძრაობაში მოიყვანა. ამ დროს გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე ახალი თაობა, რომელსაც, მისი თქმით, „თვალწინ ეშლებოდა ევროპის ხალხის მდიდარი ლიტერატურა და ისტორიული ცხოვრების მსვლელობა. იქიდამ უნდა გამოეძებნა ჩვენის ყოფაცხოვრების და გარემოების მკვიდრი, შესაფერი ახსნა და ღონისძიება წინსვლისა და მასთან ეროვნების კეთილ თვისებათა შენახვისა"[3].

---

1 მ. პეტრიძე, შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის, „კრებული", 1872 წ., № 8—9, გვ. 265—267.

2 იქვე, გვ. 270.

3 პ. უმიკაშვილი, ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასწყისიდამ ჩვენ დრომდე), „საქართველოს კალენდარი", 1904 წ., გვ. 492.

ცხადია, ახალ თაობას აღარ აკმაყოფილებდა „უკან დარჩენილი „ცისკრის“ მწერლობა“, რომელიც ახალი აზრის შემოტანას, მის ახსნასა და ცხოვრების წინსვლას კი არ ემსახურებოდა, არამედ კონსერვატულ-რეაქციული შეხედულებების ქადაგებით აძინებდა მკითხველთა გონებას. სწორედ ამ დროს მოჭმული შეხედულებების წინააღმდეგ იყო მიმართული ი. ჭავჭავაძის პირველი კრიტიკულ-პოლემიკური წერილები პ. უმიკაშვილის აზრით. „ეს იყო დიდი შერყევა ქართულის მწერლების უაზრო წერისა“. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ამ პოლემიკიდან გამოჩნდა დიდი უმეცრება „ცისკრის“ მომეტებულ მწერლებისა და ახალ თაობის მწერლებმა მალე შესწყვიტეს მასში მონაწილეობა ზოგიერთს გარდა. დარწმუნდნენ, რომ კერესელიძეს არ სურდა დროს ვითარება შეეგნო. არც ცოდნა, არც სურვილი არ დაეხმარა, რომ ესარგებლა ახალის მოთხოვნილებით და გაჰყოლოდა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებასო“[1].

განსაკუთრებით საინტერესოა პ. უმიკაშვილის შეხედულება ჟურნალ „საქართველოს მოამბეზე“. მისი სიტყვით, „საქართველოს მოამბის“ გამოსვლამდე ქართულ მწერლობას „არ უნახავს ის ცხოვრების ახალი ქროლა, ის სიცოცხლე, რაც ახალდაარსებულ ჟურნალს გამოაჩნდა... ქართველ მკითხველს იშვიათად წაეკითხა ასეთი სახის ჟურნალი. აქ უმეცრებას ადგილი აღარ ეჭირა. ევროპული აზრი საწაღმართო წინსვლისა ცოცხალის ენით ლაპარაკობდა ყველასათვის გასაგონად და ჩასაგონებლად“[2]. იგი ჯერ კიდევ 1872 წელს მიუთითებდა: „მოამბის“ გამოსვლა ჩვენს ლიტერატურაში შესანიშნავ მოვლინებად დარჩება სამუდამოდ. მკითხველმა საზოგადოებამ პირველადა ნახა და შეიტყო, რა არჩევით უნდა იბეჭდებოდეს ნაწერი, რა სიცოცხლე უნდა ეტყობოდეს ნაწერსა და როგორ უნდა ელაპარაკებოდეს მწერალი მკითხველსა. განსხვავება „ცისკარსა“ და „მოამბეში“ დიდი იყო. ერთი თითქმის არაფერს არ აფიქრებინებდა მკითხველსა, უფრო აძინებდა;

---

[1] პ. უმიკაშვილი, ქართული თეატრი და ლიტერატურა (50 წლის ღღესასწაულის გამო), „მოამბე“, 1900 წ., № 1, გვ. 17.

[2] იქვე, გვ. 17—18.

მეორე კი აფხიზლებდა, სხვადასხვა აზრებს ჰბადებდა მკითხველის თავშია და გასაგონის სიტყვით აგრძნობინებდა გულსა“[1].

პ. უმიკაშვილის შეხედულებით, „საქართველოს მოამბის“ გამოსვლიდან ქართული პრესა ემსახურებოდა „ერის ცხოვრების ისტორიულ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა“ დაკმაყოფილებას. ეს იყო ქართული ლიტერატურის მთავარი მიმართულება და მხოლოდ „ცისკარი“ იდგა განცალკევებული. მართალია ქართული ლიტერატურის განვითარების გზა მრავალი ეკალ-ნარით იყო მოფენილი, მაგრამ, პ. უმიკაშვილის სიტყვით, ჩვენი მწერლობა არ გამხდარა „მიმდევარი უკუღმართი აზრებისა და მსჯელობისა, მის დროშაზე აწერია წინსვლა და არა უკუსვლა“[2]. როგორც თვითონ ამბობს, ქართულმა მწერლობამ იქამდის მიაღწია, „რომ იგი შეიქნა საზოგადოების და ხალხის თვალში, როგორც მისი ერთგული მომსმენი, მის სიმართლის და წარმატების მცველი, მისი მსახური და გზის მაჩვენებელი“[3]. „ნახევარი საუკუნის ლიტერატურის შრომას ჩვენს მჭიდრო ცხოვრებაში უნაყოფოდ არ ჩაუვლია და უომედობის საზღვარი შეურყევია, თუ ჯერ არ შეუნგრევიაო“[4], — დასძენს პ. უმიკაშვილი.

ქართველ მწერალთა იმ თაობიდან, რომელიც 60-იან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, ცხადია, პ. უმიკაშვილი ყველაზე მაღალ შეფასებას აძლევს ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს. იგი ჯერ კიდევ 1872 წელს აღნიშნავდა, რომ „ილია ჭავჭავაძემ მისცა ამგვარად ახალი მიმართულება ჩვენს ლიტერატურას. იმის კრიტიკულ სტატიამდინ არც კი იცოდნენ, რა არის მიმართულება ლიტერატურისა ანუ კაცისა. თვით ამ სიტყვის შემოღება, „მიმართულება“ ილია ჭავჭა-

---

1 მ. პეტრიძე, შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის, „კრებული“, 1872 წ., № 8—9, გვ. 272.

2 პ. უმიკაშვილი, ქართული თეატრი და ლიტერატურა (50 წლის დღესასწაულის გამო), „მოამბე“, 1900 წ., № 1, გვ. 23.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 27.

ვაძეს ეკუთვნისო"[1]. მისი დახასიათებით, პოეზიაში ი. ჭავჭავაძე ღირსეულად აგრძელებს ალ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად ტენდენციას და ფართოდ უხსნის გზას საზოგადოებრივ მოტივს ხალხის ჭირვარამზე, რაც იმ დროს „სულ ახალი გამომღვიძებელი სიო იყო მძინარა მოლექსეთა შორის". ეხება რა ილიას „გლახის ნაამბობსა" და „კაცია ადამიანს", როგორც ბატონყმური ცხოვრების ამსახველ მოთხრობებს, პ. უმიკაშვილი წერს: „ქართველმა მკითხველმა დაინახა, რა ადამიანი შეიქნა ბატონი, სხვის შრომით გამოსული და რა ყოფაში ჩავარდა იმგვარივე ადამიანი სხვის მონობისაგან. ერთიც და მეორეც იღუპება სულით ხორცამდის"[2].

პ. უმიკაშვილის შეფასებით, აკ. წერეთლის „ენაწყლიანობა, სიმსუბუქე ენისა, აზრის ნათლად გამომხატველობა, სხარტად დახმახვნა აზრისა, მშვენიერი გალობის ჰარმონია ანდამატისებრ იზიდავენ მკითხველის სმენას და ჩააფიქრებენ ლექსის აზრზე"[3]. მას უთუოდ სწორად მიაჩნია, რომ „პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი, რომელზედაც აკაკი წერეთელი უტოლოდ იმყოფება, ეს მისი სატირული ლექსებია". როგორც თვითონ ამბობს, „სატირა ქართველ პოეტებს როგორღაც გაურბის, რაც დიდი ნაკლულოვანებაა პოეზიისა. აკაკი წერეთლის პოეზიამ ეს სულ ახალი შემატებაც მოუტანა თავის ვრცელ პოეზიასთან ერთად". რაც შეეხება აკაკის მოთხრობებს, მისი თქმით, ისინი „ჩვენი წყლების კამკამებასა ჰგავს, როდესაც დარიან დღეში ეღურტულებს"[4].

რაფ. ერისთავის პოეზიის მთავარ ღირსებას პ. უმიკაშვილი იმაში ხედავს, რომ იგი ხალხის სასაუბრო ენით გამოხატავს „გლეხის ყოფას, მის ჭირსა და ლხინს, სიყვარულს და

---

1 მ. პეტრიძე, შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის, „კრებული", 1872 წ., № 8—9. გვ. 272.

2 პ. უმიკაშვილი, ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდამ ჩვენ დრომდე), „საქართველოს კალენდარი", 1904 წ., გვ. 493—494.

3 იქვე, გვ. 494.

4 იქვე.

მძულვარებას". ..ეს არის მიზეზი, — წერს იგი. რომ მოსწავლე ყმაწვილკაცობას გაზეპირება მის (რაფ. ერისთავის — ზ. მ.) ლექსებისა ისეთის სიადვილით ეხერხებათ, როგორც სახალხო ლექსებისა"[1].

პ. უმიკაშვილი სამართლიანად აღნიშნავდა გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძისა და ს. მესხის განსაკუთრებულ დამსახურებას ქართული პუბლიცისტიკის განვითარებაში. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მისი წერილი უდროოდ გარდაცვლილი სერგეი მესხის შესახებ, რომელიც „ივერიის 1883 წლის მეშვიდე-მერვე ნომერში დაიბეჭდა.

აღნიშნულ წერილში პ. უმიკაშვილმა ფართოდ გააშუქა ს. მესხის ცხოვრება და მოღვაწეობა. ქართული პრესის ამ დიდი მოამაგისა და ნიჭიერი პუბლიცისტის დამსახურებას ზედმიწევნით ახასიათებდა ავტორის შემდეგი სიტყვები: „თოთხმეტი წელიწადი მუშაკად უდგა ჩვენს მწერლობასა, მას მოუტანა სერგეი მესხმა მსხვერპლად თავისი სიყმაწვილე, თავისი გონებისა და სხეულის ძალღონე, თავის ცხოვრების მოსვენება და ბოლოს, პირველი და უკანასკნელი საუნჯე ყოველის კაცისა, თავისი ჯანის სიმრთელე... მესხმა მხნე მეომარსავით ათასგვარად დაბრკოლებულს და ეკლიანს გზაში გამოატარა პირველი ქართული გაზეთი. დიახ, კარგი სულის სიმხნე და მედგრობა უნდა ქონოდა მის გამომტარებელსა, რომ მარტოობის დროს, გარს გულგრილობის დროს, უსიამოვნობათა, ნაკლებულობათა და შრომის ტვირთთა სიმძიმით სასოწარკვეთილებას არ მისცემოდა. მაგრამ მესხმა ძნელი გზა ღიმილით გაიარა და გაზეთის გამოტანასთან იმავე ღიმილით დალია სული. იცოდა, რომ ტყუილად არ ჩაიარა მისმა შრომამ. მისი ღიმილი ამას ნიშნავდა"[2].

გამომდინარე აქედან, პ. უმიკაშვილი სავსებით სწორად მიუთითებდა, რომ „სერგეი მესხის შრომის დასაფასებელი მასალა თვით „დროებაა", რომელსაც ის ჰმართავდა ცამეტ-

---

[1] პ. უმიკაშვილი, ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდამ ჩვენ დრომდე), „საქართველოს კალენდარი", 1904 წ., გვ. 494—495.

[2] პ. უ., სერგეი მესხი, „ივერია", 1883 წ., № 7—8, გვ. 158—160.

თოთხმეტ წელსა. ამ გაზეთის თავგადასავალი მესხის თავგადასავალია, მათი ჰირი და ლხინი ერთი და იგივეაო"[1]. ხოლო, რაც შეეხება გაზეთ „დროებას", მისი შეფასებით, მიუხედავად გარკვეული ნაკლოვანებისა, „იგი მაინც ერთადერთი გაზეთი იყო, რომელიც შეუწყვეტლად მეხის შრომით აჩვევდა, ერთის მხრით, ქართველ საზოგადოებას ცხოვრების თვალის მიდევნებას და მოსაზრებას, აჩვევდა კითხვას და მაშასადამე მისს ცნობიერებას, გონებითს მწყურვალებას საზრდოს აძლევდა შეძლებისდაგვარად"[2]. როგორც თვითონ ამბობს, ს. მესხის „მშვიდი ხასიათი, გულწრფელობა, მოსწრებული მოსაზრება, ყველასთან გულის გაერთება, სალიტერატურო საქმის ერთგულებასთან შეერთებული, იზიდავდა ახალ და ახალ მშრომელს გაზეთში მონაწილეობისათვის"[3].

პ. უმიკაშვილს ძალზე საყურადღებო შეხედულებები აქვს აგრეთვე გამოთქმული ვაჟა ფშაველასა და დ. კლდიაშვილის შესახებ. ეხება რა ვაჟა ფშაველას შემოქმედებას, იგი წერს: „მისი (ვაჟა ფშაველას—ზ. მ.) ლექსი და პროზა განირჩევა სხვა პოეტებისაგან განსაკუთრებულის ფორმით. მთის მკვეთრს, ნაჭსოვივით რბილს და ნაჭედსავით მტკიცე ენასთან ახლოა ლექსთა თხზვა. სიტურფე და მრავალფერობა ეპიტეტებისა, გამომხატველობა და ქანდაკება, პლასტიკა გამოხატვისა კითხვის დროს მკითხველს უნებურად შორს, მაღლა იტაცებს და პოეტურს აღმაფრენას აგრძნობინებს"[4]. ამასთანავე უთუოდ სწორია მისი შენიშვნა რითმებისა და ტაეპების ერთფეროვნებაზე ვაჟა ფშაველას პოეზიაში.

პ. უმიკაშვილის შეხედულებით, დ. კლდიაშვილის მოთხრობების ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ნათლად გამოხატავენ გაღატაკებულ ქართველ აზნაურთა სულიერ სამყაროს; ამ მოთხრობების ავტორი კარგად იცნობს თავისი

---

1 პ. უ., სერგეი მესხი, „ივერია", 1883 წ., № 7—8, გვ. 161.

2 იქვე, გვ. 178.

3 იქვე, გვ. 164.

4 პ. უმიკაშვილი, ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდამ ჩვენ დრომდე), „საქართველოს კალენდარი", 1904 წ., გვ. 495.

გმირების ფსიქოლოგიას და იმ გარემო პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ მათ მოქმედებას[1].

პ. უმიკაშვილი უყურადღებოდ არ სტოვებს ქართველი მწერალი ქალების მოღვაწეობას. მათ შორის მაღალ შეფასებას აძლევს ეკატერინე გაბაშვილისა და განდეგილის (დომინიკა ერისთავის) შემოქმედებას. „ივერიის“ 1889 წლის № 63-ში დაიბეჭდა მისი წერილი „ქართველი მწერალი ქალები“, მაგრამ ეს წერილი, ისევე როგორც ივ. კერესელიძის დასაფლავებაზე წარმოთქმული სიტყვა და ზოგიერთი სხვა წერილი, ახალს არაფერს მატებს მათი ავტორის ისტორიულ-ლიტერატურულ შეხედულებებს.

ქართული მწერლობის ზემოხსენებულ კონსპექტურ განხილვას, ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, „თვალის გადავლებას“ პ. უმიკაშვილი ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „წინა დრომ ამ ჩვენს მეოცე საუკუნეს გადმოსცა ათასსამასი თუ ოთხასის წლის აღზრდილი და შენახული მწერლობა, რომელმაც ნახა ბევრი ჭირი და სულის ხუთვა, მწარე დღეები და ნათელი ბედნიერი დროცა. ცვალებადი იყო მისი ბედი, ხან დარიანი და ხან ავდარიანი, მაგრამ მისი ყოფნა და არსებობა ვერ შესწყვიტა ავდრობამ... სულიერი საუნჯე შეინახა წარსულმა დრომ და ანდერძად დაუგდო მომავალსა — ხალხი წინ წააყენოს განათლებულ ქვეყნების მიხედვით, მეცნიერების და სიმართლის საფუძველზე დამყარებით“[2].

ამით ვამთავრებთ პ. უმიკაშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების განხილვას. თუმცა აქ აღნიშნული წერილების მხოლოდ ყველაზე დამახასიათებელი ადგილები იყო გაშუქებული, მაგრამ ეს ერთობ შეზღუდული განხილვაც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა, თუ რამდენად მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო მათი ავტორის მოღვაწეობა ლიტერატურული კრიტიკისა და ქართული მწერლობის ისტორიის დარგში.

---

[1] პ. უმიკაშვილი, ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდამ ჩვენ დრომდე), „საქართველოს კალენდარი“, 1904 წ., გვ. 497.

[2] იქვე, გვ. 499—500.

პ. უმიკაშვილი თავისი ეპოქის შვილი იყო და, ბუნებრივია, გარკვეულ ხარკს უხდიდა ამ ეპოქის შეზღუდულობას. თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში იგი გვეკლინება როგორც ტიპიური განმანათლებელი, რომელიც გამოხატავს გულწრფელ მისწრაფებას საყოველთაო კეთილდღეობისაკენ. გამომდინარე აქედან.. იგი არც ერთ კლასს არ გამოყოფს განსაკუთრებული ზრუნვის საგნად. ლაპარაკობს მთელი ქართველი ხალხის, საერთოდ ქართველი ერის ინტერესებზე და ლიტერატურულ პროცესსაც უმთავრესად ერთიანი ერის ამ განმანათლებლური თვალსაზრისით აშუქებს.

მაგრამ ეს სრულიად არ ამცირებს პ. უმიკაშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების მნიშვნელობას. აღნიშნულ წერილებში ის თანმიმდევრულად ეწევა რეალიზმის თეორიის ძირითადი საკითხების დასაბუთებასა და პროპაგანდას მატერიალისტური ესთეტიკის საფუძველზე. ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და მისი განვლილი გზის შეფასებას იგი უმეტესად იძლევა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ორგანულ კავშირში და გამოთქვამს ძალზე საყურადღებო შეხედულებებს ცალკეულ მწერალთა შემოქმედების იდეურ-მხატვრულ ღირსებებზე. მისი ისტორიულ-ლიტერატურული წერილები ხელს უწყობდნენ ქართული მწერლობის ჯანსაღი ტრადიციების გაღრმავებასა და განვითარებას ახალ პირობებში და ამასთანავე ნიადაგს ამზადებდნენ ჩვენი ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის. ამ საქმეში პ. უმიკაშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების ერთ ნაწილს დღესაც არ დაუკარგავს გარკვეული მნიშვნელობა.

პ. უმიკაშვილის წერილები ქართულ თეატრსა და მუსიკაზე

პეტრე უმიკაშვილმა ქართული პროფესიული თეატრის აღდგენისა და თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეს დიდი ამაგი დასდო არა მარტო თავისი პრაქტიკულ-ორგანიზაციული მოღვაწეობით, არამედ როგორც თეატრალურმა კრიტიკოსმა. მტკიცედ იდგა რა ხელოვნების რეალისტურ-უტილიტარული თეორიის პროგრესულ საფუძველზე, იგი სასცენო ხელოვნებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. 60-იანი წლების პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების მოღვაწეთა კვალდაკვალ პ. უმიკაშვილი ქართული თეატრის კეთილდღეობისათვის დაუცხრომელ ზრუნვას ხალხის გათვითცნობიერების, ზნეობრივი ამაღლებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრაქტიკულ ამოცანებს უკავშირებდა. სწორედ ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული მისი მთელი თეატრალურ-კრიტიკული მემკვიდრეობა.

პ. უმიკაშვილის აზრით, სასცენო ხელოვნებამ მხატვრულ ფორმებში უნდა ასახოს არსებული სინამდვილე მთელი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, გამოამჟღავნოს საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებები, დააფიქროს მაყურებელი ამ ნაკლოვანებებზე და აღუძრას მას უკეთესი მომავლის შექმნის სურვილი. პ. უმიკაშვილი ერთმანეთს ადარებს მხატვრული ლიტერატურისა და თეატრის ესთეტიკურ-ინტელექტუალური ზემოქმედების ძალას საზოგადოებაზე და იმ აზრს ემხრობა, რომელიც თეატრის სანახაობით მხარეს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს. იგი წერს: „სხვათა შორის, აღიარებულია, რომ თეატრსაც ისეთი ადგილი უჭირავს ჩვენს

ცხოვრებაში, რაგვარიც ლიტერატურასა; როგორც მწერლობა არის გამომხატველი ცხოვრებისა და მაჩვენებელი კეთილის გზისა, აგრეთვე თეატრი სარკეა ჩვენის ცხოვრებისა და შემეცნებაა იდეალებისა. ზოგი თეატრის მნიშვნელობას უფრო მაღლა აყენებს მწერლობისაზე და, მართლა უნდა ვსთქვათ, საბუთიცა აქვს, რადგანაც სცენა უფრო ცოცხალის სურათებით, ცოცხალის სახეებით, ხელოვნების ყოველის ღონით შეჭურვილი გვიხატავს ცხოვრებასა; მწერლობას კი თავის იარაღად მხოლოდ ლიტონი სიტყვა, ბეჭდვა აქვს. ეს უპირატესობა არამც თუ ჩვენის ცხოვრების გარემოების მიზეზით არის, ყველგან ასეა"[1].

პ. უმიკაშვილი გარკვევით აღნიშნავდა თეატრის აღმზრდელობით, ეთიკურ დანიშნულებას. მისი სიტყვით, „ევროპაში უმეცარ ხალხისთვისაც, როგორც ნასწავლ საზოგადოებისთვის, თეატრი მარტო შესაქცევად კი არა ხდება, შკოლათაცა ხდება"[2]. „რა არის შკოლა, — ვკითხულობთ მის წერილში „შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის", — თუ არა ისევ ის თეატრი, საცა ოსტატი აქტიორია და ყმაწვილები თეატრში მსხდომარე მსმენელები"[3]. 1885 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში იგი წერდა: „მრთელი ტფილისის უმაღლესს და უმდაბლესს საზოგადოებას თეატრზე აქვს მიქცეული ყურადღება, მას უჭირავს ძლიერი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში; აქ ერთად იყრებიან მწერალნი და მაყურებელნი, მსოფლიო გენიოსების ნიჭნი აქ ეშლებიან სულით მშიერ-მწყურვალეს და ღარიბს, დღიურ მუშაკს; აქ ქართული ხელოვნება იზრდება და უნდა აღგვიზარდოს გემოვნება, სიკეთე, კეთილის სიყვარული, გონება უნდა გაგვიწმინდოს, აღგვამაღლოს მუდამ დღიურის მწიკვლოვანის ცხოვრებისაგან"[4].

პ. უმიკაშვილს კარგად ესმოდა, თუ ქართული თეატრის

---

1 პ., ქართული თეატრი, „ივერია", 1885 წ., № 2, გვ. 107.

2 იქვე, გვ. 108.

3 მ. პეტრიძე, შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის, „კრებული", 1872 წ., № 8—9, გვ. 258.

4 პ., ქართული თეატრი, „ივერია", 1885 წ., № 1, გვ. 132—133.

მაყურებელთა უმეტეს ნაწილს როგორ გაუნათლებდა გულსა და გონებას მსოფლიო გენიოსი მწერლის მიერ გამოხატული და სცენაზე ცოცხლად განსახიერებული მაღალი, მშვენიერი ცხოვრების იდეალი, რომელიც აქამდის არათუ ენახა ან წაეკითხა, შეიძლება არც გაეგონა. მეორე მხრივ, როგორ სიძულვილს აღძრავდა იმავე მაყურებელში სცენაზე წარმოდგენილი ბიწიერი, დაცემული ცხოვრება, რომელიც აქამდის თავისში ან სხვებში იქნება მჭრალად ენახა, მაგრამ ასე აშკარად საძულველებლად არ სჩვენებოდა[1].

პ. უმიკაშვილის აზრით, ეს არის თეატრის საზოგადოებრივი დანიშნულების ერთი მხარე, რომელსაც „სკოლის მაგვარი ხასიათი აქვს". მაგრამ კრიტიკოსი თეატრის დიდაქტიკური ფუნქციის აღიარებით არ კმაყოფილდება. იგი გარკვევით მიუთითებს აგრეთვე თეატრალური ხელოვნების ესთეტიკური დანიშნულების შესახებ. „ესთეტიკური სიტკბოება, — როგორც თვითონ ამბობს, — კაცის უეჭველი მოთხოვნილებაა და გაჭირვებულს დროსაც საზოგადოებაში მოიპოვება რაოდენიმე ნაწილი, რომელსაც ვერ გაუძლია უთეატროდ; რაც უნდა შეჭირვებული იყოს, ხანდისხან შესვენება, გართობა, დროს გატარება უნდა და ამად სთვლის თეატრსა"[2].

თეატრის ერთ-ერთ ღირსებას პ. უმიკაშვილი იმაში ხედავს, რომ იგი მოქმედებს არა მარტო გონებაზე, არამედ გრძნობებზეც, ერთსა და იმავე დროს საგანმანათლებლო ფუნქციასაც ასრულებს და ადამიანის ზნეობრივ აღზრდასაც ემსახურება, ამასთანავე მაყურებელს ანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას. სწორედ ამიტომ არის, რომ თეატრი ერთნაირად იზიდავს სხვადასხვა ასაკის, განათლებისა და სოციალური მდგომარეობის ადამიანებს. იგი წერს: „ერთი ადგილია (იგულისხმება თეატრი — ზ. მ.), იქ მივდივართ ხოლმე მუდამ დღიურის ვარამის შემდეგ გონებასა და გულს მოსვენება მივცეთ და ამ მოსვენებასთან სიამოვნებაც, სარგებლობაც ვნახოთ ისეთი, რომ გაგვამხნეოს, გადაგვახალისოს, უკეთესის

---

1 პ., ქართული თეატრი, „ივერია", 1885 წ., № 2, გვ. 108.

2 პ., ქართული თეატრი, „ივერია", 1885 წ., № 1, გვ. 122—123.

ღირსებისა გაგეხადოს და სულით აგვამაღლოს. ამ ადგილს ვიყრებით ყველანი ერთგვარად, სწავლულნი და უსწავლელნი, მდიდარნი და გლახაკნი, მოხუცებულნი და ჭაბუკნი. ყველას გვიყვარს, ყველას გვიზიდავს ეს ადგილი"[1].

პ. უმიკაშვილს კარგად ესმოდა, რომ ამ საზოგადო ღირსებისა და მნიშვნელობის გარდა ქართულ თეატრს განსაკუთრებული მნიშვნელობაც ჰქონდა. იმ სასტიკი ეროვნული ჩაგვრის პირობებში, რომელსაც ჩვენი ხალხი ცარიზმის მხრიდან განიცდიდა, ქართული თეატრი და მწერლობა იყო ერთადერთი სარბიელი, სადაც რამდენადმე მაინც შეიძლებოდა არსებული ვითარების კრიტიკული შეფასება, ერის გულისტკივილისა და უკეთეს მომავალზე ოცნების საჯაროდ გამოთქმა. ახალი ქართული თეატრის 50 წლისთავთან დაკავშირებით პ. უმიკაშვილი წერდა:

„ქართული თეატრი და ლიტერატურა შეიქმნა დღევანდელ ქართველობისათვის ერთადერთი საგანი, რომელზედაც მიპყრობილი უნდა იყვეს და არის კიდეც საერთო ყველას ყურადღება. ერთადერთი საგანი გამხდარა საყოველთაო საზრუნველი, საყოველთაოდ პატივსაცემი, საყოველთაოდ საინტერესო. თეატრი და ლიტერატურა ისეთ საგნად შეიქნა, რომ მასში გვინდა გამოითქვას ჩვენი კვნესა გულისა დანაკარგზე, ჩვენი ოცნება მომავალის ბედნიერების მოპოებისათვის. გვინდა მან დაგვიბრუნოს დანაკარგი, დაგვიხსნას ნაკლულევანებისა და ნაკლებულობისაგან, გაგვიწმინდოს ეკლისაგან გზა სიარულისათვის, აგვამაღლოს ზნეობით და ქონებით, გაგვამხნეოს და ღონე ჩაგვბეროს მოქმედებისათვის. ერთის სიტყვით, რითაც, რა საშუალებით და იარაღითაც კი ქვეყნის ცხოვრება წინ მიდის, ჩვენი საზოგადოება მოელის მწერლობისა და თეატრისაგან.

ეს მეტად გაზვიადებული აზრი წარმოიშობა იმ გარემოების მიზეზით, რომ ჩვენს ცხოვრებაში ერთადერთი საყოველთაო აზრის და თვითმოქმედების ორგანოდ გამოვიდა თეატრი და ლიტერატურა. ეს, როგორც ვთქვით, გაზვიადებული აზ-

---

[1] პ., თავმინებებული საზოგადოება, „ივერია", 1889 წ., № 69.

რია, მაგრამ რას იზამ, თუ კი შენი გულისტკივილის გამომთქმელად ეს თეატრი და მწერლობა გამხდარა ჟამთა ვითარებით. რას იზამ, თუ კი შენ უებარ წამლად მიგაჩნია, თუ მათი ღონე ერთადერთ ძლიერებად მიგაჩნია.

სამწუხაროა ამისთანა ყოფა, მაგრამ უფრო სამწუხარო იქნებოდა, რომ ეს ორი საგანიც ვერ შეექმნა რომელისამე ერსა თავის გულისტკივილის გამოსათქმელად, თავის წინსვლის იარაღად, თავის სურვილების გამოსაცხადებლად, თავის ოცნების აღსაბეჭდავად და სულიერის თვისის ცხოვრების გამოსახატავად.

ვისაც ჩვენში გული უცემს, საზოგადოებრივი ძარღვი არ დაჰბუჟებია, სხვის ტკივილის გრძნობა შერჩენია, ნასწავლი იყვეს თუ უსწავლელი, ყველას ესმის, ინსტიქტიურად მაინც. დღევანდელი მნიშვნელობა თეატრისა და ლიტერატურისა. ის მეგობარია ორისავე და მისთვის შრომას ეწევა"[1].

როგორც ვხედავთ, პ. უმიკაშვილი შესანიშნავად გრძნობდა იმ დიდ მოვალეობას, რომელსაც საქართველოს მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თავისებურება აკისრებდა ქართულ თეატრსა და ლიტერატურას.

პ. უმიკაშვილის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდში ქართული თეატრალური ხელოვნება მეტად სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. საკუთარი შენობის უქონლობის გამო ქართული წარმოდგენები ერთ ხანს რუსული წარმოდგენებისა და იტალიური ოპერის დამატებად იმართებოდა თბილისის თეატრის შენობაში. მაგრამ მეფის რუსეთის რეაქციულ-თვითმპყრობელური პოლიტიკის ერთგულმა მოხელეებმა 1855 წლის შემოდგომიდან ქართული დასი აღარ შეუშვეს აღნიშნულ შენობაში. მშობლიური სცენიდან უსამართლოდ დევნილი ქართული დასი 1856 წლის გაზაფხულზე დაიშალა და გ. ერისთავის მიერ დაარსებულმა ქართულმა თეატრმაც არსებობა შეწყვიტა.

მე-19 საუკუნის 60—70-იან წლებში ქართული ლიტერა-

---

[1] პეტ. უმიკაშვილი, ქართული თეატრი და ლიტერატურა (50 წლის დღესასწაულის გამო), „მოამბე", 1900 წ., № 1, განყ. II, გვ. 2.

ტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების აღმავლობასთან ერთად შესამჩნევი გამოცოცხლება დაეტყო თეატრალურ ცხოვრებას. ამ პერიოდში ხშირად იმართება ლიტერატურულ-თეატრალური შეკრება-საღამოები, სცენისმოყვარეთა სპექტაკლები და შინაური წარმოდგენები. ჯერ კიდევ 1867 წელს, ნიკო ავალიშვილის თაოსნობით, თბილისში შედგა სცენისმოყვარეთა მუდმივი დრამატული წრე, რომელიც ქალაქის სხვადასხვა უბნებში აწყობდა სპექტაკლებს. სცენისმოყვარეთა წრეების საქმიანობამ თანდათან ფართო ხასიათი მიიღო და თეატრალური ცხოვრება საქართველოს პროვინციებშიც გამოცოცხლდა.

პ. უმიკაშვილი, როგორც პუბლიცისტი და თეატრალური კრიტიკოსი, აქტიურად ეხმაურებოდა ეროვნული სასცენო ხელოვნების აღორძინებისათვის დაწყებულ მოძრაობას. იგი შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს სცენისმოყვარეთა წრეების საქმიანობას და თავის თეატრალურ წერილებსა თუ ფელეტონებში პირუთვნელად მიუთითებდა ამ წრეების მიერ გამართული წარმოდგენების ჩრდილოვან მხარეებზე.

მართალია, სცენისმოყვარეთა სპექტაკლები წარმატებით სარგებლობდა და საზოგადოების ყურადღებას იმსახურებდა, მაგრამ მათი მხატვრული დონე მაინც გაცილებით დაბლა იდგა პროფესიული თეატრის სპექტაკლებზე. სცენის მოწყობილობა, მსახიობთა თამაში და ტანსაცმელი ყოველთვის როდი პასუხობდა ნამდვილი თეატრალური ხელოვნების მოთხოვნებს. სწორედ ამაზე ამახვილებდა ყურადღებას პ. უმიკაშვილი თავის ერთ-ერთ ფელეტონში, რომელიც 1869 წელს დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“. ფელეტონის ავტორი გულისტკივილით, მაგრამ გარკვევით აღნიშნავდა თბილისის სცენისმოყვარეთა წარმოდგენებისათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს. იგი წერდა: „თუ იყოს, ისევ რიგიანი წარმოდგენა იყოს, თორემ ქართული თეატრი სამასხარო რაღაცა გახადეს: არც პიესებია ახალი, არც რიგიანი აღსრულებაა ძველი პიესებისა, არც ტანისამოსია და მოწყობილობა რიგიანი. წარმოიდგინეთ, რომ მოლიერის აჩემებულ პიესაში „ცოლის შერთვევი-

ნებაში“ სგანარელს ძველი მარკიზის ტანისამოსის მაგიერათ აცვია ჩვენი დროების შვეიცარის მსგავსი ტანისამოსი და ცრუ ფილოსოფოსებს მარფურიოზს და პანკრასს რაღაცა თათრული დერვიშის ტანისამოსი აცვიათ და ბერის სკუფია ხურამთ თავზე. ფრანცუზი რომ მოგეყვანათ, იტყოდა ეს მოლიერის პიესა კი არ არის, ეს საბალაგანო თამაშობისათვის გადაკეთებული მოლიერიაო. ან თუნდა ნამდვილ პიესებში მოუხერხებელი ტანისამოსი ავიღოთ!.. ჩვენ აქ გარეგან შეხედულობას შევეხეთ, მაგრამ ეს გარეგანი შეხედულება თითქმის კარგად გამოხატავს შინაარსს პიესის აღსრულებისას“[1].

პ. უმიკაშვილი სცენისმოყვარეთა ჯგუფის წევრებსა და წარმოდგენების გამართვის მესვეურებს მოაგონებდა, რომ ჩვენი მაყურებელი ესწრება იტალიურ ოპერებს, რუსული თეატრის სპექტაკლებს, მაღალ გემოვნებას იჩენს სასცენო ხელოვნების ნაწარმოებთა შეფასებაში და ქართული წარმოდგენების დღევანდელი მხატვრული დონე ვერ დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებასო. გამომდინარე აქედან, იგი დაბეჯითებით მოითხოვდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენების შემოქმედებითი ხარისხის არსებით გაუმჯობესებას.

აღნიშნულ მოსაზრებას პ. უმიკაშვილი სხვა ფელეტონშიც იმეორებს[2], მაგრამ მისი კრიტიკული შენიშვნები უმთავრესად თბილისის სცენისმოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენებს ეხებოდა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ისინი ტონს აძლევდნენ საქართველოს მაშინდელ თეატრალურ ცხოვრებას და მათი მხატვრული დონის ამაღლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მუდმივი პროფესიული თეატრის აღდგენისა და ეროვნული სასცენო ხელოვნების განვითარებისათვის. ამიტომ ჟურნალ „მნათობის“ 1870 წლის იანვრისა და თებერვლის ნომრებში ა. კუხელის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილის ავტორი უსამართლოდ უკიჟინებდა პ. უმიკაშვილს

---

1 ანჩისხატისუბნელი, ფელეტონი. ზაფხული სოფელში. ქალაქის თეატრი..., „დროება“, 1869 წ., № 40.

2 ანჩისხატისუბნელი, ფელეტონი. თბილისში გასეირნება, „დროება“, 1870 წ., № 8.

ზედმეტ სიმკაცრეს თბილისის სცენისმოყვარეთა წარმოდგენების შეფასებაში[1].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დედაქალაქში დაწყებული თეატრალური მოძრაობა თანდათან მთელ საქართველოს მოედო. პ. უმიკაშვილი სიამოვნებით გამოეხმაურა პერიფერიებში გამართულ წარმოდგენებს. იგი წერდა: „ქალაქგარეთ კი, ამბობენ, ბევრგან ყოფილა ქართული წარმოდგენები. ეს სასიამოვნოა და უფრო ის არის გასაგონათ სასიამოვნო, რომ კაი მეცადინეობით წარმოუდგენიათ. ღმერთმა ქნას ეს ამბავი მართალი იყოს და ბევრგან მომხდარიყოს. ღმერთმა ქნას თანდათან გახშირდეს, რომ ხალხის ნამდვილ განათლებას ცოტაოდე წარმატება მისცეს და ამის მოთავე კაცები გამრავლდნენ! ქალაქს გარეშე ადგილებში თეატრს ექნება საკმაო გავლენა საზოგადოებაზე: გაუხსნის გემოვნებას და შეეწევა გონებითი ცხოვრების გაღვიძებასა. რასაკვირველია პიესებსაც ღირსება

---

[1] ა. კუხელი, წერილი რედაქტორთან, „მნათობი", 1870 წ., № № 1, 2. პ. უმიკაშვილის გადმოცემით, ეს წერილი ეკუთვნოდა დიმ. ჯანაშვილს (პ. უმიკაშვილი, ჩვენი თეატრის თავგადასავალი, „ივერია", 1899 წ., № 211), ხოლო მკვლევარი ალ. კალანდაძე მიუთითებს, რომ „კუხელი ნ. ავალიშვილის ფსევდონიმია" (ალ. კალანდაძე, ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, თბ., 1965 წ., გვ. 461). ვინაიდან ალ. კალანდაძეს არავითარი საბუთი არ მოაქვს თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად, ჯერჯერობით უფრო დამაჯერებლად მიგვაჩნია პ. უმიკაშვილის გადმოცემა, მით უმეტეს, პ. უმიკაშვილი არა მარტო ბომსწრე იყო ა. კუხელის წერილის გამოქვეყნებისა, არამედ ეს წერილი უშუალოდ მას ეხებოდა.

ა. კუხელის ზემოხსენებულ წერილთან დაკავშირებით ა. კალანდაძე ნარკვევების იმავე გვერდზე ამბობს: „თებერვლის ნომერში, აღნიშნული წერილის გაგრძელებასთან ერთად, დაიბეჭდა დ. ჯანაშვილის ფელეტონი — „ცრუპენტელაობა დროს გატარებისათვის", რომელშიც გაკრიტიკებულია პ. უმიკაშვილის საპასუხო წერილი („დროება", 1870 წ., № 40)". სინამდვილეში, „დროების" არც იმ ნომერში, რომელზედაც ავტორი მიუთითებს, და არც სხვაგან პ. უმიკაშვილის არავითარი საპასუხო წერილი არ დაბეჭდილა. დ. ჯანაშვილი აკრიტიკებდა („მნათობი", 1870 წ., № 2) პ. უმიკაშვილის ფელეტონს „ზაფხული სოფელში", რომელიც 1869 წელს დაიბეჭდა „დროებაში" (№ 40). ცხადია, ეს ფელეტონი ა. კუხელის ზემოხსენებული წერილის საპასუხოდ ვერ იქნებოდა დაწერილი, რადგანაც მას თითქმის ერთი წლით წინ უსწრებდა.

უნდა ჰქონდეთ ნამდვილის ცხოვრებისა, თორემ უსარგებლოო დარჩება და დეედრება ქაღალდის თამაშობაში დროების გატარებასა"[1].

1870 წელს გაზეთ „დროებაში" (№ 34) დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის წერილი „ქართული შინაური თეატრი". წერილის დასაწყისში ავტორი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ ქართული პროფესიული თეატრის მოსპობის შემდეგ ძალზე ძნელი გახდა საჯარო წარმოდგენების სისტემატური გამართვა. ასეთ ვითარებაში მას სანუგეშო მოვლენად მიაჩნია შინაური წარმოდგენა, რომელსაც ერთ კერძო ოჯახში დასწრებია. ამგვარი წარმოდგენები, მისი აზრით, სასურველია ფართოდ გავრცელდეს, რადგანაც მათი გამართვა დიდ ხარჯებს არ მოითხოვს და მნიშვნელოვან სარგებლობას კი მოუტანს საზოგადოებას. ამ წარმოდგენების გავრცელება, როგორც თვითონ აღნიშნავს, ხელს შეუწყობს საზოგადოების ზნეობრივ ამაღლებას, შეაჩვევს მას ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობას. კეთილი საქმისათვის ერთობლივ მოქმედებას, ქართული სცენისა და ლიტერატურისათვის შემწეობის გაწევას. იგი წერდა: „აქამდისინ ჩვენი დროს გატარება ლოტაობა იყო და ახლა ქაღალდის თამაშობაა. ამ ქაღალდის და ლოტოს თამაშობაში ყველამ კარგათ ვიცით რამდენი ჭორი, სამდურავი, ერთმანეთის შემოწყრომა და რამდენი ცუდი საქმე იბადება. კაცის გონებას და გულს არავითარი საზრდო არ ეძლევა და ამიტომ დიდი ვნება მოსდის ჩვენს საზოგადოებასა და განსაკუთრებით ქალებსა. რომლისამე კომედიის წარმოდგენით კი ჩვენ ცხოვრებას დავინახავთ როგორც სარკეში. ეს თვალწინ გამოხატული ცხოვრება დაგვაფიქრებს, გაგვაშინჯვინებს, გაგვაჩხრეკინებს ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ნაკლულევანებას. ეს აღძრავს ჩვენში მსჯელობას: მსჯელობას შეგვაჩვევს. აი პირველი სარგებლობა. ჭორების და ცუდუბრალო ლაპარაკის მაგიერათ მსჯელობას დავიწყებთ ჩვენის ხასიათის გამშვენიერებაზე.

---

1 ანჩისხატისუბნელი, ფელეტონი. ზაფხული სოფელში. ქალაქის თეატრი, „დროება", 1869 წ., № 40.

მეორე სარგებლობა ამ ვეჩერებისა ის არის, რომ ჩვენ უფრო მჭიდროდ დავახლოვდებით ერთმანეთთანა. ეს დაახლოვება ლოტოსთვის და ქაღალდის თამაშობისთვის კი არა, არამედ ჰკუის სასწავლებლის საქმისათვის, სპექტაკლისათვის შეგვაჩვევს ერთათ კეთილი საქმის გაკეთებას. ჩვენ ბევრი საჭიროება გვაქვს, მაგალითად. ჩვენში ბევრი ობოლი და ღარიბი ყმაწვილები არიან, ჩვენი შვილები და ნათესავები, რომელთაც არამცთუ მაღალ სასწავლებელში, არამედ გიმნაზიებშიაც სწავლა უჭირდებათ სიღარიბის გამო. ბევრჯელ იმათი შემწეობა გვინდა, მაგრამ, რადგანაც ცოტანი ვართ, ცოტა ფულის მოგროვებით ხელი ვერ გაგვიმართავს. ერთი-ორი კაცის მეცადინეობით ვერა გაკეთდება რა. როდესაც ბევრნი ვიქნებით, მაშინ კი შესაძლებელია. მაგრამ მანამდის ჩვენ არ შევეჩვევით ერთათ საქმის დაჭერასა, აი როგორც ეხლა ამგვარ ვეჩერების გამართვას, მანამდის ვერაფერს ვერ გავარიგებთ. ამ ღონისძიებით კი შეჩვევა ადვილია. შეჩვევა დიდი საქმეა. მხოლოდ მჭიდრო შეერთებით შევეჩვევით ყოველ საქვეყნო კეთილის მოხერხებასა, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია უფრო მტკიცეთ კეთილს საქმეს ხელი მოვკიდოთ, უფრო უკეთესათა ვთქვათ, მხოლოდ მაშინ დაიბადება ჩვენში კეთილი.

მესამე სარგებლობა შეეხება საკუთრად ჩვენს ქართულს სცენასა და ლიტერატურასა. რასაკვირველია, ამ შინაურ წარმოდგენაში მონაწილე პირებზე არ ვიტყვით, რომ ესენი შეადგენენ შემდეგში საპუბლიკო თეატრისათვის ტრუპპასა, ეს, რასაკვირველია, შეუძლებელია. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს წარმომადგენელნი საპუბლიკო სცენას დიდს შემწეობას მისცემენ, როგორც შეგულიანებით და წაქეზებით, აგრეთვე სხვა რიგის დახმარებითა. იქნება როდისმე ზოგმა იმათგანმა პირდაპირ საპუბლიკო სცენაზედაც მონაწილეობა მიიღოს, მაგრამ ყურადღების მიქცევის ღირსი ის არის, რომ ეს წარმოდგენები შინაურობაში გაავრცელებენ ქართული სცენის პატივისცემას და სიყვარულს. ამ სახით მაშასადამე ქართულს სცენას და ჩვენ ოჯახებს ერთმანეთს შეაკავშირებენ, დააახლოვებენ, დაამოყვრებენ, ჩვენი საზოგადოება ქართულ სცენას ისე გულგრილად აღარ მოეპყრობა, როგორც ადრე იყო და

ებლაც არის. ამ მხრით ქართული თეატრის საქმე წინ წავა თვითონვე საზოგადოების მეცადინეობით და დახმარებით. რაკი ქართული სცენის საქმე წინ წაიწევს, რასაკვირველია, ლიტერატურასაც წარმატება მიეცემა. გამოჩნდებიან პიესების მწერლები და ჩვენს ღარიბ რეპერტუარს გაამდიდრებენ"[1].

როგორც ვხედავთ, პ. უმიკაშვილს შინაური წარმოდგენები ქართული სასცენო ხელოვნების აღორძინებისა და პროფესიული თეატრის დაარსებისათვის ნიადაგის მომზადების მნიშვნელოვან საშუალებად მიაჩნდა. გარდა ამისა, იგი აღნიშნული წარმოდგენების გავრცელების უდიდეს მნიშვნელობას იმაშიც ხედავდა, რომ ისინი ხელს შეუწყობდნენ მამაპაპური ტრადიციის ძალით საკუთარ ოჯახს მიჯაჭვული ქართველი ქალების გონებრივ გამოღვიძებას და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლას.

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენელთა შეუნელებელმა მეცადინეობამ მუდმივი ეროვნული თეატრის აღდგენისათვის თავისი ნაყოფი გამოიღო. 1879 წლის მაისში, ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით, გაიმართა სცენისმოყვარეთა მიერ არჩეული „თეატრალური კომიტეტის" თათბირი, სადაც გადაწყდა დაარსებულიყო ქართული პროფესიული თეატრი და დრამატიული საზოგადოება. მალე შედგა მუდმივი თეატრის დასი, გამონახულ იქნა სათეატრო შენობა და 3 ივნისს უკვე გაიმართა ამ დასის პირველი სპექტაკლი. ასე განხორციელდა ჩვენი ხალხის სანუკვარი ოცნება ქართული პროფესიული თეატრის აღდგენაზე. ამ დიდი ეროვნული საქმის განხორციელებაში სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად პ. უმიკაშვილსაც მიუძღოდა მნიშვნელოვანი წვლილი, როგორც თავისი დროის ჭეშმარიტ მოღვაწეს, სცენისმოყვარეთა წარმოდგენების ერთ-ერთ ორგანიზატორსა და თეატრალურ კრიტიკოსს.

მუდმივი ქართული თეატრის დაარსების შემდეგ უფრო ნაყოფიერი გახდა პ. უმიკაშვილის თეატრალურ-კრიტიკული მოღვაწეობა. იგი უყურადღებოდ არ ტოვებდა ქართული თე-

[1] პ. უ-კაშვილი, ქართული შინაური თეატრი, „დროება", 1870 წ., № 34.

ატრის სარბიელზე მომხდარ თითქმის არც ერთ მნიშვნელოვან მოვლენას. 1881 წლის დეკემბერში გაზეთ „დროების“ ფურცლებზე დაიბეჭდა მისი წერილი ქართული თეატრის მიერ საგანგებოდ მშრომელთა ფართო მასებისათვის გამართული საკვირაო სპექტაკლის შესახებ[1]. ავტორის აზრით, ამ საკვირაო სპექტაკლის გამართვა და მისი წარმატება, ის ფაქტი, რომ აღნიშნულმა სპექტაკლმა მშრომელთა ფართო მასები მიიზიდა, ქართული თეატრის წინსვლისა და აღმავლობის მაჩვენებელია.

პ. უმიკაშვილს კარგად ესმოდა, რომ ამგვარი სპექტაკლების გამართვით ქართული თეატრი აფართოებდა თავის კეთილმყოფელ გავლენას საზოგადოებაზე. ამიტომ დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ კვირა დღეებში სისტემატურად გამართულიყო ქართული თეატრის სახალხო სპექტაკლები. მაგრამ ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო სათანადო რეპერტუარის შექმნა და პ. უმიკაშვილიც ამაზე ამახვილებდა განსაკუთრებულ ყურადღებას. „ჩვენმა სახალხო თეატრმა რომ მალე დაიპყრას თავისი ჯეროვანი ასპარეზი და მართლა საყვარელ მეგობრად შეიქმნას მაყურებელთათვის, — წერდა იგი, — საჭიროა, რომ თვით ხალხის, მშრომელის ხალხის გულის წადილზე და ტემპერამენტზე დაამყაროს პიესების ამორჩევა“[2].

პ. უმიკაშვილის აზრით, სახალხო წარმოდგენისათვის საჭიროა ისეთი პიესების შერჩევა, რომლებიც გამსჭვალული არიან ცხოველმყოფელი ოპტიმიზმით და მკვეთრად გამოხატავენ იდეალურ სიკეთეს. როგორც თვითონ ამბობს, „ჩვენს ზნეობით წამხდარს და დასუსტებულს ცხოვრებას მოუხდება“, რომ სახალხო წარმოდგენამ „მაყურებლის გულში აანთოს სიმართლის, პატიოსნების, მეგობრობის, უანგარობის, ერთგულების და კაცის სიყვარულის ძლიერი ლამპარი“. იგი მოითხოვს, რომ აღნიშნული იდეების გამომხატველი პიესების შესაქმნელად უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული ჩვენ-

---

1 ანჩხატელი, სახალხო თეატრი, „დროება“, 1881 წ., № 258.

2 იქვე.

ისტორიისა და ზეპირსიტყვიერების მდიდარი მასალები. „თუ ესეები თვალწინ ცოცხლად გამოეხატა და მეტადრე ხელოვანის ხელითაც, — წერს პ. უმიკაშვილი, — ხალხი იმ აღზრდას მიიღებს, რომელიც ეპირება და რომელსაც უნდა უქადოდეს საზოგადოდ თეატრი და საკუთრად სახალხო. თეატრი ხალხის გულითადი მეგობარი გახდება და ხალხი თეატრის პატრონი და მცველი“[1].

ამასთანავე, პ. უმიკაშვილი საჭიროდ თვლიდა განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენას, რომ საკვირაო წარმოდგენებს არ შეელახათ ეროვნული სცენის ღირსება და იგი არ გადაექციათ სალაზღანდარო ასპარეზად. გამოცდილი თეატრალი და კრიტიკოსი სახალხო წარმოდგენების ორგანიზატორებს წინასწარ აფრთხილებდა, რომ „მოსწრებულის, ბრწყინვალეს და მახვილის აზრის ნაცვლად ბაზრული და კინტოური მატრაკვეცობა და მასხარობა არ გავიგონოთ. ღირსება სცენისა შეურყეველად დაცული უნდა დარჩესო“[2].

განსაკუთრებით საინტერესოა პ. უმიკაშვილის სამი წერილი, რომლებიც 1885 წელს ჟურნალ „ივერიაში“ (№№ 1, 2, 3) დაიბეჭდა საერთო სათაურით — „ქართული თეატრი“. პირველ წერილში ავტორი ეხება ქართული თეატრის მდგომარეობას 1884—1885 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონის მანძილზე. იგი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ „შარშანდელი მთელი წლის მიყუჩების შემდეგ თეატრმა სიცოცხლე გამოიჩინა, მიძინებულმა გამოიღვიძა და იმედიანად შევიხედეთ მის დარბაზში“, „წელს შარშანდელზე მომატებულად დაიწყო საზოგადოებამ თეატრში სიარული, მომატებული ყურადღება მიაქციაო“. მისი შეფასებით, „სცენას ემჩნეოდა უმეტესი მოწყობა, აქტიორებს მომატებული ხალისი; პიესებს საკმაოდ ცოცხლად თამაშობდნენ და როლებიც თითქმის უფრო გაკვეთილი ჰქონდათ“[3].

ქართული თეატრის წარმატებით გამხნევებული პ. უმი-

---

1 ანჩხატელი, სახალხო თეატრი, „დროება“, 1881 წ., № 258.

2 იქვე.

3 პ., ქართული თეატრი, „ივერია“, 1885 წ., № 1, გვ. 122—127.

კაშვილი იქვე მიუთითებს სპექტაკლებისათვის დამახასიათებელ ცალკეულ ნაკლოვანებებსა და მათ გამომწვევ მიზეზებზე. კრიტიკოსი მწვავედ განიცდის, რომ ქართულ თეატრს ჯერ კიდევ არა ჰყავს ნამდვილი რეჟისორი, რაც აშკარად ეტყობა პიესების შერჩევასა და ზოგიერთი მსახიობის თამაშს. იგი წერს: „ჩვენში ჯერ აქამომდე თეატრს არ გამოუჩნდა ნამდვილი რეჟისორი, რომელსაც შეეძლოს პიესების ამორჩევა და დადგენა. ეს მეტად შესამჩნევი იყო მით, რომ თუმცა ბევრი პიესა საკმაოდ მოწყობით იდგმებოდა, მაგრამ თვით პიესებში ზოგი ასეთები ერეოდა, რომელიც მხოლოდ საყმაწვილო ვარჯიშობად ჩაითვლება. აგრეთვე შესამჩნევი იყო უანსამბლობა. ზოგს მშვენიერად მოთამაშეს, მშვენიერად აღმსრულებელს როლისას გვერდს უდგა მოუხერხებელი მოთამაშე. ძველს აქტიორთაგანს რამდენსამე არ ეტყობოდა წვრთნა, ცოტაოდენი წარმატება. ზოგჯერ გაიგონებდით სხაპა-სხუპით ლაპარაკს, ან უხეიროდ ხელების ხმარებას და სხვას, რომელიც მცირედის გაწვრთნით შეიძლებოდა გასწორებულიყო“[1].

საგულისხმოა, რომ ჩვენი თეატრალური კულტურის გამოჩენილი მოღვაწე, ნიჭიერი მსახიობი და სასცენო ხელოვნების თეორეტიკოსი კონსტანტინე ყიფიანი, რომელიც მაშინდელ ქართულ თეატრში ზოგჯერ რეჟისორის მოვალეობასაც ასრულებდა, სწორედ ამ პერიოდში გარკვევით აღნიშნავდა: „ბევრი იმისთანა არტისტი არის, რომელმაც რიგიანი სიარული არ იცის და არც მიხვრა-მოხვრა აქვს. ზოგმა არ იცის, რა უყოს თავის ხელებს. მიხვრა-მოხვრა ბუნებითად არ ეძლევა კაცსა, ვარჯიშობით ეძლევა“[2].

ზემოხსენებულ წერილში პ. უმიკაშვილი განსაკუთრებული სიმწვავით აყენებს ქართული რეპერტუარის საკითხს. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგანაც სათანადო რეპერტუარის გარეშე თეატრი ვერ მიაღწევდა ვერავითარ წარმატებას. ამიტომ იგი, ჯერ კიდევ სცენისმოყვარეთა თეატრის არსებობის დროს, მოითხოვდა შეუნელებელ ზრუნვას ქართული რეპერ-

---

[1] პ., ქართული თეატრი, „ივერია“, 1885 წ., № 1, გვ. 126.

[2] კოტე ყიფიანი, მოგონებები, წერილები, თბ., 1964 წ., გვ. 48.

ტუარის გამდიდრებისათვის. 1870 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ფელეტონში ამის შესახებ წერდა: „დროა ჩვენმა მწერლებმა ყურადღება მიაქციონ სათეატრო პიესების წერასა ანუ თარგმნასა. ეს იქნებოდა ძალიან შესამატი რამ ჩვენის ლიტერატურისთვისაც და სცენისთვისაც. ქართულ სცენას გაცოცხლება უნდა და ეს უახალპიესებოთ ყოველთ შეუძლებელია. აი, ამ შემთხვევაშიაც თავოსანი კაცი, თეატრისათვის მშრომელი, ყოველ ღონისძიებას იხმარებდა ახალი პიესების მოპოებისათვის“[1].

მუდმივი თეატრის აღდგენიდან ორი წლის შემდეგ პ. უმიკაშვილი აღნიშნავდა, რომ „რეპერტუარის შესადგენად იმდენი შრომაა დადებული, რამდენიც სხვა ლიტერატურულს შრომაზე არ დახარჯულა ასე მცირე ხანში. როდესაც კვლავ დავაკვირდებით თეატრის მომავალ მნიშვნელობას, იმედი უნდა ვიქონიოთ ჩვენი მწერლებისა და თვით აქტიორებისა, რომ რეპერტუარის ზრუნვას უფრო ბეჯითად და სიყვარულით შეუდგებიანო“[2].

მართლაც, ამ პერიოდში ქართული თეატრის რეპერტუარი 200-ზე მეტ ორიგინალურ, თარგმნილ და გადმოკეთებულ პიესას ითვლიდა. მაგრამ ყველა მათგანი როდი იყო სრულფასოვანი მაშინდელი სცენისათვის. პ. უმიკაშვილი მშვენივრად ხედავდა, რომ მუდმივი თეატრის არსებობის ხუთი წლის მანძილზე, როცა ქართული წარმოდგენები უმეტესად კვირაში ორ-სამჯერ იმართებოდა, ჩვენი ღარიბი რეპერტუარი საკმაოდ მოძველდა და ვეღარ აკმაყოფილებდა მაყურებელთა მოთხოვნებს. მართალია, ქართულ რეპერტუარს ყოველწლიურად მრავალი ახალი პიესა ემატებოდა, მაგრამ ამ პიესების მხოლოდ მცირე ნაწილი ხასიათდებოდა იდეურ-მხატვრული ღირსებებით, უმრავლესობა კი სცენაზე წარმოდგენისთანავე უკვალოდ იკარგებოდა. ამაზე იგი გულისტკივილით წერდა: „შესამჩნევი და საგრძნობელი ნაკლულევანება მეტად დაეტყო ქარ-

---

1 ანჩისხატისუბნელი, ფელეტონი, თბილისში გასეირნება, „დროება“, 1870 წ., № 8.

2 ანჩხატელი, სახალხო თეატრი, „დროება“, 1881 წ., № 258.

თულს რეპერტუარსა. უმეტესი ნაწილი პიესებისა ძველი დაწერილები და რამდენჯერმე ნათამაშები წარმოადგინეს. ეს ნაკლოვანება წინა წლებზე მომატებით წელს გამოჩნდა და რასაკვირველია, რომ საზოგადოებას, რომელსაც ბევრჯელ ნახული აქვს, ვერ მიიზიდავდა. ზოგი პიესა ვგონებთ მეექვსედ თუ მეშვიდეთ იყო დადგმული, როდესაც რომ მისი ღირსება შუათანად ჩაითვლება. ახალ პიესებში პირველი ადგილი ავქსენტი ცაგარლის „ხანუმას" ეკუთვნის, რომელმაც საზოგადოება დააკმაყოფილა და წარმოდგენილ იქნა კარგათაც. მეორე პიესა „მკითხავი", გადმოკეთებული ფარსად ილ. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანიდამ", სუსტი გამოდგა. თუმცა ქართველი მკითხავი დედაკაცის სურათს ლამაზათ გვიხატავს. დანარჩენმა ახალმა ნაწერებმა სრულებით შეუმჩნეველად ჩაიარა, რადგანაც მათ საყმაწვილო ვარჯიშობა უნდა უწოდოთ"[1].

ამგვარი მდგომარეობა პ. უმიკაშვილს აუტანლად მიაჩნია. რადგანაც რეპერტუარის სიღარიბე და სცენური თხზულებების დაბალი ხარისხი მაყურებელს უკარგავს ყოველგვარ ინტერესს თეატრისადმი. მას მშვენივრად ესმის, რომ ქართული თეატრის რეპერტუარი ძირითადად უნდა ივსებოდეს ორიგინალური ნაწარმოებებით, მაგრამ სერიოზულად აფიქრებს ის გარემოება, რომ ჩვენი მწერლობა ერთბაშად ვერ დაძლევს დრამატული ჟანრის ჩამორჩენას და მაქსიმალურად ვერ უზრუნველყოფს ეროვნულ სცენას ახალი თხზულებებით. კრიტიკოსი ეძებს გამოსავალს აღნიშნული მდგომარეობიდან და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ვიდრე ახალი ორიგინალური ნაწარმოებები შეიქმნებოდეს, საჭიროა მწერლებმა და მსახიობებმა უფრო აქტიურად მოჰკიდონ ხელი პიესების თარგმნას და გადმოკეთებას, რაც ნაწილობრივ მაინც გაამდიდრებს რეპერტუარა და თეატრს იხსნის კარზე მომდგარი გაჭირვებიდან.

პ. უმიკაშვილმა კარგად იცის, რომ რეპერტუარის შერჩევისა და სპექტაკლების გამართვის დროს აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მაყურებელთა ინტელექტუალურ-ესთეტიკური მომზადების დონე და სულიერი მოთხოვნილება.

---

1 პ., ქართული თეატრი, „ივერია", 1885 წ., № 1, გვ. 128.

მაგრამ ქართული თეატრის მუშაკთა შრომას, მისი აზრით, ამძიმებს ის გარემოება, რომ ჩვენი თეატრის მაყურებელი, როგორც თვითონ ამბობს, „მეტად ჭრელი საზოგადოებაა: აქ ხედავთ იმისთანა კაცებს, რომელთაც პარიზის და პეტერბურგის თეატრები მოუვლიათ, უნახავთ დრამატული სცენები, ოპერები, აქვე არიან ტფილისის იტალიურ ოპერებზე და რუსულ დრამატულს წარმოდგენებზე აღზრდილი ნაწილი; აქვე ხედავთ კარგა შესამჩნევ ნაწილს მაყურებელთა, რომელთაც ჯერ არა თეატრში, არა ცირკში არ უვლიათ, რომელთაც დარბაზში შესვლა-გამოსვლა და ჯდომაც ვერ ეხერხებათ, რომელნიც სპექტაკლის დროს ხმაურობენ, კისკისებენ ხანგრძლივ და თადარიგით მოტანილს კევს ან ჩურჩხელას ღეჭენ. ხელში ძუძუმწოვარა ყმაწვილი უჭირავთ“[1].

მიუხედავად ამისა, პ. უმიკაშვილი სამართლიანად ფიქრობს, რომ ქართული თეატრი უნდა აკმაყოფილებდეს მაყურებელთა ზემოხსენებული ორივე ნაწილის ინტელექტუალურ-ესთეტიკურ მოთხოვნილებას. ამასთანავე მას ქართული სცენის მუშაკთა განსაკუთრებულ დამსახურებად მიაჩნია ის გარემოება, რომ თეატრმა მიიზიდა მშრომელთა ფართო ძალები და ხელი შეუწყო მათ ზნეობრივ ამაღლებას. იგი წერს: „შეგვიძლია გადაწყვეტით ვსთქვათ, რომ ამ ექვსის წლის განმავლობაში ქართულის თეატრის არსებობამ ძლიერი მოქმედება იქონია არა ერთს და ორს კაცზე, რომელიც დაბალ საზოგადოებას ეკუთვნის. თეატრის შესავალთან თუ დაჰკვირვებიხართ, ნახავდით ხოლმე ჯგუფად ქალაქის ხელოსნებს, ანუ პატარა მოვაჭრეებს, რომელთაც ბაასი ჰქონიათ: თეატრში წავიდეთ, თუ მიკიტხანაშიო და ნახავდით ერთ ნაწილს, რომელიც ძალაზე იდგა, თეატრში წავიდეთ, დროსაც გავატარებთ და ჭკუასაც ვისწავლითო. ამ დღიურად მუშათაგან ან მოვაჭრეთაგან ვინ იცის თეატრის წყალობით რამდენი ამაღლებულა სულით და გონებით იქამდის, რომ კარგი და ღირსეული შვილი შექმნილა ოჯახისა. გარე-გარე სიარულს და ათასგვარ გარყვნილებას გადარჩენილა. ამ მუშა-ხელოსანთაგან ყოფილა

[1] პ., ქართული თეატრი, „ივერია“, 1885 წ., № 1, გვ. 129.

შემთხვევა არა ერთი, რომ თეატრისთვის თავგამოდებული ყოფილა, როგორც ადრე მუშტი-კრივისათვის და ღვინის სმისათვის“[1].

მეორე წერილში პ. უმიკაშვილი, უწინარეს ყოვლისა, ეხება თეატრისადმი ქართული მწერლობის დამოკიდებულებას. ავტორი გარკვევით აღნიშნავს თეატრის დიდ აღმზრდელობით ფუნქციას და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. ამიტომ მას ქართული მწერლობის საპატიო მოვალეობად მიაჩნია დაუცხრომელი ზრუნვა ეროვნული თეატრის მდგომარეობაზე. როგორც თვითონ ამბობს, „რაკი ჩვენს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სცენასა, რომელიც აღიარებულია, ჩვენმა მწერლობამ ღირსეული ყურადღება უნდა მიაქციოს კიდეც. იგი მუდამ, შეუწყვეტლად თავს უნდა დასტრიალებდეს ისე, როგორც თვით მწერლობას“[2].

მაგრამ, პ. უმიკაშვილის აზრით, ქართულ მწერლობას ჯერ საფუძვლიანად არ გამოურკვევია ჩვენი თეატრის საქმე და არსებითად არა აქვს განსაზღვრული თავისი ურთიერთობა სცენასთან. იგი წერს: „სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა თეატრს ყურადღება არ ჰკლებია ჩვენის ლიტერატურისაგან, მაგრამ ეს ყურადღება უფრო ერთის დღის წარმოდგენაზე რეცენზიასა ჰგვანებია, თვით რეცენზია ყოფილა სპექტაკლზე, ანუ სპექტაკლებზე. ესე იგი არ დაჰკვირვებია და არ გამოურკვევია თეატრის საქმე ისე, როგორც საჭირო იყო და არის. მაშასადამე, სასურველია მწერლობამ ამ შემთხვევაში განსაზღვროს თავისი ურთიერთობა სცენისადმი ცნობიერად და არა ერთის რომელისამე ფაქტის ნახვით“[3].

აღნიშნული დებულების დასამტკიცებლად პ. უმიკაშვილი მიუთითებს, რომ „უკანასკნელ წლებში აქტიორ-აქტრისებისაგან ალიაქოთი იმართება“, მაგრამ სიმართლეს ვერავინ არჩევს და საზოგადოება ისევ აქტიორების მითქმა-მოთქმას იმეო-

---

[1] პ., ქართული თეატრი, „ივერია“, 1885 წ., № 1, გვ. 129.

[2] იქვე, № 2, გვ. 109.

[3] იქვე.

რებს, რადგანაც მწერლობა ზერელედ ეკიდება ამ საქმეს და საკუთარი აზრის უქონლობის გამო თვით აქტიორების ხმას მისდევსო. ავტორის შეხედულებით, ამიტომ არის, რომ მსახიობებისათვის „აღარც საზოგადოების აზრია სავალდებულო, არც მწერლობისა“, ისინი ერთპიროვნულად ბრძანებლობენ თეატრის საქმეებში და თვითონ აფასებენ საკუთარ მოქმედებას. „ამაში იქნება თვით აქტიორ-აქტრისებსაც ბრალი ჰქონდეთ, — წერს პ. უმიკაშვილი, — მაგრამ ცხადია, რომ ჩვენს მწერლობასაც დიდი ბრალი ადევს. და ბრალი იქიდამ წარმოსდგა, რომ გამორკვეული ადგილი არ ეჭირა მის მსჯელობაჲსა“[1].

პ. უმიკაშვილის შეხედულება არ იყო საფუძველს მოკლებული. მაშინდელი თეატრის ადმინისტრაციასა და მსახიობებს შორის დროდადრო მართლა ჰქონდა ადგილი უთანხმოებას. ძირითადად ამას იწვევდა თეატრისა და მის მუშაკთა მძიმე ეკონომიური მდგომარეობა. მართალია, მსახიობები მზნედ იტანდნენ უკიდურეს გაჭირვებას და თავდადებით ემსახურებოდნენ ეროვნულ სცენას. მაგრამ მატერიალურ საფუძველზე წარმოშობილი უთანხმოება ზოგჯერ იმდენად მწვავე ხასიათს იღებდა, რომ მოთმინებიდან გამოსული ესა თუ ის მსახიობი ერთ ხანს თავს ანებებდა სცენაზე მოღვაწეობას. ასეთ ვითარებაში მოწინავე ქართველ საზოგადოებას სერიოზულად აფიქრებდა ნიჭიერი მსახიობის თეატრისაგან თუნდაც დროებით მოწყვეტა. ამიტომ მოითხოვს პ. უმიკაშვილი, რომ ქართულმა მწერლობამ პრინციპული მსჯელობის საგნად აქციოს აღნიშნული საკითხი, თანაც უმეტესად მსახიობის დროებითი ინტერესი კი არ იქონიოს მხედველობაში, არამედ „სამუდამო თეატრის, სცენის, ხელოვნების ინტერესი“. ამასთანავე, კრიტიკოსის აზრით, მწერლობამ უნდა გაითვალისწინოს თავისი ადრინდელი შეცდომები, რათა ისეთ „ახლო საგანს, როგორც თეატრია, ჩვენის უწინდელ ჟურნალ-გაზეთების პოლემიკის და ცრუ კრიტიკის მსგავსად არ შეეხოს“.

პეტრე უმიკაშვილი ხედავს, რომ არსებულ ვითარებაში,

---

[1] პ., ქართული თეატრი, „ივერია“, 1885 წ., № 2, გვ. 110.

როცა ქართულ დრამატიულ საზოგადოებას არ შეუძლია უკეთესი პირობები შეუქმნას ეროვნულ სცენას და მის მოღვაწეებს, თეატრის არსებობა ბევრად არის დამოკიდებული შეძლებულ ანტრეპრენიორზე. ამიტომ კრიტიკოსი მტკიცედ მოითხოვს მისდამი პრინციპულ მხარდაჭერას. ამავე დროს იგი გადაჭრით მოუწოდებს მსახიობებს, რომ ანგარიში გაუწიონ ქართული თეატრის მდგომარეობას, დაძლიონ პირადი უკმაყოფილება და საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნებით, მხარდამხარ იშრომონ მშობლიურ სცენაზე. „დარწმუნებული ვართ, — ამბობს პ. უმიკაშვილი, — რომ ნიჭიერი აქტიორ-აქტრისები რამდენსამე აფასებენ და უყვართ ქართული სცენა. უნდა გაიგონ გაჭირებული მდგომარეობა თეატრისა. თუ ნამდვილად მისი სიმტკიცე სურთ, მარტო თავის ჟინის გზაზე არ უნდა იარონ, არამედ დაუფიქრდნენ და განსაჯონ. ყველასათვის სასურველი იქნება ყველა ნიჭიერ არტისტების დასში ერთად შეკრება. მაგრამ ეს შეიძლება ერთმანეთის იოლად წაღებით და არა თავის ჟინის მიყოლით, კინკლაობით და გარე-გარე გაწევით. მათ ორი გზა აქვთ. ჩვენში ერთი თეატრია, რომელიც ძლივს, ირჩენს თავსა. ან ამ თეატრში უნდა შეგროვდნენ, ან სამუდამოდ გამოესალმნენ. არჩევანი ადვილია. თუ არა და საწვალებელს ცხოვრებას ნურც თვითონ და ნურც სხვას უხდიან“[1].

გარდა ამისა, პ. უმიკაშვილი კატეგორიულად მოითხოვს, რომ ქართული მწერლობა უფრო ღრმად სწვდებოდეს ჩვენი თეატრის საქმეს და ნაჩქარევ დასკვნებს არ აკეთებდეს მის შესახებ. „რაც უნდა მოხდეს არტისტებში, ჩვენ მაინც იმას ვიტყვით, — დაასკვნის ავტორი, — რომ სასცენო საქმეში მწერლობას თავისი განსაზღვრული ადგილი უნდა ეჭიროს ღირსეულად და შორ-მხედველობით. შეცდომა ყოველთვის შეიძლება, მაგრამ ამასაც ზომა აქვს. მისი აზრი უფრო ღრმად და ძირიანად უნდა სჭვრეტდეს სცენის საქმესა, თორემ დაჰკარგავს ავტორიტეტობის ძალას თეატრისთვისაც, აქტიორებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. მისი შეხება ამ საგნი-

---

[1] პ., ქართული თეატრი, „იერია“, 1885 წ., № 2, გვ. 123—124.

სადმი უფრო ცნობიერი უნდა იყოს და არა ალალ-ბედი-თი"[1].

პ. უმიკაშვილის აღნიშნული სიტყვები, ისე როგორც თეატრისადმი მწერლობის დამოკიდებულების თაობაზე გამოთქმული სხვა შენიშვნები, ძირითადად ეხებოდა გაზეთ „დროებას", რომელიც ქართული თეატრის მიმდინარე სეზონის ობიექტური შეფასებისა და სცენის მუშაკთა გამხნევების ნაცვლად, იმ ხანებში ტენდენციურად აშუქებდა მსახიობთა დასში მომხდარ განხეთქილებას, რისთვისაც ანტრეპრენიორს აკისრებდა მთელ პასუხისმგებლობას[2].

მესამე წერილში პ. უმიკაშვილი კვლავ ეხება ქართული თეატრის მდგომარეობისა და მისდამი მწერლობის დამოკიდებულების საკითხს. წერილის დასაწყისში იგი ამ საკითხზე ეკამათება თავისი წინა წერილის საპასუხოდ „დროებაში" (1885 წ., № 59) გამოქვეყნებული „საკვირაო ფელეტონის" ავტორს.

პ. უმიკაშვილი მშვენივრად ხედავდა, რომ მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, ქართული თეატრის საერთო მდგომარეობა მაინც ძალზე დამაფიქრებელი იყო. მსახიობთა დასში მომხდარი განხეთქილება და რამდენიმე ნიჭიერი აქტიორის (ვ. აბაშიძე, კ. მესხი, მ. საფაროვი-აბაშიძისა) სცენისაგან მოწყვეტა სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა თეატრის არსებობას. ამიტომ კრიტიკოსი დაბეჯითებით იმეორებს, რომ ჩვენს მწერლობას კარგი მეცადინეობა, კარგი სიფხიზლე მართებს, რათა „თეატრის საქმე არ მიყუჩდეს, არ მიეძინოს და ბოლოს სრულებით არ შეწყდესო". როგორც თვითონ ამბობს, მწერლობამ უნდა გამოარკვიოს თეატრის „არსებობის უპირველესი საჭიროებანი და ღონე გამოსძებნოს მის დახმარებისათვის". ამასთანავე პ. უმიკაშვილი „დროებას" საყვედურობს წინა წერილში აღძრული უმთავრესი საკითხებისათვის გვერდის ავლას და წერილმანებისადმი გამოკიდებას. „დროების" ფელეტონისტის შენიშვნაზე, ვითომც „ივერიის" წინა ნომერში გამოქვეყნებული თეატრალურ-კრიტიკული წერილი,

---

[1] პ., ქართული თეატრი, „ივერია", 1885 წ., № 2, გვ. 123—124.

[2] „დროება", 1884 წ., № 271; 1885 წ., № 35.

რომელიც ხელმოწერილი იყო ავტორის ინიციალით (პ), პ. უმიკაშვილს კი არა, ჟურნალის რედაქტორ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნოდეს, იგი პასუხობს: „მეფელეტონის გულის დასამშვიდებლად დაჭეშმარიტებით ვიტყვით, რომ არასდროს არ დაუთმობდით ჩვენს ხელმოწერილობას სხვის წერილსა, თუნდა შექსპირი ყოფილიყო მისი დამწერი, თუნდა ლესსინგი. ჩვენ იქნება ჩვენი ნაკლულევანება გვირჩევნოდეს“[1].

შემდეგ პ. უმიკაშვილი ეხება ქართული დრამატული საზოგადოების მუშაობას და ყურადღებას ამახვილებს მის არსებით ნაკლოვანებებზე. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგანაც იმ დროს დრამატიულ საზოგადოებას მუდმივი თეატრის მართო საერთო ხელმძღვანელობა კი არ ეკუთვნოდა, არამედ იგივე საზოგადოება ნიშნავდა თეატრის უშუალო ადმინისტრაციულ და მხატვრულ ხელმძღვანელს და თეატრის მდგომარეობისთვისაც, უწინარეს ყოვლისა, მას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა. ამიტომ თბილისის მუდმივი თეატრის მდგომარეობით უაღრესად დაინტერესებული კრიტიკოსი, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა აღნიშნულ საზოგადოებას.

ქართული დრამატიული საზოგადოება დაარსდა სცენისმოყვარეთა ამხანაგობის მიერ არჩეული ეგრეთწოდებული „თეატრალური კომიტეტის“ საფუძველზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1879 წლის მაისში. ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ამ კომიტეტის თათბირი, სადაც გადაწყდა დაეარსებინათ დრამატიული საზოგადოება. ნ. ნიკოლაძემ შეადგინა საზოგადოების წესდება, რომელიც მთავრობამ, დიდი გაჭიანურების შემდეგ, 1880 წლის ივლისში დაამტკიცა. მომდევნო წელს საზოგადოებამ აირჩია გამგეობა ილია ჭავჭავაძის (თავმჯდომარე), აკ. წერეთლის (მოადგილე), კონსტ. ყიფიანის (მდივანი), გ. თუმანიშვილის (ხაზინადარი), რ. ერისთავის, ნ. ქანანოვისა და მ. ყიფიანის შემადგენლობით. 1884 წელს საზოგადოების კრებამ აირჩია გამგეობის ახალი შემადგენლობა რაფ. ერისთავის თავმჯდომარეობით.

პ. უმიკაშვილი უჩივის დრამატიული საზოგადოების არა-

---

[1] პ., ქართული თეატრი, „ივერია“, 1885 წ., № 3, გვ. 90.

ორგანიზებულობას, მის სრულ უმოქმედობას და სიღარიბეს, რისთვისაც სერიოზულ პასუხისმგებლობას აკისრებს საზოგადოების მიერ არჩეული გამგეობის როგორც ძველ, ისე ახალ შემადგენლობას. იგი პირდაპირ აღნიშნავს, რომ თავიდან ყველას დიდი იმედი ჰქონდა, ყველას ეგონა, რომ დრამატიული საზოგადოება მტკიცე საფუძველზე დაამკვიდრებდა მუდმივი თეატრის საქმეს და ხელს შეუწყობდა მის წარმატებას, მაგრამ „პირველსავე ხანში საზოგადოებას უსაქმობა და უღონობა თან დაჰყვა". მას ბიბლიოთეკა, გარდერობი და ცოტაოდენი ფული გადაეცა „თეატრალური კომიტეტისაგან", მაგრამ ფული მალე გამოელია და „მმართველობამ აღარ იზრუნა", რომ რაიმე ღონისძიება გამოეძებნა, „წარმოდგენა ან სალიტერატურო საღამო გაემართა" და შემოსული ფულით გარკვეული შემწეობა მიეცა თეატრისთვის. „ამ უზრუნველობის გამო აგერ ორი წელიწადი გავიდა და მისი დახმარება, გარდერობს გარდა, არაფრით არა სჩანს. თვით ეს გარდერობიც და ბიბლიოთეკაც ისეთს მდგომარეობაშია, რომ მალე არარად ქნდა შეირაცხოს, რადგანაც არც მოვლა აქვს, არც შეკეთება და შემატებას ხომ ვიღა სჩივისო"[1].

პ. უმიკაშვილის აზრით, აღნიშნული მდგომარეობა იმითაა გამოწვეული, რომ „საზოგადოებამ თავის მმართველობაში ამოარჩია ისეთი კაცები, რომელნიც სხვა საქმეებით იყვნენ დატვირთულნი და იმდენი ღონე ვერ იქონიეს უარი ეთქვათ, ანუ იმედი ჰქონდათ საქმეს იოლად წავიღებთო. ამიტომ აჩანჩალეს სამი წელიწადი". მართალია, საზოგადოებამ სამი წლის შემდეგ გამგეობის ახალი შემადგენლობა აირჩია, მაგრამ, პ. უმიკაშვილის შეფასებით, — „ეს მმართველობა წინანდელზე უფრო უღონო და უსაქმო გამოდგა", რისთვისაც, გამგეობის წევრებთან ერთად, საზოგადოების ყველა წევრს მიუძღვის ბრალი. მას საქმისათვის განსაკუთრებით საზიანოდ მიაჩნია საზოგადოების მმართველობაში წევრების ძალად არჩევა, „როდესაც მათ ან ნებით ან უნებურად არა სურთ მონაწილეობის მიღება". „სამწუხარო და სანაღვლო ის არის, — წერს

---

1 პ., ქართული თეატრი, „ივერია", 1885 წ., № 3, გვ. 93—94.

პ. უმიკაშვილი, — რომ ამოდენა წევრებში ორიოდ ხალისიანი კაცი როგორ ვერ გამოჩენილა აქამომდე, რომ შეავულიანოს სხვები და გამოაღვიძოს ღრმა ძილისაგან? თუ კი კაცი რომელსამე საქმეში მონაწილეობას, წევრობას კისრულობს, მოსაზრებაც უნდა იქონიოს, რითიმე დაეხმარო ამ საქმესო. თუ სახელი წევრისა აქვს, ვალდებულებაც უნდა თავს იდვას. ჩვენში თურმე ეს ასე არ ყოფილა. უბრალო საწევრო ფულის შეტანა და მისი მიღებაც, მოკრეფაც კი გაძნელებულია. დრამატიული საზოგადოების არსებობა ჩვენ მეტისმეტად თვალნათლად გვაჩვენებს, რა ზარმაცი საზოგადოებაა და რაგვარი მოთავეები ჰყავს ამორჩეული თავის საქმის გამძღოლად. მისი არსებობა და ღვაწლი გვაჩვენებს, რომ თურმე საქმე კი არ გვდომებია, მარტო სახელი გვდომებია. სახელი არის არსებობისა და სახრავი კი არა. სახელით საზოგადოება არსებობს და მისი მოქმედება კი არა სჩანს“[1].

პ. უმიკაშვილს კარგად ესმის, რომ დრამატიული საზოგადოების უმოქმედობის გამო ქართული თეატრი მოკლებულია ყოველგვარ დახმარებას და სულს ძლივს ითქვამს. გამომდინარე აქედან, იგი დაბეჯითებით მოითხოვს საზოგადოების მმართველობის განახლებას, ხოლო მწერლობას მოუწოდებს სერიოზული ყურადღება მიაქციოს აღნიშნულ საზოგადოებას, „მოუხშიროს მასზე ლაპარაკს და მისი მოღვაწეობის ვრცლად გარჩევას“. „რადგანაც (დრამატიული საზოგადოების) მმართველობას სძინავს, — ამბობს პ. უმიკაშვილი, — მწერლობას სიფხიზლე ჰმართებს და გამოღვიძება მძინარეთა“.

პ. უმიკაშვილის აზრით, არსებულ ვითარებაში დრამატიული საზოგადოების უპირველესი საზრუნავი ის არის, რომ მატერიალური დახმარება გაუწიოს ქართულ თეატრს და წესრიგში მოიყვანოს თავისი ბიბლიოთეკა და გარდერობი. როგორც თვითონ ამბობს, საჭიროა საზოგადოების ბიბლიოთეკიდან გაფანტული ქართული და რუსული წიგნების „შეკრება და შევსება“, რაც თეატრის ხელმძღვანელებს საშუალებას მისცემს ფართოდ გააცნონ არტისტებს დრამატიული მწერ-

---

[1] პ., ქართული თეატრი, „ივერია“, 1885 წ., № 3, გვ. 95—96.

ლობა. „ამავე ბიბლიოთეკაში, — განაგრძობს პ. უმიკაშვილი, — არც ერთი ჟურნალ-გაზეთი არ მოიპოვება, რომ ანტრეპრენიორს და აქტიორებს შეეძლოთ თვალყური ადევნონ სასცენო საქმეს. შემდეგ მასში არ იკრიბება ქართული ხელნაწერი რეპერტუარი, რომელიც უეჭველად უნდა ინახებოდეს სამუდამოდ... გარდერობიც ისეთს მდგომარეობაშია, რომ ორიოდ წელს შემდეგ აღარაფრის გამოსადეგი არ იქნება. პირველ მოპოების აქეთ ტანისამოსი დაძველდა, მატყლეული წახდა და აბრეშუმეული დაჩულდა; გამზევება დიდი ხანია არ ჰღირსებია, მთელი თვეები მტვერში და ნოტიოში პყრია, სამასი თუმნის ქონება სანაგვეზე გადასაყრელსავით მოუვლელია. აბა იფიქრეთ, რა წვალებით და ვაი-ვაგლახით შეძენილი ასეთს ყოფაში უნდა დარჩეს? თუ პირველს ხანებში ადვილი იყო მისი მოპოვება, როდესაც თეატრის კომიტეტს თავადაზნაურობის ბანკისაგან შეწირული ფული ჰქონდა, განახლებული სცენა ხალხს იზიდავდა და შემოსავალს იძლეოდა, ახლა ამ ქონების შოვნა ძნელია და თუ შეძენილი არ შევინახეთ, ანტრეპრიზა ან დრამატიული დასის აშხანაგობა, რომელიც ამჟამად უამისოდაც გაჭირებაშია, ტანისამოსის ქირასაც ვეღარ აუვა“.[1]

---

1 პ., ქართული თეატრი, „იერია“, 1885 წ., № 3, გვ. 98—99. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1892—1893 წლებში, როცა პ. უმიკაშვილი დრამატიული საზოგადოების მდივნად იყო არჩეული, მას წესრიგში მოუყვანია ამ საზოგადოების ბიბლიოთეკა და გარდერობი. მაგრამ შემდგომ წლებში საზოგადოების გამგეობას ბიბლიოთეკის მოვლა-პატრონობაზე აღარ უზრუნია. ამგვარი დაუდევრობის შედეგად ბიბლიოთეკიდან წიგნებისა და ხელნაწერი პიესების მნიშვნელოვანი ნაწილი განიავებულა. აღნიშნული ბიბლიოთეკის სწორედ ამ საეალალო მდგომარეობას ეხებოდა პ. უმიკაშვილის წერილი „დრამატიული საზოგადოების ქონებაზე“, რომელიც 1902 წელს დაიბეჭდა „იერიაში“ (№ 128). ავტორი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „დიდის ხნიდამ ქართული თეატრის კუთვნილება საზოგადო კუთვნილებად აღარა ჰგონიათ, რომელსაც ყველა უნდა უფრთხილდებოდეს და ინახავდეს, არამედ ისე უყურებენ როგორც კერძო კუთვნილებას, რომლის გაფლანგვა ქართველ კაცს რჯულად გადაჰქცეიაო“. იგი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ დრამატიული საზოგადოების გამგეობას სათანადო წესრიგი დაემყარებინა სათეატრო ქონების, განსაკუთრებით, ბიბლიოთეკისა და გარდერობის მოვლა-პატრონობის საქმეში.

წერილის დასასრულს პ. უმიკაშვილი სასტიკად ამათრახებს იმ პირებს, რომლებიც ბევრს ლაპარაკობდნენ მწერლების ნაკლოვანებებსა თუ შეცდომებზე და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ ყველა საქმეში „ლიტერატორები ეჩხირებიან“, „სხვებს გზას უკრავენ, ადგილს არ უთმობენ“, თითქოს „ჩვენს ხალხში კაცები აღარ არიან საქმეს გაუძღვნენო“, სინამდვილეში კი თავს არიდებდნენ საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობას. იგი წერს: „სად არიან ის ვაჟბატონები, რომელნიც ჰყვირიან მწერლების ნაკლულევანებაზე, მათ მოქმედების შეცდომებზე და როდესაც გულმოდგინებით საქმეს შველა ეჭირება, იმალებიან კლუბების მწვანე სტოლებთან, ყავახანებში და თავის ოთხ კედელში? სად ბრძანდებიან ის მაღალ მოაზრე, შრომის მწკერვალზე განათლებულნი, უმაღლესის სწავლით შემკულნი? სად არიან, რატო არ გამოვლენ, არ დაეხმარებიან საქვეყნო საქმეებს? აი ასპარეზი ცარიელია, რატო არა სჩანან, რატომ არ გამოვლენ, მწერლები გიწვევენ, მოდით, მოგვეშველენით ასპარეზი დიდიაო, დაცლილიაო, — სადა ხართ? გახსოვთ განა თქვენი საკუთარი პიროვნობის ანგარიშები, ან იქნება თავი იმართლოთ თქვენის საოჯახო ვალდებულებით? თქვენ გგონიათ ამ მწერლებს არც თქვენსავით კუჭის მოთხოვნილება სჭირდებათ, არც ოჯახის და ცოლშვილის ვალდებულება ედვათ კისრადა, არც თავის ხელობის ვალდებულება? საზოგადო სამსახურს მაშ თქვენ მაშინ გასწევთ, როცა კუჭიც მაძღარი გექნებათ, ხელობაც მუქთა ცხოვრებისა და ოჯახი ავსებული ყოვლისაგან კეთითა. ფარისეველნო, ვერ აუბამთ თვალს ვერავის. თქვენი ღაღადება, თქვენი ჭადაგება სხვის ნაკლულევანებაზე, მწერლების ნაკლულევანებაზე თურმე იმიტომ მოისმის, რომ დაჰფაროთ თქვენი გულის და გონების სიფუყე და არარაობა! საბრალონო! არ გესმით, რომ საქმეთაგან თქვენთა გამოცხადდა თავი თქვენი. რამდენი ასპარეზია სამუშაო და რა მცირეა მუშაკი?!.. ადგილი ვერ უპოვიათ, გზას უკვრენ!.. აი თუ ღონე გაქვთ გამოდით ამ დრამატიულს ასპარეზზე და ასახელეთ თავი საშვილიშვილოდ სამადლობელ საქმეში. ხომ ბევრს იძახით, ყველას მწერლობა არ შეგვიძლიაო. აი ესეც საქმე. რატო არ დაეხმარებით

თეატრს რჩევით, საქმეების მართვით, მომატებულის ყურადღების გამოფხიზლებით საზოგადოებაში“[1].

„დიაღაც, ცუდს მდგომარეობაშია დრამატიულის საზოგადოების საქმეები. მიყრუებულია მის მოქმედებაზე ლაპარაკი· საჭიროა მისი მმართველობის განახლება, საჭიროა საზოგადოების გამოფხიზლება თეატრისათვის“ — დაასკვნის პ. უმიკაშვილი.

პ. უმიკაშვილს არც შემდგომ წლებში შეუნელებია ყურადღება ქართული დრამატიული საზოგადოების მიმართ. „ივერიაში“ ხშირად იბეჭდებოდა მისი წერილები და ინფორმაციები აღნიშნული საზოგადოების არასახარბიელო მდგომარეობაზე. კრიტიკოსი განსაკუთრებით საზიანოდ თვლიდა საზოგადოებ.ს გამგეობაში ისეთი პირების არჩევას, რომლებიც მეტწილად მოწყვეტილი იყვნენ გამგეობის მუშაობას, რადგანაც თბილისში სრულებით არ ცხოვრობდნენ, ან ხშირად რამდენიმე თვით გადიოდნენ ქალაქიდან. ხსენებული გამგეობის სწორედ ამ „საპატიო წევრების“ უწესრიგო მუშაობას დასცინოდა პ. უმიკაშვილის იუმორისტული წერილი „რომელი რომელს იპოვის?“ („ივერია“, 1886 წ., № 8).

დასახელებულ წერილში ავტორს გამოყვანილი ჰყავს ვინმე პაატა, რომელსაც დრამატიულ საზოგადოებაში წევრად შესვლა გადაუწყვეტია, სოფლიდან თბილისში ჩამოსულა და საზოგადოების გამგეობას დაეძებს, რომ ფული შეიტანოს მის დასახმარებლად. მაგრამ გამგეობის წევრებიდან ქალაქში არავინ იმყოფება და ამიტომ ვერ ახერხებს ფულის შეტანას. დრამატიული საზოგადოების მდგომარეობით დაინტერესებული პაატა იმასაც გებულობს, რომ თურმე ამ საზოგადოების გარდერობი „დაუკეტიათ და აქტიორებს ვერავინ უპოვნიათ მმართველობის წევრი, რომ გასაღები გამოართვან და ტანისამოსი, თეატრისათვის ნაყიდი და შენახული, მოიხმარონ. ბაზარში ქირით იღებენ, უამისოდაც გაჭირებაში ჩავარდნილი აქტიორები“. ამგვარი უწესრიგობით გულდაწყვეტილი პ. უმი-

---

[1] პ., ქართული თეატრი, „ივერია“, 1885 წ., № 3, გვ. 101—102.

კაშვილი პაატას ათქმევინებს: „შევწუხდი, მაგრამ მაინც კიდევ იმედი მაქვს, რომ საზოგადოებას ანდერძს და წესს არ აუგებენ ეხლანდელი მმართველობის წევრები და ან თვითონ დაიწყებენ შრომას ან სხვებს —ახალ წევრებს გადასცემენ თავის საქმესა. ამიტომ ეს გადადებული ფული შეკრული ისევ უკან წამოვიღე და ვინახავ“[1].

პ. უმიკაშვილი პაატას ურჩევს, რომ აღნიშნული ფული ფოსტით გამოგზავნოს თბილისის რომელიმე ბანკში და ბილეთი დრამატული საზოგადოების სახელზე გამოაწერინოს. პაატას მიუღია ეს რჩევა, ფული გამოუგზავნია და პ. უმიკაშვილს აცნობებს, რომ ბანკის ბილეთს „რა წამსაც მოითხოვენ, მაშინათვე წარმოვგზავნიო“. წერილის ბოლოს პ. უმიკაშვილი ირონიულად შენიშნავს: „ეს საქმე ძებნა-გამოცანასა ჰგავს. ვნახოთ, რომელი რომელს იპოვის: დრამატიული საზოგადოების მმართველობა მოსძებნის ამ ბილეთსა, თუ ბილეთი მოუფრინდება მმართველობასა“[2]. ასე მკაცრად დასცინა პ. უმიკაშვილმა დრამატიული საზოგადოებისა და მისი გამგეობის უწესრიგო მუშაობას.

დრამატიული საზოგადოების უყაირათობის წინააღმდეგ იყო მიმართული პ. უმიკაშვილის ფელეტონი „ჩვენი მიწერ-მოწერა“, რომელიც 1886 წელს დაიბეჭდა „ივერიაში“ (№ 40). ფელეტონის ავტორი აქაც ისევ პაატას ალაპარაკებს, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ეს მხოლოდ მხატვრული ხერხია და სინამდვილეში პაატას პირით პ. უმიკაშვილი საკუთარ შეხედულებებს გამოხატავს. იგი მიუთითებს, რომ „საზოგადოება პირველსავე წლებში რასაც კი იშოვის, სულ ერთიანად წააჭყლეტს ხოლმე ორიოდე წელიწადში და მერე ხელცარიელი ზისო“. მისი აზრით, უმჯობესია საზოგადოებამ „ნელ-ნელა წაიყვანოს თავისი საქმე, ნელ-ნელა გაზარდოს უკვდავი თანხა, ვიდრე ერთ-ორ წელიწადს იფარფაშოს და მერე კი სული ამოხდეს“. „რაც წელი-

---

1 ანჩხატელი, რომელი რომელს იპოვის? „ივერია“, 1886 წ., № 8.

2 იქვე.

წადში შემოსავალი აქვს, — განაგრძობს პ. უმიკაშვილი, ნახევარი უკვდავ თანხად დასდვას და ნახევარი თეატრს მოახმაროს, დიაღ კონცერული და მოსაზრებული საქმე იქნება. ყოველ წელს აქვარად შეკრებილი თანხა, ნახავ ერთი ათიოდე წლის შემდეგ, რა სარგებლობას მისცემს თეატრსაცა და საზოგადოებასაც რა მაგალითს ასწავლის"[1].

იმ შეუნელებელ ყურადღებას, რასაც პ. უმიკაშვილი იჩენდა დრამატიული საზოგადოების მიმართ, კიდევ უფრო დამაჯერებლად მოწმობს 1889 წელს „იერიაში" (№ 69) გამოქვეყნებული მისი წერილი — „თავმინებებული საზოგადოება". პ. უმიკაშვილი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ „დღეს არც ერთი ჩვენი საზოგადო დაწესებულება ისე თავმინებებული და ზრუნვას მოკლებული არ არის, როგორც დრამატიული საზოგადოება, რომელიც ქართულ სცენას უნდა უძღვებოდესო". როგორც თვითონ ამბობს, ამ საზოგადოების „საქმე ბეწვზე ჰკიდია და შესაძლებელია მალე ბოლოც მოეღოს", რადგანაც მისი წევრების რიცხვი ოცსაც ძლივს აღწევს. ხოლო აღნიშნული საზოგადოების გაუქმება, კრიტიკოსის აზრით, იმას ნიშნავს, რომ „მომავლისათვის თეატრს მოაკლდეს ერთადერთი ხელისმიმწდომი და ერთადერთი მზრუნველი". „მართალია, დღეს ვაი-ვაგლახით ინახავს საზოგადოება თავის დასს, — წერს პ. უმიკაშვილი, — მაგრამ მაინც უძღვება და ცოტათი ხელს უწყობს. დღეს ქართული არტისტები, მართალია, დიდს გაჭირებაში არიან, მაგრამ მაინც რასმე ეხმარება დრამატიული საზოგადოება იმ შემოსავლით, რასაც ბალების ანუ კონცერტების გამართვითა შოულობს. რას უნდა მოველოდეთ შემდეგში, როდესაც ეს ღონისძიება მოესპობათ? უეჭველია არტისტები დაიქსაქსებიან და დავრჩებით ჩვენის გულგრილობის გამო მოკლებულნი სამუდამო თეატრს, რომლის განახლებასაც შეეტრფოდით ამ ათის წლის წინად"[2].

პ. უმიკაშვილი დარწმუნდა, რომ არსებულ ვითარებაში დრამატიული საზოგადოების მმართველობის გამჭრიახობა

---

1 ანჩხატელი, ჩვენი მიწერ-მოწერა, „იერია", 1886 წ., № 40.
2 პ., თავმინებებული საზოგადოება, „იერია", 1889 წ., № 69.

ვერას მოაგვარებდა, თუ საზოგადოება თავად არ იქნებოდა თვალფხიზელი და შემწევნელი მმართველობისა. მაგრამ აიმა წელმა გაიარა, რაც დრამატიული საზოგადოება შეიქმნა, და მისი ყოფა ჯერ კიდევ მკვიდრი არ იყო. გამომდინარე აქედან, იგი უკვე აღნიშნული მმართველობის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე კი არ ამახვილებდა ყურადღებას, არამედ დრამატიული საზოგადოების მიმართ ქართველი ინტელიგენციის გულგრილ დამოკიდებულებაზე. 1890 წელს გამოქვეყნებულ წერილში — „დრამატიული საზოგადოების ყოფა“, კრიტიკოსი გარკვევით აღნიშნავდა, რომ ამ საზოგადოების არასახარბიელო მდგომარეობისათვის „ბრალი თვით თბილისის ქართველობას და მის ინტელიგენციას ედება“, რომლებმაც არ აღმოუჩინეს მას „ჯეროვანი თანაგრძნობა და თანამშრომლობაო“. „ნუთუ მართლა ტფილისის ქართველი ინტელიგენცია ისე ძალმოკლებულია, — კითხულობს პ. უმიკაშვილი, — რომ ვერ აღუძრავს ტფილისის ქართველობაში თანაგრძნობა დრამატულის საზოგადოებისადმი, ვერ მიუზიდნია თავისის სიტყვითა და მოქმედებით, მეცადინეობითა და შრომით ახალი წევრები?“[1].

მომდევნო წერილში პ. უმიკაშვილი პირდაპირ აცხადებს, რომ სანამ დრამატულ „საზოგადოებას მოვთხოვთ რასმე, ჯერ თვით საზოგადოება უნდა ფეხზე დავაყენოთ, წელი გავუმაგროთ, მხარი მივცეთ და ერთის სიტყვით განვამტკიცოთ მისი არსებობაო“. „სირცხვილია, მეტად სირცხვილია, — წერს იგი, — რომ ჩვენი ქართველი ინტელიგენცია არ აფასებს დრამატიული საზოგადოების არსებობას, არასა ზრუნავს მის განმტკიცებისათვის, მის მომავლის ბედისათვის და მხოლოდ საყვედურს, ცარიელ ლაპარაკს უნდება“[2].

გარკვეულ ინტერესს იწვევს პ. უმიკაშვილის წერილი „საზოგადო კრებისა და გამგეობის უფლებათა შესახებ“, რომელიც 1903 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (№ 2348). ავტორი მკაცრად ილაშქრებს დრამატიული საზო-

---

1 პ., დრამატიული საზოგადოების ყოფა, „ივერია“, 1890 წ., № 206

2 პ., კიდევ საყვედური, „ივერია“, 1890 წ., № 213.

ვადოების გამგეობისათვის განუსაზღვრელი ნდობის გამოცხადების წინააღმდეგ. იგი წერს: „გამგეობა ყოველთვის მოქმედობს საზოგადოების მონდობილობით და არჩევით. ის არის საზოგადოების სურვილის და დადგენილების აღმასრულებელი და ყოველივე თავის მოქმედებაში ის საზოგადოებას აძლევს ანგარიშსა და პასუხს. საზოგადო კრება სრული პატრონი და გამგებელია საქმისა და მის ვალდებულებას შეადგენს ყველაფერი გამოიძიოს, შეიტყოს, რაიმე ახალი უფლებები მისცეს ან ჩამოართვას თავის ორგანოებს და როგორც უკანასკნელმა ინსტანციამ, მსჯავრი დასდოს ამ ორგანოების მოქმედებას, შეეხება ის რაიმე ხარჯს, ადმინისტრაციულ განკარგულებას, თუ სხვა რამეს"[1].

ამის უარყოფა „ჩვენ მიგვიყვანს ზნეობრივ გახრწნამდე და გამგეობებსაც ავტოკრატობას შეაჩვევენო", — დაასკვნის ავტორი. ეს სიტყვები ნათლად გამოხატავს პ. უმიკაშვილის მისწრაფებას მართვა-გამგეობის დემოკრატიული პრინციპებისაკენ.

1904 წელს პ. უმიკაშვილი ერთხელ კიდევ გამოეხმაურა ქართული დრამატიული საზოგადოების მუშაობას. გარდაცვალებამდე ოთხი თვით ადრე გაზეთ „ცნობის ფურცელში" (№ 2400) დაიბეჭდა მისი წერილი — „დრამატიული საზოგადოების საყურადღებოდ", სადაც კვლავ მიუთითებდა აღნიშნული საზოგადოების ცალკეულ ნაკლოვანებებზე და საჭიროდ თვლიდა ინსტრუქციის შედგენას საზოგადოების გამგეობის მოქმედებისათვის. „დღევანდლამდე არა გვაქვს ამგვარი ინსტრუქცია, — წერდა პ. უმიკაშვილი,—ურომლისოდაც მოქმედების დროს გამგეობის წევრებმა არ იციან, როგორ გაინაწილონ საქმეები და ამის გამო ყოველთვის არეულობა ხდება მუშაობის დროს. ინსტრუქციაში უნდა მოთავსებული იყოს გამ-

---

1 პ., საზოგადო კრებისა და გამგეობის უფლებათა შესახებ, „ცნობის ფურცელი", 1903 წ., № 2348. (სხვათა შორის, დასახელებულ წერილში პ. უმიკაშვილი მოითხოვდა, რომ დრამატიული საზოგადოების გამგეობაა დაეარსებინა სპეციალური ხასიათის ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც, მისი აზრით, საძირკვლად დაედებოდა ქართულ თეატრს).

გეობის წევრების მოქმედების განაწილება და ყოველ ნაწილის მუშაობის განსაზღვრულება“[1].

დრამატიული საზოგადოების შესახებ პ. უმიკაშვილს „ივერიაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე წერილები და ინფორმაციები — „დრამატიულ საზოგადოებაზე“ (1886 წ., № 108), „დღევანდელი კრება“ (1889 წ., № 71), „მომავალი კრება ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა“ (1890 წ., № 204), „დრამატიული საზოგადოების წლიურ კრებაზე“ (1893 წ., № 210) და სხვ., მაგრამ ამ წერილებისა და ინფორმაციების განხილვას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს მათი ავტორის თეატრალურ-კრიტიკული მემკვიდრეობის შესწავლისათვის.

როგორც ვნახეთ, პ. უმიკაშვილი მკაცრად აკრიტიკებდა ქართული დრამატიული საზოგადოების არაორგანიზებულობასა და უმოქმედობას, მაგრამ ეს იყო ობიექტური კრიტიკა, რომელსაც სავსებით იმსახურებდა აღნიშნული საზოგადოება. დრამატიული საზოგადოება თავს ვერართმევდა დაკისრებულ მოვალეობას, ვერ უწევდა თბილისის ქართულ თეატრს სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას. როგორც მკვლევარი გ. ბუხნიკაშვილი აღნიშნავს, „არა ერთხელ იყო შემთხვევა, როდესაც დრამატიული საზოგადოება სათეატრო საქმეს ღალატობდა და ამიტომ ის თეატრის მზრუნველის სახელით კი არა, უფრო დედინაცვლის სახელწოდებით უნდა შევიდეს ქართული თეატრის ისტორიაში“[2].

მიუხედავად ამისა, არსებულ ვითარებაში, როცა ეროვნული სცენა სრულიად მოკლებული იყო ოფიციალური ხელისუფლების დახმარებას და არც კერძო ანტრეპრენიორი მოიძებნებოდა, ქართული თეატრის შენახვის პასუხისმგებლობა, ავად თუ კარგად, მაინც დრამატიულ საზოგადოებას ეკისრებოდა. პ. უმიკაშვილი სამართლიანად წერდა: „წარსულმა დრომ დაგვარწმუნა, რომ დრამატიულ საზოგადოების ხელმ-

---

[1] პ. უმიკაშვილი, დრამატიული საზოგადოების საყურადღებოდ, „ცნობის ფურცელი“, 1904 წ., № 2400.

[2] გ. ბუხნიკაშვილი, წერილები თეატრზე, თბ., 1964 წ., გვ. 10.

ძღვანელობა ერთადერთი ღონისძიებაა ჩვენს ყოფაში ქართული სცენის არსებობისათვის, მის საქმის წინ წაწევისათვის და მომავლის უკეთესის მოწყობისათვისო"[1].

პ. უმიკაშვილი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს საქართველოს პერიფერიების თეატრალურ ცხოვრებას. 1889 წელს გაზეთ „ივერიაში" (№ 164) დაიბეჭდა მისი წერილი „სათეატრო წარმოდგენები მაზრებში". ავტორი კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველოს განაპირა ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში საკმაოდ გახშირდა წარმოდგენების გამართვა. როგორც თვითონ ამბობს, ამ წელს „ქართლ-კახეთში, იმერეთ-სამეგრელო-გურიაში ქალაქი, ან მოზრდილი დაბა-სოფელი არა ყოფილა, რომ წარმოდგენა არ გაემართათ სამადლო საქმისათვის, რომლისამე სკოლისა, „წერა-კითხვის საზოგადოებისა", ან სხვა საქველმოქმედო დაწესებულებისათვის"[2].

ეს ფრიად სასიამოვნო მოვლენა პ. უმიკაშვილს მრავალმხრივ სასარგებლოდ მიაჩნია. იგი სწორად მიუთითებს, რომ პერიფერიებში გამართული წარმოდგენებიდან მიღებული შემოსავალი უმთავრესად ხმარდება საქველმოქმედო საქმეს ან დაწესებულებას, რაც თავისთავად ძალზე სასარგებლოა; რადგანაც ამ დაწესებულებას არსებობის საშუალებას აძლევსო. მეორე მხრივ, აღნიშნული წარმოდგენების განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა, მისი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ წარმოდგენების გამართვა ხელს უწყობს პერიფერიებში საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებას, საქვეყნო საქმისათვის ზრუნვასა და დახმარებას აჩვევს ადგილობრივ საზოგადოებას, რომელიც წარმოდგენებზე „თავს იყრის ერთად სულიერი საზრდოს მისაღებად და არა ღორმუცლობისათვის, ღვინის გადასაკრავად, ან ბანქოსა და ლოტოს სათამაშოდ". „მეორე სასარგებლო მხარე წარმოდგენებისა კიდევ ის არის, — წერს პ. უმიკაშვილი, — რომ თვით საზო-

---

1 პ. უმიკაშვილი, ჩვენი თეატრის თავგადასავალი, „ივერია", 1899 წ., № 213.

2 პ., სათეატრო წარმოდგენები მაზრებში, „ივერია", 1889 წ., № 164.

გადოება მრავალს სიკეთეს იძენს წარმოდგენების გამართვით. იმისი გონება და აზრი ეჩვევა საზოგადო საქმეების დახმარებას, შემწეობას, ერთის სიტყვით, ზრუნვასა და შრომას ისეთს საქმისათვის, რომელიც იმის მუდამდღიურ საოჯახო საქმეს არ ეკუთვნის. ამ აზრსა და შრომას თუ შეეჩვია ჩვენის მაზრის, სოფლისა თუ ქალაქის, საზოგადოება, მრავალ საქმეში ფეხს წინ წასდგამს და თავს დააღწევს უფერულ, უაზრო, უზრუნველ ცხოვრებას. ეს მხარეა, ჩვენის აზრით, დიდად დასაფასებელი და ყურადღების ღირსი ყველასათვის, ვისაც მაზრის სოფელ-ქალაქების უზრუნველი ყოფა-ცხოვრება აწუხებს"[1].

გარდა ამისა, წარმოდგენების გამართვა პერიფერიებში, პ. უმიკაშვილის აზრით, „ერთად მუშაობის შეუჩვევართ შეაჩვევს ერთად თავის მოყრასა და ერთად შრომას", „ერთად მუშაობას აწყებინებს მაზრის ქართველობას, რომლის უთანხმოებასა და ერთმანეთის მოურიდებლობას ხშირად დავტირით და ვღაღადებთ". წარმოდგენების საშუალებით „კაცი კაცს უახლოვდება იმისთანა საქმისათვის კი არა, რაც შენ-ჩემობაა ეკუთვნის, არამედ საზოგადო საქმისათვის"[2]. ეს შეხედულება მას უფრო ადრე გამოთქმული აქვს წერილში — „ქართული შინაური თეატრი"[3].

დაკვირვებული მკითხველი აქ ადვილად შეამჩნევს ავტორის გულწრფელ რწმენას, რომ თეატრის, როგორც საზოგადოების ინტელექტუალურ-ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი კერის, საშუალებით შეიძლება ბოლო მოეღოს საზოგადოების წევრთა შორის გაბატონებულ უთანხმოებასა და უნდობლობას და მიღწეულ იქნას მათი ერთმანეთში მორიგება, საერთო-საკეთილო საქმისათვის ერთობლივი შრომა. მაგრამ პ. უმიკაშვილი, ისევე როგორც განმანათლებელთა ბევრი სხვა წარმომადგენელი, ცხადია, ვერ ითვალისწინებს, რომ აღნიშნული უთანხმოებისა და უნდობლობის მოსპობა შეიძლება მხოლოდ კერძო საკუთრებაზე

---

[1] პ., სათეატრო წარმოდგენები მაზრებში, „ივერია", 1887 წ., № 164.
[2] იქვე.
[3] „დროება", 1870 წ., № 34.

დამყარებული კლასობრივი უთანასწორობის რევოლუციური ძალდატანებით მოსპობის საფუძველზე.

პ. უმიკაშვილი, გარდა იმისა, რომ აქტიურად ეხმაურებოდა განაპირა ქალაქებსა თუ სოფლებში გამართულ წარმოდგენებს, დაუღალავად ზრუნავდა პერიფერიების თეატრალური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტისათვის. 1886 წელს, როცა ქუთაისის მუდმივი დასის მოღვაწეობით დაინტერესებულმა ადგილობრივმა საზოგადოებამ თეატრის აშენებაზე დაიწყო ზრუნვა, „ივერიაში“ დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის წერილი „ქუთაისის თეატრის შენობა“. წერილის ავტორი ქ. ქუთაისის მმართველობას მოაგონებდა თეატრის უდიდეს მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და დაბეჯითებით მოითხოვდა მისთვის ხელშეწყობას. იგი წერდა: „თეატრი ისეთივე საჭიროებაა ყოველ მოზრდილ ქალაქისათვის, როგორც ხიდი, ფარანი, სისუფთავე, ჯანმრთელობა და სხვა და სხვა. ქალაქის ვალდებულებაა მისთვის ზრუნვა. უთეატრო ქალაქის საზოგადოება ყოველთვის ზნეობით დაბლა დგას და დაბალის ინსტიქტებით რჩება, ვიდრე თეატრიანი ქალაქის საზოგადოება. ამის გამო რაკი ზნეობითი წარმატებაც ვალდებულებაა, ყოველი კეთილმოწყობილი ქალაქი ბევრს ზრუნავს და ხარჯავს თეატრის შენახვისათვის. თვით მმართველობაც ხშირად შემწეობას აძლევს ფულითა და დახმარებითა. თუმცა თეატრზე დახარჯული ფული არა ბრუნდება ფულადვე, მაგრამ ყოველი სარგებლობა ხომ ფულით და ფულად არ უბრუნდება კაცს“[1]. ამასთანავე, როგორც თვითონ ამბობს, „ყველამ იგრძნო, რომ თეატრისათვის საკუთარი ადგილი და შენობა უნდა ჰქონდეს ქალაქსა და არა ვისმე კერძო კაცსა“.

გამომდინარე აქედან, პ. უმიკაშვილი იმ აზრს იცავს, რომ „ქუთაისმა შუა ქალაქში თეატრისათვის საკუთარი ადგილი უნდა იშოვოს და საკუთარი შენობა ააგოს. ეს საჭიროება ფრიად აუცილებელი საჭიროებაა“. მანამდე კი ქალაქის მმართველობამ დროებით სათეატრო შენობაზე უნდა იზრუნოს, რომ „უთეატროდ არ დარჩეს ქუთაისის საზოგადოება“[2].

[1] პ., ქუთაისის თეატრის შენობა, „ივერია“, 1886 წ., № 135.

[2] იქვე.

პ. უმიკაშვილის თეატრალურ წერილებსა და რეცენზიებში მკითხველის ყურადღებას იქცევს ავტორის საღი მსჯელობა მსახიობის საშემსრულებლო ოსტატობაზე. მას კარგად ესმის ბუნებრივი ნიჭის, სცენური მონაცემების უდიდესი მნიშვნელობა მსახიობის შემოქმედებაში, მაგრამ არც ის ავიწყდება, რომ ბუნებრივი აქტიორული მონაცემების განვითარებისა და სრულყოფისათვის აუცილებელია სისტემატური ვარჯიში, სცენური პრაქტიკა. ამასთანავე მსახიობის ოსტატობა თვითმიზნად კი არ მიაჩნია, არამედ მოქმედი პირის შინაგანი ბუნების გამოვლენისა და მაყურებელზე ემოციური ზემოქმედების საშუალებად. სწორედ ამ თვალსაზრისით აფასებს იგი მსახიობის თამაშის ღირსებასა და ნაკლოვანებას.

გ. სუნდუკიანცის „პეპოს“ ერთ-ერთ წარმოდგენაში პ. უმიკაშვილი მსახიობ კ. ყიფიანის პროფესიულ ოსტატობას იმაში ხედავს, რომ იგი „გიქოს როლში ისეთივე ტიპი იყო ტფილისის ძველებურ მოხუც მოქალაქისა, რომელიც მან შეჰქმნა და რომელსაც ყოველთვის ცოცხლად გვისახავს ხოლმე თავისის თამაშობითა“[1]. მსახიობის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილში კრიტიკოსი წერდა: „უპირატესობა კ. დ. ყიფიანისა ის არის, რომ მისი ნიჭი ვრცელი და სხვადასხვაფერია. როცა ის გამოდის სცენაზედ, მაყურებელს ავიწყდება, რომ არტისტსა ჰხედავს, ისე საუცხოოდ ასურათებს სხვადასხვა ბუნებისა და ხასიათის ადამიანებს“[2].

გამოცდილ თეატრალს შეუმჩნეველი არ რჩება ელ. ჩერქეზიშვილის ბუნებრივი აქტიორული მონაცემები, რომლებიც, მისი სიტყვით, „ხელს უწყობს გაწვრთნას თავისი ნიჭი და მომავალში დახელოვნებული არტისტი — ქალი დადგეს“. იგი აღიარებს ახალგაზრდა მსახიობის გარკვეულ ღირსებას პეპოს დის როლში, მაგრამ იქვე დასძენს: „მის თამაშობას აფექტაცია აკლია. სიარულსა, მიხვრა-მოხვრასა და ლაპარაკში და იმ

---

1 პ., ქართული თეატრი, „ივერია“, 1888 წ., № 218.

2 პ., არტისტის კ. ყიფიანის იუბილის შესახებ, „ივერია“, 1894 წ., № 274.

დროსა, როდესაც არა ლაპარაკობს, ის გამომეტყველება არა აქვს, რომ იმის თამაშობას მკაფიო შთაბეჭდილება ჰქონდეს მაყურებელზედ, მაგრამ აქ შენიშვნასთან ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ქ-ნ ჩერქეზიშვილისა თანდათან კეთდება და, იმედია, წარმატებაც ვნახოთ. ვურჩევთ ქ-ნ ჩერქეზიშვილისას ხელ-მკლავების გაშლას და მოძრაობას ყურადღება მიაქციოს და სულ ერთ სახედ არ ათამაშებდეს და არა შლიდეს"[1].

პეპოს როლის შემსრულებელ მსახიობ დავით გამყრელიძეს პ. უმიკაშვილი ახასიათებს როგორც „მოცადინე, მოფიქრებულ და ბეჯით მოთამაშეს", რომელსაც „არსად არ ეტყობა გადამეტება, გადაცილება, მოუხერხებლობა და უშნოობა ან მიხვრა-მოხვრასა, ან სიარულსა, ან სიტყვა-პასუხსა და ან საზოგადოდ მეტყველებაში. ბორძიკი ენისა, ბორძიკი მოძრაობისა იშვიათად ემართება, თავისუფლობა ყველაფერში ეტყობა". მაგრამ მიუდგომელი თეატრალური კრიტიკოსის აზრით, დ. გამყრელიძის აქტიორული შემოქმედების ნაკლი ის არის, რომ „მეტისმეტად სადად თამაშობს და ნათამაშევსა და ნალაპარაკევს სიცხოველეს უკარგავს, ნათლად არ გვიხატავს თვალწინ და შთაბეჭდილებას მტკიცედ არ აჩენს გრძნობასა". „აქ ნაკლულევანებისაგან, — განაგრძობს პ. უმიკაშვილი, — მომდინარეობს სხვა ნაკლულევანებაც; სიჩქარე, საცა საჭირო არ არის, ხმადაბლობა, საცა საჭიროა ხმამაღლობა, ანუ ძლიერად გამოთქმა; შეუსვენებლობა, საცა შესვენება, ანუ გაგრძელებაა საჭირო, ერთის სიტყვით, გულის მოძრაობისა და გრძნობათა მღელვარების გამოთქმას აკლია მკაფიო გამოსახვა მიხვრა-მოხვრითა და ნამეტნავად ხმით. ბ-ნს გამყრელიძეს თითქოს გამბედაობა აკლდეს, თითქოს კრთებოდეს, თუმცა — კი სახის გამომეტყველებასა და მოძრაობაზე ემჩნევა, რომ ნამოქმედარს, ნათქვამსა და თქმულს კარგადა ჰგრძნობს. ჩვენი სურვილია ეს ნაკლოვანებანი აიცდინოს თავიდამ და მაშინ მართლა უკეთესად დაგვანახვებს თავის ნიჭსა და ხელოვნებას"[2].

პ. უმიკაშვილის მთელი ეს მსჯელობა ცხადად ამტკიცებს,

---

1 პ., ქართული თეატრი, „იერია", 1888 წ., № 218.

2 იქვე.

რომ კრიტიკოსი ღრმად სწვდება მსახიობის შემოქმედების თავისებურებას. მან კარგად იცის, რომ მსახიობი მარტო ტექსტის ზეპირი წარმოთქმით ვერ დაიპყრობს მაყურებლის გულსა და გონებას, თუ როლის შესაქმნელად მოხერხებულად არ იყენებს აქტიორული წარმოსახვის ყველა საშუალებას — დიქციას, უესტიკულაციას, სცენურ მოძრაობას, მიხვრა-მოხვრას და სხვა. ამიტომ დაბეჯითებით მოითხოვს აწალგაზრდა ქართველ მსახიობთა პროფესიული ოსტატობის ამაღლებას, როგორც ეროვნული თეატრალური ხელოვნების წარმატების ერთ-ერთ ძირითად პირობას.

პ. უმიკაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სასცენო მეტყველების საკითხებს. ამ მხრივ საინტერესოა მისი წერილი „მკაფიობა სცენაზე", რომელიც 1879 წელს დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში" (№ 129). წერილის დასაწყისში ავტორი გარკვევით აღნიშნავს, რომ „თეატრი უმაღლესი ხელოვნებაა, რომელშიც ყოველი განცალკევებული ხელოვნება შეერთებულია" და ამიტომ „ვრცელსა და მრავალ შრომას მოითხოვს". იგი აღიარებს ქართული წარმოდგენების უდავო წარმატებებს, მაგრამ იქვე მიუთითებს მსახიობთა სასცენო მეტყველებისათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებზე.

პ. უმიკაშვილის აზრით, მსახიობის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ უნდა დაიპყროს მაყურებლის გულისყური და მთელი მოქმედების მანძილზე თავის გავლენის ქვეშ ამყოფოს. მაგრამ ქართველ მსახიობთა მეტყველება ვერ ახდენს ამგვარ ზემოქმედებას, რადგანაც სცენაზე წარმოთქმული მათი სიტყვა ხშირად ისე იკარგება, რომ მაყურებლამდე ვერ აღწევს. იგი წერს: „ჩვენი თეატრის მოყვარენი სცენაზე როლებს ისევე ლაპარაკობენ, როგორც შინა. თუ რაიმე განსხვავებაა, განსხვავება ის არის, რომ ხმამაღლა ლაპარაკობენ; ამაშიაც ბევრჯელ მარჯვეთ არ არიან, ასე რომ მაყურებელნი წამდაუწუმ გაიძახიან „ხმამაღლაო", ყურადღებას არ აქცევენ, რომ დიდ ზალაში, დიდ ხალხში სიტყვა იკარგება, ძლივს მიაწევს, რადგანაც ხმამ საკმაო გზა უნდა გაიაროს მსმენელის ყურამდის და ამასობაშიაც დაძლიოს მცირე ხმაურობა ხველისა, ცხვირის ცემინებისა, კაბის შრიალისა და სხვა ამისთანისაგან ატეხილი, რო-

მელიც ყოველთვის შეუწყვეტელია კრებულ ხალხში. ამის გამო ლაპარაკი აქტიორისა ყოველთვის ჩქარათ გვეჩვენება, როლებიც რომ არ იციან, მაშინაც კი, რასაც ამბობენ, ჩქარა აყრიან ერთმანეთსა და ნახევარი იკარგება.

ეს საზოგადოთ მთელ ლაპარაკზე ვთქვით და სიტყვის გამოთქმა ხომ უარესი აღარ შეიძლება; ნახევარი სიტყვა ისმის და ნახევარი ჰქრება. ეს ნაკლულევანება საერთოდ ყველას ეტყობა"[1].

შესანიშნავი მოქართულე კრიტიკოსი სწორად მიუთითებს, რომ ქართულ სიტყვაში ყველა მარცვალი თითქმის თანასწორად გამოითქმის, რადგანაც ქართულ ენას არ ახასიათებს ძლიერი მახვილი. ამის უარყოფით, როგორც თვითონ ამბობს, ეროვნულ სასცენო მეტყველებაში „ყოველთვის ან სიტყვის დასაწყისი დაიკარგება მსმენელისათვის, ან დაბოლოება".

წერილის ავტორი კონკრეტულად ასახელებს ცალკეულ მსახიობთა სასცენო მეტყველებისათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს. მისი დახასიათებით, საფაროვას ქალი „ლაპარაკში ჩქარობს", შიშნიაშვილმა „ზოგი ასოების გამოთქმა მეტად ტლანქად იცის", სხვები დაჯგუფებული თანხმოვნების „გაურკვევლად, ნაკლულად გამოთქმით სიტყვებს ამახინჯებენ და რაღაც ჩიფჩიფი ისმის"[2].

ქართული ენის სიწმინდის დამცველი კრიტიკოსი მწვავედ განიცდის, რომ აღნიშნული ნაკლოვანებების გამო მშობლიურ სცენაზე სწორად „ლაპარაკის ეფექტი სრულებით იკარგება" და „ეს ყველა ცუდ შთაბეჭდილებას ამკვიდრებს მსმენელში". ამასთანავე იგი დარწმუნებულია, რომ ქართველი მსახიობები შეძლებენ ამ ნაკლოვანების დაუყოვნებლივ აღმოფხვრას და მიაღწევენ, რომ „ნამდვილი ქართული, ის ლამაზი, დაწმენდილი, მკაფიო და მეტყველი ენა, რომლითაც შუა ქართული გათქმულია, სცენაზე დამკვიდრდეს და ჩვენი საუბრის სამაგალითო მასწავლებელი შეიქნას". ამისათვის მას ძალზე საჭიროდ მიაჩნია, რომ მსახიობები საქართველოს სხვა-

---

[1] პ. უ., მკაფიობა სცენაზე, „დროება", 1879 წ., № 129.

[2] იქვე.

დასხვა კუთხეში საგასტროლო მოგზაურობის დროს კარგად დააკვირდნენ ხალხის მეტყველების თავისებურებას და თითოეული კილოს ღირსებას. როგორც თვითონ ამბობს, ქართული ენის ყველა „კილოს ღირსება რომ ჩვენს სცენაზე შეერთდეს, დაუფასებელი შრომა იქნება და დიდი დამსახურება“.

სასცენო მეტყველების სფეროში პ. უმიკაშვილი ქართველ მსახიობებს უყენებს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: „1. რომ ყოველი სიტყვა, ყოველი ასო სიტყვისა მკაფიოდ უნდა მიაწვდინონ მსმენელის ყურამდის და 2. მეცადინეობა, ხმის ორგანოების გიმნასტიკა, ვარჯიში და გასწავლა ეჭირებათ და სხვათა შორის ყოველ სათეატრო ზალაში წინათვე ხმის გაშინჯვა, ზალის სიდიდესთან ხმის შესათანხმებლად“[1].

პ. უმიკაშვილი საკუთარი თვალით ხედავდა, რომ ქართველი მსახიობები მხნედ იტანდნენ ყოველ გაჭირვებას და უანგაროდ ემსახურებოდნენ ეროვნული სასცენო ხელოვნების განვითარებას. ამიტომ იგი დაბეჯითებით მოითხოვდა მათი ღვაწლის ღირსეულად დაფასებას, რაც გარკვეულ სტიმულს მისცემდა ქართული თეატრის მოღვაწეთა შემოქმედებას. ერთ-ერთ წერილში კრიტიკოსი ამის შესახებ წერდა: „თეატრი საზოგადო საქმეა და როდესაც ხალხმა საზოგადო საქმეში მოღვაწეობის დაფასება იცის, ეს გვაჩვენებს, რომ თვით საზოგადოება ამაღლებულია იმ ხარისხამდე, როდესაც მოღვაწის შრომა თავის საუნჯედ, თავის საყვარელ რაინდად და საკუთრებად მიაჩნია.

რამდენადაც საზოგადოებაში ეს სიყვარული და პატივისცემა მოღვაწისა გავრცელდება და მოიფინება, ეს ნიშანია თვითონ საზოგადოების განვითარებისა. რამდენადაც ადრე გაიღვიძებს ეს დაფასება ნამდვილის მოღვაწისა, იმდენად თვით საზოგადოების წინსვლის მომასწავებელი იქნება, და მეორეს მხრივ, იმდენად მოღვაწეს გაუადვილდება შრომა საზოგადო ასპარეზზე“[2].

---

1 პ. უ., მკაფიობა სცენაზე, „დროება“, 1879 წ., № 129.

2 პ. უმიკაშვილი, ჩვენი ნასწავლი ქალები და თეატრი, „ივერია“, 1902 წ., № 76.

პ. უმიკაშვილი, პირველ რიგში, თვითონ ასრულებდა აღნიშნულ მოთხოვნას. მისთვის ჩვეულებრივი იყო ქართველ მსახიობთა ღვაწლის ღირსეული დაფასება, მათდამი მხარდაჭერა, მზრუნველი და წამახალისებელი დამოკიდებულება, რასაც ცხადად ამტკიცებს მისი მთელი თეატრალურ-კრიტიკული მემკვიდრეობა. 1894 წელს, მსახიობ კ. ყიფიანის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, იგი წერდა: „ჩვენ პატივსა ვცემთ სიმამაცეს, ხელში ხმლით სიკვდილს, ბრძოლის ველზე გასულს, და დღეს თითქმის პირველად განვიზრახეთ პატივისცემა კ. დ. ყიფიანისა, ამ ახალ ბრძოლის ველზე გამოსულისა“[1]. კრიტიკოსი აღნიშნავდა კ. ყიფიანის თვალსაჩინო ღვაწლს ქართულ სცენაზე, მის მიერ შესანიშნავად განსახიერებულ როლებს, რომლებმაც არა ერთხელ ააძგერეს მაყურებლის გული და სულის ამამაღლებელი ცრემლი მოჰგვარეს. „მოვიგონოთ ყველა ეს, — მიმართავდა იგი საზოგადოებას, — და ჩვენც ერთხელ მაინც დავადინოთ კმაყოფილების ცრემლი არტისტს ჩვენის თანაგრძნობითა“[2].

1902 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში პ. უმიკაშვილი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შესანიშნავ მოჭლენად თვლიდა ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავის იუბილეს, რომელიც მთელმა საქართველომ გადაუხადა ბრწყინვალე აქტიორს. კრიტიკოსი უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ ეს იუბილე იყო საქართველოს ყველა კუთხის დღესასწაული, საყვარელი მსახიობის ნიჭისა და საზოგადო ღვაწლის ღირსეული დაფასება, რაც ქართული თეატრის სხვა მოღვაწეებსაც ახალისებდა. იგი წერდა: „საცა კი საზოგადოებას რაიმე სიცოცხლის ფერი დასდებია, ყველგან გულმა იგრძნო ერთგვარი სიხარული, რომ ჩვენს ჩამორჩენილ ცხოვრებას ნიჭი მაინც არ აკლდება. პატივისცემა გამოვაცხადეთ ამ ნიჭისადმი, რომ გამოვიჩინოთ შეგნება საზო-

---

1 პ., არტისტის კ. ყიფიანის იუბილის შესახებ. „ივერია“, 1894 წ., № 274.

2 იქვე.

გადო ღვაწლის დაფასებისა". „მადლობა დროთა ბრუნვას, — განაგრძობს ავტორი, — რომ დღეს ჩვენი საზოგადოება გამოვიდა მიძინებულ მდგომარეობიდამ და ახლა შეიგნო მოღვაწის შრომის პატივისცემა. ამ შემთხვევაში თეატრი, როგორც უფრო თვალსაჩინო ასპარეზი, დააფასა ჩვენმა საზოგადოებამ, შეიყვარა სცენაზე მოღვაწე ნიჭიერი კაცები და ქალები და ამას საქვეყნოდ აცხადებს"[1].

1898 წელს „ივერიაში" დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის წერილი მსახიობ ბარბარე ავალიშვილზე. წერილის ავტორი საზოგადოებას მოკლედ აცნობდა ამ ნიჭიერი მსახიობი ქალის სასცენო მოღვაწეობას, მის აქტიურ მონაწილეობას ქართული პროფესიული თეატრის აღდგენისა და განვითარების საქმეში. ღვაწლმოსილი მსახიობის განსაკუთრებით დიდ დამსახურებას კრიტიკოსი იმაში ხედავდა, რომ მან ჯერ კიდევ 70-იან წლებში, როცა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ქალის სცენაზე გამოსვლას უნამუსობად თვლიდა, ერთ-ერთმა პირველმა დაარღვია დრომოჭმული ოჯახური ტრადიცია და თავისი მოღვაწეობა მტკიცედ დაუკავშირა ქართულ სცენას. მისმა მაგალითმა სხვებიც წაახალისა და მაშინდელ სცენისმოყვარეთა წრეს რამდენიმე ნიჭიერი მსახიობი ქალი შეემატა. „აქ პირველი და საყურადღებო საქმე ის იყო, — წერს პ. უმიკაშვილი—რომ დარბაისელ ოჯახის ქალებმა მონაწილეობა მიიღეს და შეწყვიტეს დაჟანგებულ ადათის ბორკილი, რომელიც ქალს სცენაზედ გამოსვლის ნებას არ აძლევდა და სათაკილოდ უთვლიდა. ეს ერთის ბიჯის გადადგმა იყო ჩვენს კარჩაკეტილობაში და ოჯახის ქალის პირველი მონაწილეობის მიღება იყო ეგრეთწოდებულ საზოგადო საქმეში"[2].

მუდმივი თეატრის აღდგენის შემდეგ ბარბარე ავალიშვილი კვლავ უანგაროდ, მთელი გატაცებით ემსახურებოდა ქართულ სცენას. თავის დროზე მას, როგორც დრამატული როლების საუკეთესო შემსრულებელს, ღირსეულად ეჭირა

---

[1] პ. უმიკაშვილი, ჩვენი ნასწავლი ქალები და თეატრი, „ივერია", 1902 წ., № 76.

[2] პ. უ., ბარბარე ავალიშვილისა, „ივერია", 1898 წ., № 243.

ერთ-ერთი პირველი მსახიობი ქალის ადგილი. ამიტომ პ. უმიკაშვილი მის პიროვნებაში სამართლიანად ხედავდა ეროვნული სცენისათვის თავდადებულ მოღვაწეს. იგი წერდა: „დიაღაც, ავალიშვილისა იღვწოდა თეატრისთვის, სცენისთვის. ის დღევანდლამდე ცოცხლობდა თეატრისთვის და ცხოვრება მისთვის ჰქონდა საგულვებლად და არა თეატრი თავისი ცხოვრების მოსაწყობად. მისი სიყვარული, გრძნობა, ფიქრი, სურვილი და ზრუნვა სცენაზედ იყო მიმართული და მიბმული. ცხოვრების უკუღმართობის დროსაც კი ის ეკუთვნოდა მთლად ქართულს სცენის განმტკიცებას. ეს არ უნდა დაივიწყოს ჩვენმა საზოგადოებამ, უნდა მოვიდეს გაჭირების დროს თავის საყვარელ ხელოვნების მსახურის დასახმარებლად, რომ კიდევ დაიბრუნოს იგი განახლებულის ძალით, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ისევ იმისს და საერთოდ ჩვენს საყვარელ ასპარეზზედ“[1].

ასე აფასებდა პ. უმიკაშვილი ბაბო ავალიშვილის ხანგრძლივ უმწიკვლო მოღვაწეობას ქართულ სცენაზე, რაც თავისთავად დიდი მორალური მხარდაჭერა იყო იმ დროს მძიმე სენით შეპყრობილი სახელოვანი არტისტი ქალისათვის. ამასთანავე ავტორი მკაცრად აკრიტიკებდა იმ ნასწავლ ქალებს, რომლებიც კვლავ ალმაცერად უყურებდნენ მსახიობის პროფესიას და თაკილობდნენ სცენაზე გამოსვლას. ამის შესახებ იგი წერდა: „რამდენ დაბრკოლებასა ხედავს სცენა ქალების ნაკლებობით, ყველა ჰგრძნობს, ახალი ძალა არტისტ-ქალებისა თანდათან გვაკლდება, მრავალს ოჯახში ნასწავლი ქალები ცუდაობას რჩეობენ სცენაზედ გამოსვლას და ხელოვნების სამსახურსა. ეთაკილებათ პატიოსანი სამსახური ამ საზოგადო საქმისა, თითქოს არტისტობა ნაკლებად პატივსაცემი ხელობა იყოს, ვიდრე მასწავლებლობა, კანტორებში სამსახური, ან სულ მუქთა-ჭამია ცხოვრება“[2].

აღნიშნული გარემოება სერიოზულად აფიქრებდა პ. უმიკაშვილს. ამას ადასტურებს მისი წერილი „ჩვენი ნასწავლი ქალები და თეატრი“, რომელიც 1902 წელს დაიბეჭდა „ივე-

---

1 პ. უ., ბარბარე ავალიშვილისა, „ივერია“, 1898 წ., № 243.

2 იქვე.

რიაში“. ავტორი სავსებით აქარწყლებდა საზოგადოების ერთი ნაწილის უსაფუძვლო ეჭვებს იმის შესახებ, ვითომც აქტიორობა ბღალავდეს ქალის პატიოსნებას. იგი წერდა: „მადლობა ღმერთს, ჩვენმა თეატრმა გვაჩვენა რამდენი მაგალითი, რომ მოთამაშე ყმაწვილი ქალებისაგან კარგი მეოჯახენი და კარგი შვილების დედები გამოვიდნენ. თუ ქალი თავდაცულია, თეატრშიაც თავს შეინახავს, და თუ ქარაფშუტაა უთეატროდაც იმისთანა მაშხალებს აანთებს, რომლის მსგავსს ოჯახის ქალებისგანაცა ვხედავთ ჩვენს ცხოვრებაში. განა დიდი ძებნაა საჭირო, რომ თეატრის გარეშე დავინახოთ გზადაბნეული ქალები გარედ მაღალსა და დიდ ოჯახებში და გინდ დაბალსა და პატარა ოჯახებში“[1].

პ. უმიკაშვილი ასევე დამაჯერებლად ასაბუთებდა იმ აზრის უსაფუძვლობას, თითქოს საზოგადოება პატივს არ სცემდეს სცენის მოღვაწეებს. ამის გასაბათილებლად იგი მიუთითებდა ვასო აბაშიძის იუბილეზე, რომელმაც ცხადად დაამტკიცა, რომ „სცენაზე ნიჭიერ მოთამაშეთ საზოგადოება დიდად აფასებს და თეატრის საქმეც პატიოსან საქმედ მიაჩნია“.

აღნიშნული წერილი ყოველგვარ საფუძველს აცლიდა ქალების ერთი ნაწილის უარყოფით დამოკიდებულებას მსახიობის პროფესიისადმი და მათში აღვივებდა მისწრაფებას სასცენო მოღვაწეობისაკენ. „ქალები ეხლა უნდა დარწმუნდნენ, — წერდა პ. უმიკაშვილი, — რომ თეატრის ასპარეზი დიდის მნიშვნელობისაა და მასზე მუშაობა არც საძრახისია, არც სათაკილო. თეატრი ისეთივე წმინდა ტაძარია, როგორც სასწავლებელი, პატიოსნების და კეთილის ჩამგონებელი და ბოროტის, ავის შემაძულებელი... ნუღარ ეჭნებათ ძრახვის შიში ქალებს. ვისაც შრომა უყვარს და ნიჭი აქვს, თავისის ბუჯითობით და პატიოსნად თავდაჭერით თვითონაც ამაღლდება, საზოგადოების პატივისცემასაც მოიპოვებს“[2].

---

[1] პ. უმიკაშვილი, ჩვენი ნასწავლი ქალები და თეატრი, „ივერია“ 1902 წ., № 76.

[2] იქვე.

პეტრე უმიკაშვილის თეატრალურ-კრიტიკული მემკვიდრეობიდან გარკვეულ ინტერესს იწვევს წერილები ქართული თეატრის ისტორიის შესახებ. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია პირველი ნაწილი სტატიისა — „ქართული თეატრი და ლიტერატურა“ („მოამბე“, 1900 წ., № 1), სადაც ავტორი ეხება ჩვენი თეატრის ისტორიას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. როგორც ვიცით, ეს იყო პ. უმიკაშვილის მოხსენება, წაკითხული 1900 წლის 2 იანვარს დრამატიული საზოგადოების საზეიმო კრებაზე, რომელიც ქართული თეატრის აღდგენის 50 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით გაიმართა.

იმისათვის, რომ უფრო ცხადი გახადოს გ. ერისთავის თეატრის დაარსების ისტორიული მნიშვნელობა, პ. უმიკაშვილი მკითხველს მოაგონებს საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების იმ უკიდურეს ჩამორჩენილობას, რომელიც წინ უსწრებდა ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას. იგი წერს: „ის დრო, 1850 წლამდე, მკითხველმა უნდა წარმოიდგინოს დაღვრემილ, გულდახურულობის დროდ, სულიერს სფერაში თითქოს თავში ჩაკრული იყოს მთელი მოწინავე საზოგადოება, რომელიც გონს ვერ მოსულა და ვეღარ გამორკვეულა, რა ქნას და რა გზას დაადგეს. მოწინავე საზოგადოება და თვით ხალხის ნაწილი გატაცებულია მხოლოდ ბრძოლით რუსის ჯარითურთ სახანოების და ლეკ-ჯიქეთის (ჩერქეზების) დაპყრობით, სპარსეთის და ოსმალეთის ომებით, ძველის სისხლის ასაღებად. ამ ხანში ორიოდე მოლექსე მოჩანს, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელნიცა ლირიკულ-სამიჯნურო ლექსებში მოსთქვამენ ხალხის ნაღველსაც. საზოგადოდ კი ბნელი, უკუნი წყვდიადია, რომელშიაც სისხლის აღების გარდა, არავითარი საერთო ზრუნვის გამონაჩენი სხივი არ ბჟუტავს, თითქოს საერთო საზრუნველი ადამიანის არც გონებას, არც გულს არ ეპოვებოდეს. ყველას დიდი გონებითი ძილი დასწოლია და ხალხი, მთელი საზოგადოება დამსგავსებია უაზრო ბრბოს,

უფიქრელ ხროვას, რომლის სულიერი საზრდო მარტო ხმლის ქნევა, ჰარალალე და ღვინოში ჩახრჩობაა"[1].

სწორედ ამ პერიოდზე წერდა ილია ჭავჭავაძე, რომ ეს იყო დრო „ჩვენის გონებრივისა და ეროვნულის მიმძინარებისა", „ჩვენის მოღალულობის, ჩვენის დავარდნის, ჩვენის განიადაგებისა", როცა „ხალხს და ერს მხოლოდ ხორციელის ცხოვრების ნატვრა ჰქონდა" და „ქვეყანა მხოლოდ ლუარსაბ თათქარიძეებით აივსოო"[2].

ამგვარ ვითარებაში, როგორც პ. უმიკაშვილი ამბობს, „საზოგადოების მიძინებულ გონებას და გულს უეცრად მოევლინა ქართული თეატრი, რომელმაც ზესავით გამოანათა" და ხელი შეუწყო საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების გამოღვიძებას. იწყება ჟურნალის გამოცემა, ქართულ სცენაზე იდგმება მოლიერის, შექსპირისა და სხვა მსოფლიო დრამატურგთა ნაწარმოებები, „მაყურებელს საზოგადოებრივი ნერვები ეღვიძება, გონება უფხიზლდება და ხდება თეატრის და ლიტერატურის მეგობარი, შემნახავი და მზრუნველი". „თეატრი შეიქნა ერთ შესამჩნევ ღონედ, — წერს პ. უმიკაშვილი, — რომელმაც გამოაფხიზლა ჩვენი საზოგადოების ინტერესი საქვეყნო, საერთო საქმეებისადმი; მან იგი თავისის ერის პიროვნების, თვითცნობიერების კარზე დააყენა იქამდე, რომ სახალხო გალობას და სიცილერასაც კი ეძრაობა მისცა და ბოლოს სახალხო თეატრიც ფუძნდება"[3].

პ. უმიკაშვილი სწორად აღნიშნავს, რომ მაშინ, როცა გ. ერისთავის „ცისკარში" ხალხის სასაუბრო ენა პატივისცემით არ სარგებლობდა და „ჟურნალში დღიურ ვარამზე არაფერი ისმოდა", მისსავე „თეატრში მაყურებელს ცოცხალ თამაშობასთან ყველასთვის გასაგები ენა ესმოდა", „სცენა მაყურებელს თვალწინ უხატავდა ცხოვრების ავ-კარგსა, დასცინოდა

---

1 პეტ. უმიკაშვილი, ქართული თეატრი და ლიტერატურა, „მოამბე", 1900 წ., № 1, განყ. II, გვ. 3.

2 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, 1955 წ., გვ. 275—276.

3 პეტ. უმიკაშვილი, ქართული თეატრი და ლიტერატურა, „მოამბე", 1900 წ., № 1, გვ. 5.

ჩვენს უზნეობას, უმეცრებას, სიღატაკეს აზრისას და გრძნობისას და მრავალ სხვა ნაკლულევანებასო"[1].

მართალია, გ. ერისთავის თეატრი მალე დაიხურა, მაგრამ 60-იანი წლებიდან კვლავ იღვიძებს თეატრალური ცხოვრება, ხშირად იმართება სცენისმოყვარეთა წარმოდგენები და 1879 წელს ისევ აინთო მუდმივი ქართული თეატრის ლამპარი. საგულისხმოა პ. უმიკაშვილის დებულება, რომ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოების თეატრებისაგან განსხვავებით, მუდმივი ქართული თეატრი შეიქმნა არა ოფიციალური ხელისუფლების, მეფეების ან ეკლესიის დახმარებით, არამედ ჩვენ ხალხს საკუთარი შრომით, „დიდი გაჭირვებითა და ხელმოკლეობით, დიდი ჰაპანწყვეტით, ცრემლითა და მწუხარებით მოუხდა იმის აგება", თეატრი „თითონ ხალხმა და მისმა საზოგადოებამ დააფუძნა, ინახავდა და ინახავს კიდევაცო". „ჩვენ თავმოწონებით შეგვიძლია ვთქვათ, — წერს პ. უმიკაშვილი, — რომ ქართული თეატრი ხალხმა შექმნა თავისის ძალღონით, მეცადინეობით, სიყვარულით, შრომით და არა ფულის დახმარებით. ეს ამბავი თეატრის ისტორიაში მრავალს ხალხს არ შეხვედრია. ყველა დიდ ხალხში თეატრს ხელს უწყობდა ჯერ ეკლესია, მერე სახელმწიფო და მეფეები"[2].

პ. უმიკაშვილი სავსებით სწორად მიუთითებს აგრეთვე იმის შესახებ, რომ ქართულმა თეატრმა ხელი შეუწყო ჩვენი დრამატურგიის გამოცოცხლებასა და განვითარებას. მუდმივი თეატრის აღდგენის შემდეგ ქართული სცენის რეპერტუარს ბევრი ახალი ნაწარმოები შეემატა. კრიტიკოსის აზრით, მართალია, ქართველ მწერალთა ორიგინალურ დრამატულ ნაწარმოებებს ბევრ ნაკლს ვამჩნევთ, მაგრამ კარგ ნათარგმნ და გადმოკეთებულ პიესებთან ერთად, ისინი „შეადგენენ აჭრელებულ თაიგულს, რომელიც საზოგადოებაზე მოქმედებს, მის

---

[1] პეტ. უმიკაშვილი, ქართული თეატრი და ლიტერატურა, „მოამბე", 1900 წ., № 1, გვ. 6.

[2] იქვე, გვ. 9—10.

გონების გახსნას ეხმარება". დავით ერისთავის მიერ ფრანგული პიესიდან გადმოკეთებული „სამშობლოს" შესახებ პ. უმიკაშვილი ამბობს: „ვიქტორიენ სარდუს პიესა „მამული", გადმოქართულებული „სამშობლოდ", დღევანდლამდე საყვარელ პიესად ითვლება. პირველ ხანებში ის იყო იმგვარ პიესათაგანი, რომელნიც საზოგადოებაზე რაღაცა გრძნეულის, ჯადოს ძალით მოქმედებენ. ქართველი მაყურებელი თეატრის შენობიდან გამოჰყავს გადახალისებული, გაკეთილშობილებული, ამაღლებული, ვიდრე გუშინ იყო"[1].

დაკვირვებული ჟურნალისტი და კრიტიკოსი იმასაც მართებულად აღნიშნავს, რომ ქართულმა თეატრმა განსაკუთრებით მძლავრი ბიძგი მისცა ჩვენი თარგმნითი დრამატურგიის განვითარებას. „თეატრი რომ არ გვქონოდა, — წერს პ. უმიკაშვილი, — გადაწყვეტით ვიტყვით, დრამატიულ თხზულებათა ის სიმდიდრე არ შეემატებოდა ჩვენს ლიტერატურას, რაც ახლა აქვს. ამგვარად, თეატრმა ქართული ლიტერატურა გაამდიდრა თარგმანებით, გამოაცოცხლა, ფრთა შეასხა და განაახლა მისი მდინარება. მისი ნაყოფი ჯერ კიდევ შეუმჩნეველია, რა აწარმოვა ჩვენს აზროვნებაზე, ჩვენის გონების გამოფხიზლებაზე, სულიერს სიცოცხლეზე"[2].

პ. უმიკაშვილი ქართული თარგმნითი დრამატურგიის მკვეთრი აღმავლობის უდიდეს მნიშვნელობას იმაში ხედავდა, რომ ჩვენი ხალხი ამ თარგმანებით გაეცნო მსოფლიო კულტურის მიღწევებს, გახდა მასი მოზიარე და შემთვისებელი. რაც შეეხება ორიგინალური დრამატურგიის საერთო ჩამორჩენას, იმ ფაქტს, რომ ქართულმა მწერლობამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია სცენურ ნაწარმოებთა შინაარსისა და ფორმის კლასიკურ სრულყოფას, პ. უმიკაშვილი გარკვევით აღნიშნავდა: „არ უნდა მივეცეთ სასოწარკვეთილებას, თუ ჩვენი ორიგინალური მწერლობა თეატრისათვის ჯერ ვერ გვაძლევს კლასიკურს ნაწარმოებსა, ორმოცდაათი წელიწადი ისეთი ხანა არ არის და

---

[1] პეტ. უმიკაშვილი, ქართული თეატრი და ლიტერატურა, „მოამბე", 1900 წ., № 1, გვ. 7—8.

[2] იქვე. გვ. 11—12.

ისეთი გარემოება არ შეხვედრია ჩვენს მწერლობას, რომ შეექმნა და გამოეყვანა კლასიკური დრამატიული მწერალი"[1].

პ. უმიკაშვილი უდავოდ მართალია იმაში, რომ ჩვენი ორიგინალური დრამატურგია ძლიერ ჩამორჩებოდა ევროპის კლასიკურ დრამატურგიას. მას სწორადა აქვს ახსნილი ამ ჩამორჩენის ობიექტური მიზეზებიც. მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ პ. უმიკაშვილის შეხედულებას, თითქოს ქართველ მწერალთა ორიგინალური დრამატული ნაწარმოებები „ვერაფერი შეძენაა ქართული თეატრისა და ლიტერატურისათვის", — გ. ერისთავის „გაყრა" და „დავა", „შეუმუშავებელი ესკიზებია და არა განვითარებული, შალაშინგაკრული დრამა", ა. წერეთლის დრამები „სურათებია, სრულებით დრამის ტექნიკას მოკლებული", ხოლო ავ. ცაგარლის პიესები „უბრალო სურათებია, ოხუნჯური ფრაზებით შევსებული"[2].

ქართველ მწერალთა ორიგინალური დრამატული ნაწარმოებების ასეთი მკაცრი და ცალმხრივი შეფასება, ცხადია, სწორი არ იყო, რადგანაც ამგვარი მიდგომით ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიის ნამდვილ სურათს ვერ მივიღებთ. მიუხედავად ნაკლოვანებებისა, აღნიშნულმა ნაწარმოებებმა გარკვეული როლი ითამაშეს ჩვენი დრამატურგიისა და თეატრის ისტორიაში. ამიტომ პ. უმიკაშვილი აშკარად ცდება, როცა ხელაღებით უარყოფს ამ ნაწარმოებების ლიტერატურულ და სცენურ ღირსებას.

პეტრე უმიკაშვილის ვერც იმ შეხედულებას გავიზიარებთ, თითქოს გასული საუკუნის მიწურულში ქართული თეატრი ჯერ კიდევ არ იყო ნაციონალური თეატრის გამომსახველი. იგი წერდა: „ჯერჯერობით ქართული თეატრი არ არის გამომსახველი ნაციონალური თეატრისა. ჯერ იგი ვერ ხატავს ჩვენს ხასიათ-ზნეს, ჩვენს ტემპერამენტს, ჩვენს პიროვნებას კერძობითს და შემკრებლობითს". გამომდინარე აქედან, როგორც თვითონ ამბობს, „ქართულ თეატრს მომავალში საგნად ერთი

---

1 პეტ. უმიკაშვილი. ქართული თეატრი და ლიტერატურა, „მოამბე", 1900 წ., № 1, გვ. 12—13.

2 იქვე.

მიზანი უჩნდება. შეჰქმნას ნაციონალური თეატრი, ესე იგი გამოსახოს ჩვენი ნამდვილი ცხოვრება, ჩვენის ხასიათით, ტემპერამენტით"[1].

მართალია, ქართულ თეატრს ნაკლი ბევრი ჰქონდა, მაგრამ იმის თქმა, რომ იგი სრულებით არ გამოხატავდა ჩვენს ცხოვრებასა და ეროვნულ ხასიათს, მეტისმეტად მკაცრი და გადაჭარბებულია. ამგვარი მოსაზრება ლოგიკურად გამომდინარეობდა პ. უმიკაშვილის იმ მცდარი დებულებიდან, რომელიც სავსებით უარყოფდა ჩვენი თეატრის ორიგინალური რეპერტუარის ყოველგვარ ღირსებას.

მიუხედავად ამ შეცდომებისა, უნდა ითქვას, რომ პ. უმიკაშვილის ზემოხსენებული სტატია ძირითადად სწორად აშუქებდა ქართული თეატრის აღდგენისა და განვითარების უმთავრეს მომენტებს. ამიტომ მას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ქართული თეატრის ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის ნიადაგის მოსამზადებლად.

ქართული თეატრის ისტორიის საინტერესო მასალებს შეიცავს პ. უმიკაშვილის ვრცელი მოგონება — „ჩვენი თეატრის თავგადასავალი", რომელიც 1899 წელს დაიბეჭდა „ივერიაში" (№№ 209—213). ავტორი, უწინარეს ყოვლისა, მკითხველს აცნობს ჩვენი თეატრალური კულტურის იმ სავალალო მდგომარეობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ორმოცდაათიანი წლების თეატრის დახურვის შემდეგ, ვიდრე რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილი ახალი თაობა აქტიურ ბრძოლას გააჩაღებდა ეროვნული თეატრის აღდგენისათვის.

საგულისხმოა, რომ პ. უმიკაშვილი ქართული თეატრის აღდგენისათვის მოძრაობის დაწყებას უკავშირებს ილია ჭავჭავაძის მიერ 1859 წელს შექსპირის „მეფე ლირის" თემაზე გამართულ ცოცხალ სურათებს. ი. ჭავჭავაძეს ეს ცოცხალი სურათები მოუწყვია თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის სააქტო დარბაზში, სადაც 1850 წლის 2 იანვარს გ. ერისთავის თეატრის პირველი სპექტაკლი გაიმართა. პ. უმიკაშვილი ამის

---

1 პ. უმიკაშვილი , ქართული თეატრი და ლიტერატურა, „მოამბე", 1900 წ., № 1, გვ. 13—14.

შესახებ ამბობს: „ვინ იფიქრებდა, რომ ქართულის თეატრის განახლების მიზეზი უნდა გამხდარიყო ისევ ეს დარბაზი, რომელშიაც პირველი ქართული წარმოდგენა ნახა საზოგადოებამ“[1].

ამ ცოცხალი სურათების გამართვას გიმნაზიის მოსწავლეები წაუქეზებია და მათ 1861 წელს, გიმნაზიის იმავე დარბაზში, გ. ერისთავის „გაყრა“ და ზ. ანტონოვის „მე მინდა კნეინა გავხდე“ წარმოუდგენიათ. პ. უმიკაშვილის ინიციატივითა და რეჟისორობით გამართული ეს წარმოდგენა მაყურებელს საკმაოდ მოსწონებია. როგორც პ. უმიკაშვილი გადმოგვცემს, ერთ-ერთი მოსწავლის თამაშით აღფრთოვანებულ გ. ერისთავს უთქვამს: „მე რომ ამისთანა აქტიორები მყოლოდა, რაღა მიჭირდაო“.

პირველი წარმატებით გამხნევებულ პ. უმიკაშვილს სიამოვნებით მიუღია ანტონ ფურცელაძის წინადადება და 1861 წლის 16 ნოემბერს, იმავე მოსწავლეთა ძალებით, აღნიშნული პიესები სახალხო თეატრის სცენაზეც დაუდგამს. „სცენაზე გამოსვლის წინ ყმაწვილებმა გულის გასამაგრებლად ღვინო დალიეს“, მაგრამ „მთელმა წარმოდგენამ აღტაცების გრგვინვით გაიარაო“, — იგონებს პ. უმიკაშვილი.

1862 წლის თებერვლის შუა რიცხვებში სცენისმოყვარე ახალგაზრდებს მეორე წარმოდგენა გაუმართავთ სახალხო სცენაზე. ამჯერად დაუდგამთ ბარბარე ჯორჯაძის პიესა „შური“ და დიმიტრი ყიფიანის მიერ თარგმნილი პიესა „ცოლის შერთვევინება“. წარმოდგენას საზოგადოება ნაკლებად დასწრებია, თუმცა ბილეთების ორი მესამედი მაინც გაყიდულა. მაყურებელი ვერ დაუკმაყოფილებია ბარბარე ჯორჯაძის პიესას, რომელიც გონებაგახსნილ მოსწავლეებს ადრევე დაუწუნებიათ, მაგრამ ივ. კერესელიძეს და ანტ. ფურცელაძეს მათთვის, როგორც იტყვიან, თავზე მოუხვევიათ ამ პიესის დადგმა — „მწერალი ქალის პიესა უნდა დავანახოთ საზოგადოებასო“. სხვათა შორის, აღნიშნულ წარმოდგენაში პირველად გამოსულა სცენაზე 13 წლის კოტე ყიფიანი, რომელმაც შემდეგ

[1] პეტრე უმიკაშვილი, ჩვენი თეატრის თავგადასავალი, „ცნობის ფურცელი“, 1899 წ., № 210.

დიდი ღვაწლი დასდო ქართული თეატრალური კულტურის განვითარებას.

ვინაიდან წარმოდგენების მომზადებას ბევრი დრო სჭირდებოდა, ხოლო მოსწავლეების მეცადინეობისაგან მოცდენა სასურველი არ იყო, პ. უმიკაშვილს, ანტ. ფურცელაძესთან ერთად, კანცელარიებში მომსახურე და თავისუფალი ახალგაზრდებისგან შეუდგენია სცენისმოყვარეთა წრე. მაგრამ სცენაზე გამომსვლელი ქალების მონახვა გასჭირვებია. მას კითხვა-კითხვით უძებნია სახლებში და ორი ნამსახიობარი ქალი ძლივს დაუთანხმებია, რომ მონაწილეობა მიეღოთ წარმოდგენებში. მიუხედავად ამისა, როგორც პ. უმიკაშვილი გადმოგვცემს, სცენისმოყვარეთა აღნიშნული წრე დროგამოშვებით მაინც ახერხებდა სპექტაკლების გამართვას.

აი, როგორ ახასიათებს პ. უმიკაშვილი ქართული სასცენო ხელოვნების მდგომარეობას 1861 წლიდან მუდმივი თეატრის განახლებამდე: „ამგვარად, წელიწადში თითო-ოროლა წარმოდგენა იმართებოდა და ისე მივიწყებული აღარ დარჩა ქართული სცენა, როგორც 1861 წლამდე იყო. მაშინდელ მონაწილეთა ღვაწლი სცენის შესახებ ის არის, რომ საზოგადოებას გაახსენეს ქართული სცენის საჭიროება და მიძინებისაგან გამოაფხიზლეს. კიდევ დიდხანს უნდა გაევლო, რომ მოყვარულთა სპექტაკლები გადაქცეულიყო სამუდამო სცენად, მუდმივის არტისტებით. 1861 წლიდგან 1879 წლამდე გაგრძელდა ეს ხანა, ესე იგი მთელი თვრამეტი წელიწადი. ეს სწორედ ღოღიალი იყო სასცენო ხელოვნებისა, მაგრამ ეს ღოღიალიც კი ითხოვდა შრომას, ზრუნვას და თავისუფალ დროს მონაწილეთაგან. ღოღიალი მაინც იყო და არა ძილი, უძრაობა, დავიწყება, უზრუნველობა, რაიცა უღრის უიმედობას, სიკვდილს“, „ამ ღოღიალსაც თავისი ისტორია აქვს, — განაგრძობს პ. უმიკაშვილი, — ამ ღოღიალშიაც თანდათან ფეხის გადადგმა დაინახება“[1].

1866 წლიდან სცენისმოყვარეთა წარმოდგენების გამარ-

---

[1] პეტრე უმიკაშვილი, ჩვენი თეატრის თავგადასავალი, „ივერია“, 1899 წ., № 211.

თვას სათაეში ჩასდგომიან გაზეთ „დროების“ რედაქციასთან დაახლოებული მწერლები. წარმოდგენები უმთავრესად იმართებოდა დროებით საამისოდ დაქირავებულ კერძო სახლებში, რადგანაც თბილისის ერთადერთი სახელმწიფო თეატრის დარბაზი იჯარით ჰქონდა აღებული იტალიური ოპერის ანტრეპრენიორს და მისი დაქირავება შეიძლებოდა მხოლოდ დღის საათებში და ისიც ძალზე ძვირი ფასით. ამ პერიოდში გამართული ერთ-ერთი წარმოდგენის შესახებ პ. უმიკაშვილი გადმოგვცემს: „მე მახსოვს წარმოდგენა მუხრანიანთ სახლებში, მუხრანიანთ ქუჩაზე. თამაშობდნენ აკაკი წერეთლის პიესას, „ცისკარში“ ახლად დაბეჭდილს, „ძველსა და ახალს შუა“. სხვათა შორის, მთავარი როლები ჰქონდათ ავტორს და გიორგი წერეთელს. ქალის როლში იყო სომხის აქტრისა, იზმიროვის მეუღლე, რომელიც კარგ აქტრისად ითვლებოდა“[1].

1868—1869 წლებში მეტნაკლები რეგულარობით სპექტაკლებს მართავდა ნიკო ავალიშვილის მიერ შედგენილი დასი. ამ სპექტაკლების მხატვრული დონე ძალზე დაბალი ყოფილა, რასაც თავის დროსაც აღნიშნავდა პ. უმიკაშვილი. იგი კვლავ იმეორებს: „არაფერი არტისტული არა ჩანდა ამ სპექტაკლებში, ეს იყო უბრალო თამაშობა და არა წარმოდგენა, რომელმაც ესთეტიკური შთაბეჭდილება უნდა იქონიოს მაყურებელზე, ილუზია რეალურის მოქმედებისა, ტიპებისა და არა მასხრული ლაპარაკი. ხალხი ნაკლებად დადიოდა, ასე რომ ამისთანა დასი ეგონებ ხარჯსაც ძლივს გაუძღვებოდა“[2].

პ. უმიკაშვილის გადმოცემით, ნ. ავალიშვილს მონდომება

---

1 პეტრე უმიკაშვილი, ჩვენი თეატრის თავგადასავალი, „ივერია“, 1899 წ., № 211. როგორც „დროებაში“ დაბეჭდილი განცხადებიდან ირკვევა, აღნიშნული წარმოდგენა დანიშნული ყოფილა „ნემეცის კლუბში“. მაგრამ რატომღაც არჩილ მუხრან-ბატონის სახლში გაუმართავთ 1868 წლის 9 თებერვალს (იხ. „დროება“, 1868 წ., № 5—6). ამ წარმოდგენის შესახებ საინტერესო მოგონებები ეკუთვნით აკაკი წერეთელს („გახსენება თეატრის შესახებ“ და „ქართული თეატრის დაარსება საქართველოში“, თხზ., ტ. XIV, 1961 წ., გვ. 369, 461) და ნიკო ავალიშვილს („ჩვენი თეატრის მატიანედან“, „დროება“, 1910 წ., № 23).

2 პეტრე უმიკაშვილი, ჩვენი თეატრის თავგადასავალი, „ივერია“, 1899 წ., № 211.

და შრომა არ დაუკლია, მაგრამ აღნიშნული დასის მოღვაწეობა მაინც მალე შეწყვეტილა, რადგანაც საზოგადოებაში ნიადაგი არ ყოფილა მომზადებული მუდმივი დასის არსებობისათვის. იგი წერს: „სურათი ჩვენი თეატრის ცხოვრებისა საზოგადოდ 1869 წელს შეიძლებოდა ასე გამოგვესახა: ფხიზლდება მცირედი წრე სცენის მოყვარეთა, საზოგადოება კი გულგრილად უყურებს მათ მეცადინეობას. მოხშირებით სცენის მოყვარეთაც ვერ მოუხერხებიათ სახალხოდ წარმოდგენები ჰმართონ, რადგან ნაკლებნი არიან სცენაზე გამოსვლის შნოს მჭონებელნი. სცენის მოყვარეთა წრეში მონაწილე ქალები ვერ ჰბედავენ სცენაზე გამოსვლას, რეპერტუარი მეტად ღარიბი და დაძველებულია. წარმოდგენის გასამართავად არაფერი შესაფერი სცენა არ იშოვება სახელმწიფო თეატრს გარდა, რომლის დაქირავება ძვირად ღირს. არავინ შეძლებულიც არ იპოვება ჩვენს საზოგადოებაში, რომ მეცენატობა გაუწიოს. ყველაზე უმეტესად შესამჩნევი ის გარემოებაა, რომ ქართულ თეატრს არა ჰყავს პუბლიკა, რომელიც ყოველთვის და ყველგან მისი სულის ჩამდგმელია“[1].

ასეთ ვითარებაში, პ. უმიკაშვილის აზრით, საჭირო იყო რამე ღონისძიების გამოძებნა, რომელიც ეროვნულ სცენას საზოგადოების ფართო მხარდაჭერას მოუპოვებდა. ბოლოს გამოუძებნიათ ერთი საშუალება. ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს დაუწყიათ შინაური წარმოდგენებისა და ლიტერატურული შეკრება-საღამოების გამართვა. ამ წარმოდგენების ორგანიზატორები ყოფილან სერგეი მესხი, ნიკო ავალიშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ბარბარე ხერხეულიძე და ელენე ყიფიანი, ხოლო ლიტერატურულ საღამოებში მონაწილეობა მიუღიათ ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, რაფიელ ერისთავს, დიმიტრი ყიფიანს და დავით ერისთავს. პ. უმიკაშვილის მართებული თქმით, ეს „წარმოდგენები და საღამოები, ქველმოქმედების აზრით გამართულები, წინამორბედობა იყო მუდმივი სცენისა“.

---

[1] პეტრე უმიკაშვილი, ჩვენი თეატრის თავგადასავალი, „ივერია“, 1899 წ., № 212.

მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა, შინაურ წარმოდგენებს ფეხი მტკიცედ მოუკიდნიათ, მოთამაშენი ერთმანეთს დაახლოებიან და შეუდგენიათ სცენისმოყვარეთა პატარა წრე, რომელიც თანდათან ისე მომძლავრებულა, რომ ბოლოს მას სახალხო წარმოდგენების გამართვაც დაუწყია. რაც მთავარია, ამ წარმოდგენებში მონაწილეობა მიუღიათ ოჯახის ქალებს, არისტოკრატული გვარის მანდილოსნებს, რომლებიც ადრე ვერ ბედავდნენ სცენაზე გამოსვლას. „რაც უნდა იყოს, — ვკითხულობთ პ. უმიკაშვილის მოგონებაში, — წარმოდგენები ერთმანეთს მისდევდა და თანდათან ხშირდებოდა. შესდგა ჯგუფები მოთამაშეთა და მაყურებელთა. ნემეცების და კრუჟოკის კლუბის დარბაზები შეიქნა თავშესაფარი ქართული წარმოდგენებისა და ხარჯი იმოდენა ჰქონდა თითო წარმოდგენას, რომ შუათანად ხარჯს ჰფარავდა და ცოტა რამ ძლივს გადარჩენილი საქველმოქმედო დაწესებულებას ეძლეოდა. საზოგადოებაში რამდენადმე ინტერესმა გამოიფხიზლა და საქველმოქმედო წარმოდგენები იზიდავდა ზოგჯერ რუსებსაც, რომელნიც მოდიოდნენ სანახავად, როგორც სეირის საყურებლად, ვნახოთ რა არის ქართული წარმოდგენაო?“[1].

1878 წლის შემოდგომასა და ზამთარში გამართული სპექტაკლები იმდენად მაღალი ხარისხის ყოფილა, რომ შესაძლებელი გამხდარა რეგულარული ხასიათი მისცემოდა სცენისმოყვარეთა საქმიანობას. როგორც პ. უმიკაშვილი ამბობს, მუდმივი სცენის არსებობისათვის ამ დროს „ნიადაგი უკვე მომზადებულია და საქმისათვის საჭირო იყო ხელმძღვანელები ამოერჩიათ სცენის მოყვარულთა“. მათ აურჩევიათ დიმ. ყიფიანი, გ. თუმანიშვილი, ნ. ავალიშვილი, ალ. სარაჯიშვილი და იოს. ბაქრაძე, რომელთაც შეუდგენიათ „ქართული თეატრის კომიტეტი“.

პეტრე უმიკაშვილის გადმოცემით, აღნიშნულ კომიტეტს, უწინარეს ყოვლისა, მოთამაშეთა შორის უნდა მოესპო უთანხმოება. შეედგინა მუდმივი დასი, ეზრუნა რიგიანი რეპერტუ-

---

[1] პეტრე უმიკაშვილი, ჩვენი თეატრის თავგადასავალი, „ივერია“, 1899 წ., № 212.

არის შექმნისათვის, მოეწყო გარდერობი და რეკვიზიტი, ფული ეშოვნა და პრემია დაეწესებინა ახალი პიესების ავტორებისთვის. 1879 წლის მაისში ხსენებულ კომიტეტს შეუდგენია მუდმივი დასი და მასთან დაუდვია კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავდა აქტიორებსა და კომიტეტს შორის ურთიერთდამოკიდებულებას. დასში შესულან სცენის მოყვარეთა ჯგუფებიდან დაწინაურებული აქტიორები: ბაბო ავალიშვილი, ნატო გაბუნია, ბაბო კორინთელი, მაკო საფაროვი, მარიამ ყიფიანი, კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, ნიკო შიშნიაშვილი, ზაალ მაჩაბელი, ავქსენტი ცაგარელი და სხვ. კომიტეტს რეჟისორობა მიუნდვია გ. თუმანიშვილისთვის.

აი, როგორ ახასიათებს პ. უმიკაშვილი განახლებული მუდმივი ქართული თეატრის პირველ სეზონს, რომელიც 1879 წლის პირველ სექტემბერს დაიწყო: „1879 წლის სექტემბრიდამ 1880 წლის 1 მარტამდის, ესე იგი 6 თვეში, სამუდამო სცენის დასმა გამართა 26 წარმოდგენა, ესე იგი 6 თვეში ხან ოთხი, ხან ხუთი. ეს დიდი წინ წაწევა იყო საქმისა. ითამაშეს 38 პიესა. ამათში ძველი პიესა იყო 18 და დანარჩენი 20 პირველად წარმოდგენილი, რომელთაგან 11 პიესა სულ ახლად დაწერილი იყო საკუთრად განახლებულ სცენისათვის. ეს უკანასკნელი გარემოება, ახალი პიესების გამოჩენა, საბუთია იმისი, რომ ინტერესი აღძრა მწერლობაში განახლებულმა სცენამ. იმგვარივე ინტერესი აღძრა საზოგადოებაში. რომლის დასაფასებლად საკმაოა მოვიხსენო, რომ თეატრს ექვსის თვის განმავლობაში 26 წარმოდგენიდამ შემოსავალი ჰქონდა 10.94ა მანეთი.

ზემოხსენებულმა სეზონმა ასე კარგად ჩაიარა და საზოგადოება დაარწმუნა, რომ მუდმივი სცენის შენახვა შესაძლებელი ყოფილა“[1].

პეტრე უმიკაშვილი ბოლოს ეხება ქართული დრამატიული საზოგადოების დაარსებას, მაგრამ იქვე აცხადებს, რომ „საზოგადოების მუშაობაზე ამჯერად განზრახვა არა მაქვს ვილა-

---

1 პეტრე უმიკაშვილი, ჩვენი თეატრის თავგადასავალი, „ივერია“, 1899 წ., № 213.

პარაკოო“. ჩვენც ამით დავამთავრებთ პ. უმიკაშვილის ზემოხსენებული მოგონების განხილვას.

1893 წელს ჟურნალ „კვალში“ (№ 9) დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის წერილი „ანტონოვის და ერისთავის ურთიერთობის შესახებ“. ეს წერილი გამოუწვევია განსვენებულ ივ. კერესელიძის მოგონებას — „ჩვენი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი“, რომელიც ამავე წელს დაიბეჭდა „ივერიაში“ (№ 17).

დასახელებულ მოგონებას პ. უმიკაშვილი ძალზე აღუშფოთებია, რადგანაც იგი სრულიად უსაფუძვლოდ ამცირებდა გ. ერისთავის, როგორც დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის, 50-იანი წლების ქართული თეატრის ხელმძღვანელის ღირსებას. მოგონების ავტორი გ. ერისთავს ახასიათებდა როგორც შურიან პიროვნებას, რომელიც თეატრის დირექტორად მუშაობის პერიოდში თითქოს ყოველნაირად ავიწროებდა ზურაბ ანტონოვს. თვითონ კი ხშირად სხვის დაწერილ პიესებს ითვისებდა.

პ. უმიკაშვილი, უწინარეს ყოვლისა, მოგონებაში დაშვებულ ფაქტობრივ შეცდომებზე მიუთითებდა, ხოლო გ. ერისთავის მიმართ წამოყენებული ბრალდებების გამო გულისტკივილით წერდა: „რამდენად დასაჯერებელია ეს ყველა მას შემდეგ. რაც წერილში მოტანილ ფაქტების არევ-დარევა, შეცვლა და გადაბრუნება მოვიხსენეთ, დიდ ეჭვს უბადებს წერილის წამკითხველს. ეჭვს თავისი სახელი აქვს, მაგრამ ამაზე უმეტესად ის გარემოებაა შესამჩნევი, რომ უნდა მოისმინოთ საზოგადო მოღვაწეზე, ქართული თეატრის დამფუძნებელზე, პირველ ქართულ ჟურნალის გამომცემელზე, პირველ მოამაგე მწერალზე გულსაკლავი, სულის აღმაშფოთებელი, საზიზღარი ვითარება მისის ცხოვრებისა. ყველას გვიყვარს, გვსურს, გვენატრება და გონებაში გვეხატება საზოგადო მოღვაწე, საზოგადო საქმის მეთაური კაცი, როგორც მაღალის თვისების და განსპეტაკებულის ღირსების კაცი, გაწმენდილი ყოველის მწიკლოვანებისაგან, მტკიცე, დარწმუნებული თავის საქმის სიმართლეზე და მის უეჭვო გამარჯვებაზე; მოსიყვარულე და შემტკბობი თანამშრომელთა, წამქეზებელი და წამხალისებელი მის გვერდით მდგომთა, შემაგულიანებელი და გამტაცე-

ბელი გარს მყოფთა: გაფაციცებით თვალყურის მდევნელ., ფხიზლობისას და თვით ძილშიაც. ყოველისფრისა. რაც კი საქმემდის მიმყვან გზაზე საკეთილო ან საზიანო ჩნდება, ერისხანე და შემტევი მებრძოლი. რაც ეწინააღმდეგება განზრახვის ასრულებასა"[1].

პეტრე უმიკაშვილმა სავსებით გააქარწყლა გ. ერისთავის პიროვნების ის უმართებლო დახასიათება, რომელიც ივ. კერესელიძის მოგონებაში იყო მოცემული. ამასთანავე მან სასტიკად დაგმო საზოგადო მოღვაწის ღირსებასა თუ ნაკლოვანებებზე ცალმხრივი და მიკერძოებული მსჯელობა. იგი წერდა: „კეთილი გონიერება მოითხოვს საზოგადო მოღვაწეზე ლაპარაკის დროს სიფრთხილე ვიხმაროთ მათს ღირსების და ნაკლულევანების შესახებ. ჩვენ გულფიცხობას საზღვარი არა აქვს. ან ცამდის ავიყვანთ ხოლმე, თუ ღირსება აქვს, და ჯოჯოხეთამდე ჩავაძვრენთ. თუ ნაკლულოვანებას შევამჩნევთ. არაფერ ღონისძიებას არ ვზოგავთ მეტადრე კაცის დამცირებისა და ფეხქვეშ გათელვისათვის. რამდენადაც საზოგადო მოღვაწე საჩენია, იმდენად ჩვენი გულფიცხობა მეტია, უსამართლოა და დაბრმავებულია, საზოგადოების გამრყვნელია და საქმის წამხდენელია. საზოგადო მოღვაწე კაცის პატიოსნების და ღირსების დაცვის ნაცვლად. ცას ვეწევით, როდესაც კი შეგვიძლიან ფეხქვეშ გავთელოთ მისი ღირსება. ამჟამად ერისთავზე ახდა ეს ამბავი. გიორგი ერისთავის სახელს იქნებ. არ ეჭირვებოდეს დაცვა. მას მკვიდრი ძეგლი უდგას თეატრის და მწერლობის საქმეში. მაგრამ როდესაც საზოგადო ძვირფას სახელს შეეხებიან. მეტადრე მის სიკვდილს შემდეგ. გაუგებრობით ან შეცდომით, მასზედ გაჩუმება არ შეიძლება. განსვენებულის კერესელიძის წერილი შეცდომით სავსეა და ამიტომ მისი გარკვევა საჭიროდ დავინახეთ"[2].

დასასრულ, პ. უმიკაშვილი დაბეჯითებით იმეორებდა, რომ

---

1 პეტრე უმიკაშვილი, ანტონოვის და ერისთავის ურთიერთობის შესახებ. „კვალი", 1893 წ., № 9, გვ. 3—4.

2 იქვე, გვ. 5.

გ. ერისთავს, ისე როგორც ყველა ადამიანს, „შესაძლოა ხარვეზები ნაკლოვანება ჰქონდა რამე, მაგრამ ეს ნაკლოვანება რომ მომთხრელი ყოფილიყოს მისივე მოღვაწეობისა, არაფერი საბუთი არ გვაქვს“.

პეტრე უმიკაშვილის ამ წერილზე უმთავრესად იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ კიდევ ერთხელ გვეჩვენებინა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მისი ავტორი ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა ჯეროვან ობიექტურ დაფასებას და როგორ შეურიგებლად იბრძოდა მათი ღირსების უმართებულო დამცირების წინააღმდეგ.

ამრიგად, ვამთავრებთ რა პ. უმიკაშვილის თეატრალურ-კრიტიკული წერილების განხილვას, გარკვევით უნდა ითქვას, რომ ამ წერილებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გ. ერისთავისეული მუდმივი ქართული თეატრის აღდგენისა და ჩვენი ეროვნული სასცენო ხელოვნების განვითარების საქმეში. მართალია, აღნიშნულ წერილებს პრაქტიციზმის დაღი ამჩნევია. მაგრამ მათში ახალი ქართული თეატრის მიმდინარე ცხოვრებისა და ისტორიის მთელი რიგი მომენტების სავსებით სწორი გაშუქებაა მოცემული. ეს წერილები გამსჭვალულია უაღრესად პროგრესული და ღრმად რეალისტური თვალსაზრისით, ჯანსაღი ოპტიმიზმითა და მებრძოლი ტენდენციურობით, რაც მათ ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად თანაბედროვე მნიშვნელობასაც უნარჩუნებს.

პეტრე უმიკაშვილი, როგორც ჟურნალისტი და კრიტიკოსი. აქტიურად ეხმაურებოდა ქართული მუსიკალური კულტურის იმ აღმავლობას, რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. ამას ადასტურებს მისი საგაზეთო წერილები ქართული ეროვნული გალობისა და ხალხური სიმღერების ჩაწერისა და შემუშავების ცალკეულ საკითხებზე.

1878 წელს „ივერიაში“ (№ 39) დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის წერილი „ქართული საეკლესიო გალობა“. წერილის დასაწყისში ავტორი მიუთითებს ხალხის იმ დიდ ინტერესსა და აღტაცებაზე, რომელიც სიონში გამართულ ქართულ გალობას გამოუწვევია. ეს აღტაცება, როგორც პ. უმიკაშვილი ამბობს, იმით აიხსნება, რომ „ქართული გალობა, რომელიც ხალხის

კილოზე შეჩუშავდა და ათასი წლის განმავლობაში საქართველოს ტაძრებში, მონაატრებში და მეჯლისებში გაისმოდა". უკანასკნელ პერიოდში „თითქმის დავიწყებულ იქნა". ამიტომ, მისი აზრით, „აუცილებელია არ უნდა მიგვაჩნდეს ის გარემოება, რომ ქალაქის ხალხი სიყვარულით და სიხარულით შეიკრიბა ეკლესიაში თავისი საკუთარი გალობის მოსასმენად".

ამ საქმის მოთავეებს ქართული გალობა მისი ჩაწერისა და აღდგენის მიზნით გაუმართავთ, რისთვისაც მგალობელთა ორი გუნდი შეუდგენიათ. ერთ გუნდს ქართლ-კახეთის კილოზე შეუსრულებია გალობა, ხოლო მეორეს იმერეთ-გურიის კილოზე. პ. უმიკაშვილი გარკვეით აღნიშნავდა იმ არსებით თავისებურებას, რაც ქართული გალობის ამ ორ კილოს ერთიმეორისაგან ანსხვავებს. იგი წერდა: „ორსავე (ქართლ-კახეთისა და იმერეთ-გურიის) გალობის ძირითადი ხმები (მოტივები) ერთი და იგივეა, მაგრამ ხმის ამაღლება და დადაბლება, დაკლაკნა და გადასვლა ორსავ გალობას შესამჩნევად ერთმანეთისაგან ჰყოფს და ერთმანეთში ასხვავებს. ქართლ-კახეთის გალობა სრულის გაღებულის პირით იგალობება, იმერეთ-გურული კი ღიღინით, გუგუნით, ცოტათი ცხვირში და ამასთანავე ხმის რეკით, თითქოს დიდ-პარასკევის ზარები რეკდესო.

ხმის შეწყობითა და ჰარმონიით განსხვავება ცხადია. ქართლ-კახეთის გალობა წარმოგიდგენთ აღმტაცს, ამაღლებულს, სასიხარულო და სადღესასწაულო ღაღადებას, იმერეთ-გურული გალობა კი ღრმას, უსაზღვროს, საიდუმლოს, შორეულს, დამდაბლებულს, მოწიწებულს გრძნობას. იმერეთ-გურულს გალობაზე ამბობდნენ — „იაია" ძალიან ბევრიაო. იმას კი ყურადღებას არ აქცევენ, რა ხმები არის ამ „იაიას" გალობაში: ეს მთელი ზღვაა ხმებისა, რომელშიაც, როგორც ზვირთი ძლიერი იბადება და ბოლოს ინთქმის თვალ-გაუწვდენელს ზღვაშია, ისე გრძნობის ზვირთები ერთმანეთსა სდევენ, მიდიან და მიაქვთ კაცის გონება სადღაცა უსამზღვრო საიდუმლოებაში. თავდება ამ დასის ხმები და მოისმის ქართლ-კახეთის დასის გალობა. წინა ხმებით საღმთო სიღრმეში ჩანთქმული კაცის ოცნება გამოჰყავს სამხიარულო, სადღესასწაულო

და გამარჯვებულს ღაღადებას, თითქოს ფრთაშესხმული ძლევამოსილ დიდებაში შეიყვანაო"[1].

გამომდინარე აქედან, პ. უმიკაშვილი, ქართული გალობის აღდგენის მიზნით, აუცილებლად თვლიდა ორივე კილოზე შესრულებული გალობის ჩაწერას, რისთვისაც საჭიროდ მიაჩნდა გალობის მცოდნე პირების მოძებნა საქართველოს ყველა კუთხეში, მათგან ორი გუნდის შედგენა და ორივე გუნდის მიერ ჩასაწერად გამიზნული გალობის წინასწარ მომზადება. ამავე დროს იგი მოითხოვდა, რომ გალობის ჩაწერა მიენდოთ სათანადო მუსიკალური განათლების მქონე პიროვნებისთვის, რომელიც ზედმიწევნით გაითვალისწინებდა ჩვენი ეროვნული მუსიკის თავისებურებას და კვალიფიციურად გაღაიტანდა ნოტებზე ქართული გალობის ყველა ნიუანსს.

ქართული გალობისა და საერო სიმღერების აღდგენისა და გავრცელების პრაქტიკულ საკითხებს ეხებოდა აგრეთვე პ. უმიკაშვილის წერილები — „რამდენიმე შენიშვნა ქართული გალობის ნოტებზე გადაღებისათვის" („ივერია", 1878 წ., № 44), „ქართული საეკლესიო გალობა" („დროება", 1882 წ., № 9) და „გალობის გავრცელება" („დროება", 1882 წ., № 148). ერთ-ერთ წერილში იგი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ოთხი წელიწადი იქნება, რაც ქართული გალობის აღმდგენი კომიტეტი დაარსდა (იგულისხმება „იმერეთის კომიტეტი"), „მეცადინეობა და ხარჯიც გასწია, მაგრამ გალობის საქმე დღევანდლამდე იმავე მდგომარეობაშია დარჩენილი, როგორც კომიტეტის დაარსების წინად იყოო". მისი სიტყვით, „ჯამაგირით დაჭერილი მგალობლები თავის ჯამაგირს იღებდნენ", მაგრამ მათ მგალობელთა არც ერთი გუნდი არ შეუდგენიათ და სხვებისთვის არ უსწავლებიათ გალობა, რადგანაც უფიქრიათ, „რაკი ჩვენ სხვებს ვასწავლით, ჯამაგირს მოგვიკლებენ და ცარიელზე დავრჩებითო"[2].

პეტრე უმიკაშვილი დაბეჯითებით მოითხოვდა აღნიშნულ

---

1 პ. უ., ქართული საეკლესიო გალობა, „ივერია", 1878 წ., № 39, გვ. 5—6.

2 ანჩხატელი, ქართული საეკლესიო გალობა, „დროება", 1882 წ., № 9.

ჭდგომარეობის გამოსწორებას. მომდევნო წერილში იგი წერდა: „მარტო იმის თქმა, რომ ქართული გალობა თუ სიმღერა ეიცოდეთო, არ კმარა. ერთი-ორი კაცი რომ საყდარში იდგეს და გალობდეს, ეს გალობის აღდგენა არ არის; ერთმა კაცმა რომ ყველა მოტივები და ხმები იცოდეს, ეს გალობის აღდგენა არ იქნება; ნოტები რომ ძალიანაც კარგად ნაწერი იყოს, ეს გალობის აღდგენა არ იქნება; ამ ნოტის დამწერლებს და ამ თითო მგალობლებს რომ ჯამაგირები და პენსიები ეძლიოსთ, ეს გალობის აღდგენა არ იქნება.

აღდგენა იმასა ჰქვიან, როდესაც ხალხში მოიფინება, გავრცელდება, ბევრნი იქნებიან მცოდნენი... როდესაც ყოველ სამეჯლისო სადილზე და ლხინში ქართული სიმღერების და გალობის შეწყობილს ხმებს გავიგონებთ, შინ და გარეთ, ეკლესიაში და თეატრში, ქუჩაში და გემზე, მაშინ იქნება აღდგენა ჩვენის გალობა-სიმღერისა. წარმატებას და სისრულეში შესვლას მაშინ ექმნება საძირკველი ჩადგმული“[1].

როგორც ვხედავთ, პ. უმიკაშვილი დაუცხრომლად ზრუნავდა ქართული სიმღერა-გალობის აღდგენისა და გავრცელებისათვის. მაგრამ გარკვევით უნდა ითქვას, რომ იგი ეროვნული სიმღერისა და გალობის გავრცელებას თვითმიზნად კი არ თვლიდა, არამედ ხალხის გათვითცნობიერებისა და ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელოვან საშუალებად. მისი სიტყვით, „გალობას და სიმღერას დიდი პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს, როგორც თვითეულ კაცის აღზრდისათვის, აგრეთვე მთელი ხალხის აღზრდაში“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამ მხრივ პ. უმიკაშვილის წერილი — „ქართველ მგალობელ-მომღერალთა გუნდს“, რომელიც 1887 წელს დაიბეჭდა „ივერიაში“ (№№ 191, 192). წერილის დასაწყისში ავტორი კმაყოფილებით აღნიშნავდა ქართული გალობისა და საერო სიმღერების შესწავლა-გავრცელების საქმეში მიღწეულ პირველ წარმატებებს, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ამ დროს საგრძნობლად გაცხოველდა ეროვნული გალობისა და ხალხური კილოების ჩაწერა

---

[1] ნ. ჩხეიძე. გალობის გავრცელება, „დროება“, 1882 წ., № 148.

და შემუშავება, დაიბეჭდა ა. ბენაშვილის მიერ ჩაწერილი ხალხური სიმღერების კრებული — „ქართული ხმები", გაიმართა ლ. აღნიაშვილის მიერ დაარსებული ქართული ხალხური სიმღერების გუნდის პირველი კონცერტი, ქალაქისა და სოფლის სკოლებთან თავი იჩინეს მოსწავლე ყმაწვილების მგალობელ-მომღერალთა გუნდებმა და სხვ.

პეტრე უმიკაშვილი აუცილებელ საჭიროებად თვლიდა ქართული გალობისა და საერო სიმღერების შესწავლას ყველა სასულიერო სასწავლებელსა და სახალხო სკოლაში. იგი წერდა: „სოფლებისა და ქალაქების სასწავლებლებში საეკლესიო გალობის და საერო სიმღერების შესწავლის გავრცელება აუცილებელი საჭიროებაა. გალობა და სიმღერა ადამიანის სულიერი მოთხოვნილებაა, საპედაგოგიო საგანია, ისე როგორც თვით წიგნი, წერა-კითხვა და სხვ. ამიტომ თანდათან ჩვენს სკოლებში, საცა კი გონებაგახსნილი, გონიერი მასწავლებელია და ბუნებით ყურთა სმენა არ აკლია, უეჭველად ამ საქმეს გულიანად ხელი უნდა მოჰკიდონ. დიდი ზემოქმედება სიმღერისა და გალობისა ზრდის და აკეთილშობილებს არამცთუ მარტო თვით მოსწავლესა, არამედ მის მსმენელსაც. არ შეიძლება დავივიწყოთ, მაგალითად, რას იწერებიან სოფლებიდგან, როდესაც რომელისამე სოფლის საყდარში სკოლის გუნდი გალობს, სოფლის ხალხი რა გრძნობით ისმენს და ამის შემდეგ რა სიყვარულს უჩენს სკოლასა. ამ ამბების გაგონების შემდეგ სწუხარ, რატომ ჩვენ სოფლების და ქალაქების ყოველ სასწავლებელში მასწავლებელნი ყურადღებას არ აქცევენ ამ საგანსაო. მაგრამ, მალე იქნება თუ გვიან, უეჭველად ყველგან მიხვდებიან და გალობა-სიმღერა გავრცელდება სოფლის სკოლებში: ბუნებაც ამას ითხოვს, მეცნიერებაც და თვით ხალხის ცხოვრებაც"[1].

პეტრე უმიკაშვილის ზემოხსენებული წერილი ძირითადად ეხება ლ. აღნიაშვილის გუნდის დანიშნულებასა და საარსებო წყაროს. ავტორი, უწინარეს ყოვლისა, მიუთითებს იმ დიდ

---

1 პ., ქართველ მგალობელ-მომღერალთა გუნდს, „ივერია", 1887 № 191.

აღტაცებაზე. რომელიც ამ გუნდის პირველმა საჯარო კონცერტმა გამოიწვია მოწინავე ქართველ ინტელიგენციაში. ეს კონცერტი გაიმართა 1886 წლის 13 ნოემბერს და ჩვენი მუსიკალური კულტურის მართლაც დიდმნიშვნელოვან მოვლენად იქნა მიჩნეული. ილია ჭავჭავაძემ მას ორი მოწინავე სტატია მიუძღვნა „ივერიაში“.

განსაკუთრებით საინტერესოა პ. უმიკაშვილის შეხედულება ქართული ხალხური სიმღერების შეკრების, შემუშავების და შესწავლის მნიშვნელობისა და ამ საქმეში ლ. აღნიაშვილის გუნდის დანიშნულების შესახებ. იგი წერს: „ბ-ნ აღნიაშვილის გუნდს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მას ამოურჩევია ერთადერთი საგანი -- ქართული საერო სიმღერა, რომელიც უნდა შეიკრიბოს და ხელოვნურად შეისწავლონ და გადმოგვცენ. ჩვენის ფიქრით, ეს უნდა იყოს უმთავრესი საგანი ამ გუნდისა.

გუნდის შედგენა სწორედ რომ ბედნიერი აზრია ბ-ნ აღნიაშვილისა. ეს საგანი ძვირფასი საგანია იმდენად, რამდენადაც საზოგადოდ ძვირფასი ღვაწლია რომელისამე ერის განსაკუთრებული გალობა-სიმღერის შესწავლა, გაცნობა, შემუშავება და შეკრება ამ ერის სხვადასხვა მოტივებისა. ჩვენთვის საკუთრად საყვარელი და სასურველია ამ განზრახვის წარმატება, რადგანაც იგი ერის საკუთარის ბუნების გამონაჩენია და სულის ნაწარმოებია. ქართულ გალობა-სიმღერის საქმის წარმატება ძვირფასია, ჯერ როგორადაც საზოგადოდ ხელოვნების საგანი და მერე როგორც საპედაგოგო, აღმზრდელობითი. საერო ხმების გალობა-სიმღერის მნიშვნელობა ყველგან, ყველა ხალხებში ცნობილია და ამ მნიშვნელობის განმარტებაზე მრავალი ტრაქტატებია დაწერილი“[1].

გარდა ამისა, ლ. აღნიაშვილის გუნდის მოღვაწეობას პ. უმიკაშვილის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ იგი ჩვენი მუსიკალური კულტურის საუნჯეს ამდიდრებს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან აღებული მელოდიებით.

---

[1] პ., ქართველ მგალობელ-მომღერალთა გუნდს, „ივერია“, 1887 წ., № 191.

როგორც თვითონ ამბობს, ვინაიდან კახურ სიმღერას იშვიათად გაიგონებს კაცი გურიაში და ასევე გურულ სიმღერას კახეთში, „ამ სხვადასხვა კუთხის სიმღერა-გალობათა შესწავლას რაკი ძოახერხებს გუნდი, ვთქვათ, ტფილისში რაკი შეჰკრებს სხვადასხვა კილოს ქართული მოტივებისას, ეს ცოდნა მოიფინება ყველგან საქართველოში და ამით გამდიდრდება, შეივსება, მრავალფეროვანი შეიქმნება წინად ღარიბი და ერთფეროვანი მოტივი რომელისამე კუთხისა“. ხოლო, მისივე სიტყვით, „რამდენადაც მდიდარია მოტივი და მელოდია“, იმდენად დიდია „მისი პედაგოგიური, აღმზრდელობითი, პოეტური და საზოგადოდ ხელოვნებითი მნიშვნელობა“. „მცირეოდენ ხანში ჩვენ ვნახეთ ამ გუნდის შრომა, -- წერს პ. უმიკაშვილი, — მის კონცერტებში გვესმის სხვადასხვა კუთხის საერო სიმღერები, გვაცნობებს საერო მელოდიების კილოსა და მის მრავალფერობასა. სასიამოვნო ის არის, რომ ამ გუნდის მოთავე, მმართველი ბ-ნი რატილი ამ მელოდიის მოტივებს ევროპიულ ნოტებზე სწერს და ამით ქართულს ხმებს სიჰკვიდრე ეძლევა და აღარ დაგვეკარგება, თუ კარგის სინამდვილით არის გადაღებული და დაბეჭდილი“[1].

მაგრამ პ. უმიკაშვილს სერიოზულად აფიქრებდა ლ. აღნიაშვილის გუნდის მომავალი, რადგანაც ამ გუნდს, გარდა კონცერტებიდან მიღებული შემოსავლისა, არსებობის სხვა არავითარი საშუალება არ გააჩნდა, ხოლო მას შემდეგ. რაც პირველი კონცერტით გამოწვეული აღტაცება მინელდა, საზოგადოება სულ უფრო ნაკლებად ესწრებოდა მომღერალთა ჩვენებული გუნდის გამოსვლებს. მიუხედავად იმისა, რომ მომღერლები გასამრჯელოს არ იღებდნენ. გუნდი აუცილებელ ხარჯებსაც ძლივს ფარავდა. „დღეს კი ჩვენი ცხოვრება ისეა მოწყობილი, — ამბობს პ. უმიკაშვილი, — რომ რაც ეხლა ხარჯი მოსდით მომღერალთ, იმასაც თურმე ძლივსა ჰფარავენ. ამის გამო ფრიად საზრუნველი საქმე უხდება გუნ-

---

1 პ., ქართველ მგალობელ-მომღერალთა გუნდს, „იერია“, 1887 წ., № 191.

დის მოთავეს და საზრუნველია ყველასათვის, ვისაც ესმის და თანაუგრძნობს ამ საქმის მნიშვნელობას"[1].

პეტრე უმიკაშვილი ყოველმხრივ უკვირდება, ეძებს, რა გზით შეიძლება აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორება და მიუთითებს ევროპის დაწინაურებული ქვეყნების მაგალითზე, სადაც, მისი სიტყვით, მგალობელ-მომღერალთა გუნდები უმეტესად „არიან ან ეკლესიებში მგალობელნი, ან თეატრებში მომღერალნი, ან სამუსიკო დაბალ და მაღალ სასწავლებლებში" და „თავის გალობა-სიმღერას მუსიკის საკრავებთან აერთებენ". როგორც თვითონ ამბობს, „ეხლა მუსიკის და სიმღერის ხელოვნება შეერთებულია ერთად თეატრებში და სკოლებში, მას უფრო ეტანება მოსწავლეცა და მსმენელიც". „აქედამ ვგონებ ცხადად სჩანს დაბრკოლება, — წერს პ. უმიკაშვილი, რომელიც დახვდება ყოველ მომღერალთა გუნდსა. თუ საგნად მხოლოდ სიმღერა აქვს ცალკედ. უმუსიკოდ. ეს დაბრკოლება ჰხვდება ჩვენს მომღერალთა გუნდსაც"[2].

შემდეგ, პ. უმიკაშვილი გალობა-სიმღერას ადარებს ხელოვნების სხვა დარგებს და გარკვევით აღნიშნავს, რომ „სამუსიკო გალობა-სიმღერას უფრო მარტივი და შევიწროებული ასპარეზი აქვს". ვიდრე, ვთქვათ, სასცენო ხელოვნებას, რომელსაც „ცხოვრებაში დიდი ასპარეზი დაუპყრია და ხალხიც მომეტებულად ეტანებაო". ამიტომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია, ლ. აღნიაშვილის მომღერალთა გუნდმა „ისეთ სფეროში მიიღოს მონაწილეობა, რომელშიაც სიმღერა-გალობა თავით თვისით განმარტოებული და განკერძოებული საგანი კი არ არის, არამედ შეერთებულია სხვა ხელოვნებასთან". იგი წერს: „ჩვენ გვგონია, რომ ბ-ნ აღნიაშვილის გუნდი თავის განზრახულ საქმეს არ გადაუხვევს, თუ მგალობელ-მომღერალთა გუნდად გადაიქცევა, ესე იგი, თუ საერო სიმღერასთან ქართულ საეკლესიო გალობასაც შეისწავლის და პრაქტიკულად იმუშავებს ეკლესიაშიც და თეატრშიც. მას ეს პრაქტიკული მოსაქმეობა, იმედია, რასმე ნივთიერს შემწეობას აღმოუ-

[1] პ., ქართველ მგალობელ-მომღერალთა გუნდს, „ივერია", 1867 წ., № 191.

[2] იქვე, № 192.

ჩენს, ფეხს მოაკიდებინებს პრაქტიკულად ცხოვრებაში და აჰ ასპარეზზე თანდათან წინ წასწევს განზრახულს საგანსაც"[1].

როგორც ვხედავთ, პ. უმიკაშვილი ქართველ მომღერალთა გუნდს, უწინარეს ყოვლისა, ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ურჩევს საეკლესიო გალობის შესწავლას. მაგრამ იმასაც მოაგონებს, რომ „საღმრთო გალობის დიდი მნიშვნელობა ადამიანის ისტორიის უპირველეს დროიდგან ცნობილია დღევანდლამდე და ჩვენს ჟამშიაც თითქმის არც ერთი გენიოსი და ნიჭიერი კომპოზიტორი არა ყოფილა, რომ ამ საეკლესიო გალობაზე და მუსიკაზე არ გაწვრთნილიყოს როგორც ევროპაში, ისე სხვაგანო". რაც შეეხება თეატრს, აქ, მისი სიტყვით, „სიმღერა-გალობა ხმაშეწყობილ-შეკრულია ადამიანის სიცოცხლის მოქმედებასთან, მოძრაობასთან, მხატვრობასთან, ქანდაკებასა და არხიტექტურასთან, მუსიკასა და პოეზიასთან. მრავალფერობა ხელოვნებისა სიმღერითურთ ერთიერთმანეთზე გადაბმულია ერთ მშვენიერ კოსად, რომლისაგანაც კაცი ერთიანს ზემოქმედებასა ჰგრძნობს და არ იღალება". „ჩვენი თეატრი, სცენა, ღღეს თუმცა სუსტია, ოპერა არა აქვს, — ამბობს პ. უმიკაშვილი, — მაგრამ მრავალი სასცენო პიესებია, რომელშიაც სამღერალები არის და ამის გამო მომღერალთა გუნდი დასჭირდება. შემდეგში შესაძლებელია ნელნელა ოპერებიც გადმოღებულ იქმნას და მაშინ ხომ მომღერალთა გუნდი უეჭველი შეიქნება"[2].

---

1 პ., ქართველ მგალობელ-მომღერალთა გუნდს, „იერია", 1887 წ., № 192.

2 იქვე, საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძე ლ. აღნიაშვილის გუნდის პირველი საჯარო გამოსვლისთანავე საჭიროდ თვლიდა ქართული თეატრალური ხელოვნებისა და ხალხური მუსიკის ურთიერთდაკავშირებას. იგი წერდა: „ნუთუ კარგი არ იქნებოდა, რომ ჩვენმა დრამატიულმა დასმა ეს ახალი საქმე, ხოროთი გალობა ქართულის ხმებისა, ზედ გადააბას წარმოდგენებსა! ეს აზრი და სურვილი ბევრმა გამოსთქვა თვით თეატრშიც, და ჩვენც სხვასთან ერთად გვგონია, რომ ეს ორი საქმე ერთმანეთს შეაკვებს და ერთმანეთს უშველის ამრავალფეროს სიამოვნება და, მაშასადამე, თეატრში მოსიარულე საზოგადოებაც ამრავლოს და ბლომად მოიწვიოს. ეს გარემოება ორის ერთგვარად სასურველ და სანატრელ სიამოვნებისა ერთსაც ახეირებს და მეორესაც, როცა ორივე დაიმუშავებულ იქნებიან ჩვენდა გასართობად" (თხზ., ტ. III, თბ., 1953 წ., გვ. 151).

წერილის დასასრულს პ. უმიკაშვილი ყურადღებას ამახვილებს თბილისის სამუსიკო სასწავლებელზე, სადაც, მისი სიტყვით, ქართველი მოსწავლე „თითქმის არაეინ მოიპოვება“ და ამიტომ კარგი იქნება ლ. აღნიაშვილს „თავისი გუნდი ამ სკოლასთან მოეწყო“. მეორე მხრივ, როგორც თვითონ ამბობს, „სამუსიკო სკოლას, დაარსებულს საქართველოს დედაქალაქში, დიდ ღირსებად ჩაეთვლება, რომ თავის ჭერქვეშ მოეთავსებინა ისეთი განყოფილება მოსწავლეთა, რომელნიც აღმოსავლობრივს გალობა-სიმღერაზე შრომასა სწევენ და იქნება საქვეყნო სახელი შეუძინონ სასწავლებელსა“[1].

„ეს ყოველივე ჩვენი პოსაზრება წარმოვადგინეთ იმ განზრახვით, — დაასკვნის პ. უმიკაშვილი, — რომ უყურადღებოდ დატოვება ბ-ნ აღნიაშვილის გუნდი'ა არ შეიძლება. დედააზრი ჩვენი ის არის, რომ ახლად დაწყებულს საგანს, ქართულ გალობა-სიმღერის საქმეს, მკვიდრი საფუძველი ძიეცეს, მის წარმატებას ასცდეს დაბრკოლება და უქმი შრომა, წვალება და სატანჯველი“[2].

ლ. აღნიაშვილის გუნდს „წვალება და სატანჯველი“ არ ასცდენია, მაგრამ ვერავითარმა დაბრკოლებამ ვერ შეაფერხა მის მიერ დაწყებული საქმის წარმატება. მიუხედავად უკიდურესი გაჭირვებისა, ამ გუნდის მოღვაწეობამ ქართული ხალხური სიმღერების შეკრების, დამუშავებისა და გავრცელების საქმეს მტკიცე საფუძველი ჩაუყარა და საქვეყნოდ გამოაჩინა ჩვენი ეროვნული მუსიკის ავ-კარგი. რასაც მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო კერძოდ ქართული კულტურის განვითარების თვალსაზრისით, არამედ ეროვნული ბრძოლის თვალსაზრისითაც. პ. უმიკაშვილის ზემოგანხილული წერილის მიზანსაც სწორედ ეს შეადგენდა.

პეტრე უმიკაშვილს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე არ შეუნელებია ყურადღება ქართული მუსიკალური კულტურისადმი. 1901 წელს „ივერიაში“ (№ 184) დაიბეჭდა მისი წე-

---

1 პ., ქართველ მგალობელ-მომღერალთა გუნდს. „ივერია“, 1887 წ., № 192.

2 იქვე.

რილი — „ფონოგრაფიით გადაღებული სახალხო სიმღერა“. ავტორის სიტყვით, „დღევანდლამდე ნოტებზე გადამღებნი ვერ ახერხებენ, რომ სრული სინამდვილით დასწერონ სახალხო მელოდიები და ამიტომ ფონოგრაფით წერა აუცილებელი საჭიროებაა“. იგი ჩვენი მუსიკალური კულტურის მნიშვნელოვან მოვლენად თვლის ზაქარია ფალიაშვილის მიერ კახეთსა და გურიაში ფონოგრაფით ხალხური სიმღერების ჩაწერას. „მადლობის ღირსია წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა, — ამბობს პ. უმიკაშვილი, — რომ დასაწყისი მისცა ამ საქმეს და ბატონ ფალიაშვილს დააწერინა სახალხო მელოდიები, რომელიც სკოლებში სამღერლად უფრო საჭიროა, ვიდრე დღევანდლამდე ნაწერი ნოტები მცირე მცოდნე კაცებისა“[1].

პეტრე უმიკაშვილს ეკუთვნის აგრეთვე წერილი — „სვანური მელოდიები (ახლად ჩაწერილი ფონოგრაფით)“, რომელიც 1903 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (№ 2223, 31/VII). ავტორი კვლავ მადლობას უხდის ზაქარია ფალიაშვილს, რომელმაც „წერა-კითხვის საზოგადოების“ დახმარებით სვანეთში იმოგზაურა და ფონოგრაფით ჩასწერა ხალხური მელოდიები. ამის შედეგად, როგორც პ. უმიკაშვილი ამბობს, „დღევანდლამდე ჩვენთვის უცნობი და ძნელად შესახვედრი სვანური სიმღერების და გალობის კილო ახლა უცნობი აღარ იქნება“.

სვანური მელოდიებიდან პ. უმიკაშვილზე განსაკუთრებით ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია მიცვალებულის დასატირებელ, ზარის მელოდიას. მისი სიტყვით, „ეს მეტად ძლიერი, გულის სიღრმემდის ჩამწვდომი გოდებაა, რომლითაც მეზარეს სწადიან მთისა და ბარის შეძვრა და შემუსვრა ძვირფასი კაცის, თავის წევრის დაკარგვის გამო“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პ. უმიკაშვილის მოსაზრება სვანური მელოდიების რაჭულ და ქართლ-კახურ მელოდიებთან მსგავსების შესახებ. იგი წერს: „საზოგადოდ, როგორც ვთქვით, სვანური მელოდია ძალიან ახლოა რაჭულ

---

1 პ., ფონოგრაფით გადაღებული სახალხო სიმღერა, „ივერია“, 1901 წ., № 184.

მელოდიასთან და ხომ ვიცით, რაჭული მელოდია უფრო ახლოა ქართლ-კახეთის მელოდიასთან, ვიდრე იმერულ-გურულთან. უნდა კი მოვიხსენოთ, რომ ორიოდე გურული და მეგრული მელოდიაც შესულა, მაგრამ ისე იმღერიან და სახელითაც იხსენიებენ, როგორც გურულს და მეგრულს"[1].

ამით ვამთავრებთ პ. უმიკაშვილის იმ წერილების განხილვას, რომლებიც ქართული მუსიკის ცალკეულ საკითხებს ეხება. თუმცა ამ წერილების ვრცელი ანალიზი არ იყო მოცემული, მაგრამ ეს შეზღუდული განხილვაც ნათელყოფს პ. უმიკაშვილის დაუცხრომელ ზრუნვას ჩვენი მუსიკალური კულტურის აღორძინებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

1. პ. უ., სვანური მელოდიები (ახლად ჩაწერილი ფონოგრაფით), „ცნობის ფურცელი", 1903 წ., № 2223, 31/VII. საგულისხმოა, რომ ზოგი სვანური და რაჭული სიმღერის მსგავსებას ქართლ-კახურ სიმღერებთან ყურადღება მიაქცია ზაქარია ფალიაშვილმაც (იხ. მისი ანგარიში სვანეთში მოგზაურობის შესახებ, „ივერია", 1903 წ., № 175).

დასკვნა

როგორც ვნახეთ, პ. უმიკაშვილი თერგდალეულთა თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სახელოვან თანამებრძოლებთან ერთად მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას. მისი მოღვაწეობა, ისე როგორც სხვა თერგდალეულებისა, მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო.

პ. უმიკაშვილი 25 წლის განმავლობაში მუშაობდა ქართული ენის მასწავლებლად და გულმოდგინედ უნერგავდა ნორჩ თაობას მხურვალე სიყვარულს მშობლიური ენისა და ლიტერატურისადმი. მან შეადგინა „ქართული ანბანი" და „დედანი ქართული წერისა", რომლებიც რამდენჯერმე დაიბეჭდა. მიუხედავად ნაკლოვანებებისა, ამ წიგნებმა თავის დროზე მნიშვნელოვანი სამსახური გაუწიეს ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას.

პ. უმიკაშვილმა თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარა ქართველ მწერალთა ნაწერების გამოცემისათვის. მისი რედაქტორობით ან მონაწილეობით გამოიცა „ვისრამიანი", ვახტანგ მეექვსის „დასტურლამალი", სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის და სხვების ნაწერები, აგრეთვე იაფფასიანი სახალხო წიგნაკები. პ. უმიკაშვილის რედაქტორობით გამოცემული წიგნების ერთი ნაწილი მეცნიერულ-კრიტიკული ხასიათის გამოცემებია, რომლებსაც დართული აქვს რედაქტორის საყურადღებო მეცნიერული ნარკვევები და კომენტარები.

პ. უმიკაშვილს განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და გამოქვეყნების საქმეში. მან ამ მიმართულებით თავის თანამედროვეთა შორის ყველაზე მეტი გააკეთა. პ. უმიკაშვილმა შექმნა ქართული ხალხური შემოქმედების მდიდარი კოლექცია, რომლის ნაწილს მაშინდელი პრესის ფურცლებზე ან ცალკე კრებულების სახით აქვეყნებდა, ხოლო სრული სახით ჩვენს დროში გამოიცა. უდავოდ სწორია პროფ. მ. ჩიქოვანის დებულება, რომ პ. უმიკაშვილი „მარტო შემკრებლობითი მუშაობის პიონერად კი არ უნდა მივიჩნიოთ, როგორც ამას აღნიშნავს სოფრომ მგალობლიშვილი, არამედ ზეპირსიტყვიერების პირველ თეორეტიკოსად და პოპულარიზატორად ჩვენში, თავისი დროის თვალსაჩინო მკვლევრად“[1].

1874 წლიდან 1880 წლამდე პ. უმიკაშვილი რედაქტორობდა „სასოფლო გაზეთს“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა სოფლად სწავლა-განათლების გავრცელების, გლეხობის გათვითცნობიერებისა და ზნეობრივი ამაღლების საქმეში. ამასთანავე იგი აქტიურად თანამშრომლობდა თავისი დროის თითქმის ყველა ქართულ ჟურნალსა და გაზეთში. პ. უმიკაშვილს ეკუთვნის მეტად საინტერესო პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები და ნარკვევები ქართული მწერლობის, თეატრის, სწავლა-განათლების, ეკონომიკისა და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

თავის პუბლიცისტურ წერილებში პ. უმიკაშვილი გვევლინება როგორც ტიპიური განმანათლებელი, რომელიც გამოხატავს სასტიკ მტრობას ბატონყმობისა და ყველა მისი გამოვლინებისადმი ეკონომიურ, სოციალურ და იურიდიულ დარგში. იგი მხურვალედ იცავს სწავლა-განათლებას, თვითმმართველობას, თავისუფლებას, ცხოვრების მოწინავე ფორმებს. პ. უმიკაშვილი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ბატონყმობის გაუქმებასა და მისი ნაშთების მოსპობას თან მოჰყვებოდა საყოველთაო კეთილდღეობა და ენერგიულად ცდი-

---

1 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. III, თბ., 1964 წ., გვ. 22.

ლობდა ამისათვის ხელის შეწყობას. იგი მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოჰყოფდა, როგორც თავისი განსაკუთრებული ყურადღების საგანს, ლაპარაკობდა არა მარტო ხალხზე საერთოდ, არამედ ერზეც კი საერთოდ.

პ. უმიკაშვილი მხარს უჭერდა ჩვენში სამრეწველო და საგაჭრო კაპიტალიზმის განვითარებას, როგორც ქვეყნის ეკონომიური აღმავლობის აუცილებელ პირობას, მაგრამ ამავე დროს მკაცრად აკრიტიკებდა ადამიანის ექსპლოატაციისა და ძარცვა-გლეჯის თავისუფლებაზე დამყარებული ბურჟუაზიული ურთიერთობის სოციალურ-პოლიტიკურ მანკიერებას. პ. უმიკაშვილს განსაკუთრებით აშინებდა საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში უცხოეთის კაპიტალის ექსპანსია და დაბეჯითებით მოითხოვდა ნაციონალური კაპიტალის გაძლიერებას, რაც იმ პერიოდისათვის უაღრესად პროგრესული იყო.

პ. უმიკაშვილი, ისე როგორც თერგდალეულთა თაობის ბევრი სხვა წარმომადგენელი, აგრარული საკითხის მოწესრიგების, სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მნიშვნელოვან საშუალებად თვლიდა ფეოდალურ მემამულური მიწათმფლობელობის ნაცვლად თავისუფალი წვრილგლეხური მეურნეობების შექმნას და სოფლად საამხანაგო ბანკების დაარსებას. თუმცა ეს უნიადაგო ოცნება იყო, მაგრამ ამ ოცნებაშიც გარკვევით იგრძნობა პ. უმიკაშვილის დაუცხრომელი ზრუნვა სოფლის მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

პ. უმიკაშვილი მტკიცედ იდგა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე და შეუპოვრად გამოდიოდა იმ შინაური თუ გარეშე მტრების წინააღმდეგ, რომლებიც ბოროტ განზრახვას იჩენდნენ ჩვენი ისტორიის, ენისა და კულტურის მიმართ. ამავე დროს იგი უარყოფდა ნაციონალურ კარჩაკეტილობას და დაუღალავად ქადაგებდა ერთა ურთიერთთანამშრომლობისა და მეგობრობის იდეას. მისი წერილები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებზე ხელს უწყობდა ჩვენი ხალხის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას, სხვა ხალხებთან მეგობრული ურთიერთობის დაცვასა და განვითარებას.

თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში პ. უმიკაშვილი გვევლინება, როგორც ესთეტიკის ზოგადი საკითხებისა და ქართული მწერლობის ზედმიწევნით მცოდნე, პროგრესულად მოაზროვნე კრიტიკოსი. ამ წერილებში იგი თანმიმდევრულად იცავდა კრიტიკული რეალიზმის იმ მოწინავე თეორიას, რომელიც ქართულ ლიტერატურაში თერგდალეულთა თაობამ დაამკვიდრა. პ. უმიკაშვილი ძირითადად სწორად აფასებდა ქართული ლიტერატურის განვლილ გზასა და ცალკეულ მწერალთა შემოქმედების იდეურ-მხატვრულ ღირსებას და ამით ნიადაგს ამზადებდა ჩვენი ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის.

პ. უმიკაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული პროფესიული თეატრის აღდგენისა და განვითარების საქმეში. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სცენისმოყვარეთა სპექტაკლებისა და ლიტერატურული საღამოების გამართვაში. როგორც ვიცით, სწორედ ამ სპექტაკლებმა და საღამოებმა მოამზადეს საფუძველი ახალი ქართული პროფესიული თეატრის აღდგენისათვის.

მტკიცედ იდგა რა ხელოვნების რეალისტურ-უტილიტარული თეორიის პროგრესულ საფუძველზე, პ. უმიკაშვილი ქართული თეატრის წინსვლისათვის დაუცხრომელ ზრუნავს ხალხის სოციალურ-პოლიტიკური გამოფხიზლებისა და ზნეობრივი ამაღლების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებისა და ცხოვრების გარდაქმნის პრაქტიკულ ამოცანებს უკავშირებდა. სწორედ ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული მისი მთელი თეატრალურ-კრიტიკული მოღვაწეობა, რომელიც მდიდარ მასალას იძლევა ახალი ქართული თეატრის ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის.

მართალია, პ. უმიკაშვილის პუბლიცისტურ, ლიტერატურულ-კრიტიკულ და თეატრალურ წერილებში ბევრია უტოპიური შეხედულებები და სადავო დებულებები, მაგრამ კიდევ უფრო მეტია ჭეშმარიტი და მართებული დასკვნები, რომლებიც ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად ფართოდ ეხმაურებიან ჩვენს თანამედროვეობას. ხოლო მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ყოველი ისტორიული პირის დამსახურება

ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რის გაკეთება ვერ შეძლო მან, არამედ იმით, თუ რა შემატა მან თავის საზოგადოებას წინამორბედებთან შედარებით. ამ თვალსაზრისით თუ შევაფასებთ პ. უმიკაშვილის, როგორც პუბლიცისტისა და კრიტიკოსის მოღვაწეობას, გარკვევით უნდა ითქვას, რომ მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმეში. ამიტომ სამართლიანობა მოითხოვს ამ დაუღალავ პუბლიცისტსა და კრიტიკოსს, ჩვენი კულტურის ბეჯით მუშაკს სამოციანი წლების მოწინავე ახალთაობის წარმომადგენელთა შორის დაეთმოს ღირსეული ადგილი, რომელიც თავისი უპირველო მოღვაწეობით დაიმსახურა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3
ცხოვრების გზა . . 8
პ. უმიკაშვილის პუბლიცისტური წერილები . . 63
პ. უმიკაშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები . 133
პ. უმიკაშვილის წერილები ქართულ თეატრსა და მუსიკაზე 191
დასკვნა 261

რედაქტორი ლ. ფოფხაძე
მხატვარი ელ. ალიმბარაშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე
ტექრედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორი პ. ღლონტი

ჯადაცა წარმოებას 17/II-67 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VI-67 წ.
ქაღალდის ზომა 84×108/$_{32}$.
ნაბეჭდი თაბახი 14.07.
საღრ.-საგამომც. თაბახი 12,25.

ც 01746. ტირაჟი 2000. შეკვ. № 212.

ფასი 1 მან. 10 კაპ.

„საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი
Типография № 4, Тбилиси, Медгородок